# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№ 17 (262) ◆ 24-30 აპრილი, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




დაიწყო ვნების კვირეული... პარასკევი... უფლის ჯვარცმა... მოვემზადოთ აღდგომის დღესასწაულთან შესახვედრად.

გვ. 4

### საეიზო რეჟიმი სრულ უფლებას მისცემს საქართველოს, ერთხელ და სამუდამოდ გამოიჯახუნოს დსთ-ის კარი...



– რუსები არღვევენ ბიშკეკის შეთანხმების ძირეულ პრინციპებს...

– მოსალოდნელია რუსეთიდან ჩვენი თანამემამულეების მასობრივი დეპორტაცია... ეს 500-700 ათასი ადამიანია, რომლებიც საქართველოში დაახლოებით 500.000 დოლარს აგზავნიან წელიწადში(!) გვ. 3

– ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდებიან რუსეთის სამხედრო მოსამსახურეებიც, ქართული მხარე არავითარ დათმობებზე არ უნდა წავიდეს.

### რას წერენ ჩვენზე

ქართველი — პირველი ევროპელია?

სენსაცია პალეობრიობის ისტორიიდან...

დმანისის გათხრები ადასტურებს...

მოპოვებულმა ორი „ქართველის" თავის ქალამ უკან მოიტოვა არსებული ლიდერები. 3 მილიონი წლის წინ ევროპისკენ დაძრულმა პრიმატმა არჩევანი მზიურ საქართველოზე შეაჩერა...

გვ. 12

### ყველაზე გავლენიანი ქართველი

გვ. 27

(პრეზიდენტის შემდეგ)

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

...ფული გასულია ხაზინიდან – მაგრამ მისი ხარჯვის კვალი არ ჩანს...

სად წავიდა ბიუჯეტიდან „საიდუმლოდ" დახარჯული 11,6 მილიონი ლარი!!! გვ. 3-4

### სამხედრო თემაზე

...აფხაზეთში ომის დროს სამხედრო მეზღვაურები საკმაოდ მრისხანე იარაღს შეიძენდნენ, ხელისუფლებას რომ არ „წაეყრუებინა".

....კოპიტნარიდან გატაცებული ახალთახალი Су-25 დღესაც მშვენივრად გრძნობს თავს სომხეთის ცაში. გვ. 9

### თქვენ მოესწრებით ანტიქრისტეს ბატონობას



– ღვთისმშობლის შეწევნით საქართველო გადარჩება;

– ადამიანებს ბოლო ჟამს სიმდაბლე, სიკეთე და სიყვარული გადაარჩენს –

– სრულიად საქართველო და ნახევარი რუსეთი ვიტვირთე...

*ბერი გაბრიელი*



...მის საფლავზე ზამთარ-ზაფხულ არ ჭკნება ყვავილები;

...ბერი გაბრიელი ოთხი წლის წინ გარდაიცვალა... მისი სხეული დღესაც უხრწნელია. გვ. 7

### „ქურდები მისთვის ყურის აწევას აპირებდნენ, მაგრამ ჩავერიე და გადავარჩინე"

გვ. 5



– ორწელიწად-ნახევარი ბნელ სარდაფში მამყოფეს;

– საპირფარეშოში რომ გამიყვანდნენ, გაზეთის გამოყენებულ ნაგლეჯებს ვკითხულობდი;

– ლამის ტილებმა შემჭამეს;

– მეც ჩემებური ამნისტია მაქვს გამოშვებული და შურისძიებას არ ვაპირებ... ისე, თუ ვინმეს ჩემი ეშინია — ეშინოდეს!

### მე შემიძლია ბევრი რამ ავხსნა რუსთაველი მანიაკის შესახებ

ზარი რედაქციაში...

როდის რას აპირებს რუსთაველი მანიაკი...

– ელოდეთ ახალი წლიდან 6 თვის, 6 კვირის და 6 დღის გასვლას – ეს 18 აგვისტოა და პარასკევი დღე...

ატარეთ ჯვარი და სარკიანი მზის სათვალე... გვ. 6

...„უყურადღებოდ" თითქმის არც ერთი სამსახური არ გვტოვებს – შედიან მაღაზიაში და თითქოსდა შესამოწმებლად, მიაქვთ პროდუქტები, თანაც ყოველთვის – ძვირადღირებული... რა თქმა უნდა, ფულს არ იხდიან...

*ნინო მამუკელაშვილი*

...გულწრფელად გეტყვით, პრეზიდენტის იმედი დიდად არ მაქვს;

...მრეწველები დათმობაზე არ წავალთ;

გვ. 5-6 *გოგი თოფაძე*

### იცით, რატომ ბერდებით? — ალბათ, ბანაობთ...



ეს კი „უსაშინლესი" ჩვევაა...

ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ სერიოზული დაავადებების მქონე პირებს, რომლებსაც 9 თვის მანძილზე საერთოდ არ უბანავიათ გრიპის ორი მძლავრი ეპიდემია ახლოსაც არ გაჰკარებიათ...

ახალი სენსაციური დასკვნები ათასწლეულის მიჯნაზე... გვ. 19

### ილიას მკვლელობას „ლეგენდარული" კამო ბერულ „მოყვრებთან" ერთად გეგმავდა.

ვერსია

ვინ იყვნენ ფირალები? ყაჩაღები თუ რობინ ჰუდები?

სწორედ შევარდნაძე იყო ერთადერთი კაცი, რომელიც მასზე სამჯერ განხორციელებული ტერაქტის მიუხედავად – ცოცხალი გადარჩა(!).. „კომიტეტი" გაცოფებული იყო და ახალ ტერაქტს ამზადებდა.

„ხელუკუღმა" ისროდა და მთვრალიც კი ტყვიას ტყვიაში „აჯენდა". გვ. 10

ნაპოვნია ღმერთის შექმნილი ედემის ბაღი...

ახლა ამ ადგილას სპარსეთის ყურეა და მყვინთავები ხშირად წასწყდომიან უძველესი ნაგებობების ნაშთებს... გვ. 24




ფირმა „ბერმუხა"

ბრტყელი სახურავების, სარდაფების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50


საკვირაო



ტელე-კინოგიდი

24-30 აპრილი

გვ. 14-15


ALLIGATOR
EXCALIBUR
APS
MAGNUM



დისტანციური სიგნალიზაციის, შუშების ამწევის მონტაჟი

შეღავათიან ფასად

გარანტია 1-5 წლამდე

მის: ვაჟა-ფშაველას 37

ტ: 899-50-31-52


Неделя
КОММАНДОС
ЧАСТНАЯ ЖИЗНЬ
ТЕЛОХРАНИТЕЛЬ
За РУБЕЖОМ
МОСКОВСКИЕ НОВОСТИ
Newsweek
FOCUS
Общая газета
DER SPIEGEL
КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА
stern
СЕГОДНЯ
ИЗВЕСТИЯ
ТРУД
СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО
АРГУМЕНТЫ и ФАКТЫ
Иностранец
LE FIGARO magazine
ТВ ПАРК
ЛИЦА
ОГОНЕК
daily
Le Nouvel Observateur
Итоги

„კვირის პალიტრის" შემდეგ ნომერში სააღდგომო საჩუქარი გელით

## პირველი ნაბიჯი ეროვნული თანხმობისათვის

ბოლო წლების მანძილზე საქართველოში იშვიათად ყოფილა რომელიმე პერიოდი ისე დატვირთული მოვლენებით, როგორც გასული კვირა იყო. ასრულდა ყველა საღად მოაზროვნე ქართველის ოცნება და სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა ეროვნული თანხმობის მისაღწევად. 20 აპრილს პარლამენტში გამოსვლისას, პრეზიდენტმა აუწყა ქვეყანას, რომ მიღებული ამნისტიით 279 პატიმარი გათავისუფლდება პატიმრობიდანო. ამნისტია შეეხო იმ პირებს, ვინც გასამართლებული იყო 1991-1993 წლების სამოქალაქო ომის მოვლენებთან დაკავშირებით და ვისაც არ აქვს მკვლელობა ჩადენილი. მეტიც, პრეზიდენტმა იმ პატიმართა გათავისუფლებაც გვაუწყა, რომლებიც მონაწილეობდნენ 1995 წლის 29 აგვისტოს შევარდნაძეზე განხორციელებულ თავდასხმაში, ოღონდ ამნისტია მხოლოდ იმ პატიმრებს შეეხო, რომლებსაც ასევე მკვლელობა არა აქვთ ჩადენილი. რაც შეეხება 1991-1992 წლების მოვლენების შევარდნაძისეულ შეფასებას, მან, კერძოდ, ბრძანა: „ეს იყო ეროვნული ტრაგედია საქართველოსთვის, რასაც არც ერთი მხარისთვის გამარჯვება არ მოუტანია..."

## პარლამენტმაც თქვა თავისი სიტყვა

პარლამენტმა პრეზიდენტის გამოსვლისთანავე ერთხმად მიიღო დადგენილება 1991-1992 წლების მოვლენების შედეგების აღმოფხვრისა და ეროვნული თანხმობის მიღწევის შესახებ. დადგენილება „გმობს სახელმწიფოში პოლიტიკური პრობლემების ძალადობის გზით გადაჭრას და ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობის ყოველგვარ მცდელობას! მოუწოდებს გენერალურ პროკურატურას, ვითარების შეცვლასთან დაკავშირებით, ა/წ 23 ივნისამდე განიხილოს და გადაწყვიტოს განსასჯელთა და საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნებში მყოფ ყველა იმ პირის სისხლის სამართლებრივი ძიებისა და დევნის საკითხები, რომლებიც პასუხისგებაში არიან მიცემულნი 1991-1992 წლებიდან დღემდე მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით..." პარლამენტის დადგენილების თანახმადვე, ა/წ 20 ივნისამდე უნდა გამოქვეყნდეს მათი სია, ვის წინააღმდეგაც სისხლის სამართლებრივი ძიება შეწყდება, ხოლო საკუთრივ პარლამენტში 20 მაისამდე შეიქმნება „ეროვნული თანხმობის კომისია", რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული შერიგების პროცესის ბოლომდე მიყვანას!

## ყიფიანს სკების გაყიდვა მოუწევს?!

პარლამენტის ამ ისტორიული გადაწყვეტილების მეორე დღესვე ციხეებიდან და კოლონიებიდან დაიწყო აღნიშნული კატეგორიის პატიმართა გათავისუფლება, რომელთაგან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ჯაბა იოსელიანის „სვობოდაზე" ხილვა. მან დოდო გუგეშაშვილსა და რამდენიმე მხედრიონელთან ერთად გადმოაბიჯა „იზოლაციის ადგილს" და პირველი, მისთვის ჩვეული ორიგინალური განცხადებებიც გააკეთა, რითაც, როგორც ჩანს, საგონებელში ჩააგდო მისი „გამათავისუფლებლები". იოსელიანი არაორაზროვნად დაემუქრა პასუხისგებით იმათ, რომლებმაც „ზემოდან" წამოსულ მისი დაპატიმრების ბრძანებას არ შეაგებეს უარი, არ უთხრეს „არა" და მხედრიონელთა ხანში შესულ ლიდერს ნესტიან საკანში გამომწყვდევით ჯანმრთელობა შეურყიეს. ჯაბა იოსელიანი იმედოვნებს, რომ მორალური და ფიზიკური კომპენსაციის სახით ხელისუფლებას აიძულებს, გადაუხადოს მას 2 მლნ დოლარი! იოსელიანი განსაკუთრებით დაემუქრა გენპროკურორის ყოფილ მოადგილეს და ამჟამად პარლამენტარ რეზო ყიფიანს და დაიქადა: „მაგ ყიფიანს ფუტკრის სკებს გავაყიდინებ და... 2 მილიონს მაინც ამოვიღებ!" იოსელიანი უფრო მოწყალე იყო ახლად არჩეული პრეზიდენტის მიმართ და „ანუგეშა" მისი მხარდამჭერნი — ყველაზე ნაკლებად პასუხს შევარდნაძეს მოვთხოვო! მოკლედ, მხედრიონელთა ლიდერი სტრასბურგის სასამართლოდან „ქაღალდს" ელოდება და როგორც მიიღებს მას, მაშინვე აამუშავებს 2 მილიონი დოლარის მისაღებ მექანიზმს... სხვათა შორის, იოსელიანისაგან ისიც შევიტყვეთ, რომ ის და ლოთი ქობალია მაგრად დამეგობრებულან... იოსელიანის თქმითვე, მის ჯანმრთელობაზე იქნება დამოკიდებული, თუ მოღვაწეობის რა გზას დაადგება მომავალში! (ვრცლად იხ. გვ. 5)

## დაიწყება მინისტრთა კაბინეტის წმენდა

მაშინ, როცა წლების მანძილზე ნაოცნებარი ეროვნული თანხმობის მიღწევის პროცესის დასაწყისის შესახებ აღფრთოვანებით საუბრობდა ერი და ბერი, სახელისუფლო კულუარებში სულ უფრო ღრმავდებოდა დაპირისპირება ჟვანიას გუნდსა და ლორთქიფანიძის „კაბინეტს" შორის. მათ შორის კარგა ხნის მანძილზე მიმდინარე ბრძოლამ თავი ველარ დამალა და ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე ერთმანეთს დაეტაკნენ, ერთი მხრივ, ზურაბ ჟვანია, მეორე მხრივ, კი ლორთქიფანიძის ხალხი — ნუგზარ საჯაია-ბადრი ხატიძის ტანდემი. გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, საქმე განევ-გამოწევამდეც მისულა და „უმცირესობაში" დარჩენილ ჟვანიას ხმაურითა და მუქარით მიუტოვებია იქაურობა... ბუნებრივია, ყველა მოველოდით, რომ ეს ამბავი გაგრძელებას პოვებდა, რაც ორი დღის შემდეგ მოხდა კიდეც: მთავრობის მორიგ სხდომაზე პრეზიდენტმა უპრეცედენტო განცხადება გააკეთა სახელმწიფო მინისტრის მისამართით და მთავრობის სხდომაზე მის მიერ შემოტანილ საკითხებს უწოდა, არც მეტი, არც ნაკლები, „აბდაუბდა". ესეც არ აკმარა „საკუთარ კალთაში" გამოზრდილ კომპეტენტურ კადრს და მისი გულის გასახეთქად მოუწონა ზურაბ ჟვანიას პარლამენტში გამოსვლისას გამოთქმული ინიციატივა, რომ „უნდა გაძლიერდეს საპარლამენტო კონტროლი აღმასრულებელ ხელისუფლებაზე". კულუარული ინფორმაციით, უკვე მრავალი მინისტრისა და თანამდებობის პირის ბედი სასწორზე დევს. თუმცა იმავე წყაროების ცნობით, წმენდა ამ ეტაპზე არ შეეხება ძალოვან მინისტრებს. ჯამლეთ ბაბილაშვილი კი შეიძლება გია მეფარიშვილმა შეცვალოს. პრეზიდენტთან დაახლოებული ერთი წყაროს ცნობით, ლორთქიფანიძემ და მენაღარიშვილმა შეიძლება „გრძელი როქი" გააკეთონ და ადგილები გაცვალონ. მეორე წყარო ირწმუნება, რომ ლორთქიფანიძეს შორეულ ნიუ-იორკში მიავლენენ, კერძოდ, გაეროში საქართველოს წარმომადგენლის პოსტზე. პეტრე ჩხეიძეს კი მშობლიურ ხელისუფლებაში გამოუძებნიან თბილ ადგილს. მაგრამ რამდენიმე წყარო „კვირის პალიტრის" კორესპონდენტს დაჟინებით არწმუნებდა, რომ ლორთქიფანიძე შეიძლება დარჩეს თავის პოსტზე და მის შანსს ამ მხრივ 10%-იანი ბალით აფასებენ, 90%-ით კი ლორთქიფანიძე დაემშვიდობება სახელმწიფო კანცელარიას.

## წმენდის „კულუარული პროექტი"

რაც შეეხება სხვებს, კულუარული წყაროების ცნობით, მიშა უკლება შეცვლის საბერძნეთში ჩვენს ელჩს ალექსანდრე ჩიკვაიძეს. პრეზიდენტი გადააყენებს თამარ ბერუჩაშვილსა და ლადო პაპავას, ხოლო გაერთიანებული ეკონომიკისა და საგარეო ვაჭრობის სამინისტროს სათავეში ჩაუდგება მიხეილ ჯიბუტი. კახი ასათიანიც დატოვებს პოსტს და სპორტისა და ტურიზმის დეპარტამენტები გაერთიანდებიან.... რაც მთავარია, დავით ონოფრიშვილი შეინარჩუნებს ფინანსთა მინისტრის პოსტს, რადგან პრეზიდენტს უთქვამს — შემოსავლების ამოღება მისი კომპეტენცია არ არის და ბიუჯეტის შეუსრულებლობაში მას ვერ დავადანაშაულებო! ასევე ყოველ მიზეზგარეშე მოიხსნებიან ბაკურ გულუა და ვალერი ასათიანი. კულტურის ახალ მინისტრად შეიძლება მოგვევლინოს საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის შეფი ზაზა შენგელია; დიდი ომია მოსალოდნელი ომბუდსმენის პოსტის დასაკავებლადაც. დღემდე ოფიციალურად ცნობილ ორ კანდიდატს — ნანა დევდარიანსა და ვახტანგ ძაბირაძეს შეიძლება მალე მიუერთდნენ კონკურენტები: არასამთავრობო ორგანიზაციების „კაცი"... ლევან ბერძენიშვილი და მრეწველისა და დეპუტატის ლევან გაჩეჩილაძის გუნდის „პროტეჟე"... დათო ტურაშვილი! თურმე უკანასკნელ დღეებში მეხუთე კანდიდატად გამოიკვეთა... რუსუდან ბერიძის ფიგურაც. საგულისხმოა, რომ ელენე თევდორაძეს აბსოლუტურად არავინ მოიაზრებს და ასახელებს ომბუდსმენის პოსტის კანდიდატად...

აი, ასეთი გახლავთ სახელისუფლებო წმენდის „კულუარული პროექტი". ვნახოთ, რა კორექტივებს შეიტანს პრეზიდენტი უკანასკნელ წუთს და რამდენადაც კარგად ვიცნობთ მის საკადრო პოლიტიკას, შეიძლება სრულიად განსაკუთრებული ცვლილებების მოწმენიც გავხდეთ!

## მკვლელი ლინჩის წესით გაასამართლეს

მთელ ამ პოლიტიკურ ბატალიებს ერთგვარად წყალი გადაასხა კახეთში, სოფელ ნუკრიანში დატრიალებულმა ტრაგედიამ, რომელიც ორი დღით ადრე თბილისში მომხდარი საზარელი მკვლელობის გაგრძელება იყო. ვაზისუბნის დასახლებაში მცხოვრები ჯავახიშვილების ოჯახის (დედა, მამა, შვილი) ამოწყვეტის შემდეგ მკვლელმა სოსო ჯანგულაშვილმა ნუკრიანს მიაშურა და ერთი დღე-ღამის მალვის შემდეგ შუბლში ტყვია იკრა. ჯავახიშვილების ოჯახის ამოწყვეტით გაცოფებულმა სოფელმა (ჯავახიშვილები ამ სოფლიდან იყვნენ) ჯერ კიდევ სულთმობრძავი ჯანგულაშვილი სოფლის ცენტრში გაათრია, ბენზინი გადაასხა და ნახშირად აქცია! საუბედუროდ, ამ ორმხრივ ბარბაროსობას არანაირი რეაქცია არ გამოუწვევია ქართულ ისთებლიშმენტსა და საზოგადოებაში, მხოლოდ ერთ დეპუტატს ამოუღერღავს — ნაადრევად ხომ არ გავაუქმეთ სიკვდილით დასჯის კანონიო, მაგრამ მისი ხმა ორი კაცის ყურთასმენას არ გასცილებია... რაც შეეხება ჯანგულაშვილის ოჯახს, შიშისაგან თავზარდაცემული ადამიანები ჯერ გახიზნულან, შემდეგ კი სასწრაფოდ გადახვეწილან საქართველოდან. მათი სახლ-კარიც გადაწვა სოფელმა!

ასევე, გურამ შარაძის გარდა, ქართული ისთებლიშმენტი ყრუმუნჯობას არჩევს იელოველი ქართველი გოგონას მსხვერპლშეწირვის ფაქტის შეფასებასთან დაკავშირებით... რას ვიზამთ, „დემოკრატიას" ვაშენებთ და მოვალენი ვართ, ზედმიწევნით შევასრულოთ და შევითვისოთ დასავლური ფასეულობები!

## „ენერგოეგზეკუცია" დაიწყო

მაიქლ სქოულის უშუალო თანდასწრებითა და მონაწილეობით, „აი-ეს თელასმა" დაიწყო თბილისელთა გულისგამხეთქი მორიგი ენერგოეგზეკუცია, კერძოდ, შეუდგნენ სპეციალური მრიცხველების გარეთ დამონტაჟების პროცესს, რაც მრიცხველების გადამწევ-გადმომწევთა შანსებს ნულს უტოლებს. ამ მრიცხველებს ერთი საოცარი თვისება აქვთ — საკმარისია, კორპუსში დადგმული მრიცხველებიდან თუნდაც ერთს შეეხონ ციფრების ჩამოსაყრელად ან დააზიანონ, რომ მთელ კორპუსს შუქის მიწოდება შეუწყდება. ეს კიდევ არაფერი, მოელიან, რომ ზაფხულიდან ტარიფები გაიზრდება ელექტროენერგიაზე, ხოლო „აი-ეს-თელასი" არნახულად გაამკაცრებს მოსახლეობიდან გადასახადის ამოღების პროცედურას! საუბედუროდ, „აი-ეს-თელასიც" და ქართველი ენერგომამებიც არ ფიქრობენ იმაზე, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ამ დაუნდობლობას.

## აბაშიძემ სადეპუტატო სავარძელზე უარი თქვა

საქართველოს პარლამენტმა დააკმაყოფილა ასლან აბაშიძის თხოვნა და აჭარის ლიდერს დეპუტატის უფლებამოსილება შეუჩერა. ასლან აბაშიძის კუთვნილ საპარლამენტო სავარძელს კი „აღორძინების" წევრი, შევარდნაძის პირადი დაცვის ყოფილი ოფიცერი გიორგი გულიაშვილი დაიკავებს. იმავე პლენარულ სხდომაზე პარლამენტმა მიიღო საკონსტიტუციო ცვლილება და საბოლოოდ დააფიქსირა და განსაზღვრა მასში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი. ფრაქცია „აღორძინების" წევრთა თქმით, „ასლან აბაშიძის ნაბიჯი მისაღები და გასათვალისწინებელია ყველასათვის", თუმცა არ დაუკონკრეტებიათ რა მხრივ არის მისაღები და გასათვალისწინებელი რეგიონის ლიდერისათვის მისივე მოთხოვნის საფუძველზე დეპუტატის უფლებამოსილების მოხსნა! რაც შეეხება გულიაშვილს, მას თურმე იმიტომ მიუტოვებია პრეზიდენტის დაცვის სამსახური, რომ იგი „აღორძინების" აქტიური წევრი იყო და მორალური უფლება არ ჰქონია ამ სამსახურში მუშაობისა...

## რჩეულიშვილს „განაჩენი" გამოუტანეს

„დიდი ომი" გაჩაღდა მე-5 ვიცე-სპიკერის პოსტზე ვახტანგ რჩეულიშვილის კანდიდატურის დამტკიცების (უფრო სწორად, არდამტკიცების) კენჭისყრის წინ. განსაკუთრებით აქტიურად გაილაშქრა №1 სოციალისტის წინააღმდეგ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ, რომელიც თვით ჟვანია-სააკაშვილის ტანდემსაც კი დაუპირისპირდა, რომლებიც თავის მხრივ აქტიურად ცდილობდნენ ვახტანგ რჩეულიშვილის ამ პოსტზე გაყვანას. ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ეს მართლაც ასე ჩანდა! ქალბატონმა ბურჯანაძემ სულ წვრილ-წვრილად გაუხსენა ვიცე-სპიკერის სავარძლის აგერ უკვე რამდენი თვის მანძილზე მომლოდინე რჩეულიშვილს მოქკავშირისა და შევარდნაძის მისამართით გამოთქმული უხამსი ტერმინები და ბრალდებები და ერთგვარი „პოლიტიკური მორალიც" შეახსენა პარლამენტის სპიკერს ჟვანიას და ფრაქცია „მოქკავშირის" ლიდერს სააკაშვილს... საბოლოოდ, რჩეულიშვილის კანდიდატურას კენჭი უყარეს, მაგრამ პრეზიდიუმში ადგილის დასაკავებლად მას 7 ხმა დააკლდა და 111 ხმით 38-ის წინააღმდეგ მისი კანდიდატურა უკვე მეორედ ვერ გავიდა. ზურაბ ჟვანიამ სინანული გამოხატა მომხდართან დაკავშირებით და იმედი გამოთქვა, რომ შესაძლებელია კიდევ ერთხელ განიხილონ რჩეულიშვილის საკითხი და კენჭიც უყარონ მის კანდიდატურას! რაც შეეხება თავად რჩეულიშვილს, იგი მშვიდად შეხვდა „განაჩენს" და კითხვაზე, დააყენებს თუ არა კიდევ ერთხელ თავის კანდიდატურას ამ პოსტის დასაკავებლად, ბრძანა: „ამას გადაწყვეტს პოლიტსაბჭოს სხდომა, რომელიც ბათუმში გაიმართება..."

## ვისი ბრალი ყოფილა ყველაფერი!

როცა იფიქრეს, ეროვნული უშიშროების საბჭოზე ჟვანიასა და საჯაია-ხატიძის შეხლა-შემოხლა წარსულს ჩაბარდაო, მოულოდნელად ასპარეზზე გამოვიდა კანცელარიის კიდევ ერთი ჩინოვნიკი, პრეზიდენტის მრჩეველი თემურ მირიანაშვილი და ჟვანია-სააკაშვილის გუნდს პირდაპირ დასდო ბრალი შევარდნაძის მტრობაში. მირიანაშვილი ირწმუნება, რომ რაც ეს გუნდი გაძლიერდა, მას შემდეგ დაიწყო ყველა უბედურება ხელისუფლებაში! მირიანაშვილი უფრო შორსაც წავიდა და ჟვანია-სააკაშვილის ხალხი ქვეყანაში შექმნილი ფინანსური კრიზისის შექმნაშიც დაადანაშაულა. არც ეს იკმარა და პროდასავლური ორიენტაციის რეფორმატორებს რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭებაც დააბრალა... საგულისხმოა, რომ მირიანაშვილის ბრალდებებს საკმაოდ მშვიდად შეხვდნენ რეფორმატორები. მიზეზი ნათელია. კულუარული ინფორმაციით, მირიანაშვილიც „გასაცხრილთა" სიაშია!

## არშემდგარი „ტერაქტი"

გასული კვირა ვერ ასცდა სენსაციასაც, რომელიც პირველად რუსეთის ტელეკომპანიებიდან გაისმა. თვალებანთებული რუსი წამყვანები მრავალმნიშვნელოვნად იუწყებოდნენ, რომ პრეზიდენტ შევარდნაძის წინააღმდეგ განხორციელდა მორიგი ტერაქტის მცდელობა, რომ უცნობმა პირმა პრეზიდენტის მანქანას ცელოფანში გახვეული, ჯერჯერობით, უცნობი საგანი ესროლა და ა.შ. ბუნებრივია, მსმენელში ეს საგანი ბომბის ასოციაციას იწვევდა, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ ნასროლ ცელოფანში უწყინარი ქუდები ეწყო, ხოლო „მსროლელი" თბილისელი ფსიქიკამოშლილი 42 წლის მექუდე არტემ ბაგდიევი აღმოჩნდა!

ამერიკაში გაწვრთნილ პრეზიდენტის დაცვას შესაშური რეაქციით ქვეშ გაუგდია უბედური მექუდე და მიუბრძანებია იქ, სადაც ჯერ არს. მოგვიანებით, სამედიცინო ექსპერტიზამ დადგინა „მექუდე-ტერორისტის" გონებაშლილობის ფაქტი და პოლიციამაც „თავდამსხმელი" შინ გაუშვა.

## ევროპა ტაშს უკრავს

დღეს ევროპის პრესა აჭრელებულია ინფორმაციებით იმის შესახებ, რომ საქართველოდან, ბოდბის მონასტრიდან, წმიდა ნინოს საფლავიდან კლასიკური მუსიკის ჰანგებით მოდის ღვთიური მადლი, რომელიც ევროპის იმ ქალაქებში განეფინება, სადაც წმიდა ნინოს დარად, იქადაგეს ქრისტეს მოციქულებმა. როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველმა იცის, ბოდბის მონასტრიდან გასულმა მომლოცველებმა გეზი გერმანიის ქალაქ ეიხშტადტისკენ აიღეს.

ცნობილი გერმანული გაზეთი „დოიჩე ცაიტუნგი" გვამცნობს: „კონცერტის შემდეგ ფეხზე ამდგარი აღტაცებული მსმენელი სცენიდან დიდხანს არ უშვებდა მაესტროს და ორკესტრის წევრებს. ამ დიდებული საღამოს შემდეგ, უამრავ ინტერვიუში, ლიანა ისაკაძე საგანგებოდ მიუთითებს, თუ საიდან აიღო სათავე ჯვრით სვლამ და აღნიშნავს ამ საქმეში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დიდ წვლილს."

ეიხშტადტსა და ვენეციაში წარმატებით გამართული კონცერტების შემდეგ ორკესტრი ეწვია ვატიკანს. სან-პიეტროს მოედანზე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან თავმოყრილ მომლოცველებს მიესალმა პაპი იოანე-პავლე და წინასააღდგომოდ საგანგებოდ აკურთხა ისინი, მათგან კი მხოლოდ ქართველი მუსიკოსები მიიწვია თავის რეზიდენციაში. როგორც ქალბატონმა ლიანამ ტელეფონით საუბრისას გვითხრა, ამ შეხვედრამ ის სულიერად შესძრა, პაპი ლიანა ისაკაძეს გამორჩეული სიყვარულით მიეფერა და აღნიშნა, — „ამ ცოტა ხნის წინ ვიზიტით ყოფნისას უდიდესი პატივისცემით განვიმსჭვალე საქართველოს მიმართ და რაოდენ მნიშვნელოვანია ჩემთვის, რომ ამ დიდი ისტორიული მისიის თაოსანი და შემსრულებლები სწორედ იმ პატარა, საოცარი ქვეყნიდან არიან."

ლიანა ისაკაძემ რომის პაპს უძღვნა საგანგებოდ ამ პილიგრიმობისთვის შექმნილი სიმბოლო, რომლის ავტორია გია ჯაფარიძე.

## დღეიდან „თბილგაზი" გამკაცრდება

(გეა) ორშაბათიდან „თბილგაზი" უფრო გაამკაცრებს ურჩი გადამხდელების წინააღმდეგ ბრძოლას. მთელი დედაქალაქის მასშტაბით ყველა ის რაიონი გამოირთვება, რომლის მოსახლეობაც დახარჯული გაზის საფასურს არ იხდის. „ეს პროცესი კვირის დასაწყისიდანვე მკაცრად გატარდება უბნებისა და კვარტლების მიხედვით, ყველა მოსახლეს გაზის მიწოდება შეუწყდება, სანამ დავალიანებას სრულად ან ნაწილობრივ მაინც არ გადაიხდის" — განაცხადა „თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა გია გოზალიშვილმა



## „მაკდონალდსი" გლოვობს

(გეა) „მაკდონალდსის" ამერიკული რესტორნების ხელმძღვანელობამ მთელი საფრანგეთის ტერიტორიაზე გლოვის ნიშნად მრავალი თავისი ფილიალი დახურა ფირმაში მომუშავე ქალის გამო, რომელიც ერთ-ერთ რესტორანში, გასული კვირის დასაწყისში, ბომბის აფეთქებას ემსხვერპლა.

27 წლის ლორის ტიურბეს დაკრძალვა ბრეტანის პროვინციის ქალაქ დინანში შედგა, სადაც ეს ინციდენტი მოხდა. პოლიცია ვარაუდობს, რომ აფეთქებაზე პასუხისმგებელნი არიან ბრეტანელი ნაციონალისტები. კომპანია „მაკდონალდსი" გამორჩეულ სამიზნედ იქცა მათთვის, ვინც მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის წინააღმდეგ გამოთქვამს პროტესტს. საფრანგეთის მასმედიით გავრცელდა მოწოდება, ძალადობის შეწყვეტის მოთხოვნით.

## რუსები ცდილობენ მასხადოვის გადაბირებას

ვლადიმირ პუტინმა დაადასტურა, რომ მიიღო ასლან მასხადოვის მიერ გამოგზავნილი საზავო წინადადებები და საკუთარი შესწორებები გაუგზავნა მას. ეს შესწორებები სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ მოსკოვი მოუწოდებს მასხადოვს, გადავიდეს რუსების მხარეზე და მათთან ერთად ებრძოლოს ტერორისტებს და ბანდფორმირებებს „ჩეჩენი ერის ინტერესებისათვის". ეს შესწორებები ერთი თვის წინ გაუგზავნიათ მასხადოვისათვის, მაგრამ მისგან პასუხი არ ისმის. პუტინი დაიმუქრა, რომ თუ მასხადოვისგან არ მივიღებთ პასუხს, ჩვენ თვითონ მივხედავთ საქმესო.

თავად მასხადოვმა კი გაზეთ „კომერსანტ დეილისათვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მან უბრძანა თავის მებრძოლებს, შეწყვიტონ ცეცხლი, რაც ნაწილია კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების მასხადოვისეული გეგმისა... თუმცა ბრძოლები მაინც გრძელდება.

## ეროვნული ინტერესების დასაცავად

ვლადიმირ პუტინის განცხადებით, რუსეთმა უფრო აქტიურად უნდა დაიცვას საკუთარი ეროვნული ინტერესები კასპიის ზღვის რეგიონში. რუსეთის უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას, პუტინმა ბრძანა, რომ „რუსეთი მთელი ძალით უნდა ეცადოს, კონკურენცია გაუწიოს აშშ-ს კასპიის რეგიონის ენერგორესურსების კონტროლის საქმეში." მისივე თქმით, უშიშროების საბჭომ გადაწყვიტა, დაინიშნოს პრეზიდენტის საგანგებო წარმომადგენელი, რომელიც ამ რეგიონის საკითხებზე იქნება პასუხისმგებელი. რუსეთი დიდი ხანია მოითხოვს, რომ კასპიის ზღვის ენერგორესურსები რეგიონის ყველა ქვეყანამ ერთობლივად და სამართლიანი განაწილების პრინციპით მოიხმაროს.

როგორც ჩანს, მომავალი ერთი წელიწადი, ანუ 2001 წლის 1 ივლისამდე პერიოდი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ერთგვარი „ცივი ომის“ ხასიათისა იქნება. მოსკოვში უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები ქართულ და რუსულ მხარეებს შორის — სტამბოლის ეუთოს სამიტის გადაწყვეტილებათა საფუძველზე გუდაუთისა და ვაზიანის სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ, მაგრამ რუსეთი რისი რუსეთია, რომ საქართველოს პროდასავლური ორიენტაცია და ჩვენი ტერიტორიიდან სამხედრო ბაზების გაყვანის მოთხოვნა დაუსჯელი დატოვოს. ამ მხრივ, მრავლისმთქმელია ის ფაქტიც, რომ უშუალოდ ზემოაღნიშნული მოლაპარაკების წინ, მოსკოვმა თბილისში მოავლინა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია, რომელმაც, იმის გარდა, რომ აქეთ დაგვდო ბრალი რუსეთ-საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის შემოღების ინიციატივით გამოსვლაში (არადა აღნიშნული ინიციატივა რომ სწორედ ვლადიმირ პუტინს ეკუთვნის, ეს ალბათ ყრუს და მუნჯსაც კი ახსოვს), პირდაპირ და საკმაოდ აგრესიულად დაუსვა საკითხი ქართულ მხარეს, რომ საქართველო-რუსეთს შორის სავიზო რეჟიმის შემოღება გარდაუვალი ფაქტია, ამის შესახებ პოლიტიკური გადაწყვეტილება რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაფორმდეს და, მეტიც, თუ საქართველო არ წამოვა მოლაპარაკებაზე, რუსეთი ცალმხრივად შემოიღებს სავიზო რეჟიმს!

ისმის კითხვა: კონკრეტულად რისი მიღწევა სურს და რა გეგმები აქვს მოსკოვს საქართველოს მიმართ და რა ნეგატიურ შედეგებს უნდა ელოდოს ჩვენი ქვეყანა სავიზო რეჟიმის შემოღების შემდეგ, მით უმეტეს, თუ ეს იქნება მკაცრი სავიზო რეჟიმი. ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრები პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატს, პოლიტოლოგ **ვახტანგ მაისაიას**:

— მართალია, დღეს ჩეჩნეთში შემცირდა საომარ მოქმედებათა მასშტაბი, მაგრამ, საგულისხმოა, რომ ფსკოვის სადესანტო ქვედანაყოფისა და შემდგომ პერმის ომონის განადგურების ოპერაციებში მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღეს სწორედ უცხოეთის ქვეყნებიდან ჩასულმა ისლამისტმა ბოევიკებმა. თუ ჩეჩნეთის პირველი ომის დროს ყოველი ოთხი ჩეჩენი მეომრიდან ერთი უცხოელი იყო, დღეს მათი რიცხვი არნახულად გაიზარდა... მაგრამ ეს არის სავიზო რეჟიმის შემოღების მიზეზთა ერთი მხარე. რა თქმა უნდა, მოსკოვი სხვა, და უფრო შორსმიმავალ მიზნებსაც ისახავს ამ სავიზო რეჟიმის შემოღებით... მეტიც, ჩვენ მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსებს მაქსიმლურად გავურთულოთ საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევა, ანუ თუ იქნება სავიზო რეჟიმი, ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოს საკონსულოების დოკუმენტების გარეშე ვერც ერთი ადამიანი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს და სურს იყოს საქართველოს მოქალაქე, ვერ შევა რუსეთში. ეს კი ძალიან დიდ პრობლემებს შეუქმნით აფხაზ და ოს სეპარატისტებს, რომლებიც უპრობლემოდ დასეირნობენ იქით-აქეთ თავიანთი „საქმეების“ მოსაგვარებლად...

**— და ამიტომ რუსეთი პირდაპირ არღვევს ბიშკეკის ცნობილ ხელშეკრულებას დსთ-ის სივრცეში დსთ-ის წევრი ქვეყნების მოქალაქეთა უვიზო, თავისუფალი მიმოსვლის შესახებ...**

— დიახ, 1992 წლის 9 ოქტომბერს ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშკეკში დსთ-ის წევრი ქვეყნების მიერ ხელმოწერილ ამ დოკუმენტს, რომელსაც საქართველო 1995 წლის 1 აგვისტოს შეუერთდა, დღემდე არავინ შეხებია და სავიზო რეჟიმის დაკანონება რუსეთის მხრიდან, უკვე პროცედურულადაც არღვევს შეთანხმების იურიდიულ ასპექტებს. აგერ მაქვს ამ შეთანხმების ორიგინალი და მისი მე-4 პუნქტის მიხედვით: „Положения настоящего соглашения не ставят под сомнения право сторон принимать особые меры по защите своих границ и територий при чрезвычаиных обстоятельствах, в частности, в ситуациях угрожающих их безопасности. В этом случае безвизовое передвижение лиц без гражданство не исключает право сторон

# სავიზო რეჟიმის შემოღებით რუსეთი მიმართავს ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ დივერსიას საქართველოს წინააღმდეგ!



осуществлять соответствующий паспортный и инные виды контроля“.

ასე რომ, რუსებს შეეძლოთ გაემკაცრებინათ საპასპორტო კონტროლის მექანიზმი, რაც არ გააკეთეს და პირდაპირ მოითხოვენ სავიზო რეჟიმის შემოღებას, რითაც არღვევენ ბიშკეკის შეთანხმების ძირეულ პრინციპებს. ამასთან, შეთანხმების მე-9 პუნქტის თანახმად, თუ რომელიმე მხარე აპირებს მსგავსი ნაბიჯის გადადგმას, ცხრა თვით ადრე უნდა გააფრთხილოს მეზობელი ქვეყანა და დსთ-ის აღმასრულებელი სამდივნო. მოსკოვს ამითაც არ შეუწუხებია თავი და პირდაპირ ფაქტის წინაშე დაგვაყენა!

**— ანუ ძალიან მალე რუსეთში სამუშაოდ მყოფი ასიათასობით საქართველოს მოქალაქე შეიძლება კანონგარეშე გამოაცხადონ და გამორეკონ აქეთ. თანაც, აშკარაა, რომ ამ გეგმასაც აქვს თავისი მზაკვრული მიზანი...**

— ჯერ ის ვთქვათ, რომ რუსეთში და განსაკუთრებით მოსკოვში მძვინვარე სამარცხვინო ტენდენციის, კერძოდ, ე.წ. „კავკასიური ეროვნების პირთა“ დევნა-დამცირების სუსხი ქართველებმაც იწვნიეს, ახლა კი, სავიზო რეჟიმის შემოღება რუსეთის ხელისუფალთ იურიდიულ საფუძველს მისცემს, შესაბამისი სანქციები გაატარონ მათ წინააღმდეგ და ელემენტარულად, მოახდინონ ჩვენი თანამემამულეების მასობრივი დეპორტაცია! სხვადასხვა მონაცემებით, რუსეთის მთელ ტერიტორიაზე დღეს იმყოფება 500-700 ათასი საქართველოს მოქალაქე. თუ გავითვალისწინებთ რუს ხელისუფალთა კორუმპირებულობის მასშტაბებს, ჩვენი თანამემამულეების ნაწილმა შეიძლება მოისყიდოს ეს ხელისუფალნი და ხელშეუხებლობის გარანტია, ან შესაბამისი დოკუმენტებიც მიიღოს. თუმცა სავიზო რეჟიმის შემოღებაზე რუსების ასეთი უპრეცედენტო აქტიურობა გვაფიქრებინებს, რომ საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობას აუცილებლად გამორეკავენ. თუ ეს მოხდა, მართლაც რომ უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წინაშე დააყენებს ისედაც უმუშევრებით სავსე ჩვენს ქვეყანას. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ რუსეთში მომუშავე ჩვენი თანამემამულეები ყოველწლიურად ყველაზე უხეში გაანგარიშებით, 50 მილიონამდე დოლარს, ანუ მყარ ვალუტას გზავნიან საქართველოში თავიანთი ოჯახებისა და ახლობლების დასახმარებლად. ეს არის მხოლოდ საბანკო-საფოსტო გადარიცხვების მონაცემები; სინამდვილეში კი, ზოგიერთი ექსპერტის თქმით, რუსეთიდან საქართველოში შემოსული ვალუტა თითქმის 200-250 მილიონ დოლარს, ანუ ნახევარ მილიარდ ლარსაც კი აღწევს, აქედან გამომდინარე, ნათელი გახდება შემდეგი: მკაცრი სავიზო რეჟიმის შემოღებით რუსეთი მიმართავს აშკარა პოლიტიკურ დემარშს, ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ დივერსიას საქართველოს წინააღმდეგ ჩვენთვის გაუთვალისწინებელი შედეგებით. თანაც მოსკოვი ამას აკეთებს ისე, რომ თითქოს სულაც არ აღელვებს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი რუსი სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების ბედი.

**— მიუხედავად ნეგატიური შედეგებისა სავიზო რეჟიმის შემოღება დიდ კოზირს გვაძლევს, რათა იგი რუსეთის სამხედრო ბაზების დროულად გაყვანის პროცესში ავამოქმედოთ... მაგრამ დიდ პრობლემად დარჩება ამ სავიზო რეჟიმის ამოქმედება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში!**

— რა თქმა უნდა. სავიზო რეჟიმი ერთგვარი კატალიზატორიც იქნება რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის საქმის ბოლომდე მისაყვანად, ამასთან, ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდებიან რუსეთის სამხედრო მოსამსახურეები და აქ ქართული მხარე არავითარ დათმობებზე არ უნდა წავიდეს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საქართველოს დელეგაციის პოზიცია არის მტკიცე და პრინციპული. ბუნებრივია, სავიზო რეჟიმი უნდა დაწესდეს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, მაგრამ გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: დღეს არსებული სამართლებრივი ნიჰილიზმის ფონზე, რასაც ადგილი აქვს დსთ-ის სვრცეში, შეიძლება ფორმალურად დაწესდეს სავიზო რეჟიმი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, როგორც თავის დროზე, დსთ-ის სამიტის გადაწყვეტილებით, ეკონომიკური სანქციები იყო შემოღებული აფხაზეთის წინააღმდეგ, მაგრამ მას არავინ ასრულებდა! აქედან გამომდინარე, სავიზო რეჟიმის შემთხვევაში, რუსეთი ალბათ გააგრძელებს ამ რეგიონებთან დღემდე არსებულ ურთიერთობებს. მაგრამ თუ ეს ასე გაგრძელდა, ჩვენ სრული უფლება გვექნება საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე მთელი სიმძაფრით დავაყენოთ რუსეთის მოქმედების საკითხი. და თუ მოსკოვი არ დაიცავს სავიზო რეჟიმს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, საერთაშორისო სასამართლოში ვუჩივლებთ! — კერძოდ, თუ რუსეთში მცხოვრები ათიათასობით ჩვენი თანამოქალაქე ტალღა-ტალღა მიაწყდება საქართველოს, სოციალური პრობლემების გარდა, ამან შეიძლება გაართულოს კრიმინოგენური ვითარებაც, რადგან, არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ უამრავ ჩვენს თანამოქალაქეს ჯერ კიდევ აქვს კავშირი ე.წ. „შავ სამყაროსთან“, ბევრი მათგანი საშიში დამნაშავეცაა და ბუნებრივია, ამ მასის შემოსვლა ქვეყანაში შექმნის პრობლემებს, რადგან ისინი აქ „უმუშევრად“ ნამდვილად არ გაჩერდებიან... ასე რომ, მოსკოვს, შეიძლება ითქვას, ბევრი მადესტაბილიზებელი ფაქტორი აქვს გათვალისწინებული სავიზო რეჟიმის შემოღებით, რაც მათი აზრით, გაურთულებს ჩვენს ქვეყანას ისედაც დაულაგებელ ყოფაცხოვრებას. მეტიც, ამ კატეგორიის მოქალაქეები შეეცდებიან, რუსეთში დაგროვილი „შავი კაპიტალის“ „გარეცხვას“ საქარველოში, ან ამ კაპიტალის ჩადება-დატრიალებას ადგილობრივ ჩრდილოვან, ანუ არაკანონიერ ბიზნესში, უწინარესად, კონტრაბანდასა და ფალსიფიცირებული პროდუქციის წარმოებაში და ა.შ. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ბიუჯეტის ქრონიკული შეუსრულებლობის გამო, რის შედეგადაც, ფაქტობრივად, შეწყვეტილია უცხოური საფინანსო დახმარებების შემოსვლა საქართველოში და ექსპერტები სულ უფრო შეშფოთებით ლაპარაკობენ, რომ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, გაკოტრება ემუქრება, ნათელი გახდება თუ რა დარტყმას უქადის ზემოხსენებული მოვლენების შესაძლო განვითარება ქვეყანას. როგორც ჩანს, რუსეთი, რომლის პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული გავლენა დღითიდღე მცირდება საქარველოზე, სწორედ სოციალურ-ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედებით ცდილობს. აქ წყლის ამღვრევას და მოვლენების მისთვის სასურველი მიმართულებით განვითარების შემთხვევაში, გარკვეული გეოპოლიტიკური და ეკონომიკური დივიდენდების მიღებას...

ამასთან, ბიშკეკის ხელშეკრულების დარღვევამ შეიძლება ცუდად იმოქმედოს რუსეთის ისედაც შელახულ საერთაშორისო იმიჯზე, მით უმეტეს, რომ ასეთი ხელშეკრულებები, როგორც წესი, რეგისტრირებულია გაეროში. შეგვიძლია ეს ბერკეტიც ავამოქმედოთ.

დაბოლოს: თუ რუსეთი ცალმხრივად შემოიღებს საქართველოსთან სავიზო რეჟიმს, ეს სრულ უფლებას მისცემს საქართველოს, საბოლოოდ გამოიჯახუნოს დსთ-ის კარი და გამოვიდეს ამ ე.წ. თანამეგობრობიდან. ვფიქრობ, ჩვენი პარლამენტი და ისთებლიშმენტი უკვე მზადაა ამ ნაბიჯის გადასადგმელად!

**— გმადლობთ!**

***ზურაბ მჭედლიშვილი***

# სად წავიდა ბიუჯეტიდან „საიდუმლოდ“ დახარჯული 11,6 მილიონი ლარი?!

იმედია, დადგება დრო, როცა საზოგადოებისთვის აბსოლუტურად გამჭვირვალე გახდება ის, თუ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თითოეული თეთრი სად და როგორ იხარჯება, ხოლო საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივად ხარჯვის ფაქტებს დაუყოვნებლივ მოჰყვება შესაბამისი რეაგირება... საუბარი მექნება კონკრეტულ ფაქტზე, რომელიც მოითხოვს პასუხის გაცემას. საქმე ეხება 1999 წლის ბიუჯეტში გამოყოფილ 10 მილიონ ლარს, რომელიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის მიერ რუსეთიდან მოწოდებული და დახარჯული ელექტროენერგიის ხარჯების ასანაზღაურებლად იყო გათვალისწინებული. დაგეგმილი 10 მილიონი საბოლოოდ დახარჯულია. ხაზინიდან გასულია 11,6 მილიონი ლარი, მაგრამ მისი არც მიზნობრივი და არც არამიზნობრივი ხარჯვის კვალი არ ჩანს!!! აქვე შეგახსენებთ, რომ 2000 წლის ბიუჯეტის ირგვლივ გამართული დებატებისას ზოგიერთმა პარლამენტარმა კატეგორიულად დასვა საკითხი, რათა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის მიერ რუსეთიდან მოწოდებული ელექტროენერგიის ხარჯების ასანაზღაურებლად ბიუჯეტში არავითარ შემთხვევაში არ ჩადებულიყო 26 მილიონი ლარი, მაგრამ ისევე, როგორც წინა ბიუჯეტში იყო განსაზღვრული აღნიშნული 10 მილიონი, 2000 წლის ბიუჯეტშიც ანალოგიური ხარჯებისთვის დაფიქსირდა 26 მილიონი ლარი...

კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული რევიზიის აქტს, რომელიც 1999 წლის 20 სექტემბრითაა დათარიღებული, ხელს აწერენ საქართველოს კონტროლის პალატა და „საქენერგოს“ მხრიდან კი მისი მაშინდელი გენერალური დირექტორი ე. ჩაჩხიანი და მთავარი ბუღალტერი თ. ვეფხვაძე! სარევიზიო ჯგუფს დაევალა „სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს დაქვემდებარების სახელმწიფო კომპანია „საქენერგოში“ ბიუჯეტით, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის მიერ დახარჯული ელექტროენერგიის ხარჯების ასანაზღაურებლად, გათვალისწინებული 10 მილიონი ლარიდან 1999 წლის 6 თვეში გამოყოფილი თანხების მიღებისა და ხარჯვის რეალობის დადგენა. აქტში ვკითხულობთ:

„შემოწმება დაიწყო ბრძანებით გათვალისწინებულ ვადაში, მაგრამ იგი ფაქტობრივად დღემდე დაუმთავრებელია ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. შემმოწმებელმა ჯგუფმა კონტროლის პალატის 1999 წლის 20 აგვისტოს! №396 ბრძანება წარუდგინა „საქენერგოს“ გენერალურ დირექტორს ჩაჩხიანს იმავე წლის 23 აგვისტოს, მან დაადო რეზოლუცია შინაარსით: „გთხოვთ შექმნათ ჯგუფი, რომელიც იმუშავებს ზემოთ ხსენებულ საკითხებზე კონტროლის პალატასთან და წარუდგენს ყველა საჭირო მასალას“.

მიუხედავად აღნიშნული რეზოლუცია-განკარგულებისა, „საქენერგოში“ ოფიციალურად სამუშაო ჯგუფი არ შექმნილა და არც რაიმე დოკუმენტი-საბუთი ბრძანებით გათვალისწინებული საკითხის გასარკვევად არ წარმოუდგენიათ.

წარმოდგენილია მხოლოდ „საქენერგოსადმი“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1999 წლის 4 ივნისის წერილი, საიდანაც ცნობილი გახდა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ასანაზღაურებლად საქართველოს ბიუჯეტის 1999 წლის კანონში გამოყოფილი 10 მილიონი ლარი უკვე ათვისებულია.



...ე. ჩაჩხიანისა და თ. ვეფხვაძის სიტყვიერი განმარტებით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მათთან, გარდა ზემოთ აღნიშნული წერილისა, არავითარი სხვა საბუთი არ მოიპოვება და ამის დამადასტურებლად ე. ჩაჩხიანმა 1999 წლის 25 აგვისტოს წერილით მიმართა ფინანსთა მინისტრის პირველ მოადგილეს ნოდარ ულუმბერაშვილს, სადაც წერია, რომ „კონტროლის პალატას აინტერესებს „საქენერგოსათვის“ 1999 წლის ბიუჯეტით კუთვნილი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის მიერ დახარჯული ელექტროენერგიის ხარჯების ასანაზღაურებლად გათვალისწინებული 10 მილიონი ლარის ხარჯვის რეალობა. გთხოვთ, აღნიშნული გვაცნობოთ 28 აგვისტომდე“.

დადგენილია, რომ აღნიშნული წერილი ფინანსთა სამინისტროს მიერ დატოვებულია რეაგირების გარეშე და დღემდე მას „საქენერგოსთვის“ პასუხი არ გაუცია.

თავის მხრივ, 1999 წლის 26 აგვისტოს კონტროლის პალატის სარევიზიო დეპარტამენტის უფროსმა მ. ბერუჩაშვილმა წერილი მისწერა ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის უფროსს ვაჟა ნახუცრიშვილს, სადაც ატყობინებს, რომ „საქენერგოში“ მიმდინარეობს აღნიშნული 10 მილიონი ლარიდან 1999 წლის 6 თვეში გამოყოფილი თანხების მიღებისა და ხარჯვითი რეალობის შემოწმება; რომ ამ საკითხზე „საქენერგოს“ ხელმძღვანელობამ დოკუმენტები ვერ წარმოადგინა, ამიტომ, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ზემოთაღნიშნული დანიშნულებით თანხების მიმღების, ჩარიცხვის (ჩათვლის) რაოდენობისა და თარიღის შესახებ“.

სარევიზიო დეპარტამენტის წერილი-თხოვნა სახაზინო დეპარტამეტის მიერ აგრეთვე დატოვებულია უპასუხოდ. ამიტომ 1999 წლის 13 სექტემბერს აღნიშნულ საკითხზე კონტროლის პალატის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დ. წივწივაძემ წერილით დამატებით მიმართა ფინანსთა მინისტრს დ. ონოფრიშვილს.

ზემოთ მოყვანილი ორი წერილი, ასევე დ. წივწივაძის წერილი — თხოვნა ფინანსთა სამინისტროსა და სახაზინო დეპარტამენტის მხრიდან, დღემდე დატოვებულია უპასუხოდ. ისიც აღსანიშნავია, რომ „საქენერგოს“ ადმინისტრაციას რევიზიისთვის სხვა არანაირი დოკუმენტი არ წარუდგენია, რის გამოც შეუძლებელია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის მიერ დახარჯული ელექტროენერგიის ხარჯების ასანაზღაურებლად ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების მიღებისა და ხარჯვის ანალიზი!

როგორც ვნახეთ, აღნიშნული 10 მილიონის, სინამდვილეში კი 11,6 მილიონი ლარის ხარჯვის ინფორმაცია არათუ არ ჩანს, არამედ ხაზინიდან რაღაც „გაურკვეველი“ მიმართულებითაა წასული და „ათვისებული“... ამ საკითხზე კომენტარი ვთხოვე პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელს **რომან გოცირიძეს**:

— რა კომენტარი უნდა გავუკეთო თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტს? ეს საქმე ძალიან „უცნაურად“ გამოიყურება, რადგან პარლამენტის საბიუჯეტო ოფისმა უკვე მერამდენეჯერ მივმართეთ ფინანსთა სამინისტროს ხაზინას — მიგვეღო ამომწურავი ინფორმაცია, რადგან უშუალოდ ჩვენი ოფისის მოვალეობაა, მივაწოდოთ პარლამენტს დასკვნა ბიუჯეტის შესრულების შედეგების შესახებ. მაგრამ დღემდე არანაირი პასუხი არ მიგვიღია. იმედი მაქვს, რომ კონტროლის პალატა შესძლებს თავის წლიურ ანგარიშში იმის ჩვენებას, თუ სად წავიდა და რა მიზნით დაიხარჯა ეს 11,6 მილიონი ლარი, იყო თუ არა ამ თანხის ხარჯვის მიზნობრივობა დაცული, რადგან, მოგეხსენებათ, კანონის შესაბამისად, სწორედ კონტროლის პალატა ამოწმებს ბიუჯეტის შესრულების შედეგებში მოცემული ციფრების სისწორეს და გამოყოფილი თანხების ხარჯვის კანონიერებას!

**გაგრძელება იხ. გვ. 4**

**დაიწყო ვნების შვიდეული. შვიდიოდე დღის შემდეგ კაცობრიობა იზეიმებს ქრისტეს აღდგომას. მანამდე კი ყოველი მორწმუნე მოვალეა დაიცვას მძიმე მარხვა და მოემზადოს აღდგომის დღესასწაულთან შესახვედრად. გთავაზობთ ვნების შვიდეულის კვირის თითოეული დღის განმარტებას.**

**დიდ ორშაბათს** უფალი ელიონის მთაზე წინასწარ თავისი სიტყვით გაახმობს ლეღვის ხეს, რითაც გაუხსნის კიდეც თავის მოწაფეებს იერუსალიმის მომავლის საიდუმლოს. ამხელს ფარისევლებს და მწიგნობრებს მოსეს რჯულის მხოლოდ გარეგნული აღსრულებისთვის. განაგრძობს ქადაგებას, ესაუბრება ხალხს სამყაროს აღსასრულსა და საშინელ სამსჯავროზე.

**სამშაბათს** სვიმონ კეთროვნის სახლში ქალი მაცხოვარს მირონს სცხებს ფეხებზე.

**ოთხშაბათს** იუდა აღუთქვამს იერარქებს მოძღვრის გაცემას.

**დიდ ხუთშაბათს** უფალმა საიდუმლო სერობა მოაწყო.

ლიტურგია განსაკუთრებით ნათლად გაგვახსენებს იმას, რომ როდესაც წმიდა საიდუმლოებებს ვეზიარებით ღვთისმოშიშებით, მოციქულებთან ერთად ვიხმევთ ქრისტეს სისხლსა და ხორცს, ...ხოლო თუ ვეზიარებით უღირსად — ვემსგავსებით იუდას.

საიდუმლო სერობას მოჰყვება ლოცვა გეთსიმანიის ბაღში. ქრისტეს შეიპყრობენ და მიჰყავთ პილატესთან. საღამოს, დიდ ხუთშაბათს, იკითხება ქრისტეს ვნებათა თორმეტი სახარება.

**პარასკევს,** ჟამნებზე, ასევე იკითხება სახარებანი პილატეს სამსჯავროს, ჯვარცმისა და ჯვარზე სიკვდილის შესახებ. ქრისტიანები ამ დღეს უმკაცრეს მარხვას იცავენ. მწუხრი, თუ შესაძლებელია, რომ აღსრულდეს დღის 3 საათზე, მოიცავს გახსენებას ქრისტეს სიკვდილისას და მთავრდება „გარდამოხსნის“ გამოტანით, რომელზეც გმოხატულია ქრისტეს გარდამოხსნა ჯვრიდან და დაფლვა. შემდეგ „გარდამოხსნასთან“ იკითხება კანონი „ღვთისმშობლის დატირების შესახებ“.

**დიდი შაბათის** ცისკარი გამოხატავს ქრისტეს სხეულის ყოფნას საფლავში და ჯოჯოხეთში მის სულიერად ჩასვლას. ბოლოს ჯვრის სვლა საიდუმლოდ გამოხატავს ქრისტეს მსვლელობას ჯოჯოხეთში.

ჯოჯოხეთიდან მიცვალებულთა სულების განთავისუფლების შემდეგ, ქრისტეს სული უბრუნდება სხეულს. თუმცა მიწაზე ჯერ არავინ იცის, რა ხდება მიღმა სამყაროში. მცველები კვლავ ერთგულად იცავენ საფლავს...

ანგელოზები კი ამ დროს წინასწარმეტყველებთან და მართლებთან ერთად უკვე განადიდებენ სიკვდილის დამთრგუნველს: „აღსდეგ, ღმერთო, და განსაჯე ქვეყანა, რამეთუ შენ დაიმკვიდრო ყოველთა შორის წარმართთა“.

შავი შესამოსელი ნათლით იცვლება...

**კვირა** — აღდგომის ლიტურგიაზე ჩვენ შეუერთდებით აღმდგარ ქრისტეს.

ქრისტე აღსდგა — ამბობს მოძღვარი

„აღდგომასა შენსა, ქრისტე მაცხოვარ, ანგელოზნი უგალობენ ცათა შინა“ — გალობენ მგალობლები.

„ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი, დასაფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი“ — იმეორებს მრევლი.

ქრისტე აღსდგა!

ჭეშმარიტად!

***წმიდა ეპისკოპოს იოანე მაქსიმოვიჩის მიხედვით მასალა მოამზადა ნინო ყიფიანმა***



# ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

ფარისევლებმა და მწიგნობრებმა, იერუსალიმში ზეიმით შესული მაცხოვრის, პასექის — უმანკოებისა და სიწმინდის დღეებში მოკვლა განიზრახეს. იგი მკრეხელად გამოაცხადეს და პილატე პონტოელს მიჰგვარეს. პილატემ დაინახა მაცხოვრის უდანაშაულობა, მაგრამ როგორც სუსტმა კაცმა, არ ეცადა სიმართლის გარკვევას, ხელები დაიბანა და განზე გადგა. აღშფოთებული ხალხი კი, რომელიც იესოს იერუსალიმში რამდენიმე დღით ადრე მადიდებელი სიტყვებით შეუძლვა, „ჯვარს ეცვასო“ გაიძახოდა. იესოს სახე ნერწყვით შეუგინეს, თავი — ეკლის გვირგვინით, ხელები — ლერწმით, სმენა — მაგინებელი სიტყვებით.

იესოს ჯვარცმა გოლგოთის მთაზე მოხდა, იქ, სადაც ადამის თავი იყო დამარხული. ჯვარზე სიკვდილით კი იესომ ის ხეც აკურთხა, რომლითაც თავდაპირველად ადამიანთა მოდგმა დაიწყევლა. ჯვრის გამოსახვით კი მადლი მიჰფინა ზეცას, ქვესკნელს, ქვეყნის ოთხივ მხარეს. მაცხოვრის გარდაცვალების შემდგომ, პილატესთან დაახლოებულმა პირმა, იოსებ არიმათიელმა, მოძღვრის ცხედარი სამარხში შეასვენა, იუდეველებმა უფლის საფლავს მძიმე ლოდი მიადგეს და მცველები მიუჩინეს. კვირა რომ გათენდა, მაცხოვრის საფლავთან მენელსაცხებლე დედები მივიდნენ, რათა იუდეველთა წესისამებრ მისი სხეული შეემურათ. ჯერ კიდევ ბნელოდა, როდესაც მარიამ მაგდალელმა უფლის საფლავთან გადაგორებული ლოდი იხილა. ამ დროს სხვა დედებიც მიუხლოვდნენ საფლავს. გაოცებულებს უფლის ორი ანგელოზი გამოეცხადათ, რომელთაც აუწყეს, რომ იესო აღსდგა: „რასა ეძიებთ ცხოველსა მას მკუდართა თანა? არა არს აქა, არამედ აღსდგა: მოიხსენეთ, ვითარ იგი გეტყოდა თქუენ, ვიდრე იყოლა იგი გალილეას და ჰსთქუა: „ვითარმედ ჯერ არს ძისა კაცისა, მიცემად ხელთა კაცთა ცოდვილთასა, და ჯუარცმად და მესამესა დღესა აღდგომად“. ამ სიტყვებზე დედაკაცებმა გაიხსენეს უფლის სიტყვები და უდიდესი სიხარულით აღვსილნი გაეშურნენ მაცხოვრის სხვა მოწაფეებთან ნანახის საუწყებლად. მაცხოვარი კი 40 დღის მანძილზე ხშირად ეცხადებოდა მორწმუნეებს და განამტკიცებდა მათ რწმენაში და მოუწოდებდა წარმართთა შორის საქადაგებლად.

აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით მორწმუნეები კვერცხებს წითლად ღებავენ, რაც თავის მხრივ მომდინარეობს უძველესი ტრადიციიდან: კვერცხი, რომელიც სიცოცხლის სიმბოლოა, მოცემულ შემთხვევაში იესო ქრისტეს აღდგომის სიმბოლოდ გვევლინება. ამასთან, როგორც კვერცხისაგან იბადება ცოცხალი არსება და სრულყოფილ ცხოვრებას იწყებს ნაჭუჭისაგან განთავისუფლების შემდეგ, ასევე დედამიწაზე იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამს, ჩვენც, ქრისტეს აღდგომის ძალით განვახლდებით და აღვსდგებით სხვაგვარი ცხოვრებისთვის.



წითლად შეღებილი კვერცხი შეგვახსენებს, რომ ჩვენი ახალი ცხოვრება მოპოვებულია ქრისტეს უწმიდესი სისხლით.

კვერცხების ურთიერთგაცვლის ჩვეულება დაკავშირებულია მარიამ მაგდალელთან. ძველად წარმართებსა და იუდეველებს ჰქონდათ ასეთი ჩვეულება: საპატიო პირთან მიახლებისას მიერთმიათ რაიმე ძღვნად. გაჭირვებულ ადამიანებს, ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, მიჰქონდათ მცენარეთა ნაყოფი და შინაურ ფრინველთა კვერცხები. ამიტომ მარიამ მაგდალელი წარუდგა რა იმპერატორ ტიბერიუსს, მიართვა წითელი კვერცხები და მიესალმა „ქრისტე აღსდგა!“ ტიბერიუსმა, სახარებისა და მაცხოვრის შესახებ საუბრის შემდგომ, მარიამ მაგდალელთან, მაცხოვრის უდანაშაულოდ ჯვარცმის გამო პილატე და მღვდელთმთავარი კაიაფა დამსახურებულად დასაჯა. პირველმა ქრისტიანებმა როცა შეიტყვეს მოციქულთა სწორი დედის უბრალო ძღვენის შესახებ, ეს მაგალითი მაშინვე გადაიღეს, მალე კი ფართოდ გავრცელდა და საყოველთაოდ დამკვიდრდა მთელს საქრისტიანოში, რომელიც დღემდე შემორჩა არა მხოლოდ მართლმადიდებლურ სამყაროში.

***ანა ჩხეიძე***

# საად წავიდა ბიუჯეტიდან „საიდუმლოდ“ დახარჯული 11,6 მილიონი ლარი?!

**(დასაწყისი იხ. გვ. 3)**

საბიუჯეტო ოფისი კი აკეთებს დასკვნას ამ დოკუმენტების საფუძველზე... და აი, წერილობითი პასუხის ნაცვლად ხაზინიდან მივიღეთ სიტყვიერი ინფორმაცია, რომ თურმე აღნიშნული თანხის ხარჯვის საქმე არის საიდუმლო!!!

**— რას ნიშნავს საიდუმლო? მე პირადად მეგონა, რომ ჩვენი ბიუჯეტი გამჭვირვალე იყო...**

— დიახ, ასეთი ინფორმაცია არ შეიძლება საიდუმლო იყოს. ეს გახლავთ ღია საბიუჯეტო მუხლით დაფინანსებული ხარჯი და მეორეც, როგორც ზემოთ ბრძანეთ, 2000 წლის ბიუჯეტშიც ანალოგიური მიზნით ჩადებულია 26 მილიონი ლარი! საერთოდ, რა საიდუმლოებაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, როცა, ვთქვათ, უშიშროების სამინისტროს საბიუჯეტო ხარჯებია გამჭვირვალე? აგერ, ბატონო, 1999 წელს უშიშროების სამინისტრომ აითვისა 9,8 მილიონი ლარი, ანუ იმაზე ნაკლები, რაც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ელექტროენერგიის დავალიანების გასასტუმრებლად იყო განსაზღვრული(!) ბიუჯეტის ანგარიშში პატიოსნად არის წარმოდგენილი უშიშროების სამინისტროს ყველა პროგრამა, ღონისძიება, თუ რამდენი დაიხარჯა ხელფასებზე, ტრანსპორტის შენახვაზე, რამდენია კაპიტალური ხარჯები და ა.შ. ხოლო რამდენი დახარჯა აგენტურული, თუ სხვა სპეცღონისძიებებისთვის, ბუნებრივია, ეს ხარჯები უშიშროების სამინისტროს შიდასაიდუმლო გრიფით იქნება აღრიცხული. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამ უწყების ბიუჯეტი არ არის გამჭვირვალე, რადგან ამ ხარჯების შემოწმების მექანიზმი არსებობს საპარლამენტო „ნდობის ჯგუფისა“ და სხვა ღონისძიებების საშუალებით. ამიტომ, როცა უშიშროების სამინისტროს ხარჯები ასე აშკარად არის გაშიფრული, ბუნებრივია, ძალიან სერიოზულ ეჭვს ბადებს წმინდა სამეურნეო ხარჯების გასაიდუმლოება, თუნდაც იგი აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან იყოს დაკავშირებული... საერთოდ, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსეთიდან მიწოდებული ელექტროენერგიის საფასურის დაფარვის საკითხი ძალიან პრობლემურია. საერთოდ, რუსეთის მიერ აფხაზეთისადმი ეკონომიკური და ენერგეტიკული მხარდაჭერა რატომ უნდა იყოს საქართველს თავსატეხი, ეს უკვე სხვა თემაა... თუმცა, ვიმეორებ, გაურკვეველია, რა ტიპის ხარჯებია ეს 11,6 მილიონი ლარი. ამასთან, სულაც არ ვფიქრობ, რომ ეს ათი მილიონი რუსებს, ან აფხაზებს გადაერიცხათ.

**— დავუშვათ და, მართლაც „საიდუმლოდაა“ ათვისებული თანხა, სავარაუდოდ, სად შეიძლება იგი დახარჯულიყო? თანაც ეს საიდუმლო ხარჯვა შეთანხმებული უნდა ყოფილიყო „ნდობის ჯგუფთან“...**

— შესაძლებელია, თანხა ენგურჰესს გადაეცა, სადაც გამომუშავებული ელექტროენერგიის ნაწილი უფასოდ მიეწოდება აფხაზებს. ბუნებრივია, ამ უზარმაზარ ენერგოგენერაციის ობიექტს არსებობისთვის სჭირდება გამომუშავებული ელექტროენერგიის საფასურის უკან მიღება და შესაძლოა, რომ ბიუჯეტიდან მისი დაფინანსება ამ ფორმით ხდებოდეს, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს არავისთვის საიდუმლო! მსგავს „საიდუმლოებებში“ ამა თუ იმ სტრუქტურის მოხელის ან შეცდომები, ან ბნელი ზრახვები იფარება... ამიტომ, ეჭვი მაქვს, რომ აღნიშნული თანხა არამიზნობრივად შეიძლება იყოს გამოყენებული. არსებული კანონმდებლობის თანახმად, თუ ეს თანხა საიდუმლო გრიფით იქნა დახარჯული და არ არის ხაზინის მორიგი „იმპროვიზაცია“ ინფორმაციის დამალვის მიზნით, მაშინ, აგერ, არსებობს მუხლი კანონში „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“, რომლის თანახმად თუ „გრიფით საიდუმლო“-ს მიანიჭებენ ისეთ ინფორმაციას, რომელიც არ წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას და რომელიმე თანამდებობის პირმა უსაფუძვლოდ გაასაიდუმლა, მას კანონის ძალით მოეთხოვება პასუხისმგებლობა! ვფიქრობ, ასეთი საკითხები არ უნდა იყოს ტვინის ჭყლეტვისა და ძიების ობიექტი!

**— გმადლობთ.**

დიახ, კანონში „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ შავით თეთრზე წერია: „არ შეიძლება სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნოს ნორმატიული აქტები, გარდა თავდაცვისა და უშიშროების სამინისტროების, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის და სახელმწიფო დაცვის სპეცსასახურის აქტებისა, რომლებიც აწესრიგებენ მათ შიდა საქმიანობას უშუალოდ სახელმწიფო თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები!“ აქედან გამომდინარე, მართლაც საინტერესოა, რა „ნორმატიული აქტით“, ან რის საფუძველზე გაასაიდუმლოვა ხაზინამ აღნიშნული თანხის ხარჯვა? და კიდევ: ზემოთ საპარლამენტო „ნდობის ჯგუფი“ ვახსენეთ, რომელიც სამი წევრისგან შედგება და კანონის თანახმად, აუცილებლად უნდა ყოფილიყო საქმის კურსში, თუ ამ თანხის ხარჯვა მოხდებოდა „გრიფით — საიდუმლო“.

„ნდობის ჯგუფის“ წევრს, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს **გია ჯაყელს** ერთადერთი კითხვით მივმართე: შემოვიდა თუ და რა „ნდობის ჯგუფში“ სპეციალური ან საიდუმლო პროგრამის სახით აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში დახარჯული ელექტროენერგიის დაფარვის თანხების ხარჯვის საკითხი, ბატონმა გიამ მოკლედ მიპასუხა:

— მსგავსი საკითხი არ შემოსულა და არ განხილულა, ყოველ შემთხვევაში, მე ამის შესახებ არა ვარ ინფორმირებული...

***ზურაბ მჭედლიშვილი***

გუდვილკომი GOODWILLCOM

GWC

საერთაშორისო ტელეკომუნიკაცია

8-14...

აშშ, კანადა
8-14-1...
0,50 ლარი

რუსეთი
8-14-7...
0,40 ლარი

24 საათის განმავლობაში

ფასები შეიცავს დღგ-ს

მის: თბილისი, ვაჟა-ფშაველას №41
ტელ: (995-32)25-65-65; 536-625; ფაქსი: (995-32) 25-65-65

# „ქურდებს მისთვის ყურის აწევა გადაეწყვიტათ, მაგრამ ჩავერიე და გადავარჩინე...“

ციხიდან სულ ახლახან გამოსული ჯაბა იოსელიანი მეტად მხნედ გამოიყურება. ხუთწლიანმა პატიმრობამ გარეგნულად თითქოს ბევრი ვერაფერი დააკლო, თუმცა როდესაც ამის შესახებ ვაუწყე, მაშინვე მიჩვენა ციხეში შეძენილი საშინელი იარები და წყლულები:

— ორწელიწად-ნახევარი ბნელ სარდაფში მამყოფეს. ერთი ციცქნა ნახვრეტი დამიტოვეს, უჰაერობისგან რომ არ მოვმკვდარიყავი. საკანში ისეთი ნესტი იყო, ღამით ძირს ორცხობილას რომ დავდებდი, დილით დამბალი მხვდებოდა. ეს დრო სრულ მარტოობაში გავატარე, ყველა პატიმრისთვის განკუთვნილ „პრაგულკებზეც“ კი არ გავუყვანივარ. არავითარი ინფორმაცია, არავითარი გაზეთები! ბოდიშს ვიხდი, მაგრამ საპირფარეშოში რომ გამიყვანდნენ, გაზეთის გამოყენებულ ნაგლეჯებს ვკითხულობდი და ქვეყნის ამბებს ამგვარად ვეცნობოდი. ტილებმა ლამის შემჭამეს — სამი თვე ისე გავიდოდა, აბანოს არ მაკარებდნენ. მეძინა რკინის საწოლზე. ერთი თხელი პალტო, დღენიადაგ ნესტიანი რომ იყო, ლეიბის მაგივრობასაც მიწევდა და საბნისასაც. და მაშინ 70 წლისა ვიყავი... წარმოიდგინეთ, მე ამგვარად მეპყრობოდნენ და რიგით მოქალაქეებს ალბათ რას უშვრებიან! თითქმის ყოველღამე მესმოდა განწირულ პატიმართა წივილ-კივილი...

**— ბატონო ჯაბა, თქვენი გათავისუფლების შემდეგ, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს შიშის გრძნობა დაეუფლა — ალბათ, ზოგიერთთათვის სამაგიეროს გადახდას აპირებთ და ნუთუ, ისევ ატყდება სროლები, ისევ გამოჩნდება თოფიანი კაცი...**

— ასეთი არაფერი მოხდება. მსგავს დეზინფორმაციას ე.წ. სამართალდამცავები ავრცელებენ. მე არაერთხელ დამიმტკიცებია, რომ ჩემი არავის უნდა ეშინოდეს. რეპრესიები არასოდეს ჩამიტარებია, პირიქით — ამნისტიაც მაქვს გამოცემული და შურისძიებას ამჯერადაც არ ვაპირებ. „მხედრიონი“ მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურ ბრძოლაზეა გადასული. თუ მოგვცემენ ამის საშუალებას, ხომ კარგი, არადა... მაინც ვიბრძოლებთ. რაც შეეხება შიშს, თუ ვინმეს ჩემი ეშინია, დაე, ეშინოდეს!

**— ამბობენ, რომ ციხეში არა მარტო ხელისუფლების წარმომადგენლები გავიწროებდნენ — ჯაბაზე განაწყენებული კანონიერი ქურდებიც ხშირად ერჩოდნენო.**

— ჭორია! ჩემი დისკრედიტაციის მიზნით, ასეთ ხმებს შოთა კვირაია და ძმანი მისნი ავრცელებდნენ. საზოგადოებაში ჭორებს ყრიდნენ, ჯაბა ისევ ქურდულ სამყაროს დაუბრუნდაო, „შავებს“ კი პირიქით ეუბნებოდნენ, იოსელიანი ქურდებს ეომებოდა და აკვლევინებდაო. სისულელეა, რა თქმა უნდა, ყველაფერი. სხვათა შორის, იმასაც ამბობდნენ, თითქოს პატიმრობისას ჩემ მიერ შექმნილი ნაწარმოებები ჩემი დის დაწერილი იყოს. ამასთან დაკავშირებით ხმამაღლა ვაცხადებ: ეს წიგნები ჩემი ინტელექტუალური „ნადზირატელების“ შექმნილია და ალბათ, ამიტომაც გამოვიდა ასეთი კარგი.

**— იმასაც ამტკიცებენ, რომ ცნობილი კანონიერი ქურდი „არსენა“ (ჯემალ მიქელაძე) თქვენი დაკვეთით მოკლეს — თითქოს რუსეთში მცხოვრებმა ქართველმა ქურდებმა აფხაზეთის ომის დროს იარაღისთვის დიდძალი თანხა შეაგროვეს და თქვენ გადმოგცეს, ფული კი გაქრა. საქმის გასარკვევად თბილისს „არსენა“ სწვევია, მაგრამ თქვენმა ბიჭებმა ის დაცხრილეს.**

— ესეც, რა თქმა უნდა, მტკნარი სიცრუეა. დავიწყოთ იმით, რომ ქურდს თავისი დაუწერელი კანონი სასტიკად უკრძალავს იარაღისთვის ფულის შეგროვებას. ასეთი რამ რომ გააკეთონ, სხვები მაშინვე ეტყვიან, როგორ, კაცო, ვინც ჩვენ დაგვდევს, იმათ ეხმარებიო? და უმალ დასჯიან კიდეც, ყურებს ააგლეჯენ. გარდა ამისა, თუ მართლა მივითვისე მათი თანხა, ამდენი წელი გავიდა და პასუხს რატომ არ მთხოვენ? ახლა „არსენაზეც“ მოგახსენებთ: თავის დროზე ეს კაცი, ასე ვთქვათ, ჩემი „გაკეთებული“ იყო, მე შევიყვანე იმ სამყაროში და ვმფარველობდი კიდეც. ამის გამო „არსენა“ უდიდეს პატივს მცემდა, ჩემზე ლოცულობდა და მეც ძალიან მიყვარდა. ნამდვილად კარგი ბიჭი იყო. თუ მე მოვკალი, ამისთვისაც ხომ მაგებინებდნენ პასუხს? კიდევ ვიმეორებ, ყოველივე ეს ჭორია.

**— ე.ი. ქურდს მსგავსი დახმარებისა და პოლიტიკაში ჩარევის უფლება არა აქვს?**

— მეგობრულად დახმარება შეუძლია, მაგრამ ომისთვის, იარაღის საყიდლად ფულის შეგროვება კატეგორიულად ეკრძალება. მახსოვს, ერთხელ, არეულობის ჟამს, ქუთაისში ცნობილი ქურდებით, პაატა ჩლაიძე და „ხო-



სია“ ჩამოვიდნენ და დახმარება, გვერდზე დგომა აღმითქვეს. უარი ვუთხარი, რადგან ვიცოდი, რომ მერე ამას წამოაძახებდნენ და წამოაძახეს კიდეც მოსკოველმა ქურდებმა.

**— საუბარში კვირაია ახსენეთ. ამ პიროვნების გარშემო ათასგვარი მითქმა-მოთქმაა. მაგალითად, ამბობენ, რომ თავის დროზე იგი კანონიერი ქურდის რეკომენდაციით ჩამოვიდა საქართველოში.**

— სრული სიმართლეა. კვირაია ერთი გაფუჭებული მილიციონერია. თანამდებობაზე მე მოვიყვანე. ეს ასე მოხდა: იყო ერთი ძალიან ცნობილი ქურდი, წარმოშობით ზუგდიდელი და ძირითადად რუსეთში მოღვაწე გივი ბერაძე („რეზანნი“), ჩემი ხნის კაცი და ჩემი კარგი მეგობარი. თავის დროზე მას დახმარება გავუწიე — ქურდებს მისთვის ყურის აწევა გადაეწყვიტათ, მაგრამ ჩავერიე, გივი გადავარჩინე და ამის შემდეგ დიდ პატივს მცემდა. ერთხელაც, „ზვიადისტების“ ბობოქრობის ხანაში, ბერაძე საქართველოში ჩამოვიდა. ამ დროს გამსახურდიას მომხრენი ზუგდიდს აკონტროლებდნენ და მათ ადგილობრივი კანონიერი ქურდი და ამასთანავე ზვიადის ნათესავი, ვინმე „რომეოც“ ეხმარებოდა. გივი ბერაძეს ვუთხარი, ხომ ხარ ზუგდიდელი „შავების პაპა“ (იქაურების მართლაც რომ კერპი იყო), ჰოდა, ჩადი და იმ „რომეოს“ უთხარი, ამ საქმეში ცხვირს ნუ ჰყოფს-მეთქი: „თუ მაინცდამაინც პოლიტიკაში უნდა ჩარევა, ჩემთან მაინც მოვიდეს, ბოლოს და ბოლოს, ოდესღაც მეც მისი კოლეგა ვიყავი.“ წავიდა ბერაძე, იპოვა ის „რომეო“, დაელაპარაკა და საქმეც მოაგვარა. შემდეგ დაბრუნდა და მეუბნება, მოსკოვიდან ერთი კარგი ბიჭი ჩამოვიყვანე, შოთა კვირაია, ინტერპოლშიც უმუშავია (მოგვიანებით შევიტყვე, რომ ამ ორგანიზაციასთან შეხებაც კი არ ჰქონია) და იქნებ, საქართველოს ძალოვან სტრუქტურებში შესაფერისი ადგილი გამოუძებნოო. დავუძახე რომან გვენცაძეს და ვუთხარი, შენთან წაიყვანე-მეთქი. მოიკლა თავი რომანმა, ვიცნობ მაგ კაცს, არ გამოგადგებაო, მაგრამ უარი მაინც ვერ მითხრა. კვირაია მართლაც უვარგისი გამოდგა. ერთადერთი, წერა ეხერხებოდა, ისიც მხოლოდ მილიციონერის დონეზე. მერე საინფორმაციო-სადაზვერვო ბიუროში გადავიყვანე. იქ ბათიაშვილსა და ხაჩიშვილს შორის დაძაბული ურთიერთობა იყო. პირველი მეტისმეტად ბუტია ბრძანდებოდა, მეორე — ნამეტანი ჯიუტი და კვირაიას მათი ურთიერთობების დარეგულირება დავავალე, მაგრამ მალე ასეთი ისტორია მოხდა: ზუგდიდში, ჩემ თვალწინ, შოთამ გათოკილი ადამიანები დახვრიტა და ამის გამო, თანამდებობიდან წასვლა შევთავაზე. კვირაიაც წავიდა და შევარდნაძეს შეეკრა. მერე რაც მოხდა, ყველამ კარგად იცის...

ბატონ ჯაბასთან საუბარს მომავალშიც შემოგთავაზებთ, ამჯერად კი მეტის საშუალება აღარ არის — კიკვიძის პარკში მდებარე „მხედრიონის“ შტაბბინაში დღეს ხალხმრავლობაა. იქ უამრავი ადამიანი მიდის. ჯაბა იოსელიანს გათავისუფლებას ულოცავენ, რჩევებს ეკითხებიან, ფუსფუსებენ, თათბირობენ. „მხედრიონსა“ და მის ლიდერს პოლიტიკაში დიდი გეგმები აქვთ. ვნახოთ, რა მოხდება მომავალში.

***მიხეილ ჩერქეზია***

# „მაღაზიიდან პროდუქტი გააქვთ, ვითომ შესამოწმებლად და მერე თავადვე მოიხმარენ...“

ოფიციალურად, საქართველოში დღეს 160 ათასი გადამხდელი ორგანიზაციაა აღრიცხული. სავარაუდოდ, მათგან მხოლოდ 1%(!) იხდის გადასახადს (მისი სიდიდის გამო). დანარჩენები, უბრალოდ, სხვადასხვა ხერხით ცდილობენ, რომ მათი ჯიბე რაც შეიძლება ნაკლებად დაიბერტყოს.

საპარლამენტო ფრაქცია „მრეწველებს“ მიაჩნიათ, რომ რაც უფრო ნაკლები იქნება გადასახადი, მით მეტია შანსი, გაიზარდოს გადამხდელთა რაოდენობა. გასულ კვირას ფრაქცია „მრეწველებმა“ პარლამენტში საგადასახადო კოდექსის ცვლილებების პროექტი წარადგინეს. ვარაუდობენ, რომ ამ კვირას პროექტს განიხილავს უკვე საპარლამენტო ბიურო. საერთოდ, საპარლამენტო არჩევნებიდან დღემდე „მრეწველების“ მხრიდან ეს პირველი სერიოზული გამოსვლა იყო. მათმა დუმილმა თვეების მანძილზე საზოგადოების ერთ ნაწილს ისიც კი აფიქრებინა, რომ ისინი ხელისუფლებასთან ალიანსში იყვნენ და არა ოპოზიციაში. რეალური სურათი დღეს ასეთია: მრეწველები უკომპრომისო ბრძოლით იმუქრებიან და მმართველ პარტიას ზემოხსენებულ კოდექსში პრინციპულ ცვლილებებს სთხოვენ. მოთხოვნები კი შემდეგი სახისაა: 1) დღგ-ს შემცირება 20%-დან 15%-მდე; 2) სოციალური გადასახადებისა — 27%-დან 17%-მდე; 3) დაუბეგრავი მინიმუმის ოდენობის მიახლოება საარსებო მინიმუმის ოდენობასთან და მისი განსაზღვრა 50 ლარით (ნაცვლად 200-ისა). მრეწველებმა აგრეთვე წარმოადგინეს პროექტი საბაჟო პოლიტიკის შეცვლასთან დაკავშირებით. მათ მოითხოვეს ცალკეული სახის საქონელზე საბაჟო გადასახადის განაკვეთებიდან 5, 12 და 30%-იანი განაკვეთის შემოღება. მათი აზრით, 30%-იანი განაკვეთით უნდა დაიბეგროს ის პროდუქტი, რომელიც იმპორტულია, მაგრამ მისი წარმოება საქართველოსაც შეუძლია. მაგალითად: ჩაი, ღვინო, თამბაქო. მრეწველების აზრით, საქართველოში შეძლეს კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვება, მაგრამ არადიფერენცირებული საბაჟო პოლიტიკის გამო მან ბაზარზე ფეხი ვერ მოიკიდა.



როგორც ვხედავთ, მრეწველების მოთხოვნები საკმაოდ სერიოზულია და, პრაქტიკულად, საგადასახადო კოდექსის ძირეულ შეცვლას ითვალისწინებს. მმართველი ხელისუფლება ამ ცვლილებებს არ იზიარებს. მეტიც, მოქალაქეთა კავშირის წარმომადგენლები მრეწველებს საკუთარი ბიზნესის ლობირებაში ადანაშაულებენ. დათმობის პოლიტიკური ნება არც ერთ პარტიას არ გააჩნია.

აღნიშნულ საკითხზე გვესაუბრება პარტია „მრეწველების“ ლიდერი **გოგი თოფაძე.** მასთან ერთად კი „კვირის პალიტრას“ ბიზნესის პიკანტურ დეტალებზე ესაუბრნენ სხვა მეწარმეებიც.

**— ბატონო გოგი, არავისთვის დასამალი არ არის, რომ პარლამენტში საკუთარი ბიზნესის დასაცავად მოხვედით. უკვე ექვსი თვეა, დეპუტატი ხართ. აღმოაჩნდა თუ არა თქვენს აქ ყოფნას აზრი?**

— არავითარი. ამ დროის მანძილზე მხოლოდ იმაში დავრწმუნდი, რომ, როგორც ჩანს, ხელისუფლების მხრიდან არსებობს ფარული მითითება: ყოველი დავა ბიზნესმენსა და საგადასახადოს შორის დამთავრდეს ერთი და იმავე შედეგით — წააგოს მეწარმემ. ამის ბოლოდროინდელი ფაქტი ანუ მსხვერპლი ზურაბ ტყემალაძე იყო. მდგომარეობა ბიზნესმენებსა და სახელმწიფოს შორის კიდევ უფრო გამწვავდება და დაიძაბება, თუ ხელისუფლება გონიერებას არ მოუხმობს. მე ვპირდები მათ, რომ რამდენიმე წელიწადში საქართველოს არც კერძო მრეწველობა ექნება და არც მეწარმეობა. ჩემი კოლეგები (ბიზნესმენები) ამბობენ კიდეც, თუ ასე გაგრძელდა, სჯობს, წარმოებას თავი დავანებოთ და სადმე სავაჭრო ჯიხური ჩავდგათო.

**— თქვენ რამდენიმე ძირითადი მოთხოვნა წამოაყენეთ. რომელი უფრო მნიშვნელოვანია დღეს მეწარმისთვის?**

— ყველა ერთნაირად მნიშვნელოვანია, მათ შორის იმ მეწარმისთვისაც, რომელიც მმართველ ხელისუფლებაშია. საკითხის ასე დასმა მთლად მისაღები არ არის, რადგან შეიძლება ერთ მეწარმეს საბაჟო გადასახადი უფრო აღელვებდეს, მეორეს — დღგ, მესამეს — ადმინისტრირება და რა ვიცი... წინააღმდეგობას ხელისუფლების მხრიდან ჩვენ ყოველ ნაწილში ველოდებით. მეწარმეებს ბრძოლის გარდა არაფერი დაგვრჩენია. პროექტი, რომელიც ჩვენ წარმოვადგინეთ, პირველ რიგში ქვეყნის ინტერესებს იცავს, მერე კი ბიზნესმენისას. ახლა მოქმედი საგადასახადო კოდექსით კი ერთეულები ითბობენ ხელს. თუ პროექტი კანონად არ იქცევა, შემიძლია „დავამშვიდო“ საზოგადოება, რომ არ გაიცემა ხელფასები, არ იქნება საპენსიო ფული და ა.შ.

**— არის მოსაზრება, რომ თქვენი პროექტი შეიძლება სავალუტო ფონდმა დაიწუნოს. მის მოსაზრებებს კი თქვენთვის და საერთოდ, ქვეყნის ეკონომიკური ბლოკისთვის, არსებითი მნიშვნელობა აქვს.**

— პრობლემა სავალუტო ფონდი კი არ არის, არამედ ის, თუ ვინ წარმართავს მოლაპარაკებას მათთან. ფონდთან კონსულტაციები იმ ხალხმა უნდა აწარმოოს, რომელთაც გული ნამდვილად შესტკივათ ქართულ წარმოებაზე და არა საკუთარ ჯიბეზე. ბოლოს და ბოლოს, სავალუტო ფონდის ძირითადი მოთხოვნა ხომ შემოსავლების ზრდის მიღწევაა. ჰოდა, შეიგნოს ჩვენმა ზოგიერთმა ხელისუფალმაც, რომ ბიუჯეტი ამ კოდექსით ვერ შეივსება. მაგრამ კორუმპირებულ მოხელეს ხომ ბუნდოვანი კოდექსი ურჩევნია და არა ნათელი და გარკვეული. კოდექსში ზოგიერთი ისეთი მუხლია, ათმა კაცმა რომ წაიკითხის, ათივე სხვადასხვანაირად გაიგებს.

**— რომელ „ზოგიერთ ხელისუფალზე“ გაქვთ ეჭვი?**

— ასეთები ყველგან არიან. პირველ რიგში იქ, სადაც მიიღეს და შეიმუშავეს ეს კანონი. იქნება ეს საგადასახადო ინსპექცია თუ თავად პარლამენტი, რომელმაც კენჭი უყარა და დაამტკიცა კანონი.

**— პრეზიდენტთან კონსულტაციები ხომ არ გქონიათ?**

— ჩვენ პირადად არა, მაგრამ მისმა ეკონომიკურმა მრჩევლებმა ყველაფერი იციან. მე ძალიან მიხარია, რომ პრეზიდენტმა თავის წინასაარჩევნო პროგრამაში ჩვენი ლოზუნგი გამოიყენა — „გადავარჩინოთ მრეწველობა“ და „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“. მიუხედავად ამისა, გულწრფელად გეტყვით, მისი იმედი დიდად არ მაქვს; მით უმეტეს კი, გარანტიას ვერ ვხედავ. ყველაფრის მიუხედავად, მრეწველები დათმობაზე წასვლას არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებთ.

**ზურაბ ტყემალაძე. მეწარმე და დეპუტატი:**

— ამ საგადასახადო კოდექსის გამო გაუსაძლის მდგომარეობაში რომ ვართ, მე ყველაზე უკეთ საკუთარ თავზე ვიწვნიე. კონკრეტულად იმას ვგულისხმობ, რომ დავა მაქვს საგადასახადო ინსპექციასთან თვითლირებულების გადასახადთან დაკავშირებით. პროცესი მოვიგე სასამართლოს პირველ და მეორე ინსტანციაში. სანამ ამ საქმეს უზენაესი სასამართლო განიხილავდა, გადასახადების სამინისტროს იურიდიულ სამსახურს ვთხოვე, რომ შეესწავლათ ეს საქმე. შეისწავლეს კიდეც და ისიც მითხრეს, რომ ცამდე მართალი ვიყავი. სხვათა შორის, დამეთანხმნენ მოწინააღმდეგე მხარის იურისტებიც, მაგრამ ეს ისე, პირად საუბარში. ამის შემდეგ ტარდება სასამართლო და მაინც მე მამტყუნებს. ჩემი აზრით, ეს ფაქტი ორ რაიმეს გულისხმობს: 1) მოსამართლეებმა არ იციან საგადასახადო კოდექსი და 2) ყველა მოსამართლე ცდილობს, რომ სახელმწიფოს სასარგებლო გადაწყვეტილება გამოიტანოს. მისთვის მთავარია, სახელმწიფოსთან ოპონირება არ ჰქონდეს, სხვა დანარჩენი — მეორეხარისხოვანია. საერთოდ, სასამართლო რეფორმა სამეურნეო დარგებში ძალზე დაბალ დონეს გვიჩვენებს. აღარ ვლაპარაკობ იმაზე, გადაწყვეტილება ობიექტური იყო თუ არა. პროცესის მსვლელობისას მოსამართლეები ისეთ კითხვებს სვამდნენ, რომ მეცინებოდა.

**— რამდენადაც ცნობილია, მიშა მაჭავარიანს შეხვდით და ესაუბრეთ.**

— მიშა მხარს გვიჭერს, მაგრამ მას არ ევალება პოლიტიკის განსაზღვრა. მე მგონი, ხელისუფლებიდან მხოლოდ მას აწუხებს გადასახადებისა და შემოსავლების პრობლემა. ერთ ასეთ სტატისტიკასაც მოგაწვდით: მხოლოდ 600 ორგანიზაციას შეუძლია, რომ ბიუჯეტის 2/3% შეავსოს. რეგისტრირებული კი რამდენიმე ათეული ათასი ორგანიზაციაა. მათი 10% მაინც რომ იხდიდეს, ჩვენს მოსახლეობას სოციალური პრობლემები აღარ ექნება. ეს კარგად ესმის მიშა მაჭავარიანსაც. ამიტომ მისი მხრიდან მხარდაჭერის დიდი იმედი მაქვს.

**ზურაბ ნოღაიდელი. საგადასახადო და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარე.**

**— ბატონო ზურაბ, ცვლილებების პროექტს გაეცანით?**

— რა თქმა უნდა, გავეცანი და ამის გამო აღშფოთებას ვერ ვმალავ. შთაბეჭდილება ასეთია: ამ ხალხს უნდა, რომ საერთოდ არ იყოს გადასახადები და მათ სახელმწიფოს სასარგებლოდ არანაირი ხარჯები არ გასწიონ. მიკვირს, რატომ ვერ შეუგნია ზოგიერთს, რომ სახელმწიფო იმიტომ კი არ აწესებს გადასახადს, რომ მრეწველობა ვერ განვითარდეს, არამედ იმიტომ, რომ იყოს შემოსავლები. ქვეყანას კი, სადაც შემოსავლები არ არის და საბიუჯეტო წესრიგი ვერ მყარდება, სახელმწიფო არც ჰქვია. ის კანონპროექტი, რომელიც მრეწველებმა წარმოადგინეს, არის სრულიად უპასუხისმგებლო და უსარგებლო.

**— მოთხოვნათა რომელი პუნქტი იწვევს თქვენს განსაკუთრებულ უკმაყოფილებას და რატომ?**

— ამ მოთხოვნებში ორი პუნქტია ყურადსაღები. პირველი, როცა ლაპარაკია დღგ-ს შემცირებაზე და მეორე, როცა მოითხოვენ სოც. ანარიცხების შემცირებას. კი ბატონო, შემცირდეს ორივე, მაგრამ ისიც განმარტონ მრეწველებმა, საიდან, რის ხარჯზე შეივსოს ბიუჯეტი, რომელშიც ისედაც 20%-იანი გარღვევაა.

***(გაგრძელება იხ. გვ. 6)***

# „მაღაზიიდან პროდუქტი გააქვთ, ვითომ შესამოწმებლად, მერე თავადვე მოიხმარენ“

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

ალტერნატივას ისინი არ გვთავაზობენ. მათი ამგვარი დამოკიდებულება მე მაფიქრებინებს, რომ მხოლოდ საკუთარი ბიზნესი აინტერესებთ, პარლამენტშიც ამისთვის მოვიდნენ...

**— თქვენი აზრი თქვენივე თანაგუნდელების აზრს თუ ემთხვევა? ჩემთვის ცნობილია, რომ ზოგიერთი სმკ-ელი დეპუტატი, რომელიც პარლამენტშიც არის და ბიზნესშიც მონაწილეობს, მრეწველების მსგავსად, უკმაყოფილოა საგადასახადო კოდექსით.**

— არ ვიცი, ვის რა დამოკიდებულება აქვს ამ საკითხთან, მაგრამ ჩემი პოზიცია ჩემი პარტიის ეკონომიკური ბლოკის ინტერესებს ემთხვევა. მეეჭვება, სავალუტო ფონდმა მათი პროექტი მოიწონოს. ჩვენს მსგავსად ისინიც ერთ ინტერესს დაინახავენ მასში — ეს არის საკუთარი ამბიცია, როგორმე თავი დაიძვრინონ გადასახადების გადახდისაგან. პარლამენტი კი, ამ თვალსაზრისით, შესანიშნავი ტრამპლინია.

**ნინო მამუკელაშვილი. მცირე და საშუალო მეწარმეთა კავშირის თავმჯდომარე:**

— პირადად მე მინდა ყურადღება გავამახვილო ადმინისტრირების საკითხზე. არსებობს ათასგვარი არასახელმწიფო ორგანიზაცია, რომელსაც წესდებაში უწერია, რომ აქვთ უფლება შევიდნენ ნებისმიერ საწარმოში, მაღაზიაში და აწარმოონ რაღაც გამოკითხვები თუ შემოწმებები. არაფერს ვამბობ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებზე. ასეთი მაკონტროლებელი ფუნქციის მქონე ორგანიზაცია სამოცდაათამდეა. ისინი ყველა საწარმოში შედიან და მოითხოვენ ყველაფრის შემოწმებას. არის შემთხვევები, როცა შედიან მაღაზიაში და, თითქოსდა შესამოწმებლად, მიაქვთ პროდუქტი. ფულს, რა თქმა უნდა, არ იხდიან. შემდეგ თვითონ მოიხმარენ ამ პროდუქტებს თუ მართლა ამოწმებენ, არავინ იცის. თანაც ყოველთვის ძვირადღირებული პროდუქტები მიაქვთ.

**— ყველაზე ხშირად რომელი სამსახური აკითხავს მეწარმეებს?**

— პრაქტიკულად, უყურადღებოდ არავინ გვტოვებს — ეკოლოგიური სამსახური, ვეტსამსახური, სანიტარული... არადა საინტერესო ის არის, რომ ვეტსამსახურის შესახებ კანონი პარლამენტს ჯერ არ მიუღია, ასევე არც სანიტარული სამსახურის შესახებ. ამიტომ, ხშირად ისე ხდება, რომ სამსახურები ერთმანეთის მოვალეობებს ითავსებენ თუ ითვისებენ, ყველაფერი ერთმანეთშია არეული. ბოლოს და ბოლოს, ხომ არ შეიძლება, რომ სანიტარულ მდგომარეობაზე ცნობას სამი სამსახური გასცემდეს და სამჯერ იხდიდე. ყველაფერი ეს კი იმას იწვევს, რომ ორგანიზაციები შანტაჟზე გადადიან. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ვის რა ეკისრება და ვისთან რაზე ვართ პასუხისმგებელნი. ყველაფერს ისიც ემატება, რომ ამბობენ, წყლის გადასახადი 100%-ით გაიზრდებაო. ისეთ საწარმოებს, რომლებიც ბევრ წყალს ხარჯავენ, ეს გადასახადი წელში გაწყვეტს.

**— ზემოთ შანტაჟი ახსენეთ. იქნებ დაგვიკონკრეტოთ, ვის გულისხმობთ და რაიმე ფაქტიც მოიტანოთ.**

— პრინციპში, შანტაჟირება არც მიკვირს. სახელმწიფო ორგანიზაციებს ხელფასი არ ეძლევათ. ისინი სტიქიურად არიან გაშვებული ქუჩაში და ეძებენ, საიდან ამოიღონ ფული. შანტაჟირება ადვილად ხდება: დაიჭერენ კაცს, რომელსაც არ შეუძლია თავის დაცვა, ან უბრალოდ არ იცნობს კარგად კანონებს და მარტივად ართმევენ ფულს. თუ მეწარმე ცოტა გარკვეულია კანონებში, პირდაპირ ეუბნება, თქვენ ეს არ გეხებათო და საერთოდ არ უშვებს საწარმოში. მაგრამ სადაც გაუვათ, იქ „სტავკებსაც“ ინიშნავენ. შეიძლება, რამდენიმე ასეული ლარი იყოს, შეიძლება ათეული... ამას ძირითადად წვრილ მეწარმეებთან აკეთებენ, რომელთაც ხელისუფლებაში არ ჰყავთ ნაცნობობა. მოკლედ, თუ მეწარმეს „კრიშა“ არ ჰყავს და საკუთარ უფლებებშიც ვერ ერკვევა, „მშვენივრად“ აყაჩაღებენ.

**— თუ შანტაჟზე გადადიან, ე.ი. საფუძველიც აქვთ. საფუძველი კი შეიძლება ცუდი პროდუქცია იყოს. ასეთ შემთხვევაში კი, თავის მხრივ მეწარმე, ხომ არღვევს მომხმარებლის უფლებებს. ამიტომ, მეწარმეს უფლებაც არა აქვს, ვინმესთან რაიმე პრეტენზია გამოთქვას.**

— რა თქმა უნდა, მე არ უარვყოფ ამგვარი ფაქტების არსებობას, როცა პროდუქცია არ შეესაბამება სტანდარტებს, მოთხოვნებს და ა.შ . მაგრამ მეწარმის დაყაჩაღება რა დადებით როლს თამაშობს?! ისინიც ხომ მეწარმესთან ერთად არღვევენ მომხმარებლის უფლებებს. საბოლოო ჯამში კი შედეგი ისაა, რომ მომხმარებელს ერთის მაგიერ ჩაგრავს ორი. მოკლედ, იქამდე მივდივართ, რომ ადმინისტრირების საკითხი საგადასახადო კოდექსში სერიოზულ ცვლილებას საჭიროებს. ეს ნაწილი უშუალოდ მომხმარებლის ინტერესებს ითვალისწინებს.

*ქეთი ბერეკაშვილი*

# 18 ნოემბერი უბრალოდ მათი გაფრენა იყო

ისინი სიკეთით სავსე ბიჭები იყვნენ. დადიოდნენ ქალაქში და თავისუფლებისმოყვარე სულს დაატარებდნენ. ყოველი მათგანი უსაზღვროდ სჭირდებოდა სამშობლოს თავისი ნიჭით, მრწამსით, უკიდეგანო სევდით.

მაგრამ ის, ვინც პირველი მიდის გაუკვალავ გზაზე და არავის არ ჰგავს, არასოდეს მიუღია თანამედროვეობას... არც მათ აპატიეს...

არადა 1983 წლის 18 ნოემბერი უბრალოდ მათი გაფრენა იყო — სოსო წერეთელი, გია ტაბიძე, გეგა კობახიძე, კახა და პაატა ივერიელები, დათო მიქაბერიძე, თეიმურაზ ჩიხლაძე, თინა ფეტვიაშვილი იმ სამყაროს საზღვრების გარღვევას შეეცადნენ, რომლის დატოვებაც წარმოუდგენლად ითვლებოდა. მოხდა ისე, რომ მათ თავიანთი საქციელით დაამსხვრიეს იდეოლოგია „კარგად ყოფნისა“. მათი გადაწყვეტილება მაშინ თვითმკვლელობას გაუტოლეს... იმიტომ, რომ ყველამ კარგად უწყოდა: არაფერი შეიცვლებოდა... ვერ გავიდოდნენ...

ქარვასლაში სულ ორი დღით მოეწყო გამოფენა „თვითმფრინავის“ ბიჭების ფოტოსურათებისა და ნახატებისა. კედლებიდან სევდიანი თვალებით გვიყურებენ ისინი... დაფიქრებული, შეყვარებული, სიცოცხლით, თავისუფლების წადილით სავსე სახეები.

...გეგას უსაზღვროდ უყვარდა სინათლე... გია ტაბიძემ მეუღლეს ციხიდან უსიტყვო წერილი მოსწერა, იმიტომ, რომ სიტყვები უძლური იყო...

და ყველა ერთად... კედლიდან მომზირალი ფრესკებივით, რომელსაც არ სჭირდება ავტორის მითითებები, იმიტომ რომ ყველასია:

ერთ-ერთ მათგანს უთქვამს: „გაფრენის ინსტინქტი... ბახის თოლია (ინგლისელი მწერლის რიჩარდ ბახის ნაწარმოები „თოლია სახელად ჯონათან ლივინგსტონი“) უკვე იყვნენ ადამიანები და ალბათ, არავინ გაფრენილა ასე, რადგან ცა არც ადგილია და არც დრო. ეს არის ყოფნა სამყაროში. ეს ის



გამოფენიდან

მდგომარეობაა, როცა მე შენ მიყვარხარ და ამით ვარ საინტერესო“.

ხვდები, რომ ისინი გავიდნენ, ამ საზღვრებს გასცდნენ... ჩვენ აქეთ ნაპირზე დავრჩით, სადაც „წყალნი წავლენ და წამოვლენ“. ისინი კი იქით დამკვიდრდნენ, სადაც „ქვიშანი დარჩებიანო“.

სიცოცხლე მხოლოდ იმიტომ არის მშვენიერი, რომ ის ნაპირი არსებობს.

*ლელა ჯიყაშვილი*

# 18 აგვისტო სატანასთან ბრძოლის დღეა...

რუსთაველი მანიაკის შესახებ ატეხილი აჟიოტაჟი ამ ბოლო დროს ასე თუ ისე, მიჩუმდა. ჩვენც ასე გვეგონა, ვიდრე რედაქციაში უცნაური ზარი არ გაისმა — გელაპარაკებათ გაურა რიში, ეს ჩემი, როგორც მაგის, წოდებაა. თქვენებურად ოთარი მქვია. მე შემიძლია ბევრი რამ ავხსნა თქვენს გაზეთში ნახსენები მანიაკის შესახებ.

მაგიის ვარსკვლავის (როგორც თავის თავს უწოდებს) ოთარ გაურა რიშის განცხადებით, ამ მიჩუმების მიზეზი ზამთარი ყოფილა. მისი თქმით, ზამთარში ყოველგვარი ენერგია მცირდება, იყინება, გაზაფხულზე კი მზის ენერგიის მატების გამო მოსალოდნელია მანიაკალური ენერგიის გააქტიურება. ამასთან, მანიაკს აქვს პარაფსიქოლოგიისა და ჰიპნოზის უნარი. ოკულტიზმის ერთ-ერთი სახეობით, მაგნიტური მზერით აჰიპნოზებს არასრულწლოვან, ფსიქიკაჩამოუყალიბებელ ბავშვებს. მაგნიტური მზერისგან თავდასაცავად ადამიანმა უნდა ატაროს მზის სათვალე, ან სარკე (უმჯობესია ორმაგი სარკე), რომელიც არამარტო აირეკლავს უარყოფით ენერგიას და მაგნიტურ მზერას, არამედ უკან დაუბრუნებს მის გამშვებს..

— მანიაკის შესახებ შემიძლია ვთქვა — ეს ადამიანი ძალიან ძლიერი მაგია. ადამიანის სულის დასაპყრობად იბრძვის კეთილი და ბოროტი. მანიაკში როგორც ჩანს, ბოროტმა ძალამ სძლია. ამასთან, ის ძალზე განათლებულია და თან, ფსიქიკურად დაავადებული. გამაჩნია საკმაოდ საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ის სახეს იცვლის, ნიღაბს ატარებს, მაგრამ კოჭლი რომ არის, უეჭველია. და აი, რატომ: ფეხების ჩაკრას ჰქვია ლოტოსი და იგი თავის ტვინთან არის დაკავშირებული. მან, როგორც ჩანს, მედიტაციის დროს თავი ვერ დაიბლოკა, შიში შეუსახლდა და ფსიქიკა დაერღვა, რამაც ჩაკრის რღვევა, ანუ დაკოჭლება გამოიწვია, ამასთან (ამას ყურადღება მიაქციეთ), მას ხელიც ექნება დაზიანებული.

**— როგორ ფიქრობთ, ის მარტოა თუ არსებობს სატანის მსახურთა ჯგუფი?**

— რამდენიც არ უნდა უარვყოთ, სატანისტების ჯგუფი მართლაც არის საქართველოში, მაგრამ მანიაკი არ არის ჯგუფის წევრი. ჯერ ერთი, ჯგუფიდან ვინმე მაინც „ჩავარდებოდა“, მეორეც, სატანისტები მსხვეპლს მხოლოდ სწირავენ, ის კი აუპატიურებს. ჩემი ვარაუდით, ის ჯერ ახრჩობს, შემდეგ — აუპატიურებს, რაც სატანისტებისთვისაც მიუღებელია. თანაც, სატანისტები ქალს ნაკლებად სწირავენ მსხვერპლად. ამ მიზნით ისინი უმეტესწილად, მამაკაცებს, ან პატარა ბიჭებს ირჩევენ.

**— როგორ ფიქრობთ, ფლობს თუ არა ის განსაკუთრებულ ენერგიას და საიდან იღებს მას?**

— რა თქმა უნდა. ის ენერგოვამპირია და ენერგიას სხვადასხვა წყაროდან იღებს. მისი ენერგიის წყარო არა მხოლოდ ადამიანია, არამედ მზეც, რომლისგანაც დღისით მიღებულ ენერგიას ვამპირი ღამით ხარჯავს, რადგან მზის



სინათლეზე ასეთი რიტუალების ჩატარება შეუძლებელია. რიტუალები ღამით, მთვარის შუქზე ტარდება და თანაც, მკაცრი მაგიურ-ასტროლოგიური გამოთვლით. ამასთან, ის ენერგიას მოკლული ბავშვებისგანაც ღებულობს. ბავშვის ენერგია კი ყველაზე ძლიერი და სათუთია.

**— თუ არის შესაძლებელი მისი დაჭერა და თქვენი აზრით, როდის?**

— დაუკვირდით ერთ ფაქტს: ის გოგონებს პარასკევ დღეს კლავს. საერთოდ, პარასკევი სატანის დღედ არის მიჩნეული, შაბათი — უფლის დღეა. სატანასთან ბრძოლის დღედ მიჩნეულია ახალი წლიდან 6 თვის, 6 კვირის და 6 დღის შემდეგი დღე (სხვათა შორის, წელს ეს დღე 18 აგვისტოა, პარასკევი — მ.ლ.). სატანისტებისგან თავდაცვის საშუალება ჯვარია. ყველას ვურჩევ შეიძინონ, თუნდაც უბრალო ბზის ჯვარი, აკურთხონ და ატარონ — ეს მათ ყოველგვარი ბოროტისა და ეშმაკეულისგან დაიცავს.

**— თქვენ, როგორც მაგი, თუ ებრძვით მას, და რა საშუალებით?**

— მე ვცდილობ, ტელეპათიური კავშირი დავამყარო მასთან და ვაიძულო, გონს მოეგოს, ან ხელისუფლებას ჩაბარდეს, ან ეკლესიაში მივიდეს ცოდვების მოსანანიებლად, რაც განსაკუთრებით ძნელი იქნება მისთვის. ამიტომ მას მე ასტრალურ ორთაბრძოლაში ვიწვევ. თუ შემთხვევით დამამარცხა, ისიც აუცილებლად განადგურდება, რადგან მე დამცავი საშუალებები მაქვს. თანაც, ღმერთის ნების მოწინააღმდეგე აუცილებლად დაისჯება.

**— და მაინც, რა არის მისი მთავარი გარეგნული ნიშნები, რით შეიძლება განვასხვავოთ სხვა ადამიანებისგან?**

— როგორც ზემოთ აღვნიშნე, ის, აუცილებლად კოჭლია. სხვა ნიშნები — ჭაღარა, უკან გადავარცხნილი თმა, ნაყვავილარი სახე, როგორც ვთქვი, შესაძლოა, ნიღაბია. ვცდილობ მის დანახვას და შავ თმას ვხედავ. სხვა ნიშნები არ ჩანს. კიდევ ერთი: ჩემი ვარაუდით, ის მთის რომელიღაც სოფლიდან არის ჩამოსული. მოგეხსენებათ, მთაში უამრავი წესი და რიტუალია — შესაძლოა, იქ შეითვისა რაიმე რიტუალი და შემდეგ, ალბათ, თემიდან განდევნეს.

ამერიკელი მწერლის, სტივენ კინგის ერთ-ერთ რომანში აღწერილია ბავშვობადამახინჯებული კაცის ამბავი. ამ ადამიანს ბავშვობაში დედა „იქ“ სარეცხის სარჭს ამაგრებდა და თან შთააგონებდა, რომ ქალებთან არ წასულიყო, რადგან მათგან უამრავ დაავადებას „აიკიდებდა“. ზრდასრულ ასაკში მას უკვე ქალების მიმართ შიში დასჩემდა და ამიტომ მცირეწლოვანი გოგონები მიჰყავდა უდაბურ ადგილას, კლავდა და შემდეგ აუპატიურებდა. არაა გამორიცხული, რომ „ჩვენს“ მანიაკსაც ჰქონდეს ბავშვობისდროინდელი კომპლექსები, რომელიც რაიმე მძიმე შემთხვევის შედეგი იქნებოდა, ამან კი შესაძლოა, გავლენა იქონია მთელ მის მომავალ არსებობაზე.

დასასრულს, კიდევ ერთი ფაქტი: 14 მარტს, ზოოვეტერინარული ინსტიტუტის გადასახვევიდან დაიკარგა 19 წლის სოფო კუბლაშვილი. მიუხედავად ინტენსიური ძებნისა, პოლიციამ მის ასავალ-დასავალს ვერ მიაგნო.

ვინ იქნება შემდეგი მსხვერპლი? ჩვენს რესპონდენტს ცუდი წინათგრძნობა აქვს. ასე რომ, მოერიდეთ კოჭლ მამაკაცებს, ატარეთ ჯვარი და სარკე — სატანისგან და მაგნიტური მზერისგან თავდასაცავად.

*მანოლი ლილუაშვილი*

# რუსეთის ბომონდმა ლენინი შეჭამა...



დღეს რომ ისევ იდგეს „დიდი საბჭოეთი“ კომუნიზმის მშენებლობის გზაზე (ფუი, ეშმაკს!), კვლავაც მოეწყობოდა უამრავი ღონისძიება დიდი ბელადის საიუბილეოდ საბავშვო ბაღებში (დევიზით — „ლენინს უყვარდა ბავშვები“, გაგრძელებაც გახსოვთ, ალბათ — „ბავშვებს უყვარდათ მურაბა“), საშუალო სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში მიეძღვნებოდა დემონსტრაციები და კონფერენციები ლენინის დაბადებიდან 130 წლისთავს, დაიწერებოდა ახალი სახოტბო ლექსები თუ კომუნისტური იდეალებით გამსჭვალული მოთხრობები. დიახ, ლენინი 130 წლისა გახდა (ცოცხალიც და მკვდარიც — ერთად), მკვდარი, მაგრამ „მაინც ცოცხალი“ ლენინი კი 76 წელზე ცოტათი მეტია, მავზოლეუმში დევს (ის ანეკდოტიც ხომ გახსოვთ, ნიკიტა ხრუშჩოვმა საქართველოში ვიზიტის შემდეგ მოსკოვში დაბრუნებულმა „ცოცხალი“ (თევზი) რომ მოითხოვა — მკვდარი როა და ცოცხალს ეძახიანო და დააფეთა პარტიულ-საბჭოური ნომენკლატურა, — უიმე, ლენინის შეჭმა მონდომებიაო).

ლენინის შეჭმა რუსეთის ბომონდის ერთმა ნაწილმა შარშან მართლაც მოინდომა და გადასანსლა კიდეც თავის ძვირფას ჩასასვენებლიანად. ამ ახირებულმა რუსებმა, მოგეხსენებათ, მავზოლეუმში დასვენებული ბელადის ნატურალური ზომა-წონა-ფერ-ხორცის მქონე ტორტით ისე ჩაიტკბარუნეს პირი, უკან არც მოუხედავთ. თუმცა, რუსებს ლენინი ჯერაც ყელში აქვთ გაჩხერილი და ვერ მოუნელებიათ. დისკუსია კი გამართეს, მაგრამ ლენინი მაინც ვერ დამარხეს. კომუნისტებმა (ზიუგანოვის თავკაცობით) არაერთგზის განაცხადეს — არ დავუშვებთ, რომ წითელი მოედნისა და მისი მავზოლეუმის სტატუსი შეიცვალოსო.

ლენინი არა მარტო კომუნისტებისთვისაა ძვირფასი, იგი ძვირადღირებულია მთელი რუსეთისთვის — მხოლოდ მავზოლეუმში მიმდინარე სამედიცინო-ბიოლოგიურ სამუშაოებს აფინანსებს საზოგადოებრივი ფონდი „Мавзолей В.И. Ленина“, დანარჩენ თანხას დაცვის ფედერალური სამსახური — ე.ი. რუსი გადამხდელები იხდიან, — ეს გახლავთ მომსახურე პერსონალის ხელფასები, კომუნალური თუ სხვა სახის გადასახადები (1996-1998 წ.წ. ეს თანხა შეადგენდა 9,6 მლნ დენომინირებულ რუბლს).

მადლობა ღმერთს, ჩვენ ეს აღარ გვეხება.

მადლობა ღმერთს, ჩვენი შვილები გათავისუფლდნენ ანტიქრისტე ძია ლენინის — ყველაზე „უფრო ადამიანური ადამიანის“ ხატისგან, ჩვენ რომ ბავშვობას გვიწამლავდა და ჩემს თაობას კომუნიზმისა და ლენინიზმის ის შხამი სრულად მაინც არ გამოუდევნია გულგვამიდან. შარშან, 21 აპრილს მეგობართან ვიყავი სტუმრად. ვსაუბრობდით. 7 წლის ანა იქვე თამაშობდა. მაიამ, სხვათა შორის, თქვა (ისიც ჩემებრ ლენინურ კომკავშირში გაიზარდა), — ხვალ ლენინის დაბადების დღეაო. ანამ ყური მოკრა და — დედა, იხდისო? — იკითხა.

თქვენი არ ვიცი და, მე, პირადად, ლენინის სახელთან დაკავშირებული ერთი მასობრივი ღონისძიება — ლენინური შაბათობა — ხშირად მენატრება, როდესაც დედაქალაქის ქუჩებს პოლიეთილენის პარკებით, პამპერსებით, ტამპაქსებით, ქაღალდებით და ათასგვარი „სამშვენისით“ მოფენილს ვხედავ...

*ნინო ლურსმანაშვილი*

# XX საუკუნის საოცრება საქართველოში „თქვენ მოესწრებით ანტიქრისტეს“ — ბერი გაბრიელი

## ლენინის კერპის წინააღმდეგ

1965 წელია. კომუნისტური რეჟიმის ზეობის ხანა. თბილისში საპირველმაისო დემონსტრაცია მიმდინარეობს და ტრიბუნაზე მყოფი კომუნისტური მთავრობის თვალწინ მამა გაბრიელი ცეცხლს აძლევს ლენინის 12 მეტრიან სურათს. დააპატიმრეს, რა თქმა უნდა. დახვრეტა ჰქონდა მისჯილი. ყოველ წუთს რეკავდნენ მოსკოვიდან — დახვრიტეთო. მაგრამ ვერ დახვრიტეს. მამა გაბრიელი ამბობდა, — იხსენებს მონაზონი პარასკევა, — უფალმა მითხრა, 7 თვეში გაგიყვან აქედანო.



ბერი გაბრიელი

საპყრობილეში ბერისთვის ჯვრის მოხსნა უბრძანებიათ. თქვენ თვითონ ამხსენითო, — უპასუხია გაბრიელ ბერს. ვერავინ შეძლო თურმე მისთვის ჯვრის ახსნა. მაშინ აღუპყრია ხელები და უთქვამს: — „დიდ ხარ შენ, ქრისტე ღმერთო და საკვირველ არიან საქმენი შენნი, და ვერვინ შემძლებელ არს მადლის მიცემას საკვირველებათა შენთა“.

დაკითხვაზე ბერისთვის უკითხავთ, — რატომ ჩაიდინე ესო. უპასუხია: „თაყვანისცემა და დიდება დიდ უფალ იესო ქრისტეს ეკუთვნის და არა ლენინს, როგორც ეს თქვენ გეწერათ მასზე და თაყვანს სცემდითო“.

შემდეგ დაკითხვაზე, რომელსაც უკვე მრავალი მაღალჩინოსანი მთავრობის წარმომადგენელი ესწრებოდა, მისთვის უთქვამთ: ჩვენ ვერ ვხედავთ და აბა, სად არის ეგ შენი იესო ქრისტეო.

გაბრიელ ბერს უშიშრად უპასუხია, — ჯერ თქვენ გადაყარეთ სანაგვე ურნებში თქვენი პარტბილეთები, მერე მეც დაგანახებთ იესო ქრისტესო.

გიჟიაო, — უთქვამთ და საგიჟეთში გადაუყვანიათ. მერე კი, უფლის აღთქმისამებრ, 7 თვეში გათავისუფლებულა.

მცხეთა... სამთავროს დედათა მონასტერი... ეზოში საოცარი სიწყნარე და სიმშვიდეა. ნიავი არხევს მწვანედ მობიბინე ბალახს და საფლავებზე გახარებულ ლამაზ ყვავილებს.

დიდებულ ტაძარს მეფე მირიანისეული კოშკი გადმოჰყურებს, რომლის შესასვლელთან გაკრული წარწერა იუწყება: „მაცხოვრის ფერისცვალების ტაძარში დაცულია ქართველთა პირველი ქრისტიანი მეფე-დედოფლის მირიანისა და ნანას საფლავები“.

მონასტრის ჩრდილოეთით, გალავანთან, ერთი სადა საფლავია, რომელზეც ჩაუქრობლად ციმციმებს კანდელი. ეს გაბრიელ ბერის ძვალთშესალაგია. ამ კანდელიდან ამოღებულ ზეთს სასწაულებრივი კურნების ძალა აქვს. საიდან აღარ ჩამოდიან მორწმუნეები ამ ზეთის წასაღებად. მონაზონი პარასკევა იხსენებს: ერთი ექიმი ქალი ჩამოსულა, რომლის 5 წლის შვილიშვილი დაბადებით მუნჯი ყოფილა. სად არ უმკურნალიათ, მაგრამ არაფერი შველებია. შემდეგ მიუსწავლებიათ — მცხეთაში, გაბრიელ ბერის საფლავთან მისულიყო და მისთვის ეთხოვა შემწეობა. მართლაც ჩამოსულა ქალი, შევედრებია მამა გაბრიელს. ბავშვს იმ წუთშივე ლუღლუღი დაუწყია. ერთი კვირის შემდეგ კი უკვე ლექსებსაც ამბობდაო, — გვიყვებოდა დედა პარასკევა გაბრიელ ბერის საფლავთან.

ამ საფლავს სხვა სასწაულებიც უკავშირდება. საფლავზე ზიზილები და იასამფერები ხარობენ. ზიზილა ძალიან წააგავს გვირილას, ოღონდ უფრო დაბალია. იგი მხოლოდ გაზაფხულობით ყვავის. გაბრიელ ბერის საფლავზე კი, აგერ უკვე 4 წელიწადია, ზამთარ-ზაფხულ ყვავიან ზიზილები (არქიმანდრიტი გაბრიელი გარდაიცვალა 1995 წლის 4 ნოემბერს).

კიდევ ერთ უცნაურ ამბავს იხსენებს დედა პარასკევა: „მამა გაბრიელის გარდაცვალების შემდეგ სამი წელი იყო გასული. მის საფლავზე მოვიდა ერთი მორწმუნე ქალი. ჩამოჯდა, სანთელი აანთო, იქვე, საფლავის მიწაში ჩაარჭო და დაუწყო მამა გაბრიელს თავისი ამბის მოყოლა იმ დროიდან, რაც მამა გაბრიელი არ ენახა. მოულოდნელად სანთელმა მოძრაობა დაიწყო — ირხეოდა, ეცემოდა, შემდეგ ისევ აღიმართებოდა შესაბამისად მონათხრობისა; თითქოს მამა გაბრიელი მიანიშნებდა, როდის იყო იგი დაცემული, როდის მტკიცე... ჩემი თვალით ვხედავდი ყოველივე ამას და ცოტა არ იყოს, მიკვირდა, რადგან 8 წელია, მონასტერში ვარ, 3 წელი მამა გაბრიელის მორჩილი ვიყავი სენაკში და არასდროს მსგავსი რამ ჩემს დანთებულ სანთელს არ მოსვლია. ეჭვიც შემეპარა, ნეტავ რა ამოძრავებდა იმ სანთელს-მეთქი. მეორე დღეს ჩვეულებისამებრ დავანთე სანთელი საფლავზე და მოხდა საოცრება — ამ სანთელმაც დაიწყო მოძრაობა. ძალიან შევშინდი და ვთქვი, — არ მინდა, მამა გაბრიელ, სასწაულები-მეთქი. ამის თქმა იყო და სანთელმაც შეწყვიტა მოძრაობა“.

მაინც ვინ იყო მამა გაბრიელი, რომელსაც სიცოცხლეშივე შეეძლო ლოცვითა და ხელის შეხებით კურნება, გულთამხილაობა, ადამიანთა აზრებისა და ფიქრების წაკითხვა, სასწაულების მოხდენა? ან რატომ იყო ფართო საზოგადოებისათვის მისი არსებობა და მოღვაწეობა უცნობი?

არქიმანდრიტი გაბრიელი, შეიძლება ითქვას, მოვლენა იყო XX საუკუნის მიწურულის ქართულ სინამდვილეში. გაბრიელი ბერი იყო, ფაქტობრივად, ნიშატი სარწმუნოებისა. ის არ იყო ჩვეულებრივი სასულიერო პირი, ჩვეულებრივი საზომებით მისი შეფასება შეუძლებელია, რადგან ის იყო სალოსი. სალოსური მოღვაწეობა კი ყველაზე აღმატებული მოღვაწეობაა სულიერების სფეროში. სალოსი თავის მაღალ სულიერებას, თავის ღვაწლს ქრისტეს წინაშე, გიჟის საფარველის ქვეშ მალავს, ასეთი მოღვაწეობის ჭეშმარიტი არსის გაგება, მისი ერთი შეხედვით უცნაური გარეგნული ფორმების გამო, დიდი სულიერი ხედვის გარეშე შეუძლებელია.

მამა გაბრიელიც ამგვარი მოღვაწეობით ცხოვრობდა. იყო დრო, როცა გიჟიც კი ეგონათ. მამა გაბრიელის უცნაური ქცევები ხანდახან ბევრს აბნევდა, მაგრამ ყოველივე ამის მიღმა არსებულის ზერელედ აღქმა ყოვლად შეუძლებელია.



მირიან მეფისეული კოშკი, სადაც გაბრიელ ბერი ცხოვრობდა

გაბრიელ ბერის დიდ სულიერებაზე საუბრისას ერთ-ერთი ასეთი ფაქტი გაიხსენა მონაზონმა პარასკევამ: „ბერძენი ბერები ჩამოსულან ათონის მთიდან საქართველოში და მამა გაბრიელთან მიუყვანიათ სტუმრად. სანამ ერთმანეთს წარუდგენდნენ და გააცნობდნენ, მანამ მამა გაბრიელმა სახელით მიმართა ათონის მთის ერთ-ერთი მონასტრის წინამძღვარს და მისი სახელობის ხატი მიაწოდა. გაოცებულა ბერძენი მამა და შემდეგ სახარებაზე დაუწყია საუბარი. სახარების მცნებების მამა გაბრიელისეულ განმარტებებს აღუფრთოვანებია ბერძნები — ეს უბრალო ბერი არ არისო და ევედრებოდნენ, აქ რა გინდა, ათონზე წამოდიო. გაბრიელ ბერს უპასუხია, — მე ჩემს ათონზე ვარ, ჩემს საქართველოს ათონის მთაზე ვერ გავცვლიო“.



მამა გაბრიელის უხრწნელი სისხლი

*...მამა გაბრიელს ვენიდან სისხლი ჩემი ხელით ავუღე. რაიმე კონსერვანტი არ დაგვიმატებია. სინჯარა, რომელშიც სისხლი მოვათავსეთ, განსაკუთრებული სტერილობის ან დაბალი ტემპერატურის პირობებში არ ინახებოდა. ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ 4 წლის განმავლობაში, ჩვეულებრივ ტემპერატურაზე, სისხლი არც შედედდა, არც გაიხრწნა, არც ჰემოლიზი განიცადა. სისხლის ანალიზი, რომელიც სხვადასხვა ლაბორატორიაში გაკეთდა, ადასტურებს ზემოთ აღნიშნულს.*

„ერთხელ ვკითხე მამა გაბრიელს, — იხსენებს მონაზონი პარასკევა, — მამაო, ყველა დიდმა მამამ რაღაც იტვირთა და თქვენ რა იტვირთეთ-მეთქი. მიპასუხა, — „სრულიად საქართველო და ნახევარი რუსეთიო“. ვერავის ვერ აუხსნია ჯერ, რას გულისხმობდა მამა გაბრიელი „ნახევარ რუსეთში“. ამას ალბათ დრო გამოაჩენს.

როდესაც გაბრიელ ბერი ანტიქრისტესა და საქართველოს მომავალზე წინასწარმეტყველებდა, ამბობდა, — საქართველო გადარჩება, ანტიქრისტე აქ ტახტს ვერ დაიდგამს, მთელ მსოფლიოში კი გაბატონდება. საქართველოშიც იქნება მცირე დევნა, იქნება გაჭირვებაც, მაგრამ ღვთისმშობლის შეწევნით საქართველო გადარჩებაო. მონაზვნებს უკითხავთ, — ეს ხომ არ არის ანტიქრისტეს პერიოდიო. უპასუხია, — არა, ანტიქრისტე შემდეგ იქნება, თქვენ მოესწრებით მის ბატონობას, რადგან თქვენ ბოლო ჟამის ადამიანები ხართო“.



მამა გაბრიელის ცხედარი

საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა გაბრიელ ბერთან, მიაჩნია, რომ იგი წმინდანია, მეორე ნაწილს კი საერთოდ საპირისპირო შეხედულება აქვს მასზე და ფიქრობენ, რომ წმინდანობის ფენომენს თავისი კრიტერიუმი აქვს და გაბრიელ ბერი ამას ვერ აკმაყოფილებს. ამ საკითხზე მსჯელობისას დიდი სიფრთხილეა საჭირო. წმინდანად შერაცხვა მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიას ხელეწიფება; კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს ეკლესიას, რომელსაც საკმაო გამოცდილება გააჩნია ამისთვის და ქართველი მრევლისთვის, მხოლოდ ეკლესიის მიერ „დასმული ბეჭდის“ შემდეგ უნდა გახდეს ესა თუ ის მოღვაწე წმინდანის რანგში თაყვანისცემის ღირსი.

ეს საკითხი სულიერების განსაკუთრებით ფაქიზ სფეროს შეეხება, ამიტომაც ჩვენი პუბლიკაცია ამ კუთხით რაიმე გამოკვეთილი პოზიციის ნიშანს არ ატარებს, რადგან უდიდესი პასუხისმგებლობა გვეკისრება უფლისა და თვითონ გაბრიელ ბერის სულის წინაშე, მაგრამ აქ აუცილებელია ერთი ფაქტის აღნიშვნა, რომელსაც უკომენტაროდ გთავაზობთ:

„მამა გაბრიელს ვენიდან სისხლი ჩემი ხელით ავუღე. რაიმე კონსერვანტი არ დაგვიმატებია. სინჯარა, რომელშიც სისხლი მოვათავსეთ, განსაკუთრებული სტერილობის ან დაბალი ტემპერატურის პირობებში არ ინახებოდა. ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ 4 წლის განმავლობაში, ჩვეულებრივ ტემპერატურაზე, სისხლი არც შედედდა, არც გაიხრწნა, არც ჰემოლიზი განიცადა. სისხლის ანალიზი, რომელიც სხვადასხვა ლაბორატორიაში გაკეთდა, ადასტურებს ზემოთ აღნიშნულს.

რა ფენომენია ეს, უბრალო შემთხვევითობა თუ კანონზომიერება? შეიძლება ასკეტურ პირობებში ცხოვრებით და ღვთის მადლით შეიძინა სისხლმა უხრწნელობის უნარი. ჩემი აზრით, ეს ასეა. გაივლის დრო და ყოველივე გაცხადდება. ამ მოვლენის მეცნიერულად შესწავლაც არ არის ალბათ ინტერესმოკლებული.

ექიმი-ქირურგი ზურაბ ვარაზაშვილი. 1999 წელი.“

კიდევ ერთ საინტერესო ფაქტზე გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება; თუ ბერის ფოტოს დავაკვირდებით, უცნაურ სილუეტს შევამჩნევთ გაბრიელის უკან, რომელიც თითქოს ძალიან წააგავს ანგელოზის ფრთებს. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მამა გაბრიელმა თქვა, — უფალი გამომეცხადა, ხელში დედამიწა ეჭირა და იქიდან ხმა მეკითხებოდა — ბოლო ჟამია და როგორ გადარჩებიან ადამიანებიო? და უკითხავს ბერს, როგორ უფალოო. — ადამიანებს ბოლო ჟამს სიმდაბლე, სიკეთე და სიყვარული გადაარჩენსო, — უპასუხია იმავე ხმას

## ადამიანი, რომელიც საერთოდ არ იკვებებოდა

ოთარ ნიკოლაიშვილი, რომელიც დაახლოებული იყო გაბრიელ ბერთან, იხსენებს: „საერთოდ არ ჭამდა საჭმელს. იშვიათად ჩაის თუ მიიღებდა. ერთხელ ჩემს ნაცნობებს მოვუყევი მის შესახებ. დაინტერესდნენ, — წაგვიყვანე და გვაჩვენეო. ჩამოვედით მცხეთაში. მის სენაკში შესვლამდე ჩვეულებისამებრ ლოცვას ვამბობდით ხოლმე და თუ გამოგვეპასუხებოდა — „ამინ“, ეს იმას ნიშნავდა, რომ შეგვეძლო შესვლა. დავიწყე ლოცვა. სენაკიდან ჯამზე კოვზის ფხაკაფხუკის ხმა ისმის. ცოტა არ იყოს, გულმა რეჩხი მიყო. შევედით. რას ვხედავ — დამჯდარა მამა გაბრიელი, წინ უდგას დიდი ჯამი, შიგ წვნიანის ნარჩენივით რაღაც უსხია, ხელში უჭირავს დიდი კოვზი და გვეუბნება, — დღეს რაღაც მგელივით მომშივდა, თქვენც ხომ არ მიირთმევთ, მე კიდევ უნდა დავიმატოო. სტუმრები გაკვირვებულნი უყურებენ მამა გაბრიელს, ხან მე შემომხედავენ გაოცებულები. ალბათ იფიქრეს, ნეტავ ასეთი ტყუილი რად დასჭირდა ამ კაცსო. აღარ გაჩერებულან და მალე წავიდნენ.



მამა გაბრიელის საფლავი

კი ვხვდებოდი, რომ რაღაც ხდებოდა და განგებ გააკეთა მამა გაბრიელმა ეს, მაგრამ მაინც განაწყენებული დავრჩი და ის იყო, უნდა მეთქვა, რომ თვითონ დამასწრო, — ოთარ, ერთი ამბავი უნდა მოგიყვეო. ერთი ბერი იყო სულიერებაში ძალიან მიღწეული. ჰყავდა მორჩილი. ბერი ხემსს არ იდებდა პირში. ერთხელ მორჩილმა ნაცნობებს უამბო მისი ამბავი და დაინტერესებული ხალხი მიიყვანა სანახავად. ბერი კი დიდი ლავაშით და ყველის ნაჭრით ხელში დახვდა, გემრიელად ილუკმებოდა (აქ ცოტა გადააკეთა მისი ამბავი). როცა შემცბარი სტუმრები წავიდნენ, მორჩილს უკითხავს, — მამაო, საერთოდ არას ჭამდი და დღეს რა მოგივიდაო. შვილო, — უპასუხია ბერს, — რასაც 40 წლის მოღვაწეობით მივაღწიე, შენ გინდოდა ერთ დღეში დამეკარგაო.

ასე გამოიცნო ჩემი ფიქრებიო, — იხსენებს ბატონი ოთარი.

## ყაურმა დიდ მარხვაში

ერთ-ერთი დიდმარხვის პირველ კვირას, როცა ყველაზე მძიმე მარხვაა, ასეთი საინტერესო რამ ჩაუდენია გაბრიელ ბერს. აყიდვინა თურმე ხორცი, ყაურმა მოამზადებინა და გარეთ გააშლევინა სუფრა. თავისი წრე ჰყავდა ბიჭებისა, რომლებთანაც ახლოს იყო. შემოუსხა ეს ბიჭები სუფრას და აიძულა, ყაურმა ეჭამათ. თან ისე იქცეოდა, თითქოს თვითონაც ჭამდა. ძალიან უცნაურად ჩანს ერთი შეხედვით ამგვარი რამ, მაგრამ ამაში სულ სხვა აზრი იყო ჩადებული. ამით მან ახალგაზრდებს აგრძნობინა, რომ ბოლოს და ბოლოს, მარტო საჭმელი არ არის მთავარი. როცა ატყობდა, რომ მარხვა ადამიანს ამპარტავნების საგნად ექცეოდა (მაგალითად, მე ვმარხულობ, ნახე, რა კარგი და ეკლესიური ვარო... და ა.შ.), ის აიძულებდა, დაერღვია ასეთი მარხვა და გონს მოსულიყო.

ერთი ბერი ძალიან მკაცრად მარხულობდა თურმე. მზის ჩასვლამდე არაფერს ჭამდა. გამოვიდოდა, შეხედავდა მზეს და თუ ჩასული იყო, მერე იხმევდა. გაბრიელ ბერს შეუმჩნევია, რომ იგი ზედმეტს იღებდა თავის თავზე. დაუძახია და უთხოვია, — მამაო, ზეთი მომიტანეს და ერთი გამისინჯე, როგორია, მე რაღაც პირში გემო არ მაქვსო. არადა ეს ბერი პირველ კვირას მკაცრად, უზეთოდ მარხულობდა!

არა, მამაო, რას ამბობო, — იუარა თურმე. იცოდე, პირში ჩაგასხამო, — გამკაცრებულა გაბრიელ ბერი. ბოლოს, ბერი მიმხვდარა, რომ მამა გაბრიელთან არაფერი გაუვიდოდა და დამორჩილებია.

ასე გამოიყვანა ის ბერი ხიბლიდან.

თვითონ კი მეტად მკაცრად მარხულობდა, თუმცა უცხო თვალისთვის ეს შეუმჩნეველი იყო — შეეძლო, თითქოს დაელია კიდეც, რაღაც უცნაურობები ჩაედინა. ეს იყო ისეთი მომენტები, რაშიც ჩვენ ბოლომდე ვერ გავერკვევით, რადგან, ძნელია სალოსის ცხოვრებას ჩასწვდე. შეეძლო, უცბად უცნაური სიმღერები წამოეწყო, ცეკვის მაგვარი რაღაც გაეთამაშებინა... მაგრამ საინტერესო ის იყო, რომ ეს არ ახდენდა გავლენას მასთან ურთიერთობაში მყოფ ადამიანებზე. როცა ის დაელაპარაკებოდა მათ, ისინი სულიერად სრულიად გამოცვლილნი მიდიოდნენ მისგან. თუ როგორ ახერხებდა ამას, ამის ამოცნობა ჩვენს ძალებს აღემატება.

საინტერესოა, რომ გაბრიელ ბერი თვითონ, ხელოვნურად ქმნიდა ისეთ სიტუაციებს, რომ არ განედიდებინათ სიცოცხლეში. ამგვარი მოკრძალება ყველა სალოსისთვის არის დამახასიათებელი. როგორც კი იგრძნობდა, რომ მის ირგვლივ რაღაც შარავანდი იქმნებოდა, იმ წუთში ისეთ რამეს ჩაიდენდა, იტყოდი, — ეს რანაირი ბერიაო. ან დალევდა, ან აურევდა, ვიღაცას წაეჩხუბებოდა. ასეთი უცნაური საქციელია ალბათ იმის მიზეზი, რომ მის მიმართ დღესაც გაყოფილია აზრი.

## სასწაული ბეთანიაში

ბეთანიაში დაკრძალულია გაბრიელ ბერის მოძღვარი, რომელთან დაკავშირებითაც მას ნაწინასწარმეტყველები აქვს, რომ ჯერ მისი საფლავი გაიხსნება და მერე ჩემიო.

ერთხელ ბეთანიაში ასულა გაბრიელ ბერი თავისი მოძღვრის საფლავზე. ხედავს, ერთი მორჩილი ზის დამწუხრებული. ბერს მიზეზი უკითხავს.

— რამდენიმე ოჯახი ფუტკარი გვყავდა, იმითი ვსულდგმულობდით. ერთბაშად აიყარნენ და ტყეში გადავიდნენო, — უპასუხია მორჩილს. მერე, შენ ხომ გწამს, მამა გიორგის (გაბრიელ ბერის მოძღვარი) მადლი რომ არ განშორებია ამ მონასტერსო, — დაუმშვიდებია გაბრიელ ბერს, ტყისთვის ჯვარი გადაუსახავს და იმ წუთში ღრუბელივით წამოსულა ეს ფუტკარი ტყიდან და თავის სკებში დაბინავებულა.

დეკანოზ არჩილ მინდიაშვილის მონაყოლია ეს საოცარი ამბავი.

## კიდევ ერთი სასწაული შიომღვიმეში

შიომღვიმის მონასტერში საცაა, ლოცვა უნდა დაწყებულიყო. ტაძარში შესასვლელი კარები კი ჩაკეტილა. წვალობდნენ, გასაღებს არგებდნენ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ.

ამ დროს გაბრიელ ბერი მიუახლოვდა თურმე კარებს, ჯვარი გადასახა და ხელი ჰკრა. კარი თავისუფლად გაიღო. ეს ფაქტი ეპისკოპოს იოსებს (ციკვიძე) უამბნია ბატონ ოთარ ნიკოლაიშვილისთვის.

1992 წელი იყო, როცა ღრმად დაფიქრებულ მამა გაბრიელს კიდევ ერთხელ უხსენებია — მოახლოებულია მეორედ მოსვლა და განკითხვის დღეო. ერთ-ერთ იქ მყოფთაგანს უკითხავს, — კი მაგრამ, მამაო, წინა საუკუნეებშიც ხომ ეგონათ, ბოლო ჟამი იყო დამდგარი, მაგრამ მეორედ მოსვლა არ ყოფილა, მოლოდინის მიუხედავად, იქნებ ახლაც არ გამართლდესო. არა, შვილო, ახლა ნამდვილად მოახლოებულია განკითხვის დღეო, — უპასუხია გაბრიელ ბერს.

***მამუკა გიორგაძე***

P.S. ძნელია ერთმა საგაზეთო გვერდმა დაიტიოს ის სასწაულებრივი ფაქტები, რომელიც გაბრიელ ბერთანაა დაკავშირებული. აგრეთვე ეპიზოდები მისი უცნაური ბავშვობის შესახებ; მაგრამ ამ პუბლიკაციის მთავარი მიზანია, ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი გახდეს ამ საოცარი ბერის ამბავი...

# „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის“ დაფიქსირება დიდი მაღარიჩით

ნინასაარჩევნოდ აჭარის სტატუსთან დაკავშირებით ატეხილი აყიოტაჟის, გაწევ-გამოწევისა და ათასგვარი ბრალდების ფონზე საქართველოს კონსტიტუციაში აჭარის სტატუსის დაფიქსირება საოცრად მშვიდ და მეგობრულ ატმოსფეროში განხორციელდა. ამიერიდან უმაღლეს საკანონმდებლო დოკუმენტში „აჭარის“ ნაცვლად ყველგან „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა“ წაიკითხება. ამ დამატებული ორი სიტყვის სანაცვლოდ კი თურმე ნუ იტყვით და მოქალაქეებს „სამადლობელი“ პურ-მარილი მოუთხოვიათ. აჭარაც რის აჭარა იქნებოდა, ასეთ საკითხში თუ „ჩაიჭრებოდა“, მიუხედავად იმისა, რომ 250 კაციანი პურ-მარილი გაცილებით სოლიდურად ჟღერს, ვიდრე ეს ორი სიტყვა. ბათუმმა უკან მაინც არ დაიხია და ერთ მშვენიერ საღამოს, რესტორან „არაგვში“ სპეციალურად მოწყობილ ბანკეტზე, „მოქალაქეები“ და „აღორძინება“ ერთმანეთს სულ ღიღინღიღინით „ჩაეხუტა“. თუმცა, როგორც შევიტყვეთ, უმრავლესობა-უმცირესობის გარდა არაერთმა ურთიერთწაკიდებულმა პოლიტიკურმა „დუეტმაც“ შესვა შერიგების სადღეგრძელო და ორ ხმაში სიმღერაც შემოსძახა. ბანკეტზე დაპატიჟებული იყო ყველა დეპუტატი, განურჩევლად პოლიტიკური მრწამსისა და ფრაქციული დანაწევრებისა, აგრეთვე პარლამენტის აპარატის სრული შემადგენლობა უცვლელი შეფის — ხათუნა გოგორიშვილის „თამადობით“. გარდა ამისა, ერთი-ორი კაცი აღმასრულებლებიდანაც „შეურიეს“. როგორც „ბოროტი ენები“ ამბობენ, მტრის თვალების დასათხრელად თურმე ფრიად მეგობრულად ჭუკჭუკებდნენ ზურაბ ჟვანია და ვაჟა ლორთქიფანიძე, რომელთა შორის გარბენილ-გამორბენილი შავი კატის შესახებ უკვე ლეგენდებსაც კი ჰყვებიან. ბანკეტს არც ჯუმბერ პატიაშვილი და მისი „თანამდევი“ მამუკა გიორგაძე დაჰკლებიან. თუმცა, როგორც გავიგე, პატიაშვილი მაინცდამაინც კარგ გუნებაზე არ ყოფილა.



პურ-მარილს, ცხადია, ყველა დაპატიჟებული პირი ვერ (ან არ) დაესწრებოდა, მაგრამ თვალსა და გულს განსაკუთრებით ტრადიციების ქომაგი აკაკი ასათიანი აკლდა თავისი „ნიჭიერი ხუმრობებით“. არ იყვნენ აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტი და აჭარის ლიდერი. თუმცა, ასათიანისაგან განსხვავებით, მათი სადღეგრძელოები დიდი ოვაციებით შეისვა.

„კვირის პალიტრა“ შეეცადა მეორე დღეს ნაბახუსევ პარლამენტარებს გასაუბრებოდა, თუმცა ნაქეიფართაგან ძალზე ცოტა თუ აღმოჩნდა სამსახურში.

თავდაპირველად სოციალისტების ლიდერს, **ვახტანგ რჩეულიშვილს** ვეწვიეთ.

**— ბატონო ვახტანგ, როგორი დრო გაატარეთ უმრავლესობა-უმცირესობის ბანკეტზე?**

— საერთოდ დიდი სუფრები და ბანკეტები არ მიყვარს, მაგრამ მაინც ფანტასტიკური დრო გავატარეთ.

ეს დღე მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ მოქალაქეთა კავშირსა და აღორძინებას შორის ურთიერთობის დარეგულირების თვალსაზრისით, არამედ დაფიქსირდა არაერთი პიროვნული შერიგების ფაქტიც. მაგალითად, შერიგდნენ ნანა დევდარიანი და არჩილ გოგელია, რომელთა შორის დაძაბულობის პიკმა საპარლამენტო არჩევნების დროს მიაღწია. სხვათა შორის, ამ რამდენიმე ხნის წინ ერთი კურიოზიც მოხდა — ნანას „დობერმანმა“ და არჩილის „ავჩარკამ“ ძაღლების შეჯიბრში მიიღეს მონაწილეობა და პირველი ადგილი გაინაწილეს. ნანა გაგიჟდა, იცინოდა, კაცო, რა უბედურებაა, აქაც გაყოფაო?!. ამათ გარდა, შერიგდნენ ზვიად ცეცხლაძე და შს მინისტრის ყოფილი მოადგილე ჩხაიძე, რომელთა შორისაც არჩევნებიდან მოყოლებული ძალიან დიდი დაპირისპირება არსებობდა. სხვათა შორის, 1992 წლიდან პარლამენტის წევრი ვარ და პირველი შემთხვევა იყო, რომ გაიშალა სუფრა, სადაც მთელმა პარლამენტმა ერთად მოიყარა თავი. ამის გაკეთება შეეძლო მხოლოდ და მხოლოდ ასლან აბაშიძეს. მე, სიმართლე გითხრათ, ფინანსურად არ მიჭირს, მაგრამ მთელი პარლამენტის დაპატიჟებას ნამდვილად ვერ გავწვდებოდი. აი, ახლა ვიცე-სპიკერად რომ ავერჩიე, სუფრა ხომ უნდა მეკისრა? ჰოდა, სულ ვფიქრობდი, ვინ დამეპატიჟა. 50 კაცს, მაგალითად, თავისუფლად გავწვდები კარგი პურ-მარილით, მაგრამ 250 კაცი შვილის ქორწილში მყავდა... ამდენი ხალხი ცოტა ძნელი გასამასპინძლებელია. სულ ვითვლიდი, ჩემი ფრაქცია ხომ უნდა ყოფილიყო, ბლოკის პოლიტსაბჭო და მოქალაქეთა კავშირის პოლიტსაბჭოც აუცილებლად უნდა დამეპატიჟა, მრეწველებსაც ვერ ვაწყენინებდი და სიმართლე გითხრათ, ძალზე ცუდ დღეში ვიყავი ჩავარდნილი.



**— ასე რომ, გაგიხარდათ კიდეც, რომ არ აგირჩიეს?**

— გახარებით ნამდვილად არ გამხარებია, მაგრამ, როგორც ხედავთ, თავსაც არ ვიკლავ.

მოგეხსენებათ, ამ სავარძელს კარგა ხანს უმიზნებდა ვახტანგ რჩეულიშვილი, მაგრამ თავის დროზე პრეზიდენტის პარტიამ მას მხარი არ დაუჭირა. რჩეულიშვილს ამომრჩევლებთან შეხვედრაზე გაკეთებული განცხადება „შევარდნაძე სანაგვეზე, მოქალაქეთა კავშირი სანაგვეზე“ — არ აპატიეს. ამის შემდეგ პარლამენტის მე-5 ვიცე-სპიკერის ცარიელი ადგილი აღარავის გახსენებია.

როგორც ჩანს, ეს საკითხი „ბათუმური საიდუმლო სერობის“ დროს წამოტივტივდა. უმცირესობამ კვლავაც რჩეულიშვილის კანდიდატურა წამოაყენა. ამჯერად არაპროგნოზირებად სოციალისტთა ლიდერის საწინააღმდეგო, „პარლამენტის, მოქალაქეთა კავშირის და უმრავლესობის ხელმძღვანელობას არაფერი ჰქონდა. ჩვენი დეპუტატების ერთმა ნაწილმა თავდაპირველად თანხმობის ნიშნად სოცალისტებს გადასცეს პულტები, თუმცა შემდეგ კენჭისყრის გადადება მოვითხოვეთ.“ — განაცხადა მოქალაქეთა კავშირის წევრმა, ირაკლი ჩუბინიშვილმა. მიუხედავად ამისა, პარლამენტის სესიაზე ეს საკითხი ჩავარდა, რადგან თავისი მკვეთრი და ხისტი პოზიცია მოქალაქე ნინო ბურჯანაძემ დააფიქსირა: „ძალიან გთხოვთ ნუ გამოვიჩენთ უპრინციპობას და ნურავის ვაპატიებთ პრეზიდენტის შეურაცხყოფას, ნუ გადავაქცევთ პოლიტიკას ბინძურ საქმედ. საქართველოში სამწუხაროდ თანამდებობები იმის მიხედვით ნაწილდება, ვინ უფრო მეტ პრობლემებს შექმნის“ — განაცხადა მან. ბურჯანაძის პოზიცია საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა თვით საპარლამენტო უმრავლესობისთვისაც.

**— ბატონო ვახტანგ, ბანკეტზე ამდენი ხალხი შერიგდა და ბარემ თქვენ და ბურჯანაძეც შერიგებულიყავით...**

— მე მაგასთან შესარიგებელი არაფერი მჭირს. ნინო ბურჯანაძე არ არის ისეთი დონის პოლიტიკოსი, რომელთანაც რამე პოლიტიკური ურთიერთობები უნდა გავარჩიო.

**— თამადა ვინ იყო?**

— თამადა იყო რეზო მიშველაძე, რომელმაც მართლაც არაჩვეულებრივად ითამადა. შესანიშნავი დითირამბები უმღერა პრეზიდენტსაც, ასლანსაც, მოქკავშირსაც... აბსოლუტურად ყველას, ჯუმბერ პატიაშვილსაც კი „მოეფერა“ და ჩემი სადღეგრძელოც ვიცე-სპიკერებთან ერთად დალია.

**— ეგ როგორ? თქვენც ვიცე-სპიკერის რანგში გაგიყვანათ?**

— რა ვიცი, ასე გამოდის... ეს გაუმარჯოს გიგი წერეთელსო, ელდარ შენგელაიას, როსტომ ჯაფარიძეს, ვახტანგ ყოლბაიას და ვახტანგ რჩეულიშვილსო. მე ვუთხარი, კაცო, შენ ისე მოგივიდა, პრეზიდენტის სადღეგრძელოზე შევარდნაძე და პატიაშვილი ერთად რომ გედღეგრძელებინა-მეთქი.

**— პრეზიდენტი არ იყო დაპატიჟებული?**

— როგორ არა, რამდენადაც ვიცი, პეტრე მამრაძეს გაუგზავნეს მოსაწვევი, მაგრამ არც თვითონ პეტრე მოსულა და არც პრეზიდენტი. საერთოდ, შევარდნაძე ასეთ დიდ ბანკეტზე თბილისში არასოდეს მინახავს, ყოველ შემთხვევაში, ჩემი მასთან ახლო მეგობრობის პერიოდში. ერთადერთი, სადაც იგი დიდი სიამოვნებით ქეიფობს, არის კახეთი — წინანდალი. თუმცა, შევარდნაძე არ იყო, მაგრამ მისი სადღეგრძელო დავლიეთ. ამ სადღეგრძელოზე ყველაზე საკვირველი რეაქცია მამუკა გიორგაძეს ჰქონდა — მე ჩემი პრეზიდენტი მყავსო, წავიდა და პატიაშვილი ადღეგრძელა.

**— სხვათა შორის, „ავი ენები“ ამბობენ, მოქალაქეთა კავშირმა ეს პურ-მარილი ასლან აბაშიძეს „შეაწერაო“.**

— ასლან აბაშიძე ის კაცი არ არის, რომ ვინმემ რაიმე „შემაწეროს“ ან თვითონ „შეიწეროს“. ეს გახლდათ უბრალოდ კეთილი ნების გამოხატვა და ცენტრის და ბათუმის მხრიდან ერთმანეთისაკენ გარკვეული ნაბიჯების გადადგმის მცდელობა.

**— ცენტრსა და ბათუმს შორის ურთიერთობის დარეგულირება თავისთავად მისასალმებელია, მაგრამ როგორ ფიქრობთ, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ აღორძინება, როგორც ოპოზიციური ძალა, ფაქტობრივად, აღარ იარსებებს?**

— ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეკითხვაა და ამაზე მეც ბევრი მიფიქრია. ეტყობა, ბლოკ „აღორძინების“ ოპოზიციონერობას თავისი საზღვარი აქვს. საზღვარი თავისთავად არსებობს ცენტრსა და რეგიონს შორის დაპირისპირების საკითხშიც. რაღაც ეტაპზე ეს უთანხმოება საქართველოსთვის საზიანო ხდება. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ორთქლი რომ არ გამოშვებულიყო და საპრეზიდენტო არჩევნებში აბაშიძეს შევარდნაძისთვის არ დაეჭირა მხარი (ან, ყოველ შემთხვევაში, ნეიტრალური პოზიცია არ დაეკავებინა), ამ დაპირისპირებას შესაძლოა ძალზე საშიში ფორმა მიეღო. თავისთავად, „აღორძინება“ არ არის კლასიკური ტიპის ოპოზიციური პარტია, რადგანაც ის არის მმართველი ძალა აჭარაში. ამიტომაც ხშირად პარტიულ ინტერესზე მაღლა სახელმწიფოებრივი ინტერესი დგება. „მოქალაქეებსა“ და „სოციალისტებს“ შორის დაპირისპირება ქვეყანას არაფერს დაუშავებს, მაგრამ „მოქალაქეებსა“ და „აღორძინებას“ შორის მკვეთრი, რადიკალური უთანხმოება არ შეიძლება, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში დიდი ალბათობაა, რომ საქართველო გახლეჩვამდე მივიდეს. თუმცა, ამის მიუხედავად, „აღორძინება“ საპარლამენტო ოპოზიციად მაინც რჩება.

P.S. ბანკეტზე დაუსწრებლობის მიზეზის გასარკვევად აკაკი ასათიანთან მისულებმა აუდიენციაზე ცივი უარი მივიღეთ; ხათუნა გოგორიშვილი მეორე დილით ნაბახუსევზე საზღვარგარეთ გამგზავრებულა; მიშა სააკაშვილი ფრიად მნიშვნელოვანი და საქმიანი შეხვედრებით იყო დაკავებული; თამადის — რევაზ მიშველაძის საპატიო მიზეზს აღარ დავაკონკრეტებ, დანარჩენი დეპუტატების (ცხადია, ყველას არ ვგულისხმობ) სამსახურში გამოუცხადებლობის მიზეზი, ჯერ ერთი, არასასესიო დღე გახლდათ და მეორეც... ნაქეიფარი პარლამენტი „პახმელიაზე“ თოფაძის მიერ ნაჩუქარი 1.000 ბოთლი ლუდით გამოდიოდა.

***ხათუნა ყვირალაშვილი***
***ნათია გოგსაძე***

# ინტრიგა

სიტყვა „ინტრიგა“ — ფრანგული წარმოშობისაა და რაიმე მიზნის მისაღწევად ფარულ მოქმედებას, ხრიკებს ნიშნავს, შესაბამისად, „ინტრიგანი“ — ამ ხრიკების მომწყობ ადამიანს ეწოდება. აღნიშნული სიტყვა იმათ გასაგონად განვმარტეთ, ვინც საკუთარი თუ სხვისი უფლებების შელახვის წინააღმდეგ ხმის ამომღებს ინტრიგანს უწოდებს. თურმე ჟურნალისტი, რომელიც ვისიმე ღირსების შებღალვას წინ აღუდგება და კონკრეტულ სიტუაციაში უსამართლოდ შეურაცხყოფილს გამოესარჩლება, ინტრიგანი ყოფილა. მე, პირადად, პირველად ეს „წოდება“ ამ რამდენიმე წლის წინ მომანიჭეს. ერთ მშვენიერ დღეს, კახეთის ერთ-ერთი რაიონიდან ჩამოსულმა ნაცნობმა ტელეფონზე დამირეკა და შეწუხებულმა დახმარება მთხოვა, — ამწუთას სოფლიდან ჩამოვედით, მეტროსადგურ „სამგორის“ მორიგე პოლიციელებმა უსაფუძვლოდ დაგვაკავეს, მე გამომიშვეს, ხოლო ჩემი ორი მეგობარი ისევ იქ იმყოფებიანო. იმ პერიოდში მეტროპოლიტენის დაცვის თანამშრომლები სისტემატურად სჩადიოდნენ ამგვარ საქციელს. მაშინვე მეტროსადგურ „სამგორისკენ“ გავეშურე. სამორიგეოში შევედი თუ არა, პოლიციის თანამშრომლებს საკმაოდ ზრდილობიანად ვთხოვე, ჩემი ნაცნობების დაკავების მოტივი აეხსნათ.

ერთი „ნაჩალნიკი“ არა გვყოფნის, ახლა შენ გაბაროთ „აჩოტებიო“, — მომიგო ერთ-ერთმა ღიპიანმა ირონიით და აქეთ შემომიბრუნა შეკითხვა, — ვინ დაგნიშნა ამათ ადვოკატადო.

ვიდრე პოლიციის განყოფილებაში შევიდოდი, მეტროსადგურის წინ მომლოდინე ჩემმა ნაცნობმა ამიხსნა, მე პასპორტი წესრიგში მქონდა და ამიტომ გამომიშვეს, ხოლო იმ ორიდან ერთს პირადობის დამადასტურებელი არანაირი საბუთი არ გააჩნია, მეორეს — ყოფილ საბჭოურ პასპორტში მეორე სურათი არ აქვს ჩაკრული და ამიტომ ჯარიმის სახით პირველს 10 ლარი მოსთხოვეს, მეორეს კი — ხუთიო. პოლიციელებთან პირველივე გასაუბრებისას მივხვდი, რომ რიგითი მოქალაქის პოზიციიდან ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა, ამიტომ ჟურნალისტის მოწმობასთან ერთად ჯიბიდან დიქტოფონი ამოვიღე და ვთხოვე, განემარტათ, რამდენად სამართლიანად დააკავეს ბიჭები მაშინ, როდესაც არც კომენდანტის საათი იყო გამოცხადებული და არც საპასპორტო რეჟიმი. პოლიციის თანამშრომლები მოულოდნელობისგან აშკარად დაიბნენ და ყოვლად უსაფუძვლო არგუმენტების მოშველიებით ცდილობდნენ სიტუაციიდან თავის დაძვრენას. ბოლოს, რომ აღარ მოვეშვი და თავის გასამართლებელი ყველა გზა მოვუჭერი, ერთ-ერთმა თანამშრომელმა (სამნი იყვნენ) ღიპიანს გადაულაპარაკა: — აი, ვინცხა ინტრიგანია, რამე შარი არ ევიკიდოთ. სჯობია, გავუშვათო.

ძმაო, სხვა გზა არა გვაქვს. სწორად გაგვიგე, რა... ჩვენც ოჯახები გვაქვს და ჭამა გვინდა. ამ მთავრობის შემყურე შიმშილით დავიხოცებით, — მომიგო ღიპიანმა და საბოლოოდ, ამჯერად უკვე გულწრფელად, სცადა თავის მართლება. ასეთმა პასუხმა ერთ-ერთი დაკავებული შეაგულიანა და ღიპიანს აღშფოთებული ხმით მიმართა: — შე კაი კაცო, ჩემს დედაქალაქში ჩამოვედი, სან-ფრანცისკოში ხომ არა? რა პასპორტსა მთხოვ, რა მიგავს ყაჩაღსა და ციხიდან გამოქცეულს? არიფები გვნახე და გინდა ფული გააკეთო? ვინც მართლა ფულიანია, იმას წაართვი, რაღა...

ისინი მეტროთი არ დადიან და რანაირადო, — უპასუხა მიამიტურად ღიპიანმა. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, დაკავებულები „დაუჯარიმებლად“ გამოუშვეს.

საბედნიეროდ, დღეს მორიგე პოლიციელთა მხრიდან მსგავსი თავნებობა და მგზავრთა უმიზეზო გაჩხრეკის ფაქტები თითქმის აღარ ხდება და ისინი მხოლოდ საკუთარ მოვალეობასღა ასრულებენ. მაგრამ, როგორც ჩანს, დაგვიანებული, თანაც არცთუ დიდი ხელფასებით კვლავ ვერ კმაყოფილდებიან და ზოგიერთმა მათგანმა ჯიბის ფულის შოვნის სხვა ფორმას მიაგნო. ამ რამდენიმე დღის წინ, ერთ-ერთ მეტროსადგურში შესვლისას მორიგე პოლიციის თანამშრომელმა საკმაოდ მორიდებით მთხოვა, — ჟეტონი მე მომეცით და გაგატარებთო, უარის ნიშნად თავი გავუქნიე, ჟეტონი ავტომატში ჩავუშვი და გავიარე. ჩემდა სასიხარულოდ, მას უკმაყოფილება არ გამოუხატავს, თორემ ხმა რომ ამოეღო, ალბათ არ დავუთმობდი და ამ შემთხვევაშიც „ინტრიგანის“ იარლიყს ავიკიდებდი. ცხადია, მის საქციელს გამართლებას მეც მოვუძებნი და ვიტყვი, რომ ამას მხოლოდ და მხოლოდ გაჭირვების გამო სჩადის. უფრო მეტიც, ის თუ ოცოცი თეთრით ცდილობს ფონის გასვლას, სამაგიეროდ, სხვები ასიათასობით თანხებს სცანცლავენ ჩვენს ბიუჯეტს და ამის გათვალისწინებით მისი გაკიცხვა შესაძლოა, უხერხულიც იყოს. პირადად ჩემთვის თითქმის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, აპარატში ჩავუშვებდი ჟეტონს თუ მის ჯიბეში, მაგრამ ჩვენი უბედურება სწორედ ის არის, რომ აქლემისა და ნემსის ქურდი ერთი და იგივეა და ვისაც რამდენზე მიუწვდება ხელი, სწორედ იმდენს იპარავს იმ ბიუჯეტიდან, საიდანაც ისევ მათვე უნდა მიიღონ ხელფასები. სამწუხაროდ, დღევანდელი დუხჭირი ცხოვრების გამო ბევრს უჭირს კანონით განსაზღვრული წესებისა და ნორმების დაცვა და ამიტომ იძულებულია, დამატებითი საარსებო წყარო აკრძალული ხერხებით მოიპოვოს. მაგრამ რა ქნას ადამიანმა, რომელსაც დადგენილი წესითაც ახდევინებენ საკმაოდ დიდ თანხას და დაახლოებით ერთ იმდენს კიდევ დამატებით სთხოვენ? გასულ ოთხშაბათს დედაქალაქის ერთ-ერთ სამშობიარო სახლში ჩემი მეგობრის მეუღლისა და მათი ახალშობილის გამოსაყვანად მივედით. მეგობარს ოფიციალურად დაწესებული თანხა უკვე გადახდილი ჰქონდა, მაგრამ მისი მეუღლის სამშობიარო სახლში მოთავსების დღიდან გამოწერის დღემდე დამატებით, სხვადასხვა მოტივით, თანხის გარკვეულ რაოდენობას მალიმალ ითხოვდნენ და ისიც, იმის შიშით, რომ ბავშვს არაფერი მოაკლონ და აქედან ჯანმრთელი გავიყვანოო, იძულებული იყო, მათი მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა. გამოწერის დღეს მისმა მეუღლემ საკუთარი პალატის ფანჯრიდან წერილი ჩამოგვიგდო, სადაც ითხოვდა, უფრო სწორად, მას სთხოვდნენ 35 ლარს, საიდანაც თურმე 15 ლარი ბავშვის ექიმისთვის უნდა მიეცა, 10 — მთავარი ექთანისთვის და 5-5-იც — სანიტრისა და დამლაგებლისთვის. მედპერსონალის თავგასულობით აღშფოთებულმა, 35 ლარის ასაღებად სამშობიარო სახლის შესასვლელთან ჩამოსულ ორ თეთრხალათიან ქალბატონს საკმაოდ კორექტულად ავუხსენი, რომ არასწორად იქცეოდნენ, მაგრამ აქეთ შემომიტიეს და თავი იმართლეს — ჩვენი ყოველთვიური ანაზღაურება სულ რამდენიმე ლარია და ამიტომ იძულებულნი ვართ, პაციენტებს დამატებითი თანხები გადავახდევინოთო. რადგან საერთო ენა ვერ გამოვნახეთ, სამშობიაროს მთავარ ექიმთან ასვლა დავაპირე. ამის გაგონებაზე ერთ-ერთმა საკმაოდ აგრესიულად მომიგო: — ჯერ ერთი, მაღლა ასვლა არ შეიძლება და მეორეც, რას ინტრიგანობ და გვაშინებო... აქ უკვე ჟურნალისტის საბუთი ვუჩვენე და თან გავაფრთხილე, რომ ყველაფერს გაზეთში დავწერ-მეთქი. როგორც ჩანს, მუქარამ გაჭრა, პირველი თეთრხალათიანი უხმოდ გამშორდა, ხოლო მეორემ დამშვიდება დამიწყო და თან მთხოვა, დაბლა დაიცადეთ და ყველაფერს გავარკვევო. დაახლოებით ნახევარ საათში ჩემი მეგობრის მეუღლე თავის ციცქნა გოგონასთან ერთად უკვე გარეთ იყო (გარკვეული მიზეზების გამო შეგნებულად არ ვასახელებთ იმ სამშობიარო სახლს). როგორც ვხედავთ, ძვირფასო მკითხველო, ძალიან ბევრი საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობს და ნაკლებად აინტერესებს, რამდენად სწვდება თქვენი ჯიბე მათ პრეტენზიულ მოთხოვნებს. ადამიანთა უფლებების იგნორირების ფაქტებს დღეს თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებით და ვზარალდებით როგორც მორალური, ისე მატერიალური თვალსაზრისით. არადა, თუკი ჩვენი ღირსების თუ პატივის შემლახავებს მორჩილებით შევხვდებით და წინ არ აღვუდგებით, ისე გადაგვთელავენ, „როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“. ამიტომ სასურველია, კარგად გავერკვეთ ჩვენს უფლებებში და სულ რომ ინტრიგანი გვეძახონ, ყოველთვის მოვითხოვოთ ის, რაც გვეკუთვნის ან გავცეთ იმდენი, რამდენიც საჭიროა, წინააღმდეგ შემთხვევაში, უბრალო ჩინოვნიკით დაწყებული, ბაზრის მოვაჭრით დამთავრებული, რბილად რომ ვთქვათ, ჩვენი სარჩენი გახდება და ამას ჩვენი ჯიბე და ჩვენი ნერვები ვერ გაუძლებს. მით უმეტეს, მაშინ, როცა ინტრიგანობა სულ სხვა რამეა და საკუთარი უფლებების დაცვა — სულ სხვა.

***მამუკა ხუციშვილი***

# რუსული სამხედრო ბაზები უკანასკნელ წლებს ითვლიან?!

გასულ კვირის ბოლოს, მოსკოვში ორმხრივი მოლაპარაკება გაიმართა რუსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერ ილია კლებანოვსა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ირაკლი მენაღარიშვილს შორის. მხარეებმა საჭირბოროტო სამხედრო-პოლიტიკური საკითხები განიხილეს, კონკრეტულად კი, რუსეთის სამხედრო ბაზების შემდგომი ბედი საქართველოს მიწაზე.

ნადიბაიძის მინისტრობის დროს მოსკოვს თავი ქუდში ჰქონდა და ეჭვი არ ეპარებოდა, რომ საქართველოში თავის სამხედრო ბაზებს მთელი 25 წლით დაიკანონებდა.

დღეს სიტუაცია შეიცვალა. 1999 წლის ნოემბრის სტამბოლის სამიტის შემდეგ, ფაქტობრივად, რუსეთი ველარსად გაექცევა პირობის აღსრულებას და დაახლოებით ერთ წელიწადში თავისი სამხედრო ბაზების შემცირებას უნდა შეუდგეს. მანამდე კი, წლის ბოლომდე, რუსების მძიმე შეიარაღების რაოდენობა 153 ტანკს, 241 ჯავშანტექნიკასა და 140 საარტილერიო სისტემას არ უნდა აღემატებოდეს.

მოსკოვში მოლაპარაკებისას გადაწყდა, რომ უკვე 15 მაისისთვის რუსეთის მხარემ უნდა შეადგინოს ის ხარჯთაღრიცხვა, რაც საბრძოლო ტექნიკის შემცირებას დასჭირდება. რუს გენერლებს ცალკე აქვთ დასაანგარიშებელი ვაზიანისა და გუდაუთის სამხედრო ბაზების სალიკვიდაციოდ აუცილებელი თანხები. არ არის გამორიცხული, რომ დასავლეთმა (მათ შორის NATO-მაც) გარკვეული ფინანსური დახმარება გაუწიოს რუს სამხედროებს საქართველოდან წასასვლელად. დაახლოებით ამგვარად წარიმართა საბჭოთა ჯარების გამოსვლა გერმანიიდან, რასაც დღემდე ვერ ჰპატიობს რუსეთის გენერალიტეტი საქართველოს პრეზიდენტს. რუსი სამხედროების აზრით, მაშინ შევარდნაძემ ხელი მოაწერა ჯარების გამოყვანისთვის საჭირო დროის ძალზე შემცირებულ ვადებს, რის გამოც ეს ნაწილები რუსეთის ტერიტორიაზე დაბრუნებისას ტრიალ მინდორში აღმოჩნდნენ.

აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, მოსკოვმა დაუწყოს ვაჭრობა დასავლეთს — დილით — ფული, საღამოს — ბაზების გაყვანა.

თუმცა, კრემლს პატარა ეშმაკობა აქვს ჩაფიქრებული — შეიძლება 2001 წლის 1 ივლისისთვის გუდაუთისა და ვაზიანის სამხედრო ბაზები მართლაც იყვნენ ლიკვიდირებულნი, ოღონდ ერთი ნიუანსით — ვაზიანის სამხედრო აეროდრომი მაინც რუსების განკარგულებაში დარჩება.

მოსკოვი, საქართველოში თავისი სამხედრო ძალების შემცირების პარალელურად, აძლიერებს სომხეთში, გიუმრიში განთავსებულ 102-ე სამხედრო ბაზას. შარშან სომხეთში რუსებმა გადაისროლეს შედარებით თანამედროვე С-300 ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების ერთი დივიზიონი და МиГ-29 გამანადგურებლების ავიაჯგუფი 18 თვითმფრინავის შემადგენლობით. ყოველივე ამან კი მკვეთრად გააუმჯობესა რუსეთის სამხედრო ბაზების არა მარტო გიუმრის, არამედ ახალქალაქის 62-ე სამხედრო ბაზის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა.

სხვათა შორის, როდესაც „კვირის პალიტრა“ სომხეთის თავდაცვის სამინისტროში სტუმრობისას დაინტერესდა რუსული იარაღის შემდგომი ბედით, მას, უბრალოდ, განუმარტეს — სომხეთის ტერიტორიაზე მდგარი ნებისმიერი საბრძოლო ტექნიკა მათ დარჩებათ, როცა კი ამას მოინდომებენ.

# კავკასია ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს ჯერ ვერ ელევა...

19-21 აპრილს, სომხეთში, ცახკაძორში გაიმართა სემინარი სახელწოდებით — „ქვეითსაწინაღმდეგო ნაღმების პრობლემა კავკასიაში და მისი გაშუქება მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ“.

ის, რომ კავკასიის და მათ შორის ჩვენი, საქართველოს, ტერიტორიების საკმაო ნაწილი კვლავ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებითაა მოფენილი, კარგადაა ცნობილი. ეს პრობლემა „კვირის პალიტრას“ არაერთხელ წამოუჭრია და ეტყობა, ესეც იყო იმის მიზეზი, რომ სემინარზე საქართველოდან სწორედ ჩვენი გაზეთი მიიწვიეს. ქართულ დელეგაციას ჰელსინკის სამოქალაქო ასამბლეის საქართველოს კომიტეტის კოორდინატორი ალექსანდრე რუსეცკი ხელმძღვანელობდა.

საქართველო, ისევე როგორც სომხეთი და აზერბაიჯანი, საკმაოდ დააზარალა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებმა, რომლებიც ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში შემოიზიდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის — ЗакВО-ს შესაიარაღებლად და ისინი მხოლოდ მაშინ უნდა გამოეყენებინათ, თუკი NATO-ს წევრი თურქეთის არმია სამხრეთ კავკასიისკენ დაიძვრებოდა; მაგრამ მრავალწლიანი „ცივი ომი“, საბედნიეროდ, არ „გალღვა“; სამაგიეროდ, თავად საბჭოთა კავშირი დაიშალა და ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებმაც თავისი „საქმის“ კეთება დაიწყეს.

ყოფილი საბჭოთა მე-7 არმიის საწყობებიდან ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები სომხებს დარჩათ „ფეშქაშად“, მე-4 არმიისა — აზერბაიჯანელებს, ხოლო 31-ე საარმიო კორპუსისა — ქართველებს.

სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ყარაბაღის, ცხინვალისა და აფხაზეთის ომებში ფართოდ გამოიყენეს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები და მათ ბევრიც ემსხვერპლა. ბრძოლების შეწყვეტის მიუხედავად, უკვე დაყენებული ნაღმები, ბუნებრივია, კვლავ დარჩენენ საბრძოლო მზადყოფნაში და თავის ახალ მსხვერპლად უკვე მშვიდობიანი მოსახლეობა „აირჩიეს“.

სამხრეთ კავკასიაში დაწყებული შეიარაღებული კონფლიქტების პარალელურად მსოფლიოს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ წამოიწყო ფართომასშტაბიანი კამპანია ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების, როგორც არაჰუმანური იარაღის, საყოველთაო აკრძალვის შესახებ.

1997 წლის ბოლოს კი კანადაში, მსოფლიოს 122-მა ქვეყანამ ხელი მოაწერა ე.წ. ოტავის ხელშეკრულებას — „ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის კონვენციას“.

ათობით სახელმწიფო იწყებს ამ ტიპის შეიარაღების წარმოების შეწყვეტას და დაგროვილი ნაღმების მარაგის განადგურებას, თუმცა ისეთი გავლენიანი ქვეყნები, როგორებიც არიან აშშ, რუსეთი და ჩინეთი, თავს იკავებენ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების სრული განადგურებისგან.

სამხრეთ კავკასიის სამი რესპუბლიკიდან არც ერთი არ ითვლება ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების მწარმოებლად და ექსპორტიორად, მათ დღემდე არ მოუწერიათ ხელი ოტავის კონვენციაზე, რასაც თავისი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები აქვს.

ცახკაძორის სემინარზეც კარგად გამოჩნდა, რომ არც სომხები და არც აზერბაიჯანელები ამ საქმეში პირველი ნაბიჯის გადადგმას არ აპირებენ — ისინი ერთმანეთს არ ენდობიან.

შესაძლოა, ერევანს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს აკრძალვა არ აძლევს ხელს — მთიანი ყარაბაღისა და აზერბაიჯანის ოკუპირებული ტერიტორიის შენარჩუნებისთვის მსგავსი და სხვა სახეობის ნაღმები დიდ თავდაცვით ამოცანას ასრულებენ.

მეორე მხრივ, ოფიციალურ ბაქოს კარგად ახსოვს ყარაბაღში განცდილი მარცხი და რევანშისთვის ემზადება.

სომხეთის თავდაცვის მინისტრმა, გენერალლეიტენანტმა ვაღარშაკ არუთინიანმა შეხვედრისას არაორაზროვნად განაცხადა, — „სომხური და აზერბაიჯანული დანაყოფები, ერთმანეთისგან 100 მ-ით დაცილებულ სანგრებში, დღემდე სრულ მზადყოფნაში სხედან, ამიტომაც ამ კონფლიქტის სრულ მოგვარებამდე, წინა ხაზიდან ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების მოხსნაზე ყოველგვარი საუბარი ნაადრევია. ეს შეიძლება არაჰუმანურია, მაგრამ ეფექტური“.



ამ გამნაღმველ მანქანას კავკასიაში საქმე ჯერ ვერ მოუნახეს

არადა, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ასეთი დაპირისპირების ხაზი 900 კმ-ზეა გადაჭიმული.

ჯერჯერობით, უახლოეს მომავალში საეჭვოა, რომ სამხრეთ კავკასიაში დაიწყოს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების ფართომასშტაბიანი განაღმვითი ოპერაციები.

ცახკაძორის სემინარზე „კვირის პალიტრამ“ შეკითხვა დასვა:

— 7-10 წლის წინ ჩადებულ ნაღმებზე რატომ ვსაუბრობთ, როდესაც რუსეთის ფედერალური ჯარები საქართველო-ჩეჩნეთი საზღვრის დანაღმვას ფართო მასშტაბებით ამჟამადაც განაგრძობენ?

ადრე თუ გვიან ჩეჩნეთში საბრძოლო მოქმედებები შეწყდება, ხოლო გადასასვლელებში ჩამალული ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები ახალ საფრთხეს შექმნის.

განაღმვითი ოპერაციების დაწყება კავკასიის რეგიონში კიდევ უფრო საეჭვოდ გამოჩნდა იმის ფონზე, რაც ჩვენი სომხეთში ყოფნის დროს მოხდა. ერევნის ცენტრში გამართულ მიტინგზე რუსეთ-ბელორუსიის ხელშეკრულებასთან შეერთების კატეგორიული მოთხოვნები გაისმა. არადა, ამ სახელმწიფოების პაქტს რომ მთლად სამშვიდობო მიზნები არ ამოძრავებს, ბელორუსიის პრეზიდენტმა ლუკაშენკომ დაუფარავად განაცხადა — უნდა შევქმნათ რუსეთ-ბელორუსიის არმიების 300 ათასიანი მძლავრი დაჯგუფება, რომელიც აღმოსავლეთისკენ წამოსულთ დაუპირისპირდებაო.

თუკი ერევანიც შეუერთდება ამ პაქტს, ბუნებრივია, დაიწყება სამხრეთი მიმართულების გაძლიერებაც, რაც საბოლოოდ სამხრეთ კავკასიის კიდევ ახალ მილიტარიზებას გამოიწვევს. მით უმეტეს, რომ აზერბაიჯანის და საქართველოს თავდაცვით უწყებებს წმინდა დასავლური, NATO-სთან ინტეგრირების კურსი აქვთ აღებული.

ფაქტობრივად, თუ დღემდე ორი, ერთმანეთთან დაპირისპირებული ბანაკი ევროპაში არსებობდა, მალე ანალოგიური სიტუაცია ალბათ სამხრეთ კავკასიაშიც შეიქმნება — ერთი მხრივ, NATO-ფილური, თბილისისა და ბაქოს სახით და, მეორე მხრივ, მოსკოვზე გადაჯაჭვული ერევნით.

დღეს სომხეთი კატარღას ჰგავს, რომელიც დიდ გემზე — რუსეთზეა მიბმული, ოღონდ ამ უკანასკნელს ნაპრალებში წყალი ეპარება და შეიძლება ფსკერისკენაც წავიდეს. ჩაიყოლიებს თუ არა თან სომხეთს, ამაზე ოფიციალური ერევანი დიდი ხანია ფიქრობს. ყარაბაღის ომში გამარჯვებამ, რამდენადაც მოულოდნელი არ უნდა იყოს, სომხეთი, გარკვეულწილად, მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო და პოლიტიკური მანევრირების საშუალება მოუსპო. ჭკვიანი ხალხი ხვდება — მარტო რუსეთისკენ აღებული გეზი სომხეთს დაღუპავს!

P.S. ჩვენს ერთგულ მკითხველს ალბათ ემახსოვრება „კვირის პალიტრის“ მიერ სამიოდე წლის წინ ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიება, რომლითაც დადგინდა, რომ 1993 წლის ნოემბერში საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალებისთვის კოპიტნარიდან მოპარული, ახალთახალი Су-25 მოიერიშე თვითმფრინავი რუსმა მფრინავმა ჟიტნიკოვმა სწორედ სომხეთში დასვა. სომხეთის თავდაცვის მინისტრ არუთინიანთან (სხვათა შორის, ეს ახალგაზრდა გენერალ-ლეიტენანტი სამხედრო მეზღვაურია და ბოლო ხანამდე რუსეთის თავდაცვის სამინისტროში მუშაობდა) ზემოხსენებულ ფაქტზე კომენტარის გაკეთება მართალია, ვერ მოხერხდა, მაგრამ სხვა მაღალჩინოსანმა სომეხმა სამხედროებმა არაოფიციალურ საუბრებში „კვირის პალიტრას“ დაუდასტურეს, რომ ის ქართული Су დღესაც მშვენივრად გრძნობს თავს სომხეთის ცაში.

კომენტარი, როგორც იტყვიან, ზედმეტია.

***ცახკაძორი — თბილისი***

# ქართულ „მცურავ კამიკაძეს“ გამარჯვების მოპოვება არ დააცალეს...

## *აფხაზეთის ომის ერთი გაუხმაურებელი ეპიზოდი*

ამის შესახებ სტატიის ავტორს დღემდე არ დაუწერია, თუმცა მას შემდეგ შვიდმა წელმა განვლო...

აფხაზეთის ომის დროს თითქოს ქართულ არმიას არ აკლდა არც საბრძოლო მასალები და არც მძიმე ტექნიკა. ახალციხის მე-10 კადრირებული მოტომსროლელი დივიზიის შეიარაღება 1992 წლის ზაფხულში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ЗакВО-ს გენერლები და განსაკუთრებით სარდლის მოადგილე ბეპაევი, უზარმაზარ ფინანსურ მაქინაციებში იყვნენ გახვეულნი და ერჩივნათ, მოსკოვისთვის მოეხსენებინათ — მთელი დივიზიის შეიარაღება თბილისს გადავეცითო. სინამდვილეში მათ ნახევარზე მეტი იარაღი და ტყვია-წამალი მიყიდული ჰქონდათ ძირითადად ყარაბაღში მებრძოლი სომხური არმიისთვის.

მეორე მხრივ კი, თუკი ქართული მხარე მოითხოვდა შეიარაღების ზუსტი ცხრილების დადგენას, შეიძლება არც არაფერი მიეღო, რადგან მაშინ დღე-დღეზე უნდა გამოსულიყო რუსეთის დუმის დადგენილება — საქართველოსთვის ყოფილი საბჭოთა იარაღის გადაცემის აკრძალვის შესახებ.

ასე იყო თუ ისე, ქართულ არმიას სახმელეთო შემტევითი იარაღი გაუჩნდა ტანკებისა და ჯავშანმანქანების სახით. მისი საჰაერო უზრუნველყოფა კი ძირითადად თბილისის საავიაციო ქარხანამ აიღო თავის თავზე და 14-მდე Су-25 ტიპის მოიერიშე გადასცა ქართულ სამხედრო ავიაციას.

აფხაზეთის ომი კი, მანამდე გამართული ყარაბაღისა თუ დნესტრისპირეთის შეიარაღებული კონფლიქტებისგან განსხვავებით, ბუნებრივი გარემოს სამივე ფაზაში — მიწაზე, ჰაერსა და წყალზე მიმდინარეობდა. ზღვაში კი ქართველებს მოწინააღმდეგესთან არავითარი უპირატესობა არ გააჩნდათ; პირიქით, აფხაზეთის ომის, განსაკუთრებით კი მის ბოლო პერიოდში, აფხაზმა სეპარატისტებმა საკმაო უპირატესობა მოიპოვეს ზღვაზე. ამის დასტურია 1993 წლის 2 ივლისის საზღვაო დესანტი ტამიშთან ( სხვა საქმეა ის, რომ ამ სადესანტო ოპერაციაში რუსეთის შავი ზღვის ფლოტი ეხმარებოდა მათ) და, განსაკუთრებით, იმავე წლის სექტემბრის ბოლო, როდესაც აფხაზებმა სწრაფმავალი სასაზღვრო-სადარაჯო კატარღებით — „გრიფებით“ (ექვსი „გრიფი“ რუსმა მეზღვაურებმა მისცეს ან მიყიდეს სეპარატისტებს) მოახდინეს სოხუმისა და ბაბუშერის საზღვაო აკვატორიის ბლოკირება. ამ „გრიფებიდან“ ნასროლი საზენიტო რაკეტებით— „სტრელებით“ მოწინააღმდეგემ ბაბუშერის აეროპორტის მისადგომებთან დააზიანა და ჩამოაგდო სამგზავრო თვითმფრინავი Ту-154.



ქართველი სამხედროები ზღვაში რადიომართულ „რაკეტმზიდს“ უშვებენ. აფხაზეთის ომი.

არადა, ქართული მხარე ზღვაში ბრძოლისთვის მხოლოდ სამოქალაქო მცურავ საშუალებებს იყენებდა, რომლებზეც მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღი კუსტარულად იყო დამონტაჟებული (ამის მაგალითად ქართული სამხედრო ფლოტის ფლაგმანი „კოდორიც“ გამოდგება).

ფაქტობრივად, ქართულ მხარეს არ გააჩნდა მცურავი საშუალება, რომელიც ზღვაში აფხაზების სწრაფმავალ „გრიფს“ (მაქსიმალური სიჩქარე არანაკლებ 32-36 კვანძი) „დაიჭერდა“ (თუ რატომ არ მიაწოდა ბათუმის გემთმშენებელმა ქარხანამ ანალოგიური „გრიფები“ საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებს, ეს დღევანდელი პოლიტიკურ ლიდერებს, სჯობდა, დღემდე გაერკვიათ).

ასეთ სიტუაციაში, როდესაც პოლიტიკური მიზეზების გამო ქართველი სამხედრო მეზღვაურები აშკარად წამგებიან მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ბუნებრივია, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებსაც სურდათ თავიანთი ცოდნით ოდნავ მაინც გამოესწორებინათ საქმე.

სტატიის ავტორი უშუალო მონაწილე იყო ამ გამოცდებისა, რომლებიც ომის დროს, სოხუმში, მაიაკის რაიონში ხორციელდებოდა. თავისი ქვეყნის სიყვარულით განმსჭვალულმა რამდენიმე ქართველმა, პირველ რიგში, რადიოკავშირის ინჟინერმა ალეკო ქავთარაძემ შედარებით უბრალო, მაგრამ ამასთანავე ეფექტური გამოსავალი მოიფიქრა — უეკიპაჟო რადიომართული კატარღა აფხაზების მცურავ საშუალებებს ტარანს გაუკეთებდა, ხოლო თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს ერთგვარი „კამიკაძეები“ ასაფეთქებელი ნივთიერებებით იქნებოდა სავსე, სეპარატისტების ბედს ნამდვილად ვერავინ ინატრებდა.



ავტორის ფოტოები

ერთ-ერთი პროექტის თანახმად, კატარღაზე დააყენებდნენ დისტანციური მართვის რადიოაპარატურას, რომელიც, თავის მხრივ, თვითმფრინავ-მოდელებიდან იყო მოხსნილი, შიგ იქნებოდა რამდენიმე ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი (იმ დროს სოხუმში ამ ნაღმების საკმაოდ დიდი რაოდენობა იყო). ხმელეთიდან ან სხვა კატარღიდან ოპერატორი დისტანციურად მართავდა დანაღმულ კატარღას და მას მოწინააღმდეგის მცურავ საშუალებას აჯახებდა, რის შედეგადაც ტანკსაწინააღმდეგო ნაღმების შეკვრა დეტონაციას განიცდიდა და მტრის გემს ნაცარტუტად აქცევდა.

არანაკლებ უჩვეულო იყო მეორე იდეა და მისი ნახვა თავად მკითხველს შეუძლია გამოქვეყნებულ სურათებზე. პატარა რადიომართული მოდელები მშვიდობიან პერიოდში სპორტული შეჯიბრებებისთვის გამოიყენებოდა. ქართველმა ინჟინრებმა ომის დროს კი მასზე უმართავი საავიაციო რაკეტის С-5-ის ერთი გასაშვები ლულა დაადუღეს. ოპერატორი დისტანციური პულტის საშუალებით ამ მცურავ მოდელს მოწინააღმდეგის გემის გვერდით ბორტს დაუმიზნებდა და რაკეტაც სტარტს აიღებდა. არცთუ ისე ცოტა იყო შანსი იმისა, რომ რაკეტა აუცილებლად მოხვდებოდა მტერს. ამასთან, ეს მცურავი მოდელი მრავალჯერადი გამოყენებისა გახლდათ, მაშინ როდესაც დანაღმული კატარღა „კამიკაძის“ როლს თამაშობდა.

რა თქმა უნდა, ამ რადიომართულ მცურავ საშუალებებს თავისი უარყოფითი მხარეები ჰქონდა — მცირე ღელვის შემთხვევაშიც „სარაკეტო მცურავი მოდელი“ ტალღებში „ჰყოფდა ცხვირს“ და რაკეტის მიზანში სროლა გაძნელებული იყო. შეიძლებოდა იმავე რადიომართვის აპარატურის უფრო დიდ კატარღაზე დაყენება, რომელიც ამასთან ერთი კი არა, რამდენიმე რაკეტგასაშვები მოწყობილობით იქნებოდა აღჭურვილი. გარდა ამისა, ოპერატორს ზედხედის უქონლობის გამო, უჭირდა ზუსტი დამიზნებების პროცესის განხორციელება.

ამ რადიომართული „იარაღის“ სერიული წარმოების შემთხვევაში ქართული სანაპირო დაცვა და, მით უმეტეს, სამხედრო მეზღვაურები საკმაოდ მრისხანე იარაღს შეიძენდნენ, რაც მოსპობდა ზღვაში აფხაზების „ბატონობას“.

თუმცა, როგორც სხვა შემთხვევაში, აქაც ქართველ ინჟინრებს მხარი ჯეროვნად არ აუბა ხელისუფლებამ და არც საკმარისი დაფინანსება გამოყო რადიოაპარატურისა და მცურავი საშუალებების შესაძენად.

საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების შეიარაღებაში ანალოგიური რადიომართული მცურავი საშუალებების არსებობა არც დღეისთვის იქნებოდა ურიგო, მით უმეტეს, თუკი ისინი დამატებით ტელეგადამცემი აპარატურითაც აღიჭურვებიან და ზღვაზე საძიებო-სადაზვერვო ამოცანებსაც შეასრულებენ.

***გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# პროფესია — ფირალი

## ილიას მკვლელობას „ლეგენდარული“ კამო გურულ „მოყვრებთან“ ერთად გეგმავდა

რატომ მაინცდამაინც „ფირალი“ და არა „ყაჩაღი“, „მძარცველი“ ან სხვა რამ.

იქნებ პასუხი თვით ამ სიტყვის ეტიმოლოგიაშია: თურმე არაბულად „ფირარ“ — გაქცეულს ნიშნავს.

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ გურიისა და გურულების ხსენება, არა მხოლოდ კრიმანჭულთან, „ადესასთან“, ჟორდანიასა და შევარდნაძესთან, არამედ (დღესაც კი) — ფირალებსა და ფირალობასთან ასოცირდება. ვინ იყვნენ ფირალები? — ჩაგრული ხალხის ქომაგი „რობინ ჰუდები“, „წითელი პარტიზანები“ თუ ჩვეულებრივი ყაჩაღები? იცვლებოდა საზოგადოებრივი წყობა-იდეოლოგია და კონიუნქტურის შესაბამისად იცვლებოდა პასუხიც ამ კითხვაზე. მაგალითად, ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში, ამჟამადაც, საქაღალდეებს, რომლებშიც თავმოყრილია მასალები ფირალების შესახებ, — „წითელი პარტიზანები“ აწერია. თუმცა ამ საქაღალდეების შიგთავსის გაცნობისას ბევრი მათგანის „წითლობაზე“ საფუძვლიანი ეჭვი შეგეპარება კაცს.

ცხადია, პირველ რიგში, ის მიზეზი უნდა ვიცოდეთ, რაც „ფირალად გავარდნას“ იწვევდა, მაგრამ ბევრს ესეც არაფერს მოგვცემს, რადგან მიზეზებიც მრავალგვარი იყო, — თავად განსაჯეთ: ოზურგეთის მუზეუმში დაცულია გურიაში პირველი ტერაქტის შემსრულებლის, 1901 წლიდან პარტიის წევრის, მირიან ხომერიკის ავტობიოგრაფია, სადაც ის ამბობს: „1900 წელს, შემიძვრა ტანში რაცხა, ისთე მომინდა კაცის კვლაი, ვეღარ გავჩერდი შინ და გადავვარდი ფირალად“, სულ სხვა იყო ცნობილი ფირალის, ნიკოლოზ მეხუზლას „გავარდნის“ მიზეზი (თუკი ამას მიზეზი შეიძლება ეწოდოს): ჩვეულებრივი მშრომელი გურული ოჯახის შვილმა, ერთ მშვენიერ დღეს, სიმინდის ყანის თოხნისას, გადახედა დარჩენილ, გაუთოხნავ ფართობს, მტკაველით თოხის პირი გადაზომა და განაცხადა: ამას რა გათოხნისო. თოფი იქვე ჰქონია — სახლშიც აღარ შეუვლია, პირდაპირ ტყეში წასულა და აღარც გამოსულა სიკვდილამდე. შიშის ზარს სცემდა ხელისუფლებას და ერთ-ერთი იშვიათთაგანი იყო, რომელმაც ხალხშიც ავტორიტეტი და სიყვარული მოიპოვა — ტყუილად და დაუმსახურებლად მის საქებარსადიდებელ ლექსს ხალხი არ შექმნიდა და ჩონგურზე არ დაამღერებდა. რა თქმა უნდა, იყო სხვა მიზეზებიც: ხელისუფლებასთან საკუთარი სიმართლის „ვერ გატანაც“ და წმინდა „იდეოლოგიურიც“, მაგრამ კიდევ ვიმეორებთ — ეს მიზეზები იყო მრავალი და მრავალგვარი და საერთო მათ მხოლოდ გურულების ფეთქებადი ხასიათი და პიროვნული ჩაგვრა-დამცირებისადმი შეურიგებლობა ჰქონდათ. თუმცა, ისეც არ უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა გურული გლეხი, რომელსაც ურიადნიკი თუ ბოქაული ნერვებს აუშლიდა — ტყეში გარბოდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამის ფიზიკური შესაძლებლობა ბევრს არ ექნებოდა, ამიტომ ბუნებრივია, რომ ვინც ფირალობდა — ძლიერიც იყო, უშიშარიც, ნიჭიერიც და თოფ-იარაღის ხმარებასა და მხედრობაში დახელოვნებულიც.

ფირალების ცხოვრებაზე ზერელე დაკვირვებაც საკმარისია დავასკვნათ, რომ წლების მანძილზე მთავრობისაგან დევნილ ადამიანებს, მით უმეტეს ისეთებს, რომლებიც ჩვეულებრივ შარაგზის ყაჩაღობას არ ეწეოდნენ, მხოლოდ ნათესავ-მეგობრების მატერიალური დახმარება არ ეყოფოდათ, თუნდაც ელემენტარული მოთხოვნილებების (ჭამა-სმა, ტანსაცმელი, იარაღი და ტყვია-წამალი) დასაკმაყოფილებლად. მაშ, რა იყო მათი საარსებო წყარო, ფინანსური თუ მატერიალური სახსარი? ჩვენდა გასაკვირად (ამას ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულ მასალებზე დაყრდნობით შეუიარაღებელი თვალითაც დაასკვნის ადამიანი), მათი მფარველი იყო ის სტრუქტურა, რომელიც ჩამოყალიბდა „ფირალობის“ მეორე ეტაპზე, 1905 წლიდან — ჩვენ ვესაუბრეთ ზემოთ აღნიშნული მუზეუმის დირექტორს, ბ-ნ ენვერ გოგუაძეს, რომელმაც უდიდესი შრომა გასწია ამ საკითხის გამოსაკვლევად და მასთან დაკავშირებული უმდიდრესი მასალა წარმოგვიდგინა. გულწრფელად გეუბნებით: შეიძლება თმა ყალყზე დაგიდგეს ადამიანს; თავისი ტერიტორიული მასშტაბებით, სოციალურ ფენათა პალიტრისა და სისასტიკის მიხედვით — რა სიცილიური მაფია და რის კორსიკული ვენდეტა. თავად განსაჯეთ, როდესაც ე.წ. „გურიის რევოლუციურ კომიტეტსა“ და მისი გადაწყვეტილებების უყოყმანოდ შემსრულებლებზე — „წითელ ფირალებზე“ საუბრობს, გაზეთი „შინაური საქმეები“ 1908 წლის №14-ში აღნიშნავს: „ზარბაზნის მეტი ყველაფერი იარაღი ტანზე ეკიდათ, ისე მედიდურად დაბრძანდებოდნენ სოფლიდან სოფლად. ... საკმაო იყო, ვინმესთვის გეთქვა, კომიტეტში დაგასმენო, მაშინვე შემოგეხვეწებოდა, მაგას ნუ იზამ და, როგორც გინდა მიმსახურეო.“ შეეხვეწებოდა, აბა რა იქნებოდა — „შინაური საქმეების“ ცნობის უტყუარობა ადვილი დასაჯერებელია, თუ ვნახავთ რა მეთოდებით უსწორდებოდნენ „წითელი ფირალები“ მთავრობის აგენტებსა და მოღალატეებს: შეწერილი ჰქონდათ გადასახადები სოფლებისათვის, გადაუხდელობისათვის მკაცრი სასჯელი იყო (მაგალითად, 1906 წელს სოფელ ჭანჭათში 12 გლეხი გაატარეს ე.წ. ალაიაში), მთლიანად ამოწყვიტეს გურიელთა სახსენებელი ოზურგეთში, ტერორს უნიშნავდნენ „დამნაშავეებს“ და არავის შეეძლო მათთვის ხელის შეშლა — პირიქით, „ომერტას“ (დუმილის ვალდებულების) დარღვევას სახიფათოდ თვლიდნენ და არცთუ უსაფუძვლოდ, რადგან იცოდნენ, რომ მოლაყბესაც ტერორი დაენიშნებოდა, რაც უეჭველ სიკვდილს ნიშნავდა. სხვათა შორის, ტერორდანიშნულის წინასწარ ინფორმირებაც ხდებოდა შესაბამისი „ბარათი-შეტყობინებით“, რომელზეც კუბო და ხანჯალი იყო გამოსახული. დაფიქსირებულია შემთხვევები, როდესაც მსხვერპლს მისი მიღებისთანავე გული უსკდებოდა და შემსრულებლებს „საქმეს უმსუბუქებდა“. დანდობა გამორიცხული იყო — მოღალატე და გამცემი, განურჩევლად სქესისა, ასაკისა და წარმოშობისა, უნდა განადგურებულიყო და თანაც სამაგალითოდ, — ისე, რომ სხვას ხალისი დაჰკარგვოდა და „გურული ომერტის“ მონა გამხდარიყო.

მელქისედეკ გუნთაიშვილი



უამრავია ქალთა დასჯის მაგალითები: ჩოხატაურელი მელიტონ ჯიბუტი, იქაურ მუზეუმში დაცულ თავის ბიოგრაფიაში, საკუთარ „დამსახურებათა“ ჩამონათვალში სხვათა შორის აღნიშნავს: „მოვკალი ელცაბედ ყაჭეიშვილი, რომელსაც ურიადნიკ ქუცურ-ბეგთან ჰქონდა საქმე — აგენტურა“; ცნობილია ვინმე ანეტა სიხარულიძის წამებით მოკვლის ფაქტი. ქალი ხელში ორი მცირეწლოვანი ბავშვით, მდინარეში ჩააყენეს, შემდეგ მთელი სხეული დაუსერეს და სისხლისგან დაცალეს — სოფელი ყველაფერს უყურებდა. 1904 წელს მიხაკო მკურნალიძემ ჩამოაყალიბა ე.წ. „განსაკუთრებული ტერორისტული“ ჯგუფი, რომელსაც უამრავი ხალხის ცოდვა ადევს. მისი წევრი იყო „მაუზერისტი“, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფირალი, ხალხური ლექსების გმირი და თვითონაც ლექსების მთხზველი კიკია მამულაიშვილი. აი, ამ „პოეტური სულის“ კაცმა, რომელიც წერს: „მე არ ვყოფილვარ ჩამომავლობით და აღზრდით ყაჩაღი, მაგრამ იძულებული გავხდი“, არაადამიანური წამებით ამოხადა სული ხვარბეთელ პეგასია თოიძეს, რომელსაც მათ მიერ აზნაურ ქარცივაძის მკვლელობის გამჟღავნება ბრალდებოდა. ქალის წამების მოწმე ამჯერადაც მთელი სოფელი იყო. იმავე მამულაიშვილმა, მელქისედეკ გუნთაიშვილთან ერთად, ხელის აუკანკალებლად გამოასალმა წუთისოფელს სოფიო დოლიძე, რომელსაც სოფელ მელექედურში ცნობილი სიმონა დოლიძის, მამალაძისა და ღლონტის გაცემა ბრალდებოდა. მაგალითები, ალბათ, კმარა.

ფინანსებს რაც შეეხება — საგაზეთო ფართის ეკონომიის მიზნით, მოვიყვანთ მხოლოდ მშრალ ცნობებს ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუზეუმებსა და არქივებში დაცული ავტობიოგრაფიებიდან და თანამედროვეთა მოგონებებიდან: 1905 წელი — პავლე წილოსანი, კამოს თანამოსაქმე. გაძარცვა ჯუმათის მონასტერი — კომისიამ დაკარგული ნივთები 40.000 მანეთად შეაფასა, 1907 წელი — თბილისი, ერევნის მოედანი — ერკეთელი გრიგოლ ბერიძე და ფამფალეთელი „რევოლუციის გრიგალად“ წოდებული ვანო ინწკირველი, „საქმის მიმცემი“ და ერთ-ერთი თანამონაწილე „ვინმე სომეხი“ (როგორც შემდეგ გაირკვა — კამო) — გაიტაცეს სახაზინო ფული — 240.000 (!) მანეთი. ცნობილი სიმონა დოლიძე „მიიწვიეს“ ცარიცინში — საფოსტო მატარებლის გასაძარცვად. „მივლინება“ წარმატებით დამთავრდა და ა.შ. გასათვალისწინებელია, რომ მაშინდელი მანეთი ახლანდელ დოლარზე გაცილებით მეტს „იწონიდა“.

კიკია მამულაიშვილი



ეს ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ მასალები „წითელი ფირალების“ შესახებ უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას იძლევა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის, კერძოდ სოფელ ბახვში ჩატარებული კრების (ასევე მისი წინაპირობების) და თვითონ წიწამურის ტრაგედიის შემსრულებლების შესახებ — იმ მოვლენებისას ძალზე ხშირად დასახელებული „სომეხი ვანო“, როგორც ირკვევა, სხვა არავინაა — თუ არა ლეგენდარული კამო (ტერ-პეტროსიანი). შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ აღნიშნული კრების ამსახველ ფაქტებს: ილიას მკვლელობის საქმეზე დაპატიმრებული პირების გამოხსნისთვის გურული „ცხრაასხუთელების პატრიარქის“, ფილიპე მახარაძის ახლო ნათესავის — მელქისედეკ მახარაძის „ჩალიჩისა“ და ამასთან დაკავშირებული არასასურველი პირების „გასაღების“ შესახებ.

სხვათა შორის, კამოს კავშირები გურულ ტერორისტებთან სხვა საქმეებშიც დასტურდება: მისი და, არუსიაკ ტერ-პეტროსიანი ცოლად ჰყავდა ცნობილ მკვლელსა და ტერორისტს კონსტანტინე ცინცაძეს, რომელიც დაეხმარა კამოს 1911 წლის აგვისტოში თბილისის მიხეილის საავადმყოფოდან „ფანტასტიკური ფოკუსით“ (როგორც მაშინდელი გაზეთები წერდნენ) გაქცევაში. ცინცაძე მეგობრობდა ყველასთან — ორჯონიკიძით დაწყებული და სტალინით დამთავრებული. იგი 1904 წლიდან, 19 წლის ასაკიდან ფირალობდა, ჰქონდა პირადად ლენინის მიერ ხელმოწერილი პარტბილეთი, რომლის გადაცვლაზეც ახალი ნიმუშის მოწმობაში, უარი განაცხადა. სოხუმში ჩამოაყალიბა „კაცისმკვლელთა ორდენი“. გარდა ამისა ცნობილია, რომ კამოს „მამაცთა ათეულში“ შედიოდა ილიკო ნინიძე და „ბომბისტი“ სერგო ბურჭულაძე. ეს ჯგუფი 1906 წელს ირანში ჩავიდა სათარ-ხანის აჯანყების — „ირანის რევოლუციის“ მხარდასაჭერად; ხოლო ამის შემდეგ გურიაში, სოფელ ვაკიჯვარში ჩატარებული კრების გადაწყვეტილებით, ირანში ფეხით (!) წავიდა მეორე რაზმი ლადიკო დუმბაძის მეთაურობით. ზემოთ ჩვენ ფირალობის „მეორე ეტაპი“ ვახსენეთ, რომელიც 1905 წლიდან დაიწყო. რა თქმა უნდა, ეს დაყოფა პირობითია, მაგრამ განსხვავება წინამორბედებსა და „წითელ ფირალებს“ შორის მაინც საგრძნობია. ამ უკანასკნელთა „გარჯა“, ფაქტობრივად, ხელისუფლებისათვის ბრძოლა იყო და აკი მიაღწიეს კიდეც — 1905 წელს გამოაცხადეს „გურიის რესპუბლიკა“ თავისი პრეზიდენტით — ბენია ჩხიკვიშვილით და შვიდი თვის განმავლობაში მართავდნენ ამ მხარეს (ამ თემაზე ჟურნალ „გზის“ უახლოეს ნომერში ვრცელ წერილს იხილავთ).

ძალზე საინტერესოა, რომ გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მიერ ამ „უდღეური რესპუბლიკის“ განადგურებისა და უმკაცრესი რეაქციის პირობებშიც კი, ბენია ჩხიკვიშვილისა და მისი თორმეტი ამფსონის გასამართლება ვერც ერთმა მოსამართლემ ვერ იკისრა, ისინი გემით წაიყვანეს ოდესაში (?!) და იქ გაასამართლეს. თუმცა, მაშინდელი კოდექსით გათვალისწინებული ჩამოხრჩობისა და სამუდამო კატორღის მაგივრად, მათ რამდენიმეწლიანი ციხე აკმარეს.



სიმონა დოლიძე

ის, რომ არა მარტო პატარ-პატარა ჩინოვნიკები, არამედ საკმაოდ მსხვილი მოხელეებიც პათოლოგიურად უფრთხოდნენ ფირალებს, ერთი საინტერესო საბუთითაც დასტურდება. ეს არის ბათუმის პოლიციის უფროსის, ჩხიკვაძის წერილობითი თხოვნა მუშებისადმი, უშუამდგომლონ ტერორისტებთან, რომ არ მოკლან და სამაგიეროდ ჰპირდება „პოლიტიკურებისადმი“ ლოიალურ დამოკიდებულებას.

ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, რევაზ გაბაშვილი პარიზში გამოცემულ თავის მემუარებში აღნიშნავს, რომ იგი გააოცა ტერორისტულ ქმედებათა შინაგანაწესმა, რომელიც კომიტეტის წევრებმა გააცნეს — ფაქტობრივად ვიღაც უნდა მოეკლათ ტერაქტის საშუალებით, ოღონდ თვითნაკეთი ბომბის პირდაპირ სროლით, რის შედეგადაც შემსრულებელიც უეჭველ საფრთხეში იგდებდა თავს და ამის შემდეგ უფლება ეძლეოდა (როგორც თვითონ აღნიშნავს) „მთელი რუსეთის მასშტაბით განკარგულებები ეძლია, სადაც ამოირჩევდა“.

დიახ! მთელი რუსეთის მასშტაბით! — სიმონა დოლიძის „მივლინებებზე“ უკვე მოგახსენეთ, ხოლო „ციმბირელი პაპის“ — ნესტორ კალანდარიშვილის შესახებ ბევრს მოეხსენება: 50.000 მანეთი, რომელიც მან ლენინს „ქსივაში“ — პარტბილეთში გადაუხადა, შორეულ აღმოსავლეთში მოწყობილი ტერორისტული აქტებით იყო მონაგარი. მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ ნესტორმა და მისმა ძმამ — ქრისტეფორე კალანდარიშვილმა „საბრძოლო ნათლობა“ ცნობილი ფირალის — მელქისედეკ გუნთაიშვილის რაზმში მიიღეს.

ზემოთ რამდენჯერმე ვახსენეთ „ბომბისტები“ და „მაუზერისტები“. ეს შემთხვევითი ტერმინები არ გეგონოთ: ტარდებოდა სპეციალური „ტესტირება“ — ვინც ჩუბინობაში იმარჯვებდა, „მაუზერისტი“ ანუ მსროლელი ხდებოდა, ხოლო ზოგი — „ბომბისტი“, თუმცა ისიც სათანადო შემოწმების შემდეგ. იგივე მელიტონ ჯიბუტი იხსენებს: „ჩემი ფსიქიკური მდგომარეობა შეამოწმა ექიმმა გომართელმა, ამის შემდეგ მაკურთხეს „ბომბისტად“ და ჩამაბარეს ბომბები“.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი „ბომბისტების“ შესახებ, რაც ასევე ადასტურებს უკვე ნათქვამს იმის თაობაზე, თუ როგორ ეშინოდა ხელისუფლებას ფირალებისა და როგორი უსუსური იყო მათ წინააღმდეგ: ოზურგეთში, ქალაქის მთავარ მოედანზე უამრავი ხალხის თვალწინ ჩატარდა „ბომბისტების“ აღლუმი — ვერც ერთმა პოლიციელმა ვერ გაბედა შენობიდან ცხვირის გამოყოფა.

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ საყოველთაო სიყვარულით აღსავსე მდიდარი ფოლკლორული მასალა ძირითადად ხალხური ლექსები, საკუთრივ ე.წ. „პირველი ტალღის“ ფირალებს ეხებოდა. მხოლოდ რამდენიმე კაცი „მოღვაწეობდა“ ორივე პერიოდში: დათიკო შევარდნაძე, სიმონა დოლიძე, მელქისედეკ გუნთაიშვილი...

სხვათა შორის, სანამ „გაწითლდებოდა“, — დათიკო შევარდნაძე იყო სწორედ ერთადერთი კაცი, რომელიც „კომიტეტის“ მიერ ტერორის დანიშვნისა და მასზე სამჯერ განხორციელებული ტერაქტის მიუხედავად — ცოცხალი გადარჩა. მისი მეუღლე — გულიჩკა ასათიანი იხსენებდა: „ერთხელ დამთვრალიყო და დამაჩემდა: დადექი ეზოში, კვერცხს დაგადობ თავზე და ტყვია თუ მოგახვედროო. ვარი არ გამივიდა... დამზომა, სამოცი ნაბიჯი გადათვალა, ესროლა და კვერცხი თავიდან გადამაგდო“. წარმოიდგინეთ — ეს გააკეთა მთვრალმა! ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, ალბათ, სამი ტერაქტიდან „მშრალად“ გამოსვლა. ეგ კი არა, 1904 წელს, პირველი თავდასხმისას ისე დაჭრა მასზე დადევნებული ბასილია, რომ უკან არც მოუხედავს, „ხელუკულმა მესროლაო“ — გაოცებული ამბობდა მრავლისმნახველი „ქილერი“ (ბასილია შემდეგ ტუაფსეში მოკლეს ჩოხატაურელ ყაჭეიშვილთან ერთად ფოსტაზე დაცემისას). მეორედ, სიბნელეში ნაბადი გაუჩერებია კაცივით და თვითონ გაქცეულა. ვიღას ახსოვდა სხვა ფირალები — ყველას დათიკო შევარდნაძე ეკერა პირზე. „კომიტეტი“ გაცოფებული იყო და ახალ ტერაქტს ამზადებდა მასზე, მაგრამ შევარდნაძემ დაუმტკიცა თავისი „უდანაშაულობა“ და თვითონვე შეუერთდა „წითელ პარტიზანებს“. ამიერიდან „მოსაკლავ კაცთა“ საქმეებს ანდობდნენო“ (თანამებრძოლთა მოგონება). სხვებისაგან განსხვავებით — შევარდნაძე განათლებულიც იყო — დაუმთავრებია ოზურგეთის პროგიმნაზია, ბრწყინვალედ იცოდა რუსული (ნოვოროსიისკის პორტში მუშაობდა მტვირთავების უფროსად), „ფირალად“ გავარდნის დროს მუშაობდა ბასილეთის საზოგადოების მწერლად, მანამდე (თუმცა ამის დოკუმენტები ვერ მოვიპოვეთ, მხოლოდ ზეპირი გადმოცემები არსებობს) — თავად ერისთავის მდივნად. თავის თანამდებობებს მოხერხებულად იყენებდა თანამებრძოლთათვის სხვადასხვა დახმარების გასაწევად — ზოგს ყალბი პასპორტით ამარაგებდა, ზოგს სხვა საჭირო საბუთით. აი, ერთი სტროფი მის მიერ დაწერილი ლექს-მოწოდებიდან:

„მტარვალების ტლანქმა ძალამ,
გამომაგდო მინდორ-ველად;
მოდით, ძმებო და ვიბრძოლოთ, აწმყო დროის შესაცვლელათ,
ხალხს უსურვოთ, რომ შეიგნონ, რომ არვინ ყავს მას დამცველათ,
გარდა ერთი თავის თავის —
გამოსულის ბრძოლის ველად“.

ცხადია, მისი პოპულარობიდან გამომდინარე, ბევრი ფირალი ცდილობდა მასთან დაახლოებას: ზემოთ ნახსენები კიკია მამულაიშვილი, რომელმაც შემდეგ ლექსი უძღვნა მის ხსოვნას, წერს: „...მინდოდა ისეთი ამხანაგი, რომელიც ყაჩაღი კი არა, მხოლოდ დევნილი იქნებოდა. ასეთი იყო იგი — ბუნებით შეურიგებელი ყაჩაღობასთან, თანაც განათლებული... სულ ერთად ვიყავით, ვიცავდით ხალხს წვრილი ქურდებისა და ბოროტმოქმედებისაგან“. აქვე აღვნიშნოთ, რომ ამ მამულაიშვილის გაფირალების მიზეზი იყო სოფელ დვაბზუში თავისივე საცოლის თუ შეყვარებულის მამის, მღვდელ იონა ჟღენტის დაჭრა ეკლესიაში.

დ. შევარდნაძემ მოკლა ურიადნიკი ქუცურბეგი, რომელიც ხალხს განსაკუთრებით სძულდა, ხიდისთავის მამასახლისი თავართქილაძე, კომიტეტის მოღალატეები — ანთაძე და სიამაშვილი და ბევრი სხვა... მის განადგურებაზე მთავრობამ ჯილდო დააწესა. 1909 წელს, სოფელ ასკანაში, ვინმე მოსე ჭელიძის სახლიდან გამოსული, ძლიერ მთვრალი შევარდნაძე სტრაჟნიკებს გადააწყდა, ერთის დაჭრა მოასწრო, მაგრამ გზაზევე ჩაცხრილეს. ცხადია, კომიტეტმა ჭელიძე მოღალატედ შერაცხა და მოკვლას უპირებდნენ, თუმცა კ. მამულაიშვილს, რომელიც კარგად იცნობდა ჭელიძეს, არ სჯეროდა ეს. მან და ისაკია თოიძემ რამდენიმე სტრაჟნიკი და ჯაშუში მოკლეს იქვე, ასკანაში (გაზეთი „მომავალი“ 1909, №99) და მერე შევარდნაძის საფლავთან საპატიო ზალპი და „მარსელიოზა“ დააგუგუნეს.

გაითვალისწინეთ: მოსე ჭელიძე ორი წლის შემდეგ მაინც „გაასაღეს“ — ყოველი შემთხვევისთვის.

ვფიქრობთ, გარკვეული შთაბეჭდილება ფირალობის — როგორც სოციალური მოვლენის შესახებ შეგიქმნენით. შემდეგ ნომერში შევეცდებით აღვწეროთ ფირალების — „წითელი პარტიზანების“ კონკრეტული „საქმენი საგმირონი“, რითიც, ალბათ, უფრო სრულვყოფთ მკითხველის წარმოდგენას მათსა და 1900-იანი წლების გურიაზე.

**ზვიად გურული**
**მიხეილ ჩერქეზია**

# ცხოვრებისეული კურიოზები

## მესაიდუმლე ბებო



70-იანი წლებია. ვმუშაობდი საბანკეტო დარბაზის დირექტორად. შემოდგომაა. დიდი ქორწილია გამართული. სიძე ჩემი ახლობელია. მთხოვა სუფრასთან მისვლა. მივედი, დავლოცე და ავედი ჩემს კაბინეტში. ქორწილის დამთავრების დროს ისევ ჩავედი დარბაზში და ვხედავ, სიძე-პატარძალი მზად არის წასასვლელად. მუსიკა უკრავს გასაცილებელ მარშს. სიძემ აიტაცა ხელში დედოფალი და...

— დიდუუუ!.. დევიღუპეთ, მიშველეთ, მიშველეთ, მოკლავს, მოკლავს, მოკლავს, — კივის ვიღაც სათვალიანი, თავწაკრული ბებო (დედოფლის ბებია ყოფილა). დაუწყეს ბებოს დამშვიდება, მოფერება და აუხსნეს, — კი არ მოკლავს, „მოსექსავსო". ბებიამ ისევ იკივლა: „მოსექსილი" რომ არის, მიტომ მოკლავს, თორემ მაგისი მანამდეც არ ეშინოდაო.

*ვაჟა ჭყონია, ქუთაისი*

## დისციპლინა



ერთხელ, შელამებულზე, სერიოჟა და ლადიშა ჟღენტები ნარდს თამაშობდნენ ამ უკანასკნელთან. წინასწარ ვიტყვი, რომ ამ ორი უახლოესი მეგობრისა და ნათესავის „ორთაბრძოლა" ყოველთვის ერთიმეორის გაპამპულებით თავდებოდა. ჰოდა, ზუსტად ასე მოხდა იმ ღამითაც.

— დუ შაში! — ყვირის ლადიშა და აგორებს კამათელს.

— დამწყნარდი, ლადო, — ყბას უქცევს სერიოჟა, — რავა ბუმბულივით ამსუბუქდები ხოლმე ბერიკაცი?.. ა, ასთე უნდა ქვაის დასმა, — ამბობს და ისიც აგორებს კამათელს.

უცებ ლადოს ყელში გაეჩხირა სიტყვა, ჩაახველა და უარესი დაემართა — აუტყდა ისტერიული ხველა. ამშვიდებს სერიოჟა და თან დასცინის:

— ოღონდ შენ გადარჩი, ჩემო ლადო... აი, ერთი მაპატიე და... სათოფეზე აღარ გაეკარები ზარის კეკლებს!.. ნუ დააობლებ ოჯახს ერთი დუ შაშის გულისთვის! — ზურგზე ურტყამს ხელს და პატარა ბავშვივით ჭერში ახედებს.

ეძახის ლადო ცოლს რის ვაი-ვაგლახით:

— ა, ქალო, წყალი მომიტანე!..

— მეიცა ელანძე, ძროხა მყავს მოსაწველი, — პასუხობს ცოლი ეზოდან.

მერე შვილს უხმობს ლადო:

— ა, გოგო, ვირჩობი... ჩამომისხი სტაქანში წყალი! — და განაგრძობს ხველას. გაწითლდა კიბორჩხალასავით. გადმოყარა თვალის კეკლები. უკვე ტანშიც აძაგძაგებს, მაგრამ არავინაა მისი მშველელი. უყურებს ამ სცენას სერიოჟა დიდი ნეტარებით და ხითხითებს:

— ყოჩაღ, ძამა, ყოჩაღ!.. ქე გქონია ოჯახში დისციპლინა!..

*თემურ ჟღენტი*

## რენტგენი



სამოციანი წლებია. ბებია მესტუმრა სოფლიდან, შეუძლოდ იყო ნამეტანი. წავიყვანეთ ექიმთან „რენტგენზე". გასინჯა, წამლები გამოუწერა. მოკეთდა ცოტათი მოხუცი. გავისტუმრეთ კმაყოფილი სოფელში, ბაბუაჩემს უთხრა თურმე, — ძაან მომიარეს ბოვშებმა, გაახარათ ღმერთმა. განსაკუთრებით რენტგენზე გაშუქება მომიხდაო.

*ჯანო ონიანი, ქუთაისი*

## რაფერაა „იმის" საქმე?



ჩემმა მეგობარმა იულინა მამასახლისმა სალაპარაკო ქსელში გამაცნო თავისი დედა, რომელიც სტუმრად სწვეოდა რამდენიმე დღით ოზურგეთიდან და ურეკავდა თავის ქმარს:

— გამარჯობა ყაძახო, რაფერ ხარ? რაფერაა „იმის" საქმე (მე მის ახლოს ვიჯექი და ყველაფერი მესმოდა, ისე ხმამაღლა ლაპარაკობდა)?

— რაფერ ვიქნები, რავაა და, რაც შენ წაი, მის მერე რო წეიქცა, ვეფერი ვერ მუუხერხე. მეზობლები მევიხმარე, მარა ვერ ავაყენეთ ზეით. ჩამოი მალე, თუ ღმერთი გწამს, თვარა მე მარტო რა ვქნა?

— ნანაა, ჩემი სიკვტილი, ხუთშაფათს მინდოდა წამოსვლა, მარა არ ვჩივი. ჩემ მოსვლამდე მუუარე, არ მიაკლო აფერი. მე ხვალვე ჩამუალ აბა შენ იციო, — უთხრა. ჩემს შეკითხვამდე, „თუ რამ შეაწუხა" ასე, თვითონ დამასწრო, ძროხა მყავდა ხბომოსაგები და მაინტერესებდა მისი ამბავი. თურმე ავად გამხდარა, წაქცეულა და ველარ დგებაო.

*გულნარა ჯანელიძე, სოფ. ზეინდარი, ვანის რაიონი*

## თავდაყირა — სტადიონზე



იმ დღეს საინტერესო მატჩი იყო თბილისის „დინამოს" სტადიონზე. ტრიბუნებზე მისულებმა, როგორც ყოველთვის, დავიწყეთ სკამებზე გაზეთების დაფენა. ამ დროს, ჩვენ გვერდით, ერთმა გულშემატკივარმა ჩემს მეგობარს სთხოვა, — გაზეთის წამოღება დამავიწყდა და თუ შეიძლება მომიხეთო. ჩემი მეგობარი შეუდგა გაზეთის მეოთხედის ჩამოხევას, მაგრამ მეზობელმა თავი გაიქნია, — ეგ არ მეყოფა, ნახევარი მომეციო. ჩემმა მეგობარმა, რომელიც კაი ენაკვიმატი იყო, ეშმაკურად შეხედა და მიახალა, — რად გინდა ამხელა ქაღალდი, თავით ხომ არ უნდა დაჯდეო.

მეზობელს უკანალზე ბევრად დიდი თავი ჰქონდა.

*ნოდარ მახვილაძე, თბილისი*

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



ორი კაცი მუშაობს. ერთი ორმოს თხრის, მეორე მიჰყვება და ისევ მიწას ყრის ორმოში. გამვლელმა უყურა მათ მუშაობას, ვერაფერს მიხვდა და ეკითხება პირველს — ის მეორე კაცი მიწას ისევ რატომ ყრისო?

— ის მეორე არ არის, მესამეა. — პასუხობს პირველი, — ნერგები უნდა დაგვერგო, მეორე კაცი არ მოვიდა და ჩვენ მაინც ჩვენ საქმეს ვაკეთებთ.

*თ.ც.*



გურულს ჰკითხეს: ოჯახში შემოსავალი რა გაქვთო?

„ჭიშკარი ძამა" — უპასუხა გურულმა.

*რომა, ჩოხატაური*

ხევსურმა აიჩემა — მოსკოვს უნდა წავიდეო.

— რა გინდა მოსკოვში? — ეკითხებოდნენ ახლობლები.

— ლენინ უნდა ვნახო!

— რად გინდა ლენინის ნახვა?

— რა ვიცი, ყველგან გაიძახიან და ყველგან ისა სწერია: „ლენინს დიდ-ება! ლენინს დიდ-ება!" — მინდა ვანახო მართლა რამხელა ება!

*ნოდარ მახვილაძე*





მიხო მიაქროლებს პირველ მდივანს დიდი სისწრაფით. მდივანმა გააფრთხილა:

— ბიჭო, ნელა იარე, თორემ აგიკრძალავენ მანქანაზე მუშაობას.

— ზახარიჩ, ამ რაიონში თქვენს მეტი ვერავინ ვერაფერს მამჭამს, — მიუგო მიხომ.

*ჯაკაშანი, ხაშური*



უშიშროებაში მიხო პაპა ვიღაცამ ჩაუშვა — შეშაში ოქრო აქვს ჩატენილიო. ერთ დღეს მარო ეუბნება ქმარს:

— კაცო, ვიღაცები მოვიდნენ, შეშა სულ დახერხეს და დაჩეხეს...

— მაიცა, დედაკაცო! გაზაფხულდეს, მიხოი არ ვიყო, თუ მაგათ ვენახი არ გადავახვნევინო!

*მ.კ.*

ოსი — ტაქსის მძღოლს:

— რამდენი მოგართვათ?

— 5 მანეთი!

ოსმა მძღოლს 2 მანეთი და 50 კაპიკი გაუწოდა...

— 5 მანეთი მეთქი! — გაბრაზდა მძღოლი.

— შენც ხომ იკატავე, სენი წილიმე!

*„შინდარა" სპარტაკი და ზურა*



ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე

# ქართველი - პირველი ევროპელია?

თუ ადრე მეცნიერებს ძველი კონტინენტის პირველ მოსახლედ ფრანგი მიაჩნდათ, შემდეგ გერმანელი, ესპანელი და იტალიელი, დღეს პირველობა დაბეჯითებით ქართველს მიაკუთვნეს. ამისი დამამტკიცებელი ფაქტი დმანისში ნაპოვნი ორი თავის ქალა გახლავთ. ისინი 1,7 მლნ წლის არიან, — ასკვნიან საფრანგეთის ქალაქ ტოტაველში ჩატარებული საერთაშორისო კოლოკვიუმის — „ევროპის პირველი მოსახლენი — უკანასკნელი აღმოჩენები" — წევრები. აღმოჩენის სენსაციურობა ისიც იყო, რომ მანამდე პირველი ევროპელი სულ დიდი 800 ათასი წლისა იყო. საქართველოში მცხოვრები პირველი ევროპელის სიმაღლე 1,5 მეტრი იყო, მისი ტვინი კი 800გ-ს იწონიდა. ექსპერტების აზრით, იგი უახლოვდება იმ სახეობას, რომელიც დროთა განმავლობაში Homo Erectus-ად ანუ სწორად მოსიარულე ადამიანად იქცა (ანალოგიური თავის ქალები ნაპოვნია კენიის ტბის, ტურკანის დასავლეთით). ეს ფაქტი იმის დამადასტურებელია, რომ Homo Erectus-მა დატოვა მშობლიური აფრიკა და ლევანტის დერეფნით, ახლო აღმოსავლეთის გავლით გაუდგა გზას ევროპისკენ, — აცხადებს საქართველოს პალეონტოლოგიის მუზეუმის დირექტორი, 36 წლის დავით ლორთქიფანიძე, რომელიც ტოტაველის კოლოკვიუმის ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურად იქცა. სწორედ იგი ხელმძღვანელობდა გათხრებს, რომელშიც ქართველების გარდა მონაწილეობდნენ გერმანიის, საფრანგეთის, ესპანეთისა და აშშ-ის მეცნიერები. დმანისში, როგორც დ. ლორთქიფანიძე ვარაუდობდა, უკვე ნაპოვნია დაახლოებით ათასამდე პირველყოფილი ქვის იარაღი, მამონტის, მარტორქის, ვეფხვის, ჟირაფის, სირაქლემის, მღრღნელების და სხვა აფრიკული წარმოშობის ცხოველთა ძვლები. იმ დროს საქართველო, დარწმუნებულია ლორთქიფანიძე, მთავარი სამიგრაციო გზის გზაჯვარედინზე მდებარეობდა. როგორც საფრანგეთის ეროვნული მუზეუმის თანამშრომელი მარია-ანტუანეტა აცხადებს, უტყუარია ის ფაქტი, რომ საქართველოში აღმოჩენილმა ორმა „ქართველმა" უკან მოიტოვა მანამდე არსებული ლიდერე-



ბი: „იტალიელი" ჩეპრანოდან და ექვსი „ესპანელი", რომლებიც აღმოჩენილნი არიან ქალაქ ბურგოსის მახლობლად. მათი ასაკი, სპეციალისტების აზრით, 800-780 ათასი წელია.

პალეონტოლოგები დარწმუნებულნი არიან, რომ ამიერიდან შესაძლებელია უკეთ გავეცნოთ ჩვენი შორეული წინაპრების ისტორიას და მათგან პირველის გაჩენა 800 ათასი წლით უკან დავწიოთ. მეორე მნიშვნელოვანი მომენტი მეცნიერთა აზრით ის არის, რომ პირველი ავსტრალოპითეკი — ორ ფეხზე მოსიარულე ადამიანის მსგავსი პრიმატი, — რომელიც აფრიკაში დაახლოებით 3 მილიონი წლის წინ გაჩნდა, სწორედ ევროპისკენ დაიძრა. იქ კი თავისი არჩევანი მზიურ საქართველოზე შეაჩერა.

***ნოვიე იზვესტია №71***

# ჩეჩნეთი დარტყმას საქართველოსაც აგემებს...

გერმანიის დაზვერვის სამსახურის პრეზიდენტმა ავგუსტ ჰანინგმა ბუნდესტაგის საპარლამენტო კონტროლის კომისიის წინაშე წარადგინა ჩრდილო კავკასიის „დაუსრულებელი მდგომარეობის" სურათი. სარწმუნო წყაროების მიხედვით, გაზეთი „ველტ ამ ზონტაგი" აცხადებს, რომ „რუსები დღემდე ვერ აკონტროლებენ მდგომარეობას კრიზისულ რეგიონში" და სავსებით შესაძლებელია, ომმა გაზაფხულზე რუსეთის ფედერაციის მეზობელ სუბიექტებზე და საქართველოშიც კი გადაინაცვლოს, ჩეჩენი ისლამისტების უკან დგანან ალაჰის ავღანელი ბოევიკები — თალიბები, გლობალური ტერორისტი უსამ ბენ ლადენი და ისლამური დაქირავებული დაჯგუფებები. რუსეთის საინფორმაციო წყაროები იუწყებიან, რომ ჩრდილო კავკასიაში უღელტეხილების გახსნის შემდეგ ჩეჩენთა ფორმირებების შეიარაღება და ცოცხალი ძალების მატებაც გააქტიურდება. რუსეთის მონაცემებით, საქართველოს ახმეტის რაიონის ტერიტორიაზე, სადაც საკმაოდ კომპაქტურად ცხოვრობენ ეთნიკური ჩეჩენი-ქისტები, დაახლოებით 10 ათასი ლტოლვილი ჩასახლდა. მათგან მინიმუმ 5 ათასი ქართველი მესაზღვრეების მონაცემებით, „მასხადოვის არმიის რეზერვს" წარმოადგენს. არავინ იცის, საით მიმართავს ეს „რეზერვი" თავის იარაღს. ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ დარტყმას მიაყენებენ რუსეთის სამხედრო ბაზებს, სადაც გაცილებით მეტი შეიარაღებაა, ვიდრე ბენ ლადენის ემისრები მთის ბილიკებით მიაწოდებენ ბოევიკებს.

მთავარი კი ის არის, რომ ვერც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, ვერც სახელმწიფოს უშიშროების სამინისტროს სამხედრო ნაწილები ამ აქციას ხელს ფიზიკურად ვერ შეუშლიან. გარდა ამისა, ქართველებს ჯერ კიდევ ეშინიათ ვაინახებისა, რომლებმაც „თავი გმოიჩინეს" აფხაზეთის ომში. არც ისე დიდია კავკასიაში რუსეთის ჯარების თავდაცვის რესურსები, რომელთა 80%-ს (შემადგენლობა და მომსახურება) ადგილობრივი მოსახლეობა შეადგენს. საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზებზე ჩეჩენი ბოევიკების მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ თვით ქართული მხარე აცხადებდა, მაგრამ მას არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. არ არის გამორიცხული, რომ თბილისი გამოიყენებს „ჩეჩნურ მუქარას", როგორც რუსეთის მხრიდან ზეწოლის დამატებით ფაქტორს, რათა საბოლოოდ გააძევოს რუსები თავისი ტერიტორიიდან. 2005 წელს საქართველო „მიუკაკუნებს" ნატოს კარებს. ამ გადაწყვეტილებაში მონაწილეობს არა მხოლოდ პოლიტიკა, არამედ ეკონომიკაც. როგორც „სეგოდნიას" ჟურნალისტებისთვის გახდა ცნობილი, ედუარდ შევარდნაძესთან დაახლოებულ პირებს მიაჩნიათ, რომ ნატოს მდიდარი ბაზების მომსახურება უფრო ხელსაყრელია ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ვიდრე რუსეთის ღარიბი სამხედრო ბაზებისა. ამ გეგმებს მხოლოდ ჩეჩნები თუ შეუშლიან ხელს. ეს კი იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს რუსეთთან ომის პლაცდარმად გადააქცევენ. ამიტომაც თბილისი ახმეტის რაიონში არ ამჩნევს „უცნაურ პირებს" და საკმაოდ ითმენს ჩეჩნეთის სტრუქტურებს თვით დედაქალაქშიც კი, სადაც სრულიად ლეგალურად გამოიცემა და იყიდება კიდეც იჩქერიის გამოცემები; აგრეთვე ფუნქციონირებს მეჩეთი და მედრესი, რომელიც გადასასვლელ პუნქტს მოგვაგონებს.

***სეგოდნია №85***

# რას გვეტყვი, მამაო?

*მკითხველთა კითხვებზე პასუხობს არქიმანდრიტი რაფაელი*

**— შეიძლება თუ არა სისხლით ნათესავმა მონათლოს ბავშვი?**

— ეკლესიურად ასეთი საქციელი აკრძალული არ არის, მაგრამ საგულისხმოა, რომ საქართველოში, როგორც წესი, ეს არ ხდებოდა, რადგან ძლიერი იყო ქართული ეკლესიის მართლმადიდებლური ტრადიცია, სადაც ხორციელი ნათესაობა უთანაბრდება სულიერს. ამიტომ, ყოველთვის ცდილობდნენ მირონის ნათლით დაკავშირებოდნენ ადამიანს, რომელიც არ იყო სისხლით ნათესავი და ამით სასურველი ადამიანი დაენათესავებინათ.

**— შეიძლება თუ არა ჩვენი თავი ვანდოთ შემლოცველ დედაკაცებს?**

— არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივმართოთ დახმარებისათვის შემლოცველებს. მაშინაც კი, როდესაც ის, ერთი შეხედვით, სიმართლეს გეუბნებათ, იცოდეთ, რომ მისი თქვენდამი გაწეული „სამსახური" ავად დაბოლოვდება. გახსოვთ, ალბათ „მოციქულთა საქმეში", როდესაც პავლესა და ბარნაბას დაინახავს ერთი ამისთანა საქმეთამოქმედი — ღვთისაგან არიანო ეს ხალხი! — დაიძახებს. ამის მიუხედავად, პავლე აუკრძალავს მას ამ შეძახილებს და დაადუმებს.

**— ჩემს ძმას მოუყვანეს ძაღლი, მე ვემუქრები, გაგიგდებ-მეთქი, რადგან მითხრეს, რომ ძაღლის ყოლა არ შეეფერება ქრისტიანთა ოჯახს.**

— რატომ არ შეეფერება? ტობითის წიგნში აღწერილია, როგორ მიდიოდნენ ტობია და ანგელოზი და როგორ მიჰყვებოდა მათ გვერდით ძაღლი. ძაღლის სახლიდან გამგდები თავის მეგობარსაც ადვილად გააგდებს. ერთი კი უნდა გახსოვდეთ, ძაღლი არ შეუშვათ თქვენს სამლოცველო ოთახში!

**— „შეიყვარე მტერი შენი" — გვმოძღვრავს უფალი, მაგრამ თუ ვიცით, რომ მავანი ადამიანი მტერია უფლისა, სამშობლოსი, მოყვასისა — როგორ მოვიქცეთ მაშინ?**

— სიყვარული არ ნიშნავს ყოვლისმიმტევებლობას და უკეთურობის წახალისებას. მამას შეუძლია ერთდროულად უყვარდეს კიდეც შვილი და კიდეც სჯიდეს მას. ქრისტიანული სიყვარული არ არის სადავემიშვებული ლიბერალიზმი, რომელიც თავდება ყველაფრის ნების დართვით. ქრისტიანული სიყვარული — ეს მომთხოვნელობაცაა! ამიტომ, თუ ადამიანი ბოროტმოქმედია, მისთვისვე უმჯობესია, რათა მას არ ჰქონდეს ბოროტების ჩადენის საშუალება. ქრისტიანობა ყოველ ადამიანს უსურვებს მარადიულ ხსნას — მაგრამ უარი ბოროტებისადმი წინააღმდეგობაზე არ არის ქრისტიანული საქციელი. ადამიანმა საკუთარი წყენა უნდა დაითმინოს, მაგრამ როდესაც სხვას აყენებენ შეურაცხყოფას, თანადგომა უნდა გაუწიოს. იძულებისა და ძალდატანების ზომები არ ეწინააღმდეგებიან ქრისტიანული სიყვარულის გრძნობას. ნიშანდობლივია ფილარეტ მოსკოველის შეგონება: „გიყვარდეს მტერი შენი, ჰბრძოდე მტერს მამულისას და გძაგდეს მტერი უფლისა!"

**— როგორ ეთანხმება ერთმანეთს ქრისტიანული სიმდაბლე და ადამიანის მიერ საკუთარი თავის შეფასება?**

— „სიმდაბლე" გამოიხატება ადამიანის მიერ საკუთარი ნაკლის დანახვასა და სხვათა მიღწევების დანახვის უნარში. ხოლო საკუთარი ნაკლის დანახვა აუცილებელია ნებისმიერ საქმეში წარმატებისათვის. ავიღოთ, მხატვრის მაგალითზე: რაც უფრო დიდი ტალანტისაა მხატვარი, მით მეტად ხედავს თავის ნაკლოვანებებს.

**— შეიძლება თუ არა გრიგორიანულ ეკლესიაში გავყვე მეჯვარედ მეგობარს, თუ თავად მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ?**

მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის არ შეიძლება მწვალებლურ გრიგორიანულ-მონოფიზიტურ ეკლესიაში მეჯვარეობა, რადგან ჩვენ იმ საეკლესიო საიდუმლოებაში მონაწილეობით ვუპირისპირდებით მართლმადიდებლობას.

**— მაქვს პატარა მიწის ნაკვეთი, რომელზეც მუშაობის საშუალება არ გამაჩნია შაბათ-კვირის გარდა. წმინდა წერილი კი გვიკრძალავს უქმე დღეებში მუშაობას. როგორ მოვიქცე?**

— თუ სხვა გამოსავალი არა გაქვთ, იმას მაინც ეცადეთ, რომ თქვენი მუშაობის დრო არ დაემთხვეს ტაძარში მიმდინარე საღამოს ლოცვას და დილის წირვას. ამავე დროს, არ უნდა გცილდებოდეთ სინანულის გრძნობა და განცდა და იმ განწყობით მუშაობდეთ, რომ თქვენს უმთავრეს საქმეს აკლიხართ ამ პერიოდში.

**— მოვნათლე ბავშვი და დაუდევრობით მას ჩემი შვილის ნათლიობის ჯვარი ვაჩუქე. შეიძლება თუ არა ჩემი შვილისთვის დავიბრუნო ის ჯვარი და ნათლულს ახალი ვუყიდო?**

— ეკლესიურად ამას შესაძლოა არც ჰქონდეს არსებითი მნიშვნელობა, მაგრამ ასეთი მოქმედებისგან თავშეკავებას გირჩევთ, რათა უნებურად არ ავნოთ თქვენს ნათელმირონულ ურთიერთობას: თქვენ არ იცით, მომავალში რაგვარად აეწყობა ვითარება — საკმარისია ბავშვი ავად გახდეს, ან რაიმე უსიამოვნება შეემთხვეს, არ არის გამორიცხული, რომ თქვენს საქციელს დაბრალდეს, ამიტომ ახალი ჯვარი თქვენს შვილს შეუძინეთ და აკურთხებინეთ მის სახელზე!

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 28*

***თქვენს შეკითხვებს პასუხობენ მართლმადიდებელი მამები***

# ჩვენ გვწერენ

# უცხოეთში წასვლის წინ წასაკითხი

უცხოეთში სასწავლებლად წასვლა ქართველი და, დამიჯერეთ, არა მარტო ქართველი, ახალგაზრდების სულ ცოტა, 90%-ის სურვილია. მაგრამ ვაღიაროთ, რომ ძალიან ცოტაა სწავლას ისე მოწყურებული, რომ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების პოტენციალი ამოწურა და ახლა დასავლეთის უნივერსიტეტებისა და კოლეჯების პროფესორებს უპირებს „ბოლის ადენას".

მე სწავლის დიდმა სურვილმა ბრატისლავაში წამიყვანა. აქ ვეუფლები საერთაშორისო ჟურნალისტიკას. ვსწავლობ ბრატისლავას უნივერსიტეტში. სულ სამი პროფესორი გვყავს. სამივე ამერიკელი. სამივე ქალი. სამივე ყოფილი ან მოქმედი ჟურნალისტი. სამივე უოჯახო.

ბეტი ყველაზე ახალგაზრდაა. ის ჟურნალისტიკის გარეგნულ მხარეს გვასწავლის, ანუ იმას, თუ როგორ უნდა შეფუთო პროდუქტი, სანამ მომხმარებელს მიაწოდებ. ამაში შედის ფოტოგრაფირება, გაზეთის დაკაბადონება, გვერდის აწყობა და ა.შ.

როდა 50 წლის იქნება. ძალიან ძლიერი ჟურნალისტური წარსული აქვს. უმუშავია უამრავ ადგილას, მათ შორის EI-BI-SI NIUZ-ის პროდიუსერად. ახლა კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორია. ის სტატიის აწყობას (სტრუქტურა, თანმიმდევრობა) და რეპორტიორობას (მივედი, ვნახე, აღვწერე) გვასწავლის — ამ საქმის გასაკეთებლად საინტერესო დავალებებს გვაძლევს ხოლმე. მაგალითად, 14 მარტს „სკინჰედების" („თავგადახოტრილები" — ახალგაზრდა ნაცისტები, რომლებსაც უცხოელები ძალიან, ძალიან არ უყვართ) მიტინგზე გაგვიშვა (20-დან მხოლოდ 5 წავედით) და მეორე დღეს სტატია ვინც არ მიუტანა, კარგად შეახურა.

პროგრამის ხელმძღვანელი ლორა კელი 40-ოდე წლის იქნება. ძალიან ჭკვიანი, სანდომიანი და გულღიაა. „ნიუ-იორკ თაიმსის" დღემდე მოქმედი ჟურნალისტი, სტუდენტებს ძალიან უყვართ. ის ანალიტიკური სტატიების, ესეების (დაახლოებით მოთხრობის, ან თავისუფალი თემის ტიპის სტატია) წერას და ჟურნალისტურ ეთიკას გვასწავლის. ძალიან მეგობრულია სტუდენტებთან და როგორც პროფესიას შეეფერება, ძალიან ცნობისმოყვარეცაა. მისი ხასიათის საილუსტრაციოდ საქართველოსთან (უფრო სწორად, ქართულ ენასთან) დაკავშირებულ ორ მაგალითს მოვიყვან.

ორიოდე კვირის წინ კომპიუტერულ ცენტრში ვზივარ და მეგობარს ი-მეილს (ელექტრონული ფოსტა) ვწერ. რა თქმა უნდა, ქართულად და, რა თქმა უნდა, ლათინური ანბანით. „საქართველოში წერ?" — მეკითხება კელი. „ანო" (დიახ, სლოვაკურად — ერთადერთი სლოვაკური სიტყვა, რომელიც მთელმა ჯგუფმა და ყველა პროფესორმა იცის, ამიტომ ერთმანეთთან ურთიერთობაში ყველა აქტიურად იყენებს), ვპასუხობ. „აბა, წაიკითხე ეს აბზაცი, მაინტერესებს, როგორ ჟღერს ქართული". ვკითხულობ. აბზაცი შეეხება იმას, თუ როგორ ვიქარვებ მოწყენილობას ბრატისლავაში. კელი ყურადღებით მისმენს. „მოიცა, მოიცა, რაღაც გავიგე — პაბი, რესტორანი, ბარი, დისკოთეკა, ლუნაპარკი, კინო. აი, თურმე სად ხარჯავ საღამოებს, იმის ნაცვლად, რომ წიგნებს უჯდე?!" — გამაქილიკა. გასულ ოთხშაბათს ხურდა დავუბრუნე.

იმავე კომპიუტერულ ცენტრში ქართული ფონტები ჩავტვირთე და ამ სტატიას ვწერ. ქართული ანბანი კოლეგებში დიდ ინტერესს იწვევს. მე, რა თქმა უნდა, არ მეზარება და პატარა ისტორიულ ექსკურსს ვუტარებ იმის თაობაზე, რომ ეს ანბანი 23 საუკუნისაა, რომ ქართული ენა არც ერთ ენობრივ ჯგუფში არ შედის და თვითონ შეადგენს ცალკე ჯგუფს და ა.შ. ქართულ ტექსტს კარგა ხანს ათვალიერებენ, გამოთქვამენ მოსაზრებებს იმის თაობაზე, თუ რას ჰგავს და თავ-თავის კომპიუტერებს უბრუნდებიან. შემოდის კელი. გვესალმება. ჩემ გვერდით ბულგარელი დიმიტრი ზის და რაღაცას წერს გამწარებული. „რას აკეთებ?" — ჩვეულებისამებრ ინტერესდება კელი. „საიდუმლოა", — დაადო გრიფი დიმიტრიმ. კელი იცინის და ახლა ჩემთან მოდის. „შენ რას აკეთებ? ეგეც საიდუმლოა?" „არა, რას ამბობთ, თქვენგან მე საიდუმლო არ მაქვს. შეგიძლიათ წაიკითხოთ", — ვუშლი გულს. კელი ეკრანისკენ იხრება. მთელი ჯგუფი მობრუნდა და რეაქციას ელოდება. „ა... რა არის ეს?" — მართლა დაიბნა. ყველა ხარხარებს. კელი ხვდება და იღიმება. „ეი შენ, გაგიგია გამოთქმა „სმართ ესს?" („სმართ" (ჭკვიანი) ვიცი. „ესს" მგონი, რაღაც იმავეს უნდა ნიშნავდეს). სინდისს და ინგლისურს ერთად ვივიწყებ. „ეგ შენ ხარ, სმართ ესს". შემდეგ დიდხანს ათვალიერებს ასოებს. „ჩემს მეგობრებს ვეტყვი, რომ ქართული ასოები მაქმანს ჰგავს".

ალბათ არ დამიჯერებთ, მაგრამ გართობა კიდევ უფრო საინტერესოა, ვიდრე სწავლა. აი, ერთი დღე (უფრო სწორად დღე-ღამე) სტუდენტური ცხოვრების გართობითი ნაწილიდან, ანუ პარასკევი საღამოდან შაბათ ღამემდე.

პარასკევს, ლექციების შემდეგ მე, ლენა (ოდესელია) და კარინა (რიგელია) პიცერიაში მივდივართ. სხვადასხვა პიცას ვიღებთ, ვყოფთ და სამივე ვჭამთ. სამივე გემრიე-



მოკითხვა ბრატისლავიდან

ლია, თუმცა მაინც ვკამათობთ — თითოეულს მიაჩნია, რომ მისი არჩევანი საუკეთესოა. მერე — კინოში. გადის ჯეიმს ბონდის ბოლო სერია, რომელშიც სოფი მარსო თამაშობს. კინოში იმდენ კომენტარს ვაკეთებთ და იმდენს ვიცინით, ლამის არის, გაგვყარონ. ბოლოს კი საღამოს (ღამის) მთავარი გასართობი — დისკოთეკა, რომლის შესახებაც ლენამ გაზეთში წაიკითხა, რომ ის ყოფილ ატომურ თავშესაფარშია და ძალიან მაგარია. მივდივართ. არაფრად არ ვარგა. ასე, 1 საათი თუ ვრჩებით. უკვე 12-ია. ჩვენ ლენას „ვლანძღავთ", ის გაზეთს, რომელშიც ქება წაიკითხა და სხვა დისკოთეკის გზას ვადგებით. ამჯერად კარგ ადგილას ვხვდებით და დილის 5 საათზეღა (დახურვის დროს) მოვდივართ. გარეთ წვიმს, ჩვენ საოცარ გუნებაზე ვართ, ეგ არის, რომ გვშია. გზაზე ბენზინგასამართი სადგურია. აქ მაღაზიაც არის. პური მაინც ექნებათ, — ვფიქრობთ და კაფესმაგვარი დაწესებულება გვხვდება, ოღონდ როგორც ძველ თბილისურ სახინკლეებში, ფეხზე მდგარმა უნდა ჭამო. იქ ვსაუზმობთ. წარმოიდგინეთ დილის 5 საათი, ნასვამები, სველები და გაყინულები ვჭამთ შემწვარ ყველს და კარტოფილს ბენზინის სადგურში, თან ყოვლად უმიზეზოდ სიცილით ვკვდებით. პერსონალი მთვარიდან ჩამოსულებივით გვიყურებს.

დორმიტორის 6-ზე თუ მივაღწიეთ. ხმაურით ნახევარ სტუდენტებს ვაღვიძებთ. თვითონ კი, რა თქმა უნდა, ვიძინებთ. თითქმის საღამომდე მძინავს... ასე საღამოს 8 საათზე უფრო დიდ კამპანიაში — ჩვენ, კიდევ 3 ქართველი გოგო და 1 აზერბაიჯანელი ბიჭი — მივდივართ ახლომდებარე ბარში, სადაც ბედად 10-მდე ვრჩებით... ასე, 12.30 სთ-ია. მესმის განწირული ბღავილი. ნუთუ ჩხუბია? გვიკვირს. სლოვაკეთში ეს არც ისე ხშირი სანახაობაა, ამიტომ თვალი ბარის მეორე ოთახის კარისკენ გვეპარება. უცებ შემოიჭრა შავ ტანსაცმელში გამოწყობილი შავნიღბიანი ჯანიანი ჯეელი. ხელში ძალიან ლამაზი შავი პისტოლეტი უჭირავს. „რუკი ნა სტოლ"! — ღრიალებს ის. მარტო ამას არ ღრიალებს, სათქმელი აშკარად მეტი აქვს, მგარამ ჩვენ რუსულის წყალობით მარტო ამას ვიგებთ, დანარჩენი სლოვაკურიდან აზრი ვერ გამოგვაქვს. არცთუ ხანგრძლივი ფიქრისა და განსჯის შემდეგ, ვიღებთ გადაწყვეტილებას — დავმორჩილდეთ. მით უმეტეს, რომ ახალგაზრდას 5-6 თავისნაირი მეგობარი მოჰყვება. გგონიათ, ძარცვაა? მეც ეგრე მეგონა, მაგრამ არა — ეს სლოვაკური ომონის „აბლავაა". ყველას გვჩხრეკენ, აზერბაიჯანელს საბუთს უმოწმებენ (ალბანელს თუ მიამსგავსეს. აქ ალბანური მაფიის ეშინიათ, კავკასიელებს ჯერ არ ჩამოუღწევიათ). მე მგონია, საბუთი ყველამ უნდა წარვადგინოთ და ჯიბისკენ ხელი მიმაქვს, მაგრამ ზურგს უკან მდგომი ახალგაზრდა იდაყვზე ხელს მკიდებს და კბილებში სცრის, — „რუკი ნა სტოლ!" რატომ? მიჩნდება პროტესტნარევი კითხვა, თუმცა ხმამაღლა, რა თქმა უნდა, არ ვამბობ. აი, ამიტომ, — ფიქრშივე მპასუხობს ახალგაზრდა და თავის შავ, პრიალა პისტოლეტს გვიღერებს. ბიჭები ყველას ჩხრეკენ და მიდიან.

ბარში ასე, 6-7 წუთი დაყვეს. პირველი 2 წუთი ყველა შოკში იყო, მაგრამ მერე სიტუაცია სულ უფრო და უფრო მოგვეწონა, 5 წუთის მერე ტუჩებს ვიკვნეტდით ხარხარი რომ შეგვეკავებინა და წასვლისას ბოლო ომონელი ჯერ კიდევ კარებში იყო, რომ მთელ ბარში იმისთანა ხარხარი ატყდა, თბილისის კი არა, მოსკოვის ცირკს რომ არ ახსოვს. ბარმენი შემოვიდა და იმასაც მუცელი ხელით ეჭირა. მარტო ერთი ქეთი შეგვიშინდა და — შინ წავიდეთო, — გვთხოვა. ასეც მოვიქეცით. ქეთი მარტო ცხოვრობს (უმართლებს), იმ ღამეს კი დანარჩენ ორ ქართველ გოგონასთან ოთახში იატაკზე ეძინა...

ამჯერად სულ ეს არის წასაკითხი. შემდეგ სერიაში შეიტყობთ ექსკურსიის ამბავს და კიდევ იმას, თუ როგორ წავიდნენ ქართველი სტუდენტები ავსტრიაში საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.

***კახა ხიზანიშვილი***
***„კვირის პალიტრისთვის"***
***ბრატისლავა***



## თარაზულად:

**7**



XI საუკუნის I ნახევრის საეპისკოპოსო ტაძარი მცხეთაში

**8**



საესტრადო და სხვა ნომრების საჯარო შესრულება გარკვეული პროგრამის მიხედვით

**9**



რჩეული საზოგადოება

**10**



საჭესთან მჯდომი ადამიანი

**11**



ჩვეულებრივ სპორტსმენის ეპითეტი, რომელიც არანაკლებ მიესადაგება მთელი საღამოს განმავლობაში მოცეკვავე ადამიანს

**16**



რაიმე მოვლენის აღსანიშნავი საზეიმო წვეულება

**18**



დღე-ღამის გასაყარი

**19**




მიკროელემენტი, რომლის ზომიერი მიღება აუცილებელია მამაკაცებისათვის

**20**



ყანწის მასალა

**21**



ხის ნაყოფი

**22**



ტრავმირებული სახსარი

**25**

თამადის მოთხოვნა მის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოს სწორად აღქმისათვის

**27**



სურნელება

**30**

ქადის გული

**33**

ყველის შრატის დუღილითა და დაშრობით მიღებული ხაჭო

**34**



ქართველი მამაკაცის გულისაკენ მიმავალი მეორე გზა

**35**



(მომუშავე)

**36**



ძლიერი, თავშეუკავებელი, გრძნობას აყოლილი

## შვეულად:

**1**



საგანგებოდ გამოყოფილი ადგილი იშვიათ ცხოველთა მოსაშენებლად

**2**



ხილით, ბოსტნეულით და სანელებლებით მოვაჭრე (ძვ.)

**3**




ტარა, რომელიც ზოგჯერ ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს

**4**



ანტარქტიდის ინგლისელი მკვლევარი

**5**



ერთ-ერთი უძველესი დასახლებული ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე

**6**



„დღის“ ნათურის ასანთები მოწყობილობა

**12**



ღვარად წამოსული დამდნარი თოვლი

**13**



ფრინველი ბეღურასნაირთა რიგისა

**14**



საზოგადოებაში მიღებული თავის დაჭერისა და თავაზიანი მოპყრობის წესები

**15**



მწვანით მოსილი საპურმარილო ადგილი

**17**



საჭმლის მცირე ნაწილი

**23**



ზარმაცის, უსაქმურის თვისება

**24**



ლოთობა, ქეიფი

**26**



ცუდად, უშნოდ ნაწერი

**28**



სუფრის მშვენება

**29**



გუნდის სიმღერა ეკლესიაში

**31**



პურეული მცენარე

**32**



წითელი ღვინით დათრობის შედეგი

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

**„კვირის პალიტრა“ №16 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 7. დეკორაცია; 8. მეგობრობა; 10. მტკვარი; 11. ნაყინი; 12. ბრონქი; 16. ბრილიანტი; 18. უბიწო; 19. დათვი; 20. ხველება; 21. დესერტი; 25. მატლი; 26. შლამი; 27. ორიენტირი; 30. ფინიკი; 33. ალვირი; 34. კაჟბადი; 35. ანტიპათია; 36. პლაცდარმი.

**შვეულად:** 1.შეჯვარება; 2. ხრახნი; 3. დიეტა; 4. გეტრი; 5. ცბიერი; 6. ობიექტივი; 9. ქვირითი; 13. პროცედურა; 14. ატმოსფერო; 15. მწეველი; 17. პანტელი; 22. ბადრიჯანი; 23. ბანაობა; 24. ემპირიზმი; 28. სკალპი; 29. აღზრდა; 31. ბაჭია; 32. მდელო.

# საფონდო ბირჟებმა წაიბორძიკეს

რამდენიმე ხნის წინ ამერიკის საფინანსო ბაზრებზე მკვეთრად დაეცა ძირითადი საბირჟო მაჩვენებლები. NASDAQ-ის ინდექსი 9,67-ით შემცირდა, დიუ ჯონსის ინდექსი — 5,6-ით.



ამერიკელმა ინვესტორებმა 2,1 ტრილიონი დოლარი დაკარგეს. ასე არასოდეს დაცემულა აქციების კურსი, ინფლაციის დონის აწევის შესახებ დარხეული ხმებით შეშფოთებულმა ფასიანი ქაღალდების მფლობელებმა სასწრაფოდ დაიწყეს მათი გაყიდვა: განსაკუთრებულმა პანიკამ მოიცვა ფირმები, რომლებიც ეწევიან ინტერნეტულ ტელესაკომუნიკაციო მომსახურებას. ბილ გეიტსის „მაიკროსოფტი“ 36 მლრდ-ი დოლარით „გახდა“. „Yahoo-ს დამაარსებელი ჯერი იანგი 3 მლრდ-ით გაღარიბდა, CNN-ის მფლობელს თერ თერნერს 2,6 მლრდ-ი დოლარი დააკლდა. აქციების კურსის დაცემა, აღმოსავლეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ბირჟებზეც დაიწყო. ჰონკონგის საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული იყო აქციების სარეკორდო გაიაფება — ვაჭრობის დაწყებიდან 15 წუთის შემდეგ ჰანსეს ინდექსი 7,2-ით დაეცა. სეულში საფონდო ბირჟაზე ყველა ოპერაცია შეაჩერეს მას შემდეგ, რაც აქციების ფასმა 10-ზე მეტი პროცენტით დაიკლო. აზიის შემდეგ ჯერი ევროპაზე მიდგა. ლონდონის საფონდო ბირჟაზე ძირითადი ინდექსი, რომელიც ბრიტანეთის 100 უმსხვილესი კომპანიის აქციების კურსს ითვალისწინებს, 250 პუნქტით დაეცა, ხოლო საქმიანი აქტივობის ინდექსი პარიზში — 225 პუნქტით, ფრანკფურტში კი — 279 პუნქტით.

ფინანსური ანალიტიკოსები მდგომარეობას არ ამძაფრებენ, მათ მიაჩნიათ, რომ უახლოეს ხანში ყველაფერი მოწესრიგდება. „გადამწვარი ბაზარი“ თვითკორექციას მოახდენს. ისინი იმასაც აღნიშნავენ, რომ „გამოჯანმრთელება“ ნიუ-იორკზეა დამოკიდებული. მდგომარეობა თანდათანობით სწორდება, ინვესტორებმა ცოტა სული მოითქვეს.

საფონდო ბირჟაზე მომხდარმა მოვლენებმა ცხადყო, რომ მსოფლიო ფინანსური ბაზარი დიდი ხანია იქცა ერთიან მექანიზმად და მისი რომელიმე ნაწილში შეფერხება უცილობლად მოქმედებს ყველა დანარჩენზე.

***რუსული პრესის მიხედვით***

# ჩინელ ბიზნესმენთა „ბიბლია“



ჩინეთი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სავაჭრო პარტნიორია. შვედეთის საქმიანი წრეების გაზეთმა „დაგენს ინდასტრიმ“ გამოცდილების გასაზიარებლად მიიწვია ავტორი საერთაშორისო ბესტსელერისა „საქმიანი მოპალარაკება ჩინაურად“, სტოკჰოლმის უმაღლესი სავაჭრო სკოლის პროფესორი ტონი ფანგი.

ტონი ფანგი თავად ნახევრად ჩინელია და შანჰაიში გაიზარდა. იგი ამბობს, რომ მისი თანამემამულეები საქმიან მოლაპარაკებას უძველესი ტრადიციების მიხედვით წარმართავენ. ჩინელი ბიზნესმენების სამაგიდო წიგნია სუნ ძინის „ომის ხელოვნება“. — ეს არის 2300 წლის წინ მცხოვრები უცნობილესი მხედართმთავრის ნააზრევი. წიგნში აღწერილია საბრძოლო მოქმედებების ხერხები, რომელსაც მარჯვედ იყენებენ ჩინელი პარტნიორები.

ერთ-ერთი ხერხია „შეტყუება“. პარტნიორს ეპატიჟებიან მდიდრულ რესტორნებსა და გასართობ ადგილებში. იმ აზრით, რომ სანაცვლოდ, მისგან მოელიან შეღავათებს საქმიანი მოლაპარაკებისას.

სენ ძინის მეორე შეგონებაა — მოკალი „დაქრავებული დანით“. ეს ნიშნავს თანამედროვე ჩინურ ბიზნესში ერთდროულად რამდენიმე კონკურენტი ფირმის წარმომადგენლის მოწვევას. როცა ისინი ერთ მაგიდას უსხედან, ცდილობენ, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, კონტრაქტი ხელში ჩაიგდონ და მეტოქის შიშით ფასს აგდებენ.

ჩინელები, ტონი ფანგის მტკიცებით, ქაღალდს მნიშვნელობას არ ანიჭებენ, უფრო ნდობის ფაქტორს ეყრდნობიან, ამიტომაც ჩინელთან მოლაპარაკებისას მისი მეგობარი უნდა გახდე.

ფანგის რჩევით, უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი:

— თქვენი პროდუქტის ან ფირმის დასახელებაში გამოიყენეთ ციფრი 8, ჩინელებისთვის იგი ბედნიერებას და სიმდიდრეს მოასწავებს, ჩინელი გაუცნობიერებლად იმსჭვალება თქვენდამი სიმპათიითა და ნდობით.

— ახალგაზრდა წარმომადგენელს ნუ გაგზავნით, ჩინელი თავს დამცირებულად იგრძნობს.

— მოემზადეთ მაგარი სასმლის უხვად დასალევად, უამისოდ დაახლოების შანსი არა გაქვთ.

— პროდუქტს ფასი მოუმატეთ, ისინი ყველა შემთხვევაში დაგაკლებინებენ, ამიტომ სჯობს, დიდი ფასი ედოს.

— ქაღალდს ნუ დაუჯერებთ. როცა ბანკში ფული თქვენს ანგარიშზე იქნება ჩარიცხული, მხოლოდ მაშინ შეგიძლიათ იფიქროთ, რომ კონტრაქტი შედგა.

***ნოვიე იზვესტია №69***

# ქველმოქმედება - მოგების წყარო

მიუხედავად მსოფლიოს მრავალი ქვეყნის დახმარებისა, ჩრდილოეთ კორეა ჯერ კიდევ ვერ ახერხებს ქვეყანაში შიმშილობის დაძლევას. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, დასავლელი ექსპერტების აზრით, არის ჰუმანიტარული დახმარების შავ ბაზარზე მოხვედრა. თუმცა ოფიციალური ფხენიანი ამას დაჟინებით უარყოფს — ფაქტები სხვას ამტკიცებენ. გავრცელდა ფარული ვიდეოკამერით გადაღებული კადრები, რომლებიც შავ ბაზარზე არსებულ მაქინაციებს ასახავს. სანაპირო ქალაქ ჩონგჯინის შავ ბაზარზე ბრინჯი იყიდებოდა, რომლის ტომრებზეც წითელი ჯვარი იყო გამოსახული და კორეულად ეწერა „შეერთებული შტატების საჩუქარი“. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მაქინატორები, რომლებიც ჰუმანიტარულ დახმარებაზე „ბიზნესს“ აწარმოებენ — მილიონობით დოლარის მოგებას ნახულობენ.

***ნიუზუიქ, 10 აპრილი***

# წინ, ინტერნეტისაკენ!

ყველაზე უკეთ რომ იცხოვრო და ბევრი ფულიც გქონდეს — ინტერნეტთან დაკავშირებული ბიზნესით უნდა იყო დაკავებული. მეორე ადგილზე შემოსავლიანობის მიხედვით საკომპოზიტორო-პროდიუსერული მოღვაწეობა დგას. ყოველ შემთხვევაში, ასეა დიდ ბრიტანეთში. „200 ყველაზე მდიდარი ბრიტანელის“ წლევანდელ სიაში უმრავლესობა ინტერნეტისა და შოუ-ბიზნესის საქმიანი წრეების წარმომადგენელია. შემოსავლების მიხედვით, აბსოლუტური რეკორდი ეკუთვნის პროგრამირების ინგლისურ კომპანია „ოტონემის“ ხელმძღვანელს: 1999 წლის აგვისტოდან 2000 წლის მარტამდე მან 15-ჯერ გაზარდა საკუთარი კაპიტალი — ინტერნეტში პროვიდერული მომსახურების წყალობით 700 მლნ გირვანქა სტერლინგი მოიგო.

***ეხო პლანეტი №13***


საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
21 აპრილიდან დაადგინა ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | | |
|---|---|---|
| **აშშ დოლარი** | | 1,985 |
| **გერმანული მარკა** | | 0,952 |
| **ინგლ. გირვანქა სტერლინგი** | | 3,137 |
| **ევრო** | | 1,863 |
| **რუსული რუბლი** | | 0,069 |
| **თურქული ლირა** | **(10.000)** | 0,033 |


# მსოფლიო სავალუტო ფონდის მომავალი საეჭვოა



ვაშინგტონში დამთავრდა მსოფლიო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის — ორი უმსხვილესი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის საგაზაფხულო სესია. მიღებული შემაჯამებელი დოკუმენტი, თავისი პათოსის მიუხედავად, პრაქტიკულად, უპასუხოდ ტოვებს კითხვას იმის თაობაზე, თუ რა ადგილი უნდა დაიჭიროს XXI საუკუნის გლობალურ ეკონომიკაში ფონდმა და ბანკმა. გარეგნული გულითადობის მიუხედავად, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის წინააღმდეგობა უფრო გამწვავდა. დაპირისპირება საჩინო გახდა მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნებისათვის ვალების ჩამოწერის საკითხში. პოტენციურად ამგვარი „მეფური წყალობის“ იმედი მხოლოდ 27 განვითარებად ქვეყანას შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ ამ ნუსხაშიც ადგილის დასამკვიდრებლად, მათ აუცილებლად, უნდა შეასრულონ რიგი მოთხოვნები — დააბალანსონ ბიუჯეტი, შეამცირონ ჩინოვნიკთა რიცხვი, საქმით და არა სიტყვით ებრძოლონ კორუფციას. ჯერჯერობით ამ გამოცდას მხოლოდ ხუთმა სახელმწიფომ გაუძლო.

მეორე სადავო საკითხი, რომელზეც ვერ შეთანხმდნენ ვაშინგტონში, იყო ევროპელთა წინადადება — რაც შეიძლება მეტად გამოიყენონ კერძო ბანკები რეგიონული ფინანსური კრიზისების გადასაჭრელად. აშშ ფინანსთა მინისტრის ლ. სამერსის თქმით, კერძო კაპიტალის მონაწილეობის საკითხი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კონკრეტულად უნდა იქნეს განხილული. მსგავსმა პოზიციამ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ექს-კანცლერს ათქმევინა, — ამერიკა კვლავაც ცდილობს, მსოფლიო სავალუტო ფონდი თავისი საგარეო პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენოს. საკამათო საკითხები მომავალ სამიტზე მოგვარდება.

თავსხმა წვიმამ, რომელიც ვაშინგტონს თავს დაატყდა სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის სესიის ბოლო დღეს, რამდენადმე დააცხრო მრავალრიცხოვან დემონსტრანტთა საბრძოლო შემართება. ისინი სესიის დაწყებამდე და მისი მუშაობის დღეებშიც საპროტესტო აქციებს აწყობდნენ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის წინააღმდეგ. პოლიციას მათთვის არ დაუკლია რეზინის ხელკეტები და ცრემლსადენი გაზი. პროტესტის კვირეულში 1.300-ზე მეტი ადამიანი დააპატიმრეს. საპროტესტო მოძრაობის ლიდერებს — ცნობილ ვარსკვლავებს სიუზენ სარანდონსა და ტი რობინსს მიაჩნიათ, რომ მათი იდეა ბევრმა გაიზიარა, მათ ემხრობიან საერთაშორისო ოლიგარქების მძარცველური პოლიტიკის მოწინააღმდეგეები. მათი აზრით, ფონდი და ბანკი იმ ტრანსნაციონალური კორპორაციების ინტერესებს იცავენ, რომლებიც ღარიბებს კიდევ უფრო აღარიბებს.

***კომერსანტი №68***

# კითხვა-პასუხი



***გვაინტერესებს, რა არის გულის მანკი და როგორ შეიძლება მისი შედეგიანი მკურნალობა?***

***ქუთაისი***

გულის მანკის, როგორც შემაერთებელ-ქსოვილოვანი დაავადების, მკურნალობა ძირითადად ოპერაციულია. ხშირად დაავადების გამომწვევი მიზეზი ძირითადად რევმატიზმია, რაც იწვევს გულის სარქველთა ანთებით დაზიანებას, მის დეფორმაციას და ხელს უწყობს გულის მანკის წარმოშობას.

***გ. ცინცაძე, №1-ლი საავადმყოფოს კარდიოლოგიური კლინიკის დირექტორი***

***აქვს თუ არა იურიდიული უფლება რძალს (შვილის მეუღლეს), დაეპატრონოს ჩემ მიერ შეძენილ მოძრავ ქონებას და მაქვს თუ არა უფლება, ეს ქონება მოვიხმარო ჩემი შეხედულებისამებრ რძლის დაუკითხავად?***

***მამამთილი***

რძალს არა აქვს უფლება მამამთილის მიერ შეძენილ არც მოძრავ და არც უძრავ ქონებაზე. შესაბამისად, მამამთილს თავისი სურვილის მიხედვით შეუძლია განკარგოს თავისი საკუთრება. ამდენად, შეგიძლიათ რძლის დაუკითხავად მოიხმაროთ ქონება, რადგან რძალი არ ითვლება თქვენს მემკვიდრედ.

***ადვოკატთა კოლეგია***

***რა არის ინგლის-ირლანდიის, ესპანეთ-ბასკეთის, ჩინეთ-ტიბეტის, თურქეთ-ქურთების ურთიერთობის დაძაბვის გამომწვევი მიზეზი და არის თუ არა რაიმე საშუალება ამ ურთიერთობების გაუმჯობესებისათვის?***

***რამინ ასათიანი***

ჩამოთვლილ ხალხებს შორის დაძაბული ურთიერთობა მხოლოდ ერთი მთავარი პრობლემით არის გამოწვეული — ეთნიკური უმცირესობის მისწრაფება დამოუკიდებლობისკენ. ტიბეტელები — ჩინეთში, ქურთები — თურქეთში, ირლანდიელები — ინგლისში და ბასკები ესპანეთში ითხოვენ დამოუკიდებლობას ამ დიდი სახელმწიფოებისგან. მათი ურთიერთობის გასაუმჯობესებლად ერთადერთი სასურველი გამოსავალია მოლაპარაკებათა გზით დაძაბული ვითარების ალმოფხვრა.

***ზ. დავითაშვილი, თსუ საერთაშორისო ურთიერთობის კათედრის გამგე***

***75 მარტოხელა ქალბატონმა მთხოვა ყოველ თვე გადავუხადო გარკვეული თანხა და მისი გარდაცვალების შემდეგ მისი ბინა მე დამრჩება. რა საბუთები უნდა მოვამზადო წინასწარ, რომ არც ერთი მხარე მოტყუებული არ დარჩეს და ვერავინ შემომედავოს მიღებულ ბინაში?***

***ლ. ბრეგვაძე***

მარტოხელა ქალბატონის ბინის დატოვების მიზნით ნოტარიუსში უნდა გაფორმდეს სამისდღემშიო რჩენის ხელშეკრულება, რადგან ამგვარი ხელშეკრულების გაფორმება უფრო რეალურია. ამისთვის ნოტარიუსში უნდა წარადგინოთ სხვადასხვა საბუთი, მათ შორის: ტექბიუროდან აღებული ცნობა, მარტოხელა ქალბატონის ბინის დახასიათება, ყადაღის ცნობა, ბინის საკუთრების მოწმობა, ფორმა №1, რითაც გაირკვევა, რომ მოხუცს ბინაში არავინ ჰყავს ჩაწერილი.

***დიდუბის რ-ნის ნოტარიუსი***

***შეიძლება თუ არა სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებიდან გაგათავისუფლონ ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე და არ მოგცენ კუთვნილი ხელფასი?***

***კაციტაძე***

იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებიდან თანამშრომლის გათავისუფლება მოხდა შტატის შემცირების გამო, დაწესებულება ვალდებულია მუშაკს 2 თვით ადრე აცნობოს დათხოვნის შესახებ, ოღონდ იგი ორი თვის განმავლობაში კვლავ განაგრძობს მუშაობას და იღებს კუთვნილ ხელფასს.

***ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო***




# პირველი ლედი პირველ გამოცდაზე არ გამოცხადდა

ვლადიმირ პუტინის გადაადგილების თავბრუდამხვევი ტემპი უკვე მარტო რუსებს აღარ აოცებს. შუადღისას აეროდრომზე ამერიკიდან დაბრუნებულ პირველ ვიცე-პრემიერს მ. კასიანოვს ესაუბრა, ნახევარი საათის შემდეგ მისმა თვითმფრინავმა კურსი მინსკისკენ აიღო, საღამოს ლონდონში ჩაფრინდა. ბრიტანელებს ძალიან დასწყდათ გული, რომ ვერ იხილეს რუსეთის პირველი ლედი. მას არანაკლები ცნობისმოყვარეობით ელოდნენ, ვიდრე თავად პუტინს. ინგლისის გაზეთებმა დაწვრილებით დაბეჭდეს ცნობები მისი ბიოგრაფიიდან, გაიხსენეს რაისა გორბაჩოვას პირველი ვიზიტები საზღვარგარეთ, მისი შეცდომები თუ მიღწევები. რა თქმა უნდა, ყველას აინტერესებდა, როგორ დაიჭერდა თავს პირველი ლედი ლონდონში, პირველ გამოცდაზე, მაგრამ გამოცდაზე პუტინი მარტო გამოცხადდა. „სეგოდნიას" ინფორმაციით, „როიალ გარდენ ოტელის" ადმინისტრაციაც ლუდმილა და ვლადიმირ პუტინების მისაღებად ემზადებოდა. რატომ გააცდინა ლუდმილა პუტინამ პირველი „გამოცდა"? შესაძლოა კრემლში ურჩიეს, — ინაუგურაციამდე არ ღირს რისკის გაწევაო, ან იქნებ პუტინს ურჩევნია ჰქონდეს მობილური, საქმიანი პოლიტიკოსის იმიჯი, რომლის პირადი ცხოვრება მხოლოდ მისი პირადი საქმეა. შესაძლოა, მისმა ყოფილმა პროფესიამაც ითამაშა თავისი როლი. მზვერავს ბევრი რამ აქვს გასაიდუმლოებული.

ოტელში გამართულ პრესკონფერენციაზე ვლ. პუტინმა გააკეთა რიგი განცხადებებისა. ახლა აღარავის ეეჭვება, რომ პრემიერი მიხაილ კასიანოვი გახდება. ამ ცნობამ მეტ-ნაკლებად დაამშვიდა ინვესტორები, რომლებსაც აშფოთებთ რუსეთში შესაძლო ეკონომიკური კატაკლიზმები, დასავლეთი ასე თუ ისე იცნობს მიხაილ კასიანოვს და პუტინის მიერ პრემიერად მის შესაძლო დასახელებას დადებითად შეხვდა.



პუტინმა ლონდონში ისიც თქვა, რომ ჩეჩნეთში ხელმძღვანელობის არჩევა ორ წელიწადზე ადრე არ მოხდება, რუსეთის მთავრობაში კი იქნება ვიცე-პრემიერი ჩეჩნეთის საკითხებშიო.

ტონი ბლერი პუტინს დაუნინგ-სთრითზე, თავისი რეზიდენციის კიბეზე შეხვდა. შორიდან პარტნიორების გარჩევა ძნელი იყო, ორივეს მუქი კოსტიუმი და ცისფერი პერანგი ემოსა. მათი საუბარი 3 საათს გაგრძელდა და პუტინის მიერ პრესკონფერენციაზე გაცხადებულ საკითხებს შეეხო — ჩეჩნეთი, დამოკიდებულება ევროსაბჭოსთან, ინვესტიციები, ოკინავაზე „რვიანის" სამიტი.

რაზე საუბრობდნენ პუტინი და ელისაბედ , საიდუმლოდ დარჩა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ პროტოკოლის თანახმად, დედოფალთან პოლიტიკაზე საუბარი მიღებული არ არის. ამბობენ, დედოფალი ლუდმილა პუტინასთან ოჯახურ შეხვედრას გეგმავდა, ამიტომ თავისი მეუღლე ფილიპიც დაისწროო...

ლონდონის „თაიმსი" წერდა: „ერთადერთი საკუთრება, რაც 48 წლის პრეზიდენტს გააჩნია, მოსკოვის მახლობლად პატარა ხის სახლია, ეზოს ბოლოში საპირფარეშო ორმოთი. „როიალ გარდენ ოტელი", რა თქმა უნდა, გაცილებით მდიდრულია... უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ პუტინი გაუძლებს ცდუნებას და თავისი ნომრიდან შინ არ გაიყოლიებს სასტუმროს საბანაო ხალათს".

***სეგოდნია №84***

# ოლბრაითმა პუტინს დაასწრო



**დასრულდა აშშ სახელმწიფო მდივნის მადლენ ოლბრაითის ვიზიტი უზბეკეთში. ტაშკენტი იყო დსთ-ის ქვეყნებში მისი ვოიაჟის ბოლო დედაქალაქი. მოსკოვი ჯერ კიდევ ემზადება დსთ-ის სამაისო სამიტისათვის, სადაც გაცხადდება პუტინის პოლიტიკა დსთ-ის ქვეყნების მიმართ. ვაშინგტონმა გადაწყვიტა, დაესწრო მოსკოვისთვის და აღენიშნა თავისი პრიორიტეტები დსთ-ის სივრცეში.**

მადლენ ოლბრაითის მგზავრობის პირველ ეტაპად იქცა კიევი. თავიდან ვარაუდობდნენ, რომ ოლბრაითი უკრაინას 20-21 აპრილს ეწვეოდა, ყაზახეთის, ყირგიზეთისა და უზბეკეთის შემდეგ. მაგრამ რუსეთის პრეზიდენტის შეტყობინებამ უკრაინის დედაქალაქში სტუმრობის თაობაზე კორექტივი შეიტანა ამერიკის სახელმწიფო მდივნის გრაფიკში. ვაშინგტონი შეშფოთებულია, რომ ეკონომიკური კრიზისისა და რუსეთისათვის თავისი უზარმაზარი ვალის გამო კიევი შეიძლება შედრკეს და ორიენტაცია მოსკოვზე აიღოს.

ოლბრაითის ამოცანა იყო, დაჰპირებოდა მხარდაჭერას კიევს რადიკალურ „საბაზრო ეკონომიკასა და დასავლეთთან ინტეგრაციაში". ეს არ იყო ადვილი მას შემდეგ, რაც მსფ-მ გაყინა უკრაინისთვის გამოყოფილი კრედიტები მისი სახსრების გახარჯვაში სკანდალის გამო. მიუხედავად ამისა, ოლბრაითმა საქმეს თავი გაართვა და კმაყოფილი წავიდა ასტანაში. ვაშინგტონის მხარდაჭერით გამხნევებულმა ლეონიდ კუჩმამ კი დაიწყო ვლადიმირ პუტინთან არცთუ ადვილი მოლაპარაკებისათვის მზადება.

ყაზახეთის დედაქალაქში აშშ-ის სახელმწიფო მდივანს უნდა მიეღო დადასტურება იმისა, რომ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი ასტანისათვის კვლავინდებურად „პრიორიტეტული მიმართულებაა", როგორც ეს აღნიშნა კლინტონთან საუბარში სტამბულის სამიტზე ყაზახეთის პრეზიდენტმა. ნაზარბაევი, რომელიც ბოლო ხანს უფრო რუსეთზეა ორიენტირებული ყაზახეთის ნავთობის ექსპორტის საქმეში, იძულებული იყო ეღიარებინა ასტანისათვის ბაქო-ჯეიჰანის მარშრუტის „მაღალი პრიორიტეტი". საპასუხოდ ოლბრაითმა აქცენტი არ გაამახვილა ყაზახეთში ადამიანთა უფლებების დარღვევაზე.

ამისათვის უფრო მკაცრად გააკრიტიკა მან ყირგიზეთის პრეზიდენტი ასკარ აკაევი. ბიშკეკის ვიზიტი მიეძღვნა ოპოზიციის დევნას ხელისუფლების მხრიდან. აკაევს, რომელიც დასავლეთში ყოველთვის მიიჩნეოდა დემოკრატიის ნიმუშად პოსტსაბჭოურ სივრცეში, მოუხდა თავის მართლება ამას წინათ ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში დარღვევების გამო. მან ფიცით დაარწმუნა სტუმარი, რომ წლის ბოლოს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებს საუკეთესო დემოკრატიული ტრადიციებით ჩაატარებენ.

რეგიონის სახელმწიფოთა ლიდერებთან ოლბრაითმა განიხილა უშიშროების პრობლემებიც. ამასთან, მან არა მხოლოდ მოუწოდა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლისკენ, არამედ ამისათვის 10 მილიონი დოლარიც ჩამოიტანა ყაზახეთისათვის, 3 მილიონი — ყირგიზეთისათვის. მაგრამ ყველაზე მეტი უზბეკეთმა მიიღო — დაახლოებით 100 მილიონი დოლარი.

ვაშინგტონისთვის კარგადაა ცნობილი უზბეკეთის პრეზიდენტის დამოკიდებულება ისლამურ ექსტრემიზმთან და ამერიკელები მზად არიან აქციონ კარიმოვი ძირითად ფიგურად რეგიონის სტაბილიზაციის უზრუნველყოფის საქმეში.

ამასთან, ვაშინგტონში მშვენივრად იციან, რომ კარიმოვი მხარს უჭერს მოსკოვის ოპერაციებს ჩეჩნეთში და თავადაც მომხრეა გადამწყვეტი ზომებისა თავის მოწინააღმდეგეთა მიმართ. მადლენ ოლბრაითს მოუხდა ოდნავ დაეშოშმინებინა უზბეკი პრეზიდენტი, როცა განაცხადა, რომ „აშშ-ში არ მოითმენენ, თუკი ტერორიზმთან ბრძოლის მოშველიებით და სტაბილურობის შესანარჩუნებლად" დაიწყება ოპოზიციასთან ბრძოლა.

სანამ მოსკოვში გრძელდება დსთ-ის ქვეყნების სამაისო სამიტისათვის მზადება, ვაშინგტონმა მკაფიოდ განაცხადა, რომ მისი ინტერესების სფეროში ახლა უკვე შედის ცენტრალური აზიაც.

***ნოვიე იზვესტია №64***

# ისრაელი ტოვებს ლიბანს

გაეროში ისრაელის მუდმივმა წარმომადგენელმა იეჰუდ ლანკრიმ განაცხადა, რომ სამხრეთ ლიბანიდან ისრაელის ჯარებს ამა წლის 7 ივლისისთვის მთლიანად გაიყვანენ. ამით დასრულდება ისრაელის 20 წლიანი უთანხმოება მეზობელ ქვეყანასთან. მაგრამ რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ჯარების გაყვანამ, შესაძლოა, რეგიონში სიტუაცია გაამწვავოს.

ისრაელის პრემიერმა ეჰუდ ბარაკმა პოსტზე არჩევისთანავე განაცხადა, რომ „უსაფრთხოების ზონიდან" ჯარებს 2000 წლის ივლისისათვის გამოიყვანდა. ისრაელი მიხვდა, რომ ვერ დაიცავდა ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილს „ჰეზბოლაჰის" სარაკეტო თავდასხმებისგან და რომ არ ღირს ტყუილუბრალოდ ჯარისკაცების გაწირვა. ჯარებს სირიასა და ლიბანიდან გაიყვანენ სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ, მაგრამ მოლაპარაკება ჩიხში მოექცა. საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა. გაურკვეველია სამხრეთ ლიბანის იმ ქრისტიანთა შეიარაღებული ფორმირებების ბედიც, რომლებიც ისრაელის მხარეზე იბრძოდნენ. ამასთან დაკავშირებით იეჰუდ ლანკრიმ განაცხადა, — სამხრეთ ლიბანიდან ევაკუირებული იქნება 4 ათასი ლიბანური ოჯახიო. არ არის გამორიცხული, — „ჰეზბოლაჰისა" და „ისლამური ჯიჰადის" მეომრების თავდასხმა ისრაელელებზე პოზიციების დატოვების დროს. ეს კი ახალ კონფლიქტს გამოიწვევს. გაეროს აწუხებს თავისი 4,5 ათასიანი სამშვიდობო ჯარის ბედი. ამიტომ კოფი ანანმა ლიბანში თავისი საგანგებო წარმომადგენელი გაგზავნა. ეს შესაძლოა, სახიფათოდ იქცეს. საქმე ის არის, რომ ისრაელის ჯარის გაყვანა სრულებით არ სიამოვნებს სირიას. დამასკო ლიბანელების გამოსვლებს ყოველთვის ისრაელზე ზეწოლისთვის იყენებდა. გარდა ამისა, სირია, ისრაელის ჯარების გაყვანის შემდეგ, ველარ დატოვებს თავის 35 ათასიან კორპუსს ლიბანში. სირიის ჯარების გაყვანის შემთხვევაში კი დამასკო დაკარგავს ლიბანზე კონტროლის საშუალებას (ბოლო დროს ლიბანი, პრაქტიკულად, სირიის პროვინცია იყო). ისრაელი ყველაფერს იღონებს ამისთვის. იეჰუდ ლანკრიმ უკვე განაცხადა, რომ ლიბანის სუვერენიტეტი უნდა აღსდგეს, ამისთვის კი, გაეროს რეზოლუციის თანახმად, ყველა უცხოური ჯარი უნდა გავიდეს.

***კომერსანტი №68***

# ყარაჩაი-ჩერქეზეთში ომის ბაცილა შეაქვთ

ტელემიმომხილველმა ტელეეკრანიდან ბორის ბერეზოვსკისგან ყარაჩაი-ჩერქეზეთის მეთაურს ვლადიმირ სემიონოვს „შალომ ალეიხემი" გადასცა. ოლიგარქმა მიიღო დეპუტატის ხელშეუხებლობა და მასთან ერთად რესპუბლიკის ყველა საქმეში ჩარევის „კანონიერი" უფლება, ცხადია, ვლადიმირ სემიონოვის ძალისხმევის წყალობითაც. თუ რა გამოვიდა ამ პოლიტიკური შეცდომიდან, სულ მალე დავინახავთ და ვიგრძნობთ. ბერეზოვსკიმ ყარაჩაი-ჩერქეზეთი ჩეჩნეთს შეადარა. თუ რა მიზეზით გაკეთდა ეს, ბევრი ფიქრი არ სჭირდება... სულ მალე ცისფერი ლანგრით მოგვართმევენ პერსონალურ მტერს. თუ რუსი ხარ, ჩეჩენის სახით გეყოლება მტერი; თუ ჩერქეზი ხარ, ამიერიდან ყარაჩაელი იქნება შენი მტერი; აბაზი თუ ხარ, ნოღაელი გადაგემტერება... იომეთ ერთმანეთთან, ესროლეთ ერთმანეთს... ხმამაღლა იყვირეთ ეროვნული დაპირისპირების შესახებ, წვით ერთმანეთის სახლები და შეიძულეთ ერთმანეთი დიდი ხნით. ლანძღეთ წარსული, ანგრიეთ აწმყო და უარი თქვით მომავალზე. პარალელურად განაგრძეთ სახელმწიფოს სიმდიდრის ძარცვა-გლეჯა, რუსეთის მიწების მისაკუთრება თავისი ნავთობით, გაზით, ტყეებითა და საბადოებით. ვის სჭირდება ომი ჩეჩნეთში? რასაკვირველია არა უბრალო რუსებს, რომლებიც „უმუშევართა დახმარებით" ცხოვრობენ და არც უბრალო ჩეჩნებს, რომელთაც ეშინიათ თეთრი პერანგის ჩაცმა, რათა მდიდარი არ ეგონოს და თანამემამულემ არ გაიტაცოს... ომი იმათ სჭირდებათ, ვინც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაძარცვა და მიისაკუთრა ყველაფერი... ახლა ისინი ყარაჩაი-ჩერქეზეთს მიადგნენ. ევროპას უკვე გამოშიგნული ჩეჩნეთის შესახებ გაგონებაც არ სურს. როგორც ჩანს, ჩეჩნეთის ომს ბოლო უნდა მოეღოს. თუ არა და, შესაძლოა რუსეთში ნაძარცვ ფულს ვეროპის კაზინოებსა და კურორტებზე სანქცია დაადონ... ჩეჩნეთს დავხურავთ და ყურადღება ვისზე გადავიტანოთ? აქ კი ყარაჩაი-ჩერქეზეთი თვითონ ითხოვს „ღონისძიებებს". სემიონოვი თუ რესპუბლიკის მეთაურად აირჩიეს, მისი მეტოქე დერევი პრემიერ-მინისტრი გახდეს!

მათ სხვადასხვა შეხედულება აქვთ; მით უკეთესი; ორივე ერთ ზიანს მოიტანს. ჯიუტი თხებივით ერთმანეთს შეერკინებიან და ამ დროს მესამე ძალა მათი გაშველებით იხეირებს. ტელემიმომხილველი დორენკო კი დაჟინებით ირწმუნება, ყარაჩაი-ჩერქეზეთში ჩეჩნეთის მსგავსად ანტირუსული ვითარება მწიფდებაო, რომ სემიონოვმა ფედერალებთან საერთო ვერ იპოვაო. ყველა თანამედროვე კონფლიქტი წარმოიშვება საინფორმაციო არტმომზადების შემდეგ. დღეს მომრავლდნენ ფსიქიკურად გადახრილი ჟურნალისტები, რომელბიც თავბრუს ახვევენ ხალხს თავიანთი მზაკვრობით.

არსებობს რუსული, ჩერქეზული თუ აბაზინური ბოროტება. ყველა მკვლელი, ქურდი და თაღლითი ბოროტია. ყარაჩაი-ჩერქეზეთში ომის ბაცილა შეაქვთ. ამისთვის საკმარისია, ყუმბარა ესროლო მოპიკეტე ჩერქეზებს და უთხრა, რომ ეს ყარაჩაელებმა გააკეთეს; ან პირიქით. „საქმის" წამომწყებებს დიდი ხანია კარგად გადაუხადეს და ახლა ნიშანს ელოდებიან. კონფლიქტური სიტუაციისთვის საინფორმაციო (დედაქალაქისა და ადგილობრივი) მზადება ჩატარებულია ჟურნალისტების მიერ. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მესამე ძალას ჩავაბაროთ ჩვენი და ჩვენი შვილების მომავალი.

***კომსომოლსკაია პრავდა №72***

# ამერიკამ მთიანი ყარაბაღი დამოუკიდებელ ერთეულად ცნო

აშშ-ის მთავრობასთან არსებულმა საერთაშორისო განვითარების სააგენტომ ამ დღეებში გამოაქვეყნა პატაკი მთიანი ყარაბაღისა და ყარაბაღ-აზერბაიჯანის კონფლიქტში დაზარალებულ პირთა მიმართ განხორციელებული დახმარების შესახებ. USAID-ის პროგრამის მიხედვით, აშშ-ის კონგრესი ავალდებულებს ამერიკის ხელისუფლებას, უშუალოდ დაეხმაროს მთიან ყარაბაღს და განახორციელოს თვით ყარაბაღის და ამასთანავე, აზერბაიჯანისა და სომხეთის მიმდებარე რაიონების მოსახლეობის სოციალური, ფინანსური და ფსიქოლოგიური პოსტკონფლიქტური რეაბილიტაციის პროგრამა.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ის ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ პატაკში, ისევე, როგორც სხვა საკანონმდებლო აქტებში, მთიანი ყარაბაღი განიხილება, როგორც დამოუკიდებელი ერთეული. პროგრამაში აღნიშნულია, რომ მთიანი ყარაბაღის ხელისუფლებამ უნდა ითანამშრომლოს აშშ-ის სამთავრობო ორგანიზაციებთან.

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე აშშ და სომხეთი ერთადერთი ქვეყნებია, რომელბიც ოფიციალურად უჭერენ მხარს მთიანი ყარაბაღის ხელისუფლებას, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სომხეთმა და აშშ-მა, ფაქტობრივად, აღიარეს მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა.

1998-1999 წლებში აშშ-მა 11,8 მლნ დოლარი გამოყო ამ პროგრამის რეალიზაციისათვის მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე და 6,7 მლნ დოლარი — მიმდებარე რაიონებისთვის, რომლებიც შეიარაღებული შეტაკებების დროს დაზარალდნენ.

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს მთიან ყარაბაღში სამშობიარო სახლის მშენებლობას, საცხოვრებელი კომპლექსის აღდგენას, სამედიცინო დაწესებულებების (ფსიქიატრიული) რეაბილიტაციას, მცირე ბიზნესის განვითარებას და სხვა.

ამერიკის ხელისუფლების მხრიდან აღნიშნულ დახმარებას არა მხოლოდ სოციალ-ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს, მან პოლიტიკური დივიდენდებიც მოუტანა თვითაღიარებულ რესპუბლიკას. ამ მოვლენას, რასაკვირველია, აზერბაიჯანის ხელისუფლების ნეგატიური რეაქცია მოჰყვა; აშშ-სა და რუსეთს „მოღალატეები" უწოდეს — სომხების მხარე დაიჭირესო.

ექსპერტების აზრით, ეს ტენდენცია სამხრეთ კავკასიაში შეამცირებს დაძაბულობას და იგი რეგიონული კონფლიქტების დარეგულირების პირობებს შექმნის.

***ნეზავისიმაია გაზეტა №73***

# ქვისსახიანი — ჰააგაშია

ჯარისკაცებს თავი არ შეუწუხებიათ კარებზე დაკაკუნებით. გასულ ორშაბათს 15-მდე მძიმედ შეიარაღებულმა ფრანგმა ნატოელმა ჯარისკაცმა — ბოსნიელ სერბთა მთავარ ქალაქ პალეში ერთ-ერთ სახლს ალყა შემოარტყა. კარი პლასტიკური ასაფეთქებლით ააფეთქეს და იმ საძინებელში შეცვივდნენ, სადაც 55 წლის მომცილო კრაჯისნიკს ეძინა. მისი ვაჟიშვილები და მოხუცი მშობლები სამხედროებმა სამზარეულოში გამოკეტეს. რამდენიმე ჯარისკაცმა კი სახლი გაჩხრიკა და კრაჯისნიკის საბუთები, კომპიუტერის ვინჩესტერი და დისკეტები თვითმტკიცებულებებად წამოიღო. კრაჯისნიკი სარაევოში გადაიყვანეს, იქიდან ჰააგის ციხეში გადააგზავნეს, სადაც სასამართლოს დაელოდება. მას საომარ დანაშაულებათა გამო გაასამართლებენ. ეს დაპატიმრება ნატოს კრიტიკოსებს კარგა ხნით დაადუმებს — ისინი ხომ ნატოს ბრალს დებდნენ — ბოსნიელ სამხედრო კრიმინალებს ხელს აფარებთ და მართლმსაჯულებისგან თავის დაღწევაში ეხმარებითო. დასავლელი დიპლომატები მიიჩნევენ, რომ კრაჯისნიკი, ბოსნიელ სერბთა ლიდერის რადოვან კარაჯიჩის მსგავსად, ქვეყანაში დატრიალებულ სისხლის ღვრაში მთავარი დამნაშავეა. ზოგი კრაჯისნიკს უფრო მეტ ბრალს სდებს, ვიდრე კარაჯიჩს. ისინი ამტკიცებენ, რომ კრაჯისნიკი, რომელიც შავი ბაზრის „ნათლიად" იყო მიჩნეული, მთავარი დამფინანსებელი იყო 1992-95 წლებში ბოსნიის ომის დროს ჩატარებული ბოსნიელ მუსლიმ მოქალაქეთა ეთნიკური წმენდისა. თანამებრძოლთა შორის „ქვისსახიანის" და „ყინულის კაცის" მეტსახელით ცნობილი კრაჯისნიკი — 1984 წელს ცხრა თვე იჯდა ციხეში — ყალბი ჩეკების გამოწერისა და მშენებლობიდან ცემენტის მოპარვისთვის. 1992 წელს ის ნახევრად აღიარებული ბოსნია-ჰერცეგოვინას სერბთა რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერად აირჩიეს. მოგვიანებით, ბოსნიელ სერბთა არმიას სიგარეტით, ტყვია-წამლითა და აღჭურვილობით ამარაგებდა. ომის დასაწყისში ბოსნიელმა მუსლიმანებმა ცოლი ყუმბარით მოუკლეს. შესაძლოა, ამ ფაქტმა შეაძულა მუსლიმანები. თუმცა ამ სიძულვილს სრულებითაც არ შეუშლია ხელი კრაჯისნიკისთვის — მუსლიმანებთან ერთად მოლაპარაკების მაგიდას მისჯდომოდა. ის ერთ-ერთი იყო იმ სამ ბოსნიელ სერბთაგან, ვინც დეიტონის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. დღეს კი კრაჯისნიკი, ადამიანი, რომელმაც ერთხელ საკუთარ თავს „პლანეტა დედამიწაზე, ყველა სერბთა შორის უდიდესი სერბი" უწოდა, ციხის საკანში სასამართლოს ელის. სასამართლოს, რომლის ვერდიქტიც პირობითი სასჯელი ნამდვილად არ იქნება.



***ნიუზუიქი, 17 აპრილი***

# მოკლედ

**ბელორუსია** და რუსეთი დაიწყებენ ერთობლივ 300 ათასიანი მძლავრი სამხედრო დაჯგუფების შექმნას, რომელიც უახლესი იარაღით იქნება შეიარაღებული.

**ფილიპინების** ავიაკომპანიის ავიალაინერმა „ბოინგ-737-200"-მა კატასტროფა განიცადა ქვეყნის სამხრეთით. დაიღუპა 124 მგზავრი და შვიდკაციანი ეკიპაჟი. თვითმფრინავი მანილადან დავაოში მიფრინავდა.

**საფრანგეთში** ზედიზედ ხდება ტერორისტული აქტები. ტერორისტები მასობრივად აფეთქებენ „მაკდონალდსის" რესტორნებს.

**ამერიკის შეერთებული შტატების** პრეზიდენტობის კანდიდატი — ტეხასის გუბერნატორი ჯორჯ ბუში ცდილობს რესპუბლიკელებისათვის ნაკლებად დამახასიათებელი, არატრადიციული მეთოდებით მიიპყროს ამომრჩეველთა ყურადღება — იგი იაფფასიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობას ემხრობა. გარდა ამისა, სურს ვიცე-პრეზიდენტის პოსტი თავის ყოფილ მეტოქეს, სენატორ ჯონ მაკეინს შესთავაზოს.

# ვინც ბანაობს — დიდხანს ვერ ცოცხლობს

**ამ რამდენიმე ხნის წინ კრებულში, „კალიფორნიის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომები", გაჩნდა პროფესორ იური ლოზოვსკის სტატია ადამიანის ორგანიზმის დაბერების მიზეზთა შესახებ, რომელმაც დიდი მითქმა-მოთქმა და კამათი გამოიწვია მეცნიერთა შორის. ბ-ნი იური ლოზოვსკი, რუსეთის ყოფილი მოქალაქე, მიიწვიეს ინგლისში გამართულ კონგრესზე — „ადამიანის კულტურული ტრადიციები და ჯანმრთელობა ათასწლეულის მიჯნაზე". მისი დასკვნები სენსაციურია. თავად განსაჯეთ.**

**— ბატონო იური, მკითხველის გასაცნობიერებლად, იქნებ მოკლედ გვიამბოთ საკითხის არსის შესახებ.**

— სიამოვნებით. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირში ფართოდ გაიშალა ხანდაზმულობის შესახებ კვლევა. შეიქმნა გერონტოლოგიის ინსტიტუტი, პრესაში გამოჩნდა ამ თემისადმი მიძღვნილი მასალები, იღებდნენ დოკუმენტურ ფილმებს. დასკვნები, ძირითადად, ზედაპირული იყო. კავკასიის, ციმბირისა და სხვა ხანდაზმულები, თითქოს დიდხანს იმიტომ ცხოვრობენ, რომ ფიზიკურად შრომობენ, სუფთა ჰაერზე, რაციონალურად იკვებებიან და მათი ცხოვრება ემოციურად ბალანსირებულია.

ვცდილობდით, გვეპოვა ხანდაზმულთა შორის რაღაც საერთო — მაგრამ ვერ ვპოულობდით. მაგ. ზოგი მათგანი ვეგეტარიანელი იყო, სამაგიეროდ სხვა ჭამდა ხორცს, ზოგი — არ სვამდა ღვინოს, სხვები — სვამდნენ, ზოგი ეწეოდა, ზოგი — არა. ზოგიერთი მუდამ ერთ ცოლთან ცხოვრობდა, ზოგი — უკვე ხანდაზმული, ახალგაზრდა ქალს ირთავდა ცოლად. სხვანი — საერთოდ ასკეტურ ცხოვრებას მისდევდნენ. დავუმატოთ ამას განსხვავება კლიმატური პირობებისა, ხანდაზმულთა სოციალური მდგომარეობა, რელიგიური და ეთნიკური თავისებურებანი. ერთი სიტყვით, არავითარი ზოგადი ნიშნის პოვნა არ მოხერხდა.



არ მოხერხდა მანამ, სანამ ყურადღება არ მივაქციე ერთ ნიშანს, ყველასათვის მეტ-ნაკლებად ზოგადს. ოღონდ, სანამ ამის შესახებ გეტყოდეთ, ვთხოვ თქვენს მკითხველებს, ღრმად ჩაისუნთქონ...

**„უსაპნოდ" ჩვევა.** ყველა ადამიანი, რომელიც 120-150 წელი ცოცხლობს, მისდევს ჰიგიენის არცთუ ტრადიციულ ნორმებს. მოკლედ, იშვიათად იბანენ, ან თუ იბანენ — უსაპნოდ, რაც სოფლის პირობებში ადვილად ასახსნელია. თავიდან ამას ყურადღება არ მივაქციეთ. შემდეგ კი მე და ჩემი კოლეგები დავფიქრდით. რომელიღაცამ 30-იანი წლების ამბავი გაიხსენა: როცა საბჭოთა ხელისუფლებამ განაპირა ოლქებშიც ჩააღწია, ახალგაზრდა მასწავლებლებმა, კომკავშირელებმა დაიწყეს ცხოვრების საღი წესის ქადაგება და ჩრდილოეთის ხალხთა შორის ნამდვილი დემოგრაფიული კატასტროფა მოხდა. კოლოსალურად გახშირდა სიკვდილიანობა ევენკებს, ჩუქჩებს, ნენცებს შორის, რომლებიც აიძულეს საპნით ებანათ. ექიმები ვერაფერს ხვდებოდნენ, მაგრამ საკმაოდ სწრაფად დადგინდა, რომ საპონმა გაანადგურა ცხიმის ბუნებრივი დამცავი ფენა.

ადამიანის კანის საფარს გააჩნია სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი სამი ფუნქცია — შემწოვი, გამომყოფი და დამცავი. ადამიანის ბიოლოგიური არსებობის მილიონობით წლების მანძილზე ეს ფუნქციები საათის მექანიზმის სიზუსტით დარეგულირდა. ანალოგიის გასავრცობად წარმოვიდგინოთ, რომ საათის მექანიზმი ვილაცამ ჯაგრისითა და საპნით გარეცხოს. აღმოჩნდა, რომ რაღაც ამგვარად ვიქცევით ყოველთვის, როცა აბაზანაში ვბანაობთ. ამ დროს ხდება გამომყოფი ფუნქციის ბლოკირება. ეს გამოწვეულია ეპიდერმიის რეაქციით ცხელ წყალზე და, რაც მთავარია, დასაბანი საშუალების შემადგენლობით.

დაცვითი ფუნქცია ითვალისწინებს დაცვის ორ დონეს — ბიოლოგიურსა და ენერგეტიკულს. სპეციალური ჯირკვლები სხეულის ზედაპირს ფარავს ცხიმის ზედმიწევნით თხელი ფენით. ეს საფარი — თავისებური სკაფანდრია, რომელიც იცავს ორგანიზმს აგრესიული გარე ზემოქმედებისაგან. ჩვენ კი სწორედ ამ ზემოქმედების გარემოში ვცხოვრობთ. ქალაქის ჩვეულებრივ ჰაერში 1კუბ სმ-ზე 5-7მლნ მიკროორგანიზმი და დაახლოებით 2-ჯერ მეტი მტვრის ნამცეცი მოდის. ამ ბიოლოგიურ სკაფანდრს ვიშორებთ ყოველთვის, როცა სხეულს ჯაგრისით ვიხეხავთ. საფრის სრული აღდგენა 24-48 საათს მოითხოვს. ენერგეტიკული დაცვა — ეს სხეულის ზედაპირის იმგვარი დამუხტვაა, რომელიც ისხლიტავს მიკროობიექტებს, რომლებიც ავსებენ ჩვენ ირგვლივ მყოფ სასიცოცხლო სივრცეს. მაგრამ აბაზანის მიღების შემდეგ კანის დამცავი ფუნქცია ირღვევა და მიკროორგანიზმები, ბაქტერიები და მტვრის ნამცეცები პირდაპირ ეკვრიან ჩვენი სხეულის ზედაპირს 18-20 საათის მანძილზე. აი, რატომ ვხდებით ხოლმე ხშირად ავად ბანაობის შემდეგ (და არა გაცივების გამო).

**დაბოლოს:** კანის შემწოვი ფუნქცია. სამწუხაროდ, იგი სულაც არ ზიანდება დაბანის შემდეგ. პირიქით, ამ დროს მისი აქტივობა 8-12-ჯერ იზრდება და ყველა ტოქსინი, რაც დაბანამდე გამოყო სხეულმა, საპნის ხსნართან ერთად შეიწოვება კუნთოვან ქსოვილში, შემდეგ კი სისხლში. რაღაც ვადით ეს თითქმის ორჯერ ამცირებს იმუნიტეტს. მრავალრიცხოვანმა ექსპერიმენტებმა ეს დაადასტურა.

**— ვინ შეისწავლა თქვენ გარდა ეს პრობლემა?**

— 70-80-იან წლებში ამ საკითხზე მუშაობდნენ უცხოელი მეცნიერები და ისინი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, მივიდნენ მსგავს შედეგებამდე. პოლონეთში ეს იყო პროფ. ო. დუხმოვსკი, გერმანიაში — დოქტორი ჰ. შრედერი, აშშ-ში — პროფ. დ. ალბერტი.

**— თუ ასეა, რატომ არ გავრცელდა ეს თვალსაზრისი სამეცნიერო წრეებსა და საზოგადოებრიობაში?**

— გამოკვლევების შედეგები არ გახმაურებულა, რადგანაც იგი ეხებოდა დასაბანი საშუალებების გამომშვებ მთელ ინდუსტრიას, ეს საერთაშორისო კორპორაციები კი მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესია. მას მხოლოდ სასმელებისა და თამბაქოს მწარმოებელი კონცერნები თუ გაუტოლდება. თუმცა მეცნიერებამ დაამტკიცა მათი პროდუქციის მავნებლობა, სიგარეტის კოლოფზე გაფრთხილებაც კი მიაწერეს, მაგრამ ამან სრულიად ვერ შეარყია მათი ბასტიონები. სწორედ ასევე შემოაქვს მილიარდები დასაბან საშუალებებს, იგი წარმოშობს მილიონობით სამუშაო ადგილს.

**მუშაობს ჩვევის ძალა.** ისევე, როგორც მიეჩვია ადამიანი, თამბაქოთი დაიავადოს გული და ფილტვები, ალკოჰოლით კი ნერვული სისტემა და ღვიძლი, ასევე მივეჩვიეთ ყველანაირი ქიმიური საშუალებებით დაბანას. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის — ოცი წლის წინანდელი მონაცემებით, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ალკოჰოლის და თამბაქოს მოხმარება რომ შეწყდეს, სიცოცხლის ხანგრძლივობა 18-26%-ით გაიზრდებოდა. მაგრამ ვის ახსოვს ეს ციფრები? ან ვის აინტერესებს იგი? დაბანისას ქიმიურ საშუალებებზე უარის თქმა თუკი ყველას არ გაგვიხანგრძლივებს სიცოცხლეს, ყოველ შემთხვევაში, გაახანგრძლივებს დღევანდელი თაობის სიცოცხლეს არაერთი ათწლეულით. დასაბანი საშუალებების გამოყენება — ევროპული ცივილიზაციის მონაპოვარია, თანაც არცთუ დიდი ხნის წინანდელი. ათასწლეულების მანძილზე სხვა ცივილიზაციათა ტრადიციებში ამგვარი ჩვევა არ არსებობდა. მაგალითად ავიღოთ ძველი აღმოსავლეთი, ელადა, ინდოეთი, ჩინეთი და თვით ამერიკა ევროპელების იქ ჩასვლამდე. ხალხი სხეულს ზეთებით და ათასგვარი ნელსაცხებლით იზელდა. გადაიკითხეთ თუნდაც „ათას ერთი ღამე".

**— მაშ, რას იტყვით ცნობილ რომაულ აბანოებზე? ან ძვ. აღმოსავლეთში არსებულ აბანოებზე?**

— აბანოები ამ ქვეყნებში განკუთვნილი სულაც არ იყო სხეულის დასაბანად. ეს იყო სამასაჟო დაწესებულება: პირდაპირი, ფიზიკური და ტემპერამენტული ცვლილებების მასაჟისა. გაიხსენეთ, რას წერდა სვეტონიუსი იმპერატორ ავგუსტინეს შესახებ: „თავის სუსტ ჯანმრთელობაზე იგი ზედმიწევნით ზრუნავდა. იშვიათად ბანაობდა. ამის ნაცვლად იგი ზეთით იზელდა სხეულს ან ღია ფანჯრის წინ ოფლს იდენდა". რომში, როგორც მთელ მსოფლიოში, სხეულს ზეთებით იზელდნენ და როცა უნდოდათ კანიდან ზეთის ფენა მოეშორებინათ, ამისთვის სპილოს ძვლის სპეციალური პატარა ნიჩბები ჰქონდათ. მათი ნახვა დღესაცაა შესაძლებელი ზოგიერთ მუზეუმში.

მინდა თქვენი ყურადღება კიდევ ერთ ფენომენს მივაპყრო. იგი თითქმის ყველა რელიგიურ მოძღვრებაშია დაფიქსირებული. ბიბლიაში ფიგურირებენ წინასწარმეტყველები, ბიზანტიასა და რუსეთში სალოსები, აღმოსავლეთში — დერვიშები, ბრაჰმანები... ყველა ეს ადამიანი ცხოვრობდა უდაბნოებში, სადაც არ არის წყალი, მათ ღია ცის ქვეშ ეძინათ ზამთარ-ზაფხულ და, როგორც წესი, დიდხანს ცხოვრობდნენ. გამოირჩეოდნენ არა მხოლოდ წარმოუდგენელი სულიერი, არამედ ფიზიკური ძალითაც. გარეგნულად ისინი არცთუ კარგ შთაბეჭდილებას ახდენდნენ, მაგრამ ზოგიერთ ტექსტში ნათქვამია, რომ ისინი სასიამოვნო არომატს აფრქვევდნენ...

უძველესი დროიდან განბანვა იყო მაგიური, რიტუალური აქტი. ინდუსებში, ჩინელებში, იაპონიაში, იუდეველებში და პირველ ქრისტიანებში ეს ერთგვარი სიმბოლური ქმედება იყო, რომელიც ატარებდა სულის ცოდვისაგან განწმენდის იდეას. არავის მოსვლია აზრად, რომ ამ დროს საპნით გაქაფულიყვნენ...

ძველი დროის ადამიანები წყლით იბანდნენ, ჩვენთვის კი აუცილებელია ჯაგრისი და ქიმიკატები.

**— თქვენ სთავაზობთ კაცობრიობას თავი ანებონ საპნით ბანას?**

— დიახ, ახლა მე მოხალისეთა სამ ჯგუფთან ვმუშაობ. ისინი დათანხმდნენ ჩვენს თხოვნას — არ იბანაონ საერთოდ. ჩვენ შევეცადეთ შეგვერჩია ხალხი, რომელთაც სერიოზული პრობლემები ჰქონდათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. დღეისათვის მათ უკვე 9 თვეა, არ უბანავიათ. მთელი ამ ხნის მანძილზე ისინი არ გამხდარან ავად არავითარი გაცივებით, თუმცა ჩვენი ექსპერიმენტის მანძილზე მოდიოდა გრიპის ორი პანდემია.

12 ადამიანს სერიოზულად აწუხებდა გულ-სისხლძარღვთა მოუწესრიგებლობა. სიმპტომები მთლიანად გაქრა. სამს შეუხორცდა წყლული. ერთი მათგანი, რომელსაც კატარაქტა ჰქონდა, დღეს სათვალის გარეშე კითხულობს — წარმოუდგენელი შემთხვევაა! მაგრამ ყველაზე საოცარი შედეგები ფსიქიკურ დაავადებათა სფეროშია. თუმცა ამის შესახებ ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ, მომავალი წლის აპრილიდან გესაუბრებით.

***ოგონიოკი №11***

# „ფრანგული სიყვარულის" საიდუმლოება

საფრანგეთი, რა თქმა უნდა, რევოლუციის სამშობლოა, მაგრამ მონარქიისგანაც შემორჩა რაღაც. მაგალითად, ტახტის მემკვიდრე, რომელიც გასული საუკუნის შუა წლებიდან ატარებს გრაფ პარიზელის ტიტულს. სამეფო კარის მეთაური, რომელიც ამას წინათ გარდაიცვალა, ყოველმხრივ კეთილშობილი ადამიანი ჩანდა, თუმცა ტახტზე ასვლის შანსი არ ჰქონდა — რადგან ფრანგები ძალზე კმაყოფილნი არიან საკუთარი დემოკრატიით. თავისი სიცოცხლის 70 წლის მანძილზე მან საკმაოდ კანონიკურად იცხოვრა. ჯერ ერთი, 1940 წელს მემკვიდრეობად ხვდა ორლეანის დინასტიის ყველა სიკეთე, რის გამოც ასცდა მუშაობის აუცილებლობა. მეორეც, ცოლად შეირთო არისტოკრატი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ამშვენებდა მეუღლეს. თანაც გრაფს მან 11 შვილი გაუჩინა, რითაც უზრუნველყო დინასტიის გარდაუვალი მემკვიდრეობითობა. მაგრამ ერთ დღეს იდილია დაირღვა. არშემდგარ მონარქს შეუყვარდა ულამაზო, ნაკლებად განათლებული და არცთუ ახალგაზრდა მედდა მონიკა ფრიეში. მისი გულისთვის მიატოვა გრაფმა ცოლი, იშვიათად დადიოდა თავის მრავალრიცხოვან ციხესიმაგრეებში და მკაცრი გახდა კანონიერი შვილების მიმართ. სიყვარული სიყვარულად, მაგრამ სიყვარულის ობიექტმა გაძარცვა გრაფი. გარდა ამისა, მან თავის მრავალრიცხოვან „ორლეანელ" მემკვიდრეებს მემკვიდრეობა ჩამოართვა.

## გიყვარდეს და არ გასამართლდები

საბრალო ბილ კლინტონს არ გაუმართლა — როცა იგი გახდა ამერიკის და არა ფაქიზი და მგრძნობიარე საფრანგეთის პრეზიდენტი. მაშინ მისი ურთიერთობა მონიკასთან — გინდ ფრიეშთან და გინდ ლევინსკისთან — სულაც არ იქცეოდა დანაშაულად. ფრანგებს უყვართ ჭუჭრუტანიდან თვალთვალი და მიაჩნიათ, რომ პოლიტიკოსებიც ადამიანები არიან ყველა სისუსტით.

ჟურნალისტმა სოფი კუანიარმა გამოაქვეყნა წიგნი „ფრანგული ომერტა". ამ სიტყვით აღინიშნება სიცილიასა და პალერმოში მაფიის მიერ მოგონილი დუმილის კანონი — ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ ჩუმად არიან. თანაც ეს ეხება არა მხოლოდ ინტიმურ მხარეს. მაგალითად, საფრანგეთში ყველამ იცოდა, რომ ომის დროს მიტერანი თანამშრომლობდა ფაშისტურ რეჟიმთან და ამისთვის ჯილდოც კი აქვს მიღებული გენერალ პეტენისგან — წმინდა ფრანცისკის ორდენი, რამაც სულაც არ შეუშალა ხელი 14 წლის მანძილზე ყოფილიყო ქვეყნის მეთაური.

სკანდალური ბუდუარული ამბები კი „ფრჩხილებში" რჩება სრულიად კანონიერ საფუძველზე. 1970 წელს მიიღეს კანონი, რომელიც იცავს კერძო ცხოვრებას და მას ხშირად „დელონის კანონს" უწოდებენ.

საქმე შემდეგში იყო: 1968 წელს პარიზის ერთ-ერთ სანაგვეზე ალენ დელონის მცველის გვამი იპოვეს. ამ პერიოდში პრეზიდენტმა დე გოლმა შეცვალა პრემიერი — პომპიდუს ნაცვლად დაინიშნა დე მურვილი და რამდენადაც პომპიდუ პრეზიდენტობის სერიოზული კანდიდატი იყო, დაიწყო მასზე ცილისწამების გავრცელება. რამდენიმე კვირის შემდეგ დელონის საქმეში გაჩნდა მინიშნება შეკრება-საღამოებზე, სადაც ფიგურირებდა ნარკოტიკები, სხვა გასართობი; თითქოსდა მასში მონაწილეობდნენ პომპიდუს ცოლი და ალენ დელონი. ყოფილმა პრემიერმა მოახერხა ყოველივე ამის აღკვეთა და როცა პრეზიდენტი გახდა, რევანში აიღო — ასე გაჩნდა ქვეყანაში კანონი, რომელიც განასხვავებდა კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებას. ამგვარად, ფრანგ ხელმძღვანელობაზე ოფიციალურად მხოლოდ ის არის ცნობილი, რასაც ახალ ამბებში აჩვენებენ.

## უნდა შეცოდოთ შიშისა და საყვედურის გარეშე

„ფრანს პრესის" სააგენტოში მუშაობს ჟურნალისტი ქალი, რომელიც თავის დროზე პარიზის მერიის საქმიანობას აშუქებდა. მერიას მაშინ ქვეყნის ახლანდელი პრეზიდენტი ხელმძღვანელობდა. სააგენტოში ყველა მიეჩვია, რომ ჟურნალისტს ხშირად ურეკავდა ხოლმე ვინმე „მუსიე ნიკოლა". ერთხელ, როცა იდუმალმა თაყვანისმცემელმა ტელეფონზე ჟურნალისტი ქალი იკითხა, ერთ-ერთმა თანამშრომელმა ქალს ყურმილი გადასცა და უთხრა: „შენ გთხოულობენ, შირაკია".

პრინცესა დაიანას დაღუპვის ღამეს შინაგან საქმეთა მინისტრმა დიდხანს ეძება პრეზიდენტი, რათა მომხდარი შეეტყობინებინა. შირაკის ცოლმა თითქოს უპასუხა: „საიდან უნდა ვიცოდე, სად არის ჩემი ქმარი..." ამგვარ ამბებს ხშირად განიხილავენ ხოლმე ზეპურთა თავშეყრის ადგილებში.

მიტერანის წინამორბედი ვალერი ჟისკარ დ'ესტენი ცნობილი მექალთანე იყო, ამავე დროს, მშვენივრად ჰქონდა ათვისებული 1970 წლის კანონის ყველა უპირატესობა. უკვე პრეზიდენტად ყოფნისას უსიამოვნო სიტუაციაში აღმოჩნდა: ღამით, პარიზის ცენტრალურ მოედანზე საბარგო მანქანას დაეჯახა. პრეზიდენტი რეჟისორ როჟე ვადიმის მიერ გამართული საღამოდან ბრუნდებოდა მთელი პარიზისთვის ცნობილ ერთ ქალბატონთან ერთად, ერთ-ერთი სტუმრისგან ნათხოვარი „ფერარით". სიტუაცია პიკანტური იყო, მაგრამ „მონდის" გარდა ვერც ერთმა გაზეთმა ვერ გაბედა ყურადღება გაემახვილებინა ამ ინციდენტზე.

უქმე დღეებში პრეზიდენტის ნახვა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. თავის თანამშრომლებს იგი დაბეჭდილ წერილს უტოვებდა, რომელშიც ნათქვამი იყო, თუ სად იმყოფებოდა. ეს იმ შემთხვევისთვის, „ბირთვული ომი თუ დაიწყებოდა". ჟისკარს საგანგებო თანამშრომელიც კი ჰყავდა, რომელსაც ევალებოდა გაეცნო მისთვის თეატრისა და კინოს მსახიობი ქალბატონები. ფილმ „ემანუელას" მთავარი როლის შემსრულებელი სილვია კრისტელი კი მას რამდენიმე საზღვარგარეთულ ვოიაჟშიც ახლდა.

მიჩნეულია, რომ ჟისკარი აფრიკულმა ამბებმა იმსხვერპლა. ოფიციალურად — საფრანგეთის პოლიტიკის მარცხმა ამ კონტინენტზე. სინამდვილეში გაზეთმა, რომელმაც „ომერტა" დაარღვია, გაავრცელა ინფორმაცია, რომ ჟისკარი ხშირად ჩადიოდა აფრიკაში. იმპერატორი ბოკასა, რომელიც კაციჭამია აღმოჩნდა, ფრანგ სტუმარს უწყობდა ეგზოტიკურ გასართობებს. შინაგან საქმეთა მინისტრმა ერთ თანამშრომელს დაავალა გაეგო, რა ხდებოდა ამ გასართობ



**მიტერანი მეუღლესთან ერთად**

საღამოებზე და როცა დაწვრილებითი მოხსენება წაიკითხა, ქვეშევრდომს უბრძანა, დაევიწყებინა ყველაფერი.

მაგრამ გაზეთში სხვა ამბავმა გაჟონა — ბოკასას მიერ ჟისკარისთვის ნაჩუქარმა ასტრონომიული ღირებულების ბრილიანტებმა, რომელიც პრეზიდენტმა ნაწილობრივ თავის საყვარლებს დაურიგა. ბოკასამ კი, როცა გაიგო, რომ მისი საკუთარი ცოლი გულგრილი არ იყო საფრანგეთის პრეზიდენტის ახლო ნათესავის მიმართ, რომელიც მუდამ ახლდა აფრიკაში მოგზაურობისას, გაბრაზდა და თავად მისცა გაზეთს ინფორმაცია ნაჩუქარი ბრილიანტების შესახებ.

## როგორ გავამწაროთ პრეზიდენტი

რამდენიმე წლის წინ ელისეს სასახლის ერთ-ერთ კაბინეტში გასროლის ხმა გაისმა — თავი მოიკლა მიტერანის უახლოესმა მრჩეველმა ფრანსუა დე გროსუვრმა. თვითმკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე მასთან სიარულს მოუხშირეს ჟურნალისტებმა, რომლებსაც როგორც ჩანს, იგი უამბობდა სიმართლეს პრეზიდენტის შესახებ, რადგან მისი „გამწარება" გადაწყვიტა. პოლიცია, ცხადია, შეეცადა მიეღო დე გროსუვრის ბინის გაჩხრეკის ორდერი, მაგრამ სასახლე დიდხანს აჭიანურებდა დროს — მხოლოდ იმიტომ, რომ ამავე სახლში ცხოვრობდნენ მიტერანის უკანონო შვილი მაზარინი და მისი დედა ან პანჟო.

როცა მიტერანის უკანონო შვილის არსებობა მაინც გამჟღავნდა, ფაქტები 1970 წლის კანონს დაუპირისპირდა. პრეზიდენტმა ქალიშვილი და დედამისი სახელმწიფო ბინაში გადაიყვანა, მისცა აგარაკი და სკოლაში გოგონას მისი მცველები ატარებდნენ. მიტერანი თან დაატარებდა გოგონას საზღვარგარეთ.

## ფინალში — ეს ერთი ოჯახია

მიტერანის ორივე ოჯახი — კანონიერი და უკანონო, მის დასაფლავებაზე გვერდიგვერდ იდგა და არავინ ცდილა, ნაგავი ქოხიდან გარეთ გაეტანა.

ვალერი ჟისკარ დ'ესტენი არ გაჰყრია თავის მეუღლეს, ალბათ იმიტომ, რომ ღალატი სულაც არ არის ოჯახის დანგრევის საბაბი.

...მხოლოდ გრაფ პარიზელის მემკვიდრეები ბობოქრობენ და ამტკიცებენ: ოჯახი გაძარცვესო! მხოლოდ მათი დედა, რომელიც ძალიან განიცდის ორგული გრაფის ამ ქვეყნიდან წასვლას, თავის დასთან საუბრისას სევდიანად ამბობს ხოლმე: „ძვირფასო, ვერ წარმოიდგენ, რა მგლოვიარე გახდა ეს ბინა გრაფის გარდაცვალების შემდეგ". თუ ყოველივეს იმასაც დავუმატებთ, რომ გრაფს ბოლო 20 წლის მანძილზე ამ ბინის ზღურბლზე ფეხი არ დაუდგამს, მაშინ, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ სწორედ ამგვარი დეტალებისგან შედგება „ფრანგული სიყვარულის" საიდუმლო?!

***ნუველ ობსერვატორი***

# კოსტნერი ცოლს აღარასოდეს შეირთავს



ცისფერთვალა, მომაჯადოებლად მოღიმარი, ყველასთვის საოცნებო ქევინ ქოსთნერი მუდამ უშიშარი და ერთგული გმირის რეპუტაციით სარგებლობდა. ერთ მშვენიერ დღეს, სანიმუშო ქმარი და მამა თაყვანისმცემლების თვალში უცებ გადაიქცა უსირცხვილო, გარყვნილ მამაკაცად, რომელსაც „ჰოლივუდის ხვადის“ იარლიყი მიაკრეს. ძალიანაც კარგი, ახია მასზე — რატომ აძლევდა უფლებას ცოლს, მის ჯიბესა და საწერი მაგიდის უჯრებში ხელები ეფათურა?

ახლახან, დაბადების 45-ე წლისთავზე სახელგანთქმულმა ამერიკელმა მსახიობმა მრავალწლიანი დუმილი დაარღვია და აღიარა, რომ როგორც იქნა, სულიერ სიმშვიდეს მიაღწია.

## ლედი დაიანას „მცველმა“ ვერ უშველა

**— ქევინ, „მცველის“ შემდეგ თქვენ ნაღვლიანად აღნიშნეთ, — უკვე მივაღწიე დიდების მწვერვალს, ახლა ისღა დამრჩენია, რომ დაბლა დავეშვაო. მას შემდეგ გასულმა რვა წელმა თითქოს დაადასტურა თქვენი პროგნოზი.**

— ერთი მხრივ, მართლაც ასეა. ბოლო წლების ნამუშევრებიდან მომწონს მხოლოდ „თამაშისადმი ლტოლვა“. იქნებ იმიტომ, რომ ბავშვობიდან ვოცნებობდი ბეისბოლში ჩემპიონი გავმხდარიყავი.

**— როგორც გავიგე, სწორედ ამ ფილმიდან, მონტაჟის შემდეგ ამოვარდა ორი პიკანტური სცენა.**

— ამას მიჩვეული ვარ. როცა ახალბედა ვიყავი, ორჯერ, მთლიანად ამოჭრეს ჩემი ეპიზოდები. ეს მტკივნეული პროცესია, მაგრამ როგორმე გადავიტან.

**— რა არ მოეწონა რეჟისორს?**

— ყოველთვის მიძნელდება ინტიმურ სცენებში თამაში. როცა პარტნიორს კამერის წინ ვკოცნი, ასე მგონია, მილიონობით ადამიანი ჭუჭრუტანიდან მითვალთვალებს-მეთქი და შიში მიპყრობს, ვნერვიულობ, ცუდად არ გამომივიდეს და საათობით მიხდება რეპეტიციის გავლა. ასე იყო რობინ რაითთან როცა ვთამაშობდი.

**— ეს ამბავი ისე გახმაურდა, რომ რობინის ქმარი, ცნობილი მოჩხუბარი, მსახიობი შონ პენი დაგემუქრათ — ძვლებს დაგიმტვრევო. ამიტომ ხომ არ გაიქეცით ევროპაში?**

— არა, რა თქმა უნდა. მინდოდა გადამეღო ფილმი „მცველი-2“. მასში უნდა ეთამაშა პრინცესა დაიანას და მხოლოდ მისმა დაღუპვამ შეაჩერა ფილმის გადაღება. ევროპაში ვეძებდი მთავარი როლის შემსრულებელ ქალს.

**— როგორც გატყობთ, თქვენ ნელ-ნელა ისევ ზევით მიიწევთ, მიუხედავად იმისა, რომ 90-იან წლებში ორი უმძიმესი დარტყმა მიიღეთ — როცა დაინგრა თქვენი 16 წლის სანიმუშო ოჯახი და ფინანსური კრახი განიცადა იმ დროის ყველაზე ძვირადღირებულმა ფილმმა „წყლის სამყარო“, რომელშიც თქვენ 100 მილიონი დოლარი დააბანდეთ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გაყრის დროს თქვენმა ცოლმაც საკმაოდ დიდი თანხა მიიღო, როგორც ამბობენ, 80 თუ 150 მილიონი დოლარი.**

— მოხარული ვიქნებოდი, რომ სინდისთვის ასეთი თანხა გადამეხადა, მაშინ მეც ხომ ამდენივე დამრჩებოდა! კანონით, ცოლი იღებს ნახევარ თანხას. სინამდვილეში კი სინდის წილად მხოლოდ 40 მილიონი დოლარი ერგო. მაგრამ რა არის ფული, როცა დღემდე ვერ ვიპოვე ისეთი სიყვარული, როგორიც სინდისთან მაკავშირებდა. ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, რომ ჩვენი ურთიერთობა ასე დამთავრდა.

**— ნუთუ ეს საბოლოო განშორებაა. უკანასკნელ ხანს თქვენ ისევ ერთად გხედავენ.**

— ხანდახან ვხვდებით, ერთად დავდივართ ბეისბოლზე და სავახშმოდ. ტელეფონითაც ვსაუბრობთ. უფრო ხშირად შვილებთან მაქვს კონტაქტი.

## ყველაზე უბიწო ვაჟი

**— მხოლოდ უკანასკნელი 4 წლის მანძილზე, დოკუმენტურად დადასტურებული 326 საყვარელი გყავდათ. წარმომიდგენია თქვენი მეუღლის რეაქცია, როცა თქვენი უბის წიგნაკში აღმოაჩინა „ჩემი განსაკუთრებული ხარჯები“ და 1 მლნ დოლარის საბანკო ჩეკებით სექს-შოპებიდან და ინტიმ-სალონებიდან.**

— პირველი მეძავი მამამ მაჩუქა, როცა 17 წლის გავხდი. მანამდე ქალთან არ მქონია ინტიმური ურთიერთობა. სკოლაში ოფიციალურად ვითვლებოდი ყველაზე უბიწო ვაჟად — ძალიან მორიდებული ვიყავი, მქონდა დიდი ყურები და დიდი ფეხები. აბა, ასეთი ბიჭი რომელ გოგონას მოეწონებოდა? „საბრძოლო ნათლობის“ შემდეგ კი ჩემი შეჩერება უკვე შეუძლებელი გახდა, ახალგაზრდობის დანაკლისის ანაზღაურებას ვცდილობდი.

**— თქვენი საყვარელი ქრისტინა დაინარდი ამბობს, რომ ფილმ „ფანდანგოს“ წარმატება საოცარი სექსით აღნიშნეთ.**

— არ ვიცი, რა გითხრათ. მე მგონი, სექსუალურის სახელი მას მერე დავიმსახურე, რაც ღამის კლუბის მოცეკვავე შერი სტიუარტმა განაცხადა, რომ თითქოს ინტიმური სიახლოვის დროს მიყვარს ქალისთვის საცვლების შემოხევა. გვეყოფა სექსის შესახებ საუბარი.

**— კიდევ ერთი შეკითხვა. ამბობდით, საყვარელს პრეზერვატივის გარეშე არ ვეკარებიო და ყველასთვის მოულოდნელად ჟურნალისტ ბრიჯიტ რუნის ბავშვის მამად აღიარეთ თავი. პრესის შეგეშინდათ?**

— რას ვიზამდი, როცა ანალიზებმა ჩემი მამობა დაამტკიცეს? როგორც ჩანს, პრეზერვატივი გაიხსნა და ეს 15 მილიონი დოლარი დამიჯდა ბრიჯიტის სასარგებლოდ.

## სახლი დიასახლისის გარეშე

**— ამბობენ, რომ შესანიშნავი კულინარი ბრძანდებით.**

— ჩემი ყველაზე დიდი მიღწევაა — კომშითა და კოწახურით შემწვარი ტახის ნეკნები. სამწუხაროდ, ბოცვრის კერძი არ გამომდის კარგად. სამზარეულოში ტრიალი იმიტომ მიყვარს, რომ პრობლემებზე არ ვფიქრობ.

**— ეს თქვენი მთავარი დამცავი რეცეპტია?**

— სინდისთან დაშორების შემდეგ, როცა საშინელ დეპრესიაში ვიყავი, შევეცადე, სულიერი სიცარიელე რაიმეთი შემევსო და დიდი სახლი ვიყიდე. ამ სახლმა სიკვდილს გადამარჩინა. მის მოწყობა-გადაკეთებაში გული გადავაყოლე. სახლი ძალიან ლამაზია და ძალიან კარგ ადგილას დგას — ჰოლივუდს გადმოჰყურებს. ვამაყობ ჩემი სახლით და მიყვარს ნივთები, რომლებიც ადამიანებს აახლოებენ. ამიტომაც სახლში ბევრი მყუდრო კუთხე და მყუდრო დივანია. შავი ხის საწოლი ფილიპინებიდან ჩამომიტანეს, სხვადასხვა ავეჯი — ინდონეზიიდან, შრი-ლანკადან და ინდოეთიდან. თავს აღორძინების პერიოდის ადამიანად ვგრძნობ.

**— და მაინც, სახლი დიასახლისის გარეშეა...**

— მე ერთგულება არ შემიძლია, ამიტომ აღარასოდეს შევირთავ ცოლს. მინდა მიყვარდეს ქალები და ჩემი საბანკო ანგარიში არ დაზარალდეს, როცა მათთან ურთიერთობა მეწყება.

***ექსპრეს-გაზეთა №15***

# ანი ჟირარდო უფსკრულის პირზე

თავს ის ყოველთვის ოპტიმისტად მიიჩნევდა და სხვებისგანაც ითხოვდა, ძლიერ, თავდაჯერებულ ქალად მიეღოთ. ალბათ ამიტომაცაა, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში საფრანგეთში ვერავინ შეამჩნია — ანი ჟირარდო დეპრესიიდან ვეღარ გამოდის. უამრავს ეწევა, არ ხმარობს კოსმეტიკას და მისი ნაოჭებით დაღარული სახე პარიზის რუკას ჰგავს.

დავუშნოვდი, მაგრამ ვისთვის ვიყო ლამაზი? — ამბობს სახელგანთქმული ფრანგი მსახიობი.

...ისინი „როკოსა და მისი ძმების“ გადაღების დროს შეხვდნენ ერთმანეთს. ლუკინო ვისკონტის მიწვევით ანი რომში ჩადის. ეჩვენება, რომ გადამღები ჯგუფი ცივად შეხვდა — ნადიას როლი სხვა მსახიობს უნდა ეთამაშა, ბოლო წუთს მან უარი თქვა და ვისკონტი აშკარად გაღიზიანებული ჩანდა. ყმაწვილი ალენ დელონიც რაღაცნაირი ნერვიული ბიჭი იყო და ანის არ მოსწონდა. იტალიელი რენატო სალვადორე — „ვარსკვლავი“, რომელსაც სამშობლოში ათამდე როლი ჰქონდა ნათამაშები, პირქუშად გამოიყურებოდა. ანის მისი ეშინოდა კიდეც. ალბათ ამიტომ იყო, რომ პარიზში დაურეკა საქმროს — ცნობილ სცენარისტსა და რეჟისორს ნორბერ კარმინოს — შავ დღეში აღმოვჩნდიო.



რომში მისი ჩასვლიდან ორი თვის თავზე რენატომ ანი მილანში დაპატიჟა. ქალს სულაც არ გახარებია ეს მიწვევა, — ორი დღე ამ დათვთან რა გამაძლებინებსო, მაგრამ მილანის ნახვის სურვილმა სძლია. სწორედ მილანში უნდა გადაეღო ვისკონტის ნადიასა და როკოს ერთობლივი სცენა. რენატო მზით გასხივოსნებული მილანის ყოველ კუნჭულს აცნობდა, მასაც ყველა იცნობდა. მთელ დღეს სეირნობდნენ, ხუმრობდნენ, — შეყვარებულებივით ხელჩაკიდებულები დადიოდნენ. საღამოს კი აღმოჩნდა, რომ მართლა შეჰყვარებოდათ ერთმანეთი.

რენატო კარგად გრძნობს თავს მასთან, ამავე დროს, მის თვალებში დაბუდებულ შიშსაც ამჩნევს... კაფეში, სადაც ისინი სადილობენ, რენატო არაფერს ეკითხება ქალს — უკვეთავს იმას, რაც თავად მოსწონს, საერთოდ მიაჩნია, რომ ანი უნდა მოიქცეს ისე, როგორც რენატოს სურს. ანის ძალიან მოსწონს იგი. როგორც იქნა, შეხვდა მამაკაცს, რომელსაც ეძებდა.

„როკოსა და მისი ძმების“ უდიდესმა წარმატებამ მათი სიყვარული დაჩრდილა... რენატოს სულ უფრო და უფრო მოსწონს ანი, მისი უკოსმეტიკო სახე, მისი გულგრილობა ძვირფასი ტანსაცმლის მიმართ. ანის ერთადერთი სისუსტე მდიდრული თეთრეულია. რენატო მას თავისი ოჯახის დიასახლისად მიიჩნევს, ბევრი შვილითა და ნათესაობით გარშემორტყმულს... როცა ანიმ უთხრა, — ფეხმძიმედ ვარო, რენატოს ბედნიერებით ცა გაეხსნა. ანი ოფიციალურად გახდა სენიორა სალვადორე და ნამდვილ იტალიელ ქალად იქცა — დადის ბაზარში, ამზადებს იტალიურ კერძებს, ზრდის პატარა გოგონას, გადაღებებზე უარს ამბობს...

გადის დრო. ანის კვლავ სურს მუშაობა, თან რენატო სულ უფრო ხშირად ბრუნდება შინ ნასვამი... ანისთვის ეს საშინელებაა. მალე მშვენიერი მიზეზი ჩნდება — მარსელ კარნე ფილმში იწვევს... მისი გამგზავრების წინ რენატო ისე დათვრა, რომ ანი შეშინდა. კაცი ეხვეწება, — არ წახვიდე, არ დამტოვო, მეშინია შენი დაკარგვისო. ანი გრძნობს, რომ აუცილებლად წავა. მეორე დილას პარიზში მიფრინავს...

იმ დღიდან იწყება ახალი ცხოვრება, გადაღებები. მასზე წერენ მსოფლიოს პრესტიჟული გაზეთები. ცოლისგან განსხვავებით, რენატო სულ უფრო იშვიათად ჩნდება ეკრანზე. მისი თავმოყვარეობა, როგორც ქმრისა და მსახიობისა, შელახულია. ანი მას პარიზში უხმობს, რენატო არ თანხმდება. ნელ- ნელა ხელიდან მიდის — ალკოჰოლი თავისას აკეთებს. ანი პარიზსა და რომს შორისაა გაბმული. ქმარი აღარ უყვარს, რეჟისორ კლოდ ლელუშთან აქვს რომანი, მაგრამ რენატო ეცოდება. რომიდან დაბრუნებულს ყოველთვის სჭირდება რაღაც, რაც დაამშვიდებს და თავადაც იწყებს სმას, ეტანება ნარკოტიკებს. მაინც ბოლომდე ვერ ივიწყებს ადამიანს, რომელმაც ჯოჯოხეთად უქცია სიცოცხლე.

1988 წელს ქალიშვილსა და შვილიშვილთან ერთად ხმელთაშუა ზღვის კურორტზე მყოფ ანი ჟირარდოს რენატოს სიკვდილი შეატყობინეს. ტვირთი, რომელიც წლების განმავლობაში ამძიმებდა, თითქოს ჩამოეცალა. აღარ სჭირდება რომსა და პარიზს შორის სირბილი, მაგრამ იმასაც გრძნობს, რომ მისი ცხოვრებაც ცარიელდება და აზრს კარგავს...

***კარავანი №4***

# ჯონ ტრავოლტა - კაცი, რომელსაც ფრენა უყვარს



ჯონ ტრავოლტა — ჯონ ტრავოლტაა, მაგრამ რატომაა, რომ მისი გულისთვის ცოლები ქმრებს ტოვებენ, ძაღლები მის დანახვაზე აცეკვდებიან ხოლმე, მეზობლები გამუდმებულ შიშში ცხოვრობენ, პრეზიდენტი კლინტონი კი მისი კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობს?!

ჯონს ცხოვრებაში სამი გატაცება აქვს: კინო, ცეკვა და თვითმფრინავი. კინოსა და ცეკვასთან დაკავშირებით ყველაფერი გასაგებია, აი, რაც შეეხება თვითმფრინავს — საქმე ცოტა რთულადაა. გარდა საკუთარი „ბოინგ 707“-ისა, კიდევ ორი თვითმფრინავი ჰყავს. ბოროტი ენები ამბობენ, ტრავოლტა მათ ამერიკის სხვადასხვა კუთხეში გაფანტულ ოთხ ვილას შორის მიმოსვლისათვის იყენებსო. გასულ წელს, მეზობლებს მოთმინების ფიალა აევსოთ და მსახიობს უჩივლეს. როგორც გამოირკვა, მსახიობი გადასაადგილებელ საშუალებად მხოლოდ თვითმფრინავს ცნობს, რისთვისაც საკუთარი ანგარიშიც აქვს. წარმოიდგინეთ, რა დღეში არიან მისი საბრალო მეზობლები, როცა დღეში რამდენჯერმე ენით აუწერელი გრიალით გადაიფრენს სახლების თავზე „ბოინგი“. მართალია, სასამართლოში საქმე მიაფუჩეჩეს, მაგრამ ტრავოლტას მკაცრად აუკრძალეს ღამღამობით ფრენა.

ჯონ ტრავოლტა 1954 წლის 18 თებერვალს, მანქანის სალტეების გამყიდველის ოჯახში დაიბადა. მამა ადრე პროფესიონალი მოკრივე იყო, დედა — დრამატული სკოლის მასწავლებელი. ორმოც წელს გადაცილებულმა ცოლქმარმა ბავშვის დაბადება ზეციურ საჩუქრად მიიჩნიეს.

პატარა თავიდანვე გამორჩეულად უყვარდათ და საკმაოდ ანებივრებდნენ. მისი ყველა სურვილი დაუყოვნებლივ სრულდებოდა.

ოჯახში, სადაც ჯონის გარდა, კიდევ ხუთი ბავშვი იზრდებოდა, ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა — გაუთავებელი სტუმრიანობა, გართობა და ცეკვები სახლს ბალაგანს ამსგავსებდა. უფროსმა ტრავოლტამ სახლთან ახლოს სცენაც გამართა, სადაც ყოველ უქმე დღეს წარმოდგენები იმართებოდა. ყველაფერმა ამან დიდი გავლენა მოახდინა ჯონზე და ბავშვობიდანვე გადაწყვიტა, მსახიობი გამხდარიყო.

შეუსრულდა თუ არა 16 წელი, ჯონმა სკოლა მიატოვა, რათა მთელი დრო კინოსთვის დაეთმო. მალე მოიპოვა მაყურებლის სიყვარული, თუმცა დიდებამდე ჯერ კიდევ შორს იყო.

პირველი ნამდვილი სიყვარული გადასაღებ მოედანზე ეწვია. ქალს დაიანა ჰაილენდი ერქვა და 22 წლის ჯონზე 18 წლით იყო უფროსი. ფილმში დაიანა ჯონის დედას თამაშობდა. ვერავინ შეამჩნია, როგორ გადაიზარდა დედაშვილური სიყვარული ნამდვილ ვნებაში, გავიდა ერთი წელი და მთვარის შუქვეშ ვნებიანი ოხვრა მომაკვდავი ქალის სარეცელთან ღამისთევამ შეცვალა.

სიკვდილის შემდეგაც კი დაიანა მისთვის იდეალურ ქალად დარჩა — დიდხანს ვერავინ შეცვალა მისი ადგილი ტრავოლტას აპარტამენტებში.

გავიდა ხანი და ერთ-ერთ წვეულებაზე ჯონის მკლავებში აღმოჩნდა კელი პრესტონი — ქალი, რომელმაც შეძლო ტრავოლტას ნაღვლიანობის გაფანტვა და მის გულში საპატიო ადგილის დამკვიდრება.

ტრავოლტას შემოქმედებაში ამოსავალ წერტილად იქცა 1993 წელს ტარანტინოსთან შეხვედრა. რეჟისორს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, ჯონი რომ როლზე დაეთანხმებინა. შეპირებული ჰონორარი 140.000 დოლარს შეადგენდა. დღეს, საკუთარი თავის პატივისმცემელი მსახიობი ამ ფასად ადგილიდანაც არ დაიძრება, მით უმეტეს, ტრავოლტა, რომლისთვისაც 20 მლნ-იანი ჰონორარი ჩვეულებრივი ამბავია. ფილმი „კრიმინალური საკითხავი“ „ოსკარზე“ წარადგინეს. მას შემდეგ ტრავოლტა ჰოლივუდის ერთ-ერთი მაღალანაზღაურებადი მსახიობია.

ჯონი შესანიშნავად მღერის — ჯერ კიდევ კარიერის დასაწყისში ბოლო ალბომიც კი ჩაწერა. მისი ქორეოგრაფიული მონაცემები ხომ მაყურებლისათვის პროფესიონალთა შეფასების გარეშეც ცხადია.

ამას წინათ, ტრავოლტამ მეტად მაცდუნებელი წინადადება მიიღო... მომავალი ფილმის გმირი მოსალოდნელი მკვლელობის თავიდან ასაცილებლად წარსულში იწყებს მოგზაურობას. ამ როლს ჯონ ტრავოლტა შეასრულებს.

კითხვაზე, „ბედნიერი ხართ?“ ჯონი ჩვეულებრივ უპასუხებს ხოლმე: „ოდესღაც ძალზე ვწუხდი, რომ ცოტა ფული მქონდა და ცხოვრებაში ვერაფერს მივაღწიე. ახლა, როცა ყველაფერი მაქვს, ცხოვრებას სხვა თვალით ვუყურებ, ადამიანების დაფასება ვისწავლე, სილამაზით ტკბობა. უბრალოდ, მიხარია, რომ ცოცხალი ვარ.

***კალეიდოსკოპი №12***

# იცით თუ არა, რომ...

— სუპერმენის როლის სახელგანთქმული შემსრულებელი **ქრისტოფერ რივი** შვეიცარიის ერთ-ერთ ჰოსპიტალში დაწვა, სადაც მას ასპროცენტიანი გამოჯანმრთელების გარანტიას აძლევენ. მსახიობი დარწმუნებულია, რომ სამი წლის შემდეგ მას აღარ დასჭირდება ინვალიდის ეტლი და ისევ გადაიღებენ ფილმებში.

— **მიკ ჯაგერმა** გადაწყვიტა, ბედი პარფიუმერიის ბიზნესში სცადოს. გასაყიდად უკვე გამოიტანეს მამაკაცის სუნამოები და ოდეკოლონები, რომლებსაც „მიკ ჯაგერი“ ჰქვია.

— დიდი სკანდალი გამოიწვია **ვერსაჩეს** მოდელების სახლის უკანასკნელმა ჩვენებამ. ვერსაჩეს სტილისტებმა მაყურებელს წარუდგინეს მარტორქის ტყავის სამოსელი. ეს ცხოველი კი წითელ წიგნშია შეტანილი. ვერსაჩეს დამ, დონატელამ, უარყო ეს ბრალდება და განაცხადა, რომ ყველა მოდელში გამოყენებულია ხბოს ტყავი, რომელიც ისეა დამუშავებული, რომ მარტორქისას დაემსგავსა.

— მიუხედავად მოარული ხმებისა, რომ **ბრედ პიტსა და ჯენიფერ ენისტონს** მყუდრო, მიყრუებულ ადგილას სურთ განმარტოება, ისინი ყველას დასანახად მოგზაურობენ ფეშენებელურ კურორტებზე. მალიბუზე აგენტმა მათ რამდენიმე შესანიშნავი სახლი შესთავაზა. დიდი ყოყმანის შემდეგ შეყვარებულებმა შეარჩიეს ოკეანის სანაპიროზე სამი ვილა. ერთ-ერთი მათგანი ეკუთვნოდა მსახიობ სტივ მაკ-კუინს, რომელიც თამაშობდა ფილმში „შესანიშნავი შვიდეული“, მეორე — როკ-მუსიკოს სტინგრს, მესამე კი რიჩარდ გირს. სწორედ რიჩარდ გირის ტროპიკულ ბაღში ჩაფლული სახლი მოეწონათ ყველაზე მეტად ჯენიფერსა და ბრედს. ოღონდ ორივე დააფიქრა თანხამ, 6 მლ. დოლარმა. მაგრამ გირი არ აპირებს თანხის დაკლებას, რადგან სახლი საქველმოქმედოა, სწორედ 6 მილიონ დოლარს შეპირდა თავის მეგობარ დალაი ლამას.

— ჰოლივუდში ხანგრძლივად ყოფნის შემდეგ **მელ გიბსონი** მიხვდა, თუ რა სიცრუითაა სავსე პროდიუსერებისა და მსახიობების ცხოვრება.

— **მიკი რურკი** თავის დროზე კრივით იყო გატაცებული. მსახიობი სამოყვარულო შეჯიბრებში მონაწილეობდა და პროფესიონალთა შორისაც კი პატივისცემით სარგებლობდა. მას შემდეგ, რაც კინოკარიერა ჩაუფლავდა, ცხოვრებაც აერია: ლოთობდა, გაუთავებლად ეჩხუბებოდა და სცემდა ცოლს, თოფ-მედელსა და მსახიობ კერი ოტისს. ეს ყველაფერი იმით დამთვრდა, რომ მიკი რურკმა ცოლი დაკარგა, ცუდ კომპანიაში მოხვდა და რამდენჯერმე საავადმყოფოსა და ციხეშიც ამოყო თავი.

ამას წინათ მიკი რურკი კვლავ დაუბრუნდა რინგს. იგი საუკეთესო სპორტულ ფორმაშია, თუმცა ამას საკმაოდ დაძაბული შრომით მიაღწია. კრივში წარმატებით დაბრუნების შემდეგ, იმედი ვიქონიოთ, რომ მსახიობს კინოშიც გაუმართლებს.

***პარი მატჩი №26/33***

# ᲜᲘᲙᲝᲢᲘᲜᲘ — ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘ?



ცნობილი გამოთქმა — „სიგარეტი მავნებელია“, შესაძლოა, სულ მალე შეიცვალოს მოწოდებით — „სიგარეტი არც ისე მავნებელია“, რაც ნიკოტინის „ბრალი“ იქნება, მაგრამ არა ტოქსიკური, კანცეროგენური შემავსებლებით გამდიდრებული ნიკოტინისა. ამ პოტენციურად ძლიერ ნივთიერებას მომავალში ალბათ მრავალი დაავადების სამკურნალოდ გამოიყენებენ. ნიკოტინი ხელს უწყობს პარკინსონისა და ალცჰაიმერის დაავადებათა პირველი სტადიების იოლად გადატანას. ნიკოტინი შველის კიდევ ერთ სენს — დეპრესიას. სამხრეთ ფლორიდის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა ცდა ჩაატარეს დეპრესიულ-ტოუსეტის სინდრომიან 70 ახალგაზრდა პაციენტზე. ვინც ნიკოტინს ილებდა, განიკურნა. მათზე განსაკუთრებით კარგად იმოქმედა ტრანკვილიზატორმა ჰალდოლმა. ნიკოტინი ზრდის ნერვული და კუნთოვანი სისტემების სიმტკიცეს. მეცნიერები ვარაუდობენ, მალე შექმნიან ახალ პრეპარატს, რომელშიც იქნება ნიკოტინის მინიმალური, მაგრამ სამკურნალოდ აუცილებელი და დასაშვები დოზა.

***ნიუზუიქ, 6 აპრილი***

**ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ**

მაქსიმალური_ გარანტია!!!

* „ნერვის ანთება“;
* რადიკულიტი;
* ოსტეოქონდროზი;
* „დისკის ამოვარდნა“
* სახსრების დაავადებები.

**ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲓᲐᲜ!!!**

ᲛᲘᲡ: ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲙᲚᲘᲜᲘᲙᲐ, ᲪᲝᲢᲜᲔ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘᲡ 87, ᲙᲐᲑ. №11

☎ 69-91-92 (კაბ.); 61-02-97

ხერხემლის დაავადებათა (ოსტეოქონდროზი, დისკოზი, ართროზი, სპონდილოზი) და მათი ნერვული, კუნთოვანი, მყესოვანი, სახსროვანი და სისხლძარღვოვანი გართულებების კომპლექსური მკურნალობა

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲕᲔᲠᲢᲔᲑᲠᲝᲜᲔᲕᲠᲝᲚᲝᲒᲘ, ᲛᲐᲜᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲔᲠᲐᲞᲔᲕᲢᲘ **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲥᲣᲠᲗᲣᲑᲐᲫᲔ**

თბილისი, ივ ჯავახიშვილის 51, I სართ, ოთახი 9

ტელ: 96-95-69; 877-43-31-26

**SGS** – მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი

**SGS** – თანამედროვე ტექნიკური ბაზა

**SGS** – მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები

**SGS** – განკურნების მაქსიმალური გარანტია

**SGS** – აბსოლუტური ანონიმურობა

**ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲗᲕᲘᲗᲓᲐᲯᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐᲐ!!!**

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: **„პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.**
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური **SGS**

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-3 სართ. კაბ. 40-41-42-43. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

ექიმების, ჯანსამედიცინო დარგის მკვლევარების და მედიკოს სტუდენტების საყურადღებოდ

საქართველოს ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

*გთავაზობთ:*

- საინფორმაციო ძიებას ინტერნეტში, **Medline/OVID**-სა და **MD-Consult**-ში - 3500 ჟურნალის თეზისები, 60 ჟურნალის - სრულტექსტური სტატიები!
- სტატიების 48 სთ-ში მიღებას აშშ უნივერსიტეტებიდან ელექტრონული პროგრამა “**Ariel**”-ის მეშვეობით;
- ინტერნეტში და **Medline**-ში მუშაობას ყველაზე დაბალი ფასებით;
- სამედიცინო თეზისებისა და სტატიების განთავსებას ინტერნეტში;
- მულტიმედიური (CD-ROM) სამედიცინო პროგრამებით სარგებლობას;
- 130-მდე უახლეს სახელმძღვანელოს და კაპლანის ტესტებს (ინგლისურ ენაზე);
- ინფორმაციებს კონგრესების, კონფერენციების, სიმპოზიუმების შესახებ;
- ორკვირეულ ქართულ-ინგლისურ ‘ინტერნეტის სამედიცინო დაიჯესტს“;
- ელექტრონული ფოსტით სარგებლობას;
- სწრაფად შემსწავლელ კომპიუტერულ კლასებს სათანადო სერთიფიკატების გაცემით;
- ინტერნეტში სარეკლამო ფურცლების დამზადებას და **უფასოდ** განთავსებას ცენტრის ვებ-სერვერზე და საქართველოს ჯანდაცვის მონაცემთა ბაზაში;
- მომსახურების მოხერხებულ სააბონენტო სისტემას.

***ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲚᲐᲘᲜᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲤᲐᲡᲔᲑᲘ!!!***

მომხმარებელთა მიღება: 12-16.30 სთ; კომპიუტერული კლასები: 16.30-18 და 18-19.30 სთ (წინასწარი ჩაწერა).

**მისამართი: თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ.№51, II სართული**

**ტელ. 94-13-88, 94-13-86. ფაქსი: 94 13 91.**

***ელ-ფოსტა: nilc@nilc.org.ge ან hp@nilc.org.ge***

***http://www.nilc.org.ge***

MDCONSULT OVID · NLM United States National Library of Medicine · Ariel

# ადამიანის ცნობიერების მეოთხე მდგომარეობა

აშშ-ში, არიზონის უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით „მეცნიერების ბოლოდროინდელი მიღწევები ცნობიერებაზე“. კონფერენციაზე გამოქვეყნდა პეტერბურგელი მეცნიერის პროფესორ ვ. სლეზინისა და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ი. რიბინას ნაშრომის თეზისები, რომელმაც მეცნიერთა დიდი ყურადღება დაიმსახურა. თეზისებში ლაპარაკია უნიკალური ფენომენის აღმოჩენაზე — ადამიანის განსაკუთრებულ მდგომარეობაზე ლოცვის დროს. გთავაზობთ ინტერვიუს **ვ. სლეზინთან**:

**— რა უძღოდა წინ ამ ფენომენის აღმოჩენას?**

— წლების მანძილზე ფუნქციური ნევროტიკული დარღვევების მკურნალობის პრაქტიკაში გამოიყენება თვითჰიპნოზის მეთოდი, ანუ მედიტაცია. ეს მეთოდი, სპეციალისტთა აზრით, კარგ შედეგს იძლევა; ამიტომაც გადავწყვიტეთ, ლაბორატორიაში გამოგვეკვლია, რა პროცესები მიმდინარეობს თავის ტვინის ქერქში. გადავიღეთ ელექტროენცეფალოგრამა და აღმოჩნდა, რომ მედიტაციისას თავის ტვინის ქერქში ჩაირთვება აღგზნების მექანიზმები. დაიბადა კითხვა: რა მოსდის ტვინს, როცა ადამიანი ლოცულობს?

**— იოგას სხვადასხვა სკოლის მიმდევრები ამტკიცებენ, მედიტაცია — იგივე ლოცვა, ღმერთთან ურთიერთობააო.**

— როგორც კვლევით დადგინდა, მთლად ასე არ არის. ექსპერიმენტის საიმედოობისთვის ერთ-ერთი მონასტრის წინამძღვარი მოვიწვიეთ და ლოცვის დროს ელექტროენცეფალოგრამა გადავუღეთ. შედეგმა გაგვაოგნა. სრული გონებით ლოცვის მდგომარეობაში მყოფი ღვთისმსახურის ელექტროენცეფალოგრამამ თავის ტვინის ქერქის სრული გამოთიშვა დააფიქსირა... ადამიანი იჯდა და ლოცულობდა, მაგრამ სავსებით აღარ ჰქონდა ელექტრული იმპულსი, რაც თავის ტვინის მუშაობაზე მიუთითებს. ამ ფენომენს ადამიანის მეოთხე მდგომარეობა ვუწოდეთ. ჩვენს აღმოჩენამდე მეცნიერება ადამიანის ცნობიერების სამ მდგომარეობას იცნობდა:



მღვიძარება, ნელი და სწრაფი ძილი, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება ქერქში ელექტრული იმპულსების ხასიათით. ახლა ჩვენ კიდევ ერთ მდგომარეობას ვიცნობთ — სრული გონების დროს თავის ტვინის ქერქის ელექტრული აქტივობის სრული გათიშვა.

**— როგორ ფიქრობთ, რაში მდგომარეობს ლოცვის სამკურნალო თვისებები? მორწმუნისთვის ცხადია — ღმერთმა შეისმინა მისი და განკურნა. მეცნიერ-მატერიალისტისთვის?**

— როგორც კვლევამ ცხადყო, მღვიძარებისა და სწრაფი ძილის ელექტროენცეფალოგრამები იდენტურია. ახლა ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ქერქის სრული გათიშვა ხდება როგორც ნელი ძილის, ასევე ლოცვის დროს. გამოდის, რომ ლოცვის მდგომარეობა ისევე დამახასიათებელი და აუცილებელია ადამიანის ორგანიზმისთვის, როგორც ზემონახსენები სამი მდგომარეობა. როცა ადამიანის ცხოვრებაში მისივე ნებით გამორიცხულია ტვინის მეოთხე ფიზიოლოგიური მდგომარეობა, ჩანს, ასეთ დროს რაღაც გარკვეული პროცესები ხდება. ეკლესიის მსახურთა, ბერ-მონაზონთა დამახასიათებელი თვისება სულის სიმშვიდეა.

**— ღვთისმსახურების დროს მღვდელი მრავალჯერ იმეორებს „მშვიდობა ყოველთა!“, ე.ი. იგი სულის სიმშვიდეს გვისურვებს...**

— ჩანს, პრაქტიკაში ლოცვის მდგომარეობის დამკვიდრების გარეშე ჩვენთვის ძნელია სულიერი სიმშვიდის მოპოვება. აქედან გამომდინარეობს ლოცვის სამკურნალო თვისებებიც.

**— ყველა ლოცვას ახლავს ასეთი მდგომარეობა? სხვა აღმსარებლობის მორწმუნე თუ გამოიკვლიეთ?**

— კათოლიკე მღვდლის ელექტროენცეფალოგრამა ჩავიწერეთ — ამ შემთხვევაში ქერქის სრული გათიშვა არ დაფიქსირებულა, თუმცა ტენდენცია შენარჩუნდა. თავად აღიარა, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანები უფრო თავგამოდებული მლოცველები არიან და მხოლოდ აქ არის შემორჩენილი იესო ქრისტესადმი მუდმივი ლოცვის პრაქტიკაო. მოვიწვიეთ მაჰმადიანი ღვთისმსახურიც, პროტესტანტული ეკლესიის წარმომადგენელიც, მაგრამ მათ ჩვენი წინადადება არ მიიღეს.

ჭეშმარიტი ლოცვის დროს ხდება რეალობიდან გასვლა, რაც შლის პათოლოგიურ კავშირებს. რეალობიდან, პათოლოგიათა სამყაროდან გასვლა ადამიანის გამოჯანსაღებას უწყობს ხელს. მეოთხე მდგომარეობა — გზაა ჰარმონიისკენ.

ჩვენი კვლევით ისიც დავადგინეთ, რომ დათრგუნვილობა, როკ-მუსიკა ადამიანს ჰარმონიის მდგომარეობას ურღვევს და თავის ტვინის ქერქში ისეთ ელექტრონულ იმპულსებს იწვევს, რაც ახლო დგას ეპილეფსიურ შეტევასთან.

**— შეიძლება ითქვას, რომ მეოთხე მდგომარეობა წინ აღუდგება თანამედროვე მასობრივი კულტურის დამანგრეველ ძალას?**

— რაკი დედამიწაზე ვცხოვრობთ, სადაც ადამიანის 4 ფიზიოლოგიური მდგომარეობა არსებობს, იგულისხმება, რომ ისინი სხვადასხვა დროს ერთმანეთს ენაცვლებიან. ერთ-ერთი მათგანის გამორიცხვაც კი არღვევს ადამიანის ჰარმონიულ განვითარებას, მიჰყავს იგი დეგრადაციისა და ავადმყოფობისკენ. ამიტომაც, თამამად ვიტყვი, მეოთხე მდგომარეობა ადამიანს ადამიანად დარჩენაში ეხმარება!

***ინტერნეტი***

# ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲓᲐ ᲒᲔᲛᲠᲘᲔᲚᲘ



ჟოლოს სამკურნალო თვისებებს თითოეული ჩვენგანი ჯერ კიდევ ბავშვობაში გაეცნო, მაშინ, როცა სიცხეაწეულებს დედები გემრიელ ჟოლოს მურაბას გვაჭმევდნენ. ახლა ვიცით, რომ ჟოლო შეიცავს შაქარს, ორგანულ მჟავებს, ვიტამინ C-ს. ჟოლო რგებს კატარს, სასუნთქი გზების დაავადებებს, გამოყოფს ორგანიზმიდან ტოქსინებს, შესანიშნავი ბუნებრივი საშუალებაა სიცხის დასაწევად და ოფლის მოსაგვრელად, ადაბლებს ქოლესტერინის დონეს ორგანიზმში.

აღსანიშნავია, რომ სასწაულმოქმედი თვისებები აქვს არა მარტო ახალდაკრეფილ, არამედ გამხმარ ჟოლოსაც, ფოთლებს, ყვავილებს, ტოტების წვეროებს.

ახალი ჟოლო კურნავს ჰიპერტონიას, ავიტამინოზს. კარგია ჟოლოს ჭამა თაფლთან ერთად. ჟოლოს ახალი ფოთლები მოგაშორებთ ფერიმჭამელებს და გამონაყარს. ცხელი წყლით გათუთქული ფოთლები მტკივან ადგილზე დაიდეთ.

გამხმარი ფოთლების ნაყენი კარგია სავლებად პირის ღრუს დაავადებებისას. 4 სუფრის კოვზ გამხმარ ფოთოლს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, დააყენეთ 20 წთ და დალიეთ ნახევარი ჩაის ჭიქა 3-4-ჯერ დღეში.

დაბოლოს, არ დაგავიწყდეთ მურაბის მოხარშვა. იგი ზამთარ-ზაფხულ საუკეთესო სამკურნალო საშუალება იქნება თქვენთვის.

***კალეიდოსკოპი №14***

# B ᲰᲔᲞᲐᲢᲘᲢᲘ ᲕᲔᲦᲐᲠᲐᲤᲠᲘᲗ ᲓᲐᲒᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐᲗ

B ჰეპატიტის სახელი ვფიქრობთ ყველასთვის ცნობილია. დაავადების განვითარებას ღვიძლის ანთების (ასე ითარგმნება ჰეპატიტი ლათინურიდან) გამომწვევთა შორის (სულ 5-ია) ერთ-ერთი ყველაზე საშიში B ვირუსი განაპირობებს. ის მსოფლიოს მასშტაბით ძლიერ გავრცელებულ ვირუსად არის მიჩნეული. თავად განსაზღვრეთ, ბ ვირუსით ხომ კაცობრიობის 1/3 ანუ 2 მილიარდამდე ადამიანია დასნებოვნებული. ის შიდსის ვირუსთან შედარებით 100-ჯერ უფრო მარტივად გადაეცემა.

B ვირუსი დაინფიცირებული ადამიანის ყველა ბიოლოგიურ სითხეში — ნერწყვში, სპერმაშჭი, ვაგინალურ გამონაყოფში, ცრემლში და განსაკუთრებით სისხლშია აღმოჩენილი.

**ვირუსის გადაცემის გზები:**

— სქესობრივი — თუმცაღა ამ დროს სასქესო ორგანოების დაზიანება სულაც არ აღინიშნება.

— სისხლი, პლაზმის გადასხმა, სამედიცინო მანიპულაციები. დასნებოვნების საშიშროება არსებობს იმ სამედიცინო დაწესებულებებში, სადაც გამოიყენება მრავალჯერადი ხმარების ინსტრუმენტები: ქირურგია, სტომატოლოგია, გინეკოლოგია, დიაგნოსტიკური განყოფილებები — საპარიკმახეროები, მანიკიურის და კოსმეტიკური კაბინეტები, სადაც უმნიშვნელო გაკაწვრის დროსაც კი შესაძლებელია ვირუსის გადაცემა, თუ ინსტრუმენტები არ არის კარგად გასტერილებული.

— ნარკოტიკების ინტრავენური მომხმარებლები და ის სამედიცინო პერსონალი, რომელსაც ხშირად აქვს კონტაქტი ავადმყოფის სისხლთან და სხვა სითხეებთან.

ვირუსის ორგანიზმში შეჭრის შემდეგ ე.წ. ინკუბაციური პერიოდი ვითარდება, რომელიც 45-160 დღემდე (4 თვემდე) გრძელდება, ამის შემდეგ დაავადების სიმპტომებით გამოვლინება იწყება.

ზოგჯერ B ჰეპატიტი ჩივილებს „იცვლის“. ამ დროს ის შეიძლება სასუნთქის სისტემის დაავადების (გრიპოზული მოვლენების) სახითაც მოგვევლინოს. ასეთ მდგომარეობას უსიმპტომოს უწოდებენ. სტატისტიკურად ვირუსით ინფიცირებულთაგან ყოველი მე-3 ადამიანი არაფერს ეჭვობს. აქედან გამომდინარე, ის შესაფერისი მკურნალობის გარეშე რჩება და შედეგად ორგანიზმში „ჩაბუდებული“ ვირუსი მასპინძლის გარდა გარშემომყოფებსაც „აზარალებს“.

B ვირუსით ინფიცირებულთა 10-20%-ში პათოლოგია ქრონიკულ მიმდინარეობას იძენს. ამას კი რამდენიმე წელში შესაძლოა ღვიძლის გადაგვარება — ციროზი ან კიბო მოჰყვეს.

საქართველოში სავარაუდოდ მოსახლეობის 5-7%-ი B ვირუსმტარებელია. ამიტომაც, დაავადებას ძალზე სერიოზულად უნდა შევხედოთ და მისი თავიდან აცილების გზებზე ვიფიქროთ.

ამჟამად ეს შესაძლებელია. B ჰეპატიტი სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა (20-მდე) შორის ერთადერთია, რომლის წინააღმდეგაც ვაქცინა არსებობს. ვაქცინა ურთულესი ტექნოლოგიით, გენური ინჟინერიის საფუძველზე შეიქმნა და დიდი ეფექტურობით ხასიათდება. ის ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ B ვირუსის საწინააღმდეგო ე.წ. ანტისხეულებს ასტიმულირებს. ეს კი, ადამიანს B ჰეპატიტის განვითარებისგან იცავს.

B ვირუსი ყველა ასაკის ადამიანს ერთნაირად ემუქრება, რაც ვაქცინის შექმნისას იქნა გათვალისწინებული. ვაქცინა ორგვარია — დიდებისა და პატარებისთვის (განსხვავება მხოლოდ დოზირებაშია). იგი აბსოლუტურად უსაფრთხოა, უფრო მეტიც, მისი გამოყენება ბავშვის პირველსავე თვეებში, დაბადებიდან 1-12სთ-შია რეკომენდებული. ეს განსაკუთრებით იმ პატარებს ეხება, ვისაც დედები ვირუსმტარებელი ჰყავთ. ასეთი დედა შვილისთვის პოტენციური „საფრთხეა“. თუ კი, პატარა დაინფიცირებას მშობიარობის დროს „გადაურჩა“, მშობელთა შემდგომი მჭიდრო კონტაქტი 60%-ში დასნევოვნებით ემუქრება. ვაქცინირების შემდეგ კი, ბავშვი პრაქტიკულად „შეუვალი“ ხდება, ქრონიკული ჰეპატიტი მას ველარ „ემუქრება“.

ვაქცინირების ჩატარება განსაკუთრებით ც ვირუსით ინფიცირებულ ადამიანებში არის აუცილებელი. ამ დროს ხომ B ვირუსით დასნებოვნება ღვიძლში პათოლოგიური პროცესების გაღრმავებასა და გართულებას უწყობს ხელს.

ასეთ ადამიანებს ე.წ. რისკ-ჯგუფებში აერთიანებენ. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, B ჰეპატიტი ყველა ჩვენთაგანს ერთნაირად ემუქრება. ის არავის ინდობს. ყოველ წელიწადს მსოფლიოში B ჰეპატიტით დაავადებული 2 მლნ-მდე ადამიანი იღუპება.

ასე რომ, თავად განსაჯეთ რამდენად მნიშვნელოვანია B ჰეპატიტისგან „თავის დაძვრენა“ და ვაქცინირება. ამ სითხის სულ 3-ოდე ინექცია ხომ სასიკვდილო საშიში დაავადებისგან გიხსნით. ვაქცინა ხომ თქვენი ჯანმრთელობის საუკეთესო გარანტი იქნება.

*მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფირმის „სმიტ კლაინ ბიჩემ“-ის წარმოების ვაქცინა, საქართველოში ერთადერთ ლიცენზირებულ, მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებულ ვაქცინათა ცენტრში: „საქართველოს ვაქცინაციის ცენტრი — XX საუკუნე“.*

**ᲛᲘᲡ: ᲐᲚ. ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ №31**

**Ტ: 39-79-32; 899-50-17-71**

**Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, ᲕᲐᲠᲚᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ 5, ᲙᲐᲠᲓᲘᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲓᲘᲡᲞᲐᲜᲡᲔᲠᲘ, II ᲡᲐᲠᲗ.**

R

# „ესპანეთის ჩემპიონთა ლიგა?“

## ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი

დიდებული რამ გახლავთ ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფურ ტურნირებში ჩატარებულ ათეულობით ულამაზეს მატჩს რომ თავი დავანებოთ, მარტო საპასუხო მეოთხედფინალური მატჩები რად ღირს.

**ბარსელონა-ჩელსი 5:1 (1:3)**

***1:0 რივალდო (24); 2:0 ფიგუ (45); 2:1 ფლო (60); 3:1 დანი (83); 4:1 რივალდო (99); 5:1 კლიუვერტი (105).***

„ჩელსისთან“ საპასუხო შეხვედრის გამართვამდე „ბარსელონამ“ ოთხი მატჩი წააგო ზედიზედ, თანაც საერთო ანგარიშით 1:12(!). ლონდონელებთან გადამწყვეტ მატჩამდე „ბარსა“ საბოლოოდ „გაიშიფრა“, როდესაც „ოვიედოსთანაც“ წააგო, თანაც 3:0. ნათელი იყო, „კატალონიელთა სიამაყე“ ლონდონელებთან მატჩისათვის იკრებდა ძალებს. მატჩი უაღრესად დრამატული გამოდგა. „ბარსელონა“ პირველი წუთიდანვე გააფთრებით მიაწყდა ინგლისელთა კარს, ასე გაგრძელდა თითქმის მთელი 120 წუთი. ამ დროის განმავლობაში „ჩელსის“ კარის ბადე ხუთჯერ შეირხა, „ბარსელონასი“ — ერთჯერ; ამ 120 წუთში ჩაეტია ის, რასაც 3-4 ჩვეულებრივი მატჩი დაიტევდა — თავგანწირული ბრძოლა, ულამაზესი გოლები, სიხარულისა და მწუხარების ცრემლები, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის მიერ ვერგატანილი პენალტი (რომელმაც კინაღამ შეიწირა „ბარსა“), მწვრთნელთა და გულშემატკივართა ემოციები და ბოლოს — ზოგის ბედნიერი და ზოგის დამწუხრებული სახეები. „ბარსელონა“ ნახევარფნალშია, მისი მომავალი მეტოქე იმავე დღეს რომში გამოვლინდა.



რაული — „ოლდ ტრეფორდის“ მატჩის გმირი

**ლაციო-ვალენსია 1:0 (2:5).**

***ვერონი (52)***

„ორმატჩიანი დუელი ორი კვირის წინ წავაგეთ ვალენსიაში“ — აღიარა საპასუხო მატჩის შემდეგ რომაელთა მწვრთნელმა — სვენ გორან ერიქსონმა. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ „ლაციო“ სამბურთიან სხვაობას გააბათილებდა და ნახევარფინალში გავიდოდა. თამაში მეტად დაძაბული კი გახლდათ, მაგრამ სანახაობრივად აშკარად ჩამორჩებოდა ბარსა-ჩელსის შეხვედრას. რომაელებმა, ბუნებრივია, მთელი აქცენტი შეტევაზე გააკეთეს, მაგრამ „ვალენსიას“ დაცვა სრული 90 წუთის განმავლობაში იმდენად საიმედოდ და უშეცდომოდ მოქმედებდა, რომ „ლაციომ“ ერთადერთი გოლის გატანა მოახერხა, ისიც ვერონის დიდი ოსტატობის წყალობით. ესპანელები მწვავე კონტრშეტევებით პასუხობდნენ, ხერარდს წესების სრული დაცვით გატანილი გოლიც კი არ ჩაუთვალეს, თუმცა ამას საბოლოო შედეგზე არ უმოქმედია. „საოცრად ბედნიერი ვარ, ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი დავამარცხეთ“, — ხარობდა ჰექტორ კუპერი, რომელმაც „ლაციოზე“ გარკვეულწილად შურიც იძია. მის გაწვრთნილ „მალიორკას“ შარშან თასების თასის ფინალში სწორედ ერიქსონის „ლაციომ“ მოუგო. „ლაციომ“, რომელსაც ახლა მთელი ყურადღების გადატანა სერია A-ს მატჩებზე მოუწევს.

**ბაიერნი-პორტუ 2:1 (1:1)**

***1:0 პაულუ სერჟიო (15); 1:1 ჟარდელი (90); 2:1 ლინკე (90).***

საპასუხო მეოთხედფინალების წინ სწორედ მიუნხენის „ბაიერნი“ მოიხსენიებოდა ნახევარფინალში გასვლის ყველაზე რეალურ კანდიდატად. თუმცა ბუნდესლიგაში უხეიროდ ჩატარებულმა რამდენიმე მატჩმა, შტეფან ეფენბერგისა და ლიზარაზიუს არყოფნამ, „პორტუს“ დამარცხება სათუო გახადა. „ოლიმპია შტადიონზე“ „ბაიერნმა“ ტრადიციული, გერმანული ფეხბუთი ითამაშა, ერთი გოლი მალევე გაიტანა და ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყო ზრუნვა. თითქოს საქმეც ლოგიკურ დასასრულამდე უნდა მისულიყო, გერმანელებს ორიოდე წუთი აშორებდა ნახევარფინალს, მარიო ჟარდელმა ოლივერ კანის კარი რომ დალაშქრა და „პორტუ“ დამატებითი დროისათვის განაწყო. „ფეხბურთი ის თამაშია, სადაც ერთ ბურთს 22 კაცი დასდევს, ბოლოს კი მაინც გერმანელთა გამარჯვებით მთავრდება“ — ეს სიტყვები სახელგანთქმულ ინგლისელ ფორვარდს გარი ლინეკერს ეკუთვნის. ვინ წარმოიდგენდა, რომ ჟარდელის გოლის შემდეგ გერმანელები წამებში მოიკრებდნენ ძალებს, თანაც მცველიან-თავდამსხმელიანად წინ წავიდოდნენ მაშინ, როდესაც კიდევ ერთი მიღებული გოლი „ბაიერნს“ სამუდამოდ დაასამარებდა. პორტუგალიელთა სიხარული წუთნახევარი გაგრძელდა. შოლის ჩაწოდებულ საჯარიმოს ლინკემ თავი დაუხვედრა და დამატებითი დრო საჭირო აღარ გახდა.

**მანჩესტერი-რეალი 2:3 (0:0)**

***0:1 კინი (20 ს.კ.); 0:2; 0:3 რაული (50;53); 1:3 ბექჰემი (62); 2:3 სქოულზი (89).***

არის მატჩები, წლების განმავლობაში რომ არ იშლება გულშემატკივართა მეხსიერებიდან. „მანჩესტერისა“ და „რეალის“ ბრძოლა მართლა დიდებული სანახაობა გახლდათ, დაწყებული პირველიდან, დასრულებული უკანასკნელ წუთამდე, „იუნაიტედის“ უძლეველობის მითი დაიმსხვრა. „მანჩესტერი“ დამარცხდა, დამარცხდა შინ, საკუთარ „ოლდ ტრეფორდზე“, საკუთარი გულშემატკივრის თვალწინ. „ასეთ თამაშს არ შეიძლება დამარცხებული ჰყავდეს“ — ეწერა მატჩის მეორე დღეს ერთ-ერთ ინგლისურ გაზეთში. ძნელია არ დაეთანხმო. მაყურებელმა ოვაციით გააცილა მოედნიდან ორივე გუნდი, ინგლისელი გულშემატკივარი ტყუილად არავის უკრავს ტაშს, მით უმეტეს, მეტოქე გუნდს. „რეალი“ ნახევარფინალშია. რას იზამ, განგებამ „სამეფო კლუბი“ კვლავ მიუნხენის „ბაიერნს“ გადაჰყარა. გამეორდება ორი თვის წინანდელი? — ძნელი სათქმელია.

ჩემპიონთა თასის დამპყრობთა პრეტენდენტ ქვეყნებს წინა კვირაში კონტინენტის ორი საფეხბურთო გრანდი — ინგლისი და იტალია გამოაკლდა. მაშ ასე — ესპანეთი თუ გერმანია? — „ბაიერნი“ თუ „ბარსას“, „რეალისა“ და „ვალენსიას“ პირენეული ტრიო? — მართლა დიდებული რამ გახლავთ ჩემპიონთა ლიგა...

**ნახევარფინალები**

**2-9 მაისი**

**ვალენსია-ბარსელონა**

**3-10 მაისი**

**რეალი-ბაიერნი**

# თურქეთი-ინგლისი 1:0

## მეორე რაუნდის მოლოდინში

რატომ გააუქმეს ერთი წლის წინ თასების თასის გათამაშება? — იმიტომ, რომ ამ შეჯიბრმა სანახაობრივი მხარეც დაკარგა, პრესტიჟულობაც და ევროპის მოწინავე კლუბებისათვის არც თუ დიდი პატივი გახდა ამ თასის მოგება. თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა მალე უეფას თასის გათამაშებაც გასაუქმებელი გახდეს. ჩემპიონთა ლიგამ იმდენად დაჩრდილა პარალელურად მიმდინარე ტურნირი, რომ გარკვეულწილად მეორეხარისხოვანის რანგშიც კი გადაიყვანა. თავად განსაჯეთ: სად „რეალი“, „მანჩესტერი“, ბაიერნი“, „ბარსელონა“ და სად „გალათასარაი“ და „ლანსი“?



არც „ლანსი-არსენალის“ და არც „ლიდსი-გალათასარაის“ შეხვედრა არ ყოფილა ისეთი, როგორიც ამ დონის ტურნირის ნახევარფინალებს ეკადრება. საფრანგეთის „ლანსმა“ აქამდე რომ მოაღწია, ის არის გასაკვირი, თორემ საშუალოზე დაბალი დონის ევროპული გუნდი რომ „არსენალს“ ვერ მოუგებდა, იმთავითვე ნათელი იყო. შინ 1:0 მოგების შემდეგ არსენ ვენგერის ბიჭებმა სტუმრადაც დაჩაგრეს „ლანსი“, თუმცა ათიოდე საგოლე მომენტიდან ორად ორი გამოიყენეს და მინიმალური ანგარიშით— 2:1 მოიგეს. გოლები ინგლისელთაგან ტიერი ანრიმ და ნვანკო კანუმ გაიტანეს.

ბევრად დიდი ინტრიგა ახლდა ლიდსში გამართულ საპასუხო ნახევარფინალს. „გალათასარაიმ“ კიდევ ერთი ევროპული ძლიერი კლუბი შეიწირა — ამჯერად „ლიდს იუნაიტედი“: საფეხბურთო თვალსაზრისით, მატჩი დიდი ვერაფერი სანახაობა გახლდათ. თურქები ორჯერ დაწინაურდნენ, „ლიდსმა“ ორჯერვე აღადგინა წონასწორობა, მეტი ვერაფერი შეძლო და ფინალის საგზური თურქთა „ლომთა ლომს“ დაუთმო. თამაშზე უფრო საინტერესო მის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ მოხდა. მოგეხსენებათ, ორი კვირის წინ სტამბოლში თურქებმა ორი ინგლისელი ფანი მოკლეს. ისიც მოგეხსენებათ, რა ამბავი მოჰყვა ყოველივეს და როგორ უფრთხოდნენ თურქები ლიდსში სტუმრობას. „გალათასარაის“ ინგლისში პოლიციელთა გაძლიერებული რაზმი იცავდა. თურქ გულშემატკივრებს იქ ჩასვლა აუკრძალეს, მიუხედავად ამისა, ბრიტანელმა ფანებმა თურქთა ავტობუსი დალეწეს და საკბილო რომ ვეღარაფერი ნახეს, თანამემამულე პოლიციელებს მისდგნენ, „გალათასარაი“ სპეციალურმა ესკორტმა აეროპორტამდე მიაცილა.

უნდა გენახათ, რა ხდებოდა თურქეთში. პრესას, ტელევიზიასა და სხვა საინფორმაციო საშუალებებს მატჩის მეორე დღეს სხვა თემა არ ჰქონდათ. „გალას“ ფეხბურთელები ეროვნული გმირების რანგში აიყვანეს. მთელი თურქეთი ზეიმობდა. „გალათასარაის“ მწვრთნელი სიხარულისგან გადარეულ ფანებს ფინალში გამარჯვებასაც შეჰპირდა. ვნახოთ, — ფინალში თურქებს „ლიდსზე“ ბევრად ძლიერი მეტოქე ელით. 17 მაისს ფათიჰ თერიმის „გალათასარაის“ კოპენჰაგენში არსენ ვენგერის „არსენალი“ დაუხვდება. „არსენალის“ საბრძოლო არსენალი კი თურქებისაზე ნაკლები არ უნდა იყოს...

# ვინ სად მიდის

საქართველოს ნაკრებისა და ჰოლანდიური „ბრედას“ თავდამსხმელი არჩილ არველაძე შესაძლოა, მომავალი სეზონიდან, ერთ დროს ტიტულოვანი მიუნხენგლადბახის „ბორუსიაში“ აღმოჩნდეს. ქართველი ფორვარდის შეძენით თავად გერმანული კლუბია დაინტერესებული, თუმცა არჩილს საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია, ვინაიდან „ბორუსია“ ამჟამად მეორე ბუნდესლიგაში გამოდის და ჯერჯერობით უცნობია, მოიპოვებს თუ არა კლუბი წელს პირველი ბუნდესლიგის საგზურს.

თითქმის გადაწყვეტილია, რომ თემურ ქეცბაია მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს ინგლისის „ნიუკასლ იუნაიტედს“, რომლის შემადგენლობაში წელს მხოლოდ 16 შეხვედრა ჩაატარა და ძირითადად შეცვლაზე შედიოდა. ინგლისური პრესის ცნობით, „კაჭკაჭების“ ხელმძღვანელობამ ქართველი ფორვარდის სანაცვლოდ 1,5 მილიონი გირვანქა მოითხოვა. ქეცბაიას შეძენით პრემიერლიგის სამი კლუბია დაინტერესებული — „ლესტერი“, „ევერტონი“ და „ვეტჰემ იუნაიტედი“. სავარაუდოა, რომ ქეცბაიას მომავალი კლუბის ვინაობა სეზონის დასრულების შემდეგ გაირკვევა. ბრიტანელი ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ქეცბაიამ „ნიუკასლის“ მთავარ მწვრთნელთან — ბობი რობსონთან უთანხმოების გამო გადაწყვიტა კლუბის დატოვება.

გამორიცხული არ გახლავთ, რომ რიგის „სკონტოს“ ქართველი ფორვარდი დავით ჩალაძე, რომელიც შარშან ვლადიკავკაზის „ალანიას“ ღირსებას იცავდა, უახლოეს მომავალში თურქეთის უძლიერეს კლუბში — „გალათასარაიში“ აღმოჩნდეს. წინასწარი ინფორმაციით, უეფას თასის ფინალისტი ორწლიან კონტრაქტს სთავაზობს ჩალაძეს. დეტალები ჯერჯერობით დაუზუსტებელია.

# ოთხი გუნდით ევროთასებზე

ზაფხულიდან ოთხი ქართული კლუბი ჩაებმება ევროთასების 2000/01 წლების გათამაშებაში. ქვეყნის ჩემპიონი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს. ჩემპიონატში მეორე ადგილზე გასული გუნდი საქართველოს თასის მფლობელთან ერთად უეფას თასისათვის ბრძოლაში ჩაებმება, მესამეადგილოსანს კი ინტერტოტოს თასის გათამაშებაში მოუწევს გამოსვლა. იმ შემთხვევაში, თუ ერთი და იგივე გუნდი მოიპოვებს ჩემპიონობას და ეროვნულ თასს, თასის ფინალისტი ევროტურნირებში არ ითამაშებს. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო უეფამ.

# რივალდო „ბარსელონას“ ტოვებს

წამყვანმა იტალიურმა სპორტულმა გაზეთმა „გაძეტა დელო სპორტ“-მა გამოაქვეყნა სენსაციური ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ბრაზილიელი რივალდო მომავალი სეზონიდან რომის „ლაციოს“ ღირსებას დაიცავს. გაზეთი ამტკიცებს, რომ „ლაციო“ „ბარსელონას“ რივალდოს ფასად 50 მილიონ დოლარს გადაუხდის.

ჭორები რივალდოს „ბარსადან“ წასვლის შესახებ რამდენიმე თვის წინ დაირხა, როცა ფეხბურთელს უთანხმოება ჰქონდა ლუის ვან გაალთან, რის შედეგადაც ბრაზილიელი რამდენიმე მატჩში სათადარიგოთა სკამზე იჯდა. თუმცა ყველაფერი მალე მიწყნარდა და რივალდო კვლავ ძველებურად ათამაშდა. მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის შეძენის სურვილი მაშინ ევროპის რამდენიმე სუპერკლუბმა გამოთქვა. მათ შორის ყველაზე მეტად „ლაციო“ აქტიურობდა, რომელიც 70 მილიონის გადახდაზეც კი არ იხევდა უკან. რამდენიმე თვის წინ „ბარსელონას“ პრეზიდენტმა განაცხადა, 2003 წლამდე რივალდოს არ გავყიდით, თუმცა მრავალმნიშვნელოვნად დაამატა — „ფეხბურთში გამორიცხული არაფერიაო“. — ეს იყო სამიოდე თვის წინ.



რამდენიმე დღის წინ „გაძეტა დელო სპორტმა“ ყველაფერს ნათელი მოჰფინა. გაზეთში აღნიშნულია, რომ „ბარსელონასა“ და „ლაციოს“ შორის უკვე ყველა შეთანხმება მიღწეულია და კონტრაქტიც კი ხელმოწერილია. კონტრაქტში კი აღნიშნულია, რომ ამ ამბის გაცხადების უფლება ჯერჯერობით არც ერთ მხარეს არა აქვს, ვინაიდან „ბარსელონა“ ერთდროულად სამ ფრონტზე იბრძვის და რივალდოს გაყიდვის გახმაურება უარყოფითად იმოქმედებს კატალონიურ კლუბზე. აქედან გამომდინარე, ჯერჯერობით ორივე კლუბის პრესსამსახური უარყოფს აღნიშნულ ინფორმაციას. მიუხედავად ამისა, მომავალი სეზონიდან მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს ალბათ „ლაციოში“ ვიხილავთ.

# ტაისონისა და სევარეზეს ბრძოლა შეიძლება, აღარ გაიმართოს



პროფესიონალურ კრივში დაბრუნების შემდეგ, პირველი სერიოზული ბრძოლა, რომელიც მაიკ ტაისონს ამერიკელ ლუ სევარეზესთან უნდა გაემართა, გადაიდო. ჯერჯერობით უცნობია, როდის გაიმართება ეს ბრძოლა და გაიმართება თუ არა საერთოდ. ტაისონისა და სევარეზეს დაპირისპირებას მოუთმენლად ელოდნენ გულშემატკივრებიც და ის ბიზნესმენებიც, რომლებსაც ამ ჩხუბით სერიოზულად შეეძლოთ ხელის მოთბობა. ორი ბრძოლა, რომელიც მსოფლიოს ექსჩემპიონმა ორლინ ნორისთან და ჯულიუს ფრენსისთან ჩაატარა, აბსოლუტურად არაფრის მთქმელი გახლდათ. ნათელი იყო, რომ ნორისსა და ფრენსისს მაიკისათვის სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლოთ. თავდაპირველად ტაისონისა და სევარეზეს ბრძოლა 8 აპრილისათვის იყო დაგეგმილი მილანში, თუმცა „რკინის მაიკის“ მოთხოვნით ჩხუბი 20 მაისისათვის გადაიდო. ტაისონი მიზეზად ასახელებდა იმას, რომ დრო არ ჰყოფნიდა მოსამზადებლად. ახლა, როდესაც 20 მაისისათვის დანიშნული ბრძოლაც გაურკვეველი ვადით გადაიდო, ნათელი გახდა, რომ მოსამზადებელი დროის ნაკლებობა აქ არაფერ შუაშია. ტაისონისა და სევარეზეს დაპირისპირებას ტელეკომპანია “SHOWTIME” აჭიანურებს. კომპანიის შეფებს იმედი არა აქვთ, რომ ეს ბრძოლა სასურველი რაოდენობის ტელემაყურებელს მიიზიდავს, ამან კი შეიძლება ზარალიც მიაყენოს ტელეკომპანიას, რომელსაც ტაისონის ყველა ბრძოლის ტელეტრანსლირების უფლება აქვს შესყიდული.

იტალიელები კი მოუთმენლად ელიან, თუ როდის იჩხუბებს მაიკ ტაისონი მათ ქვეყანაში. ბრძოლაზე დასასწრები 11.000 ბილეთი, რომლებიც 55-დან 1700 დოლარამდე ღირდა, რამდენიმე დღეში გაიყიდა. შესაძლებელია, ბილეთების მფლობელებს მათი ჩაბარება და გადახდილი ფულის დაბრუნებით დაკმაყოფილება მოუხდეთ. ყოველივე ამან კი შესაძლოა, საერთოდ ააღებინოს ხელი კრივზე მაიკ ტაისონს და მისი კარიერა გაურკვეველ ვითარებაში დასრულდეს.

# მონტე კარლოში აგასიმ სამპრასი შეცვალა

მონტე კარლოში გამართულ საზეიმო ცერემონიაზე ჩოგბურთელ პროფესიონალთა ასოციაციამ წლის ლაურეატები დაასახელა. წლის საუკეთესო ჩოგბურთელად დასახელდა ამერიკელი ანდრე აგასი (საინტერესოა, რომ აგასიმდე საუკეთესო ჩოგბურთელის ტიტული ზედიზედ ექვსჯერ მოიპოვა პიტ სამპრასმა), საუკეთესო წყვილად ინდოელები — მახეშ ბხუპატი და ლეანდერ პაესი აღიარეს, ყველაზე სწრაფად პროგრესირებად ჩოგბურთელად ასოციაციამ ეკვადორელი ნიკოლას ლაპენტი დაასახელა, ყველაზე პერსპექტიულ ახალბედად — ესპანელი ხუან კარლოს ფერერი.

***მოამზადა მათე კბილაძემ***

# საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).

წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ლd8!

ვ. პიპა, 1967



თეთრები იწყებენ და აკეთებენ მატს ორ სვლაში.

# გამაჯანსაღებელი სავარძელი

უხსოვარი დროიდან ტყე ადამიანს ცოცხალ არსებად მიაჩნდა. დრუიდები ადამიანის ხასიათს ადარებდნენ ხეების თვისებებს. სლავები ხეების ენერგიას იყენებდნენ მედიცინაში. დღეისათვის სრულყოფილად მხოლოდ ერთეულები ფლობენ ტყის მაგიურ ძალას. ერთი მათგანია ალბერტ კაუკინი — „ტყის ადამიანი“.

— ხის ფარული ძალა ნამდვილად ფანტასტიკურია, — ამბობს ბატონი კაუკინი, — საკმარისია შევიგრძნოთ მისი შინაგანი ენერგია, რომ სასწაული ჩვეულებრივ მოვლენად იქცევა. ჩემს მეზობელს დიდხანს ტანჯავდა თავის ტკივილი. ვის არ მიმართა, ვერავინ უშველა, დავსვი ვერხვის სავარძელზე — ტკივილი უმალ დაუცხრა. გამოვჩარხე სამკურნალო სავარძელი — ჩაჯდები მასში და გაგივლის დაღლილობა, დაძაბულობა, დაგეუფლება სიმშვიდე და სიკეთის კეთების სურვილი... ამ სავარძელს ხუთი კაცი ძლივს ერეოდა, მაგრამ ერთ დღეს უკვალოდ გაქრა. ქურდს უნდა გაევლო ხუთი კარი, სამი მათგანი — რკინისა. ნათელმხილველმა რაისა სუმერინამ მითხრა, — სავარძელი ტყის სულებმა წაიღესო.



ტყის მაგია უცებ არ შემიცვნია. თავდაპირველად დურგალი ვიყავი, შემდეგ დავიწყე ხის მოჩუქურთმება. მივხვდი, რომ ხე არ არის მარტო სამშენებლო მასალა, ის ცოცხალი არსებაა, რომელსაც უნარი აქვს, იმოქმედოს გარშემომყოფთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე. ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან ექიმებმა შეამჩნიეს, რომ ყველა ავადმყოფობის განვითარება იწყება არასრულყოფილი და დაზიანებული ხერხემლიდან. მის განსატვირთავად ყავარჯენს ან ხელჯოხს ხმარობენ. მე მოვიგონე „ჯანმრთელობის ჯვარი“, რომელიც შესანიშნავად ცვლის ზემოთ ჩამოთვლილ საშუალებებს. თანაც ჯვრის გამოყენება ყველას შეუძლია. მისი პრინციპია ხერხემლის სწორი ფიქსაცია, რაც „იძულებულს ხდის“ ნერვულ-კუნთოვან სისტემას, მიიღოს ჯანმრთელობისთვის ოპტიმალური მდგომარეობა. „ჯანმრთელობის ჯვარი“, გარდა იმისა, რომ ასწორებს ხერხემალს, — აწონასწორებს ნერვულ-ფსიქიკურ მდგომარეობას, აუმჯობესებს ენერგიის მიღებას კოსმოსიდან ხერხემლით, რომელიც ანტენის მოვალეობას ასრულებს. ყოველ ჩვენგანს დღეში ერთხელ მაინც სჭირდება აუცილებელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ამისათვის დაუფიქრებლად ვიღებთ გაზეთს და მივაშურებთ უნიტაზს... ფიქრადაც არ მოგვდის, რომ ასეთი დამოკიდებულება ამ სერიოზული პროცედურის მიმართ ხდება მიზეზი ყოველგვარი ავადმყოფობისა. ჯერ ერთი, ასეთ დროს რეკომენდებულია ჩაცუცქვა, მეორეც, თანამედროვე დასაჯდომები, განსაკუთრებით უცხოური, კეთდება საზიანო მასალისაგან, რომელსაც შეუძლია დროთა განმავლობაში ზოგ ადამიანში გამოიწვიოს ალერგია. ერთ ჩემს პაციენტს გავუკეთე ვერხვის სკამი მუხის საფენით, ალერგიაც სასწრაფოდ გაქრა. გამაჯანსაღებელ სკამებზე დიდი მოთხოვნილებაა.

***მეგაპოლის-ექსპრესი №10***

# რატომ უყვარს დელფინს ადამიანი?

ავსტრალიელი ბიოლოგი, რომელიც დიდი ხანია სწავლობს დელფინებს, დარწმუნებულია, რომ შორეულ წარსულში ისინი ადამიანების მსგავსნი იყვნენ. ექიმმა ლესლი პასკერუეიმ შეადარა ადამიანისა და დელფინის დნმ და საოცარი მსგავსება აღმოაჩინა. ასეთი მსგავსება მეტყველებს, რომ ოდესღაც, ქვის ხანაში, დელფინები დედამიწაზე დააბიჯებდნენ და სხვა ჰომო-საპიენსებთან ჰქონდათ ურთიერთობა, რომლებიც განვითარების გაცილებით დაბალ საფეხურზე იყვნენ. ექიმი პასკერუეი, როგორც ბევრი სხვა მისი კოლეგა, დიდი ხანია მიხვდა, რომ ზღვის ეს მობინადრე საკმაოდ ჭკვიანია, მას აქვს საკმაოდ რთული ენა. დელფინებს ადამიანები იმიტომ უყვართ, რომ სისხლით ნათესაობას გრძნობენ. მეცნიერი არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა, სწორედ მათ შექმნეს ცივილიზაცია დიდი ხნის წინ. ექიმი ფიქრობს, რომ შესაძლოა, ატლანტელები იყვნენ დელფინების წინაპრები. არ არის გამორიცხული, რომ კატასტროფამ ყველა ერთად არ გაანადგურა და ცოცხლად დარჩენილები, რომლებიც იძულებულნი იყვნენ წყალში ეარსებათ, თანდათან გარდაიქმნენ და მიეჩვივნენ ახალ გარემოს. ხელ-ფეხი ფარფლებად გადაექცათ, კანქვეშ ცხიმი დაუგროვდათ, რაც აუცილებელია გრილ წყალში საარსებოდ, ცხვირ-პირი ნისკარტად შეერწყათ, რომლითაც ადვილია თევზის დაჭერა. შეუნარჩუნდათ მხოლოდ ფილტვები და საოცრად განვითარებული ტვინი, რომელიც, სხვათა შორის, ადამიანის ტვინზე გაცილებით მძიმეა. რა თქმა უნდა, დაგებადებათ კითხვა: ასეთმა ჭკვიანმა არსებებმა რატომ არ შექმნეს იდენტური ცივილიზაცია თავიანთ გარემოში? პასუხი ძალიან მარტივია. ოკეანეში ცხოვრება გაცილებით ძნელია, ვიდრე ხმელეთზე და წყალქვეშა სამყაროს მობინადრეთა მთელი ძალა მარტო იმაზე იხარჯება, რომ ელემენტარულად იარსებონ.



***უიქლ უორლდ ნიუზი №15***

# ჯოჯოხეთიდან მოსული მუსიკა

1999 წლის ივნისი იდგა. შინ ნაშუაღამევს დავბრუნდი. რაღაც არ მეძინებოდა და გადავწყვიტე, რადიოსთვის მომესმინა. უნდა გითხრათ, რომ ბავშვობიდან მიყვარს რადიომიმღები, უკვე ათი წელია, რადიომოყვარული ვარ და მსოფლიოს ბევრ რადიოსადგურთან მაქვს კავშირი.



გარეთ თბილი, მშვიდი ზაფხულის ღამე იყო, ცაზე მკაფიოდ მოჩანდა ირმის ნახტომი. დიდხანს ვუსმენდი მოკლე ტალღაზე უცხოეთიდან გადმოცემულ მუსიკას. შემდეგ საშუალო ტალღაზე გადავრთე. დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში მუსიკით ვტკბებოდი და ის-ის იყო, ძილი მომერია, რომ უეცრად... მსუბუქი მელოდია რაღაც საშინელებამ შეცვალა! მოისმოდა კვნესა, ქალის ტირილი, გამყინავი კივილი, ბავშვების ღნავილი, ლითონის ჟღარუნი და ყოველივე ამას ფარავდა საშინელი, თავზარდამცემი ხარხარი! ყველაზე შემზარავი კი ის იყო, რომ ჩემს სმენამდე აღწევდა არა კაკაფონია, არამედ ქაოსი, რომელიც მუსიკას მიაგავდა...

მოსმენილი „სიმფონია“ ჩემ ცნობიერებაში ჯოჯოხეთის საშინელ სურათებს ხატავდა. ისე მომიცვა ამ შეგრძნებამ, რომ ჩემდა უნებურად გულდასმით ვუსმენდი ამ ჯოჯოხეთურ მუსიკას. სრულიად მოულოდნელად კოშმარი დასრულდა და კვლავ გაისმა სასიამოვნო მელოდია.

რამდენიმე წუთს გაოგნებული, უაზროდ ვიჯექი, შემდეგ რადიომიმღების შკალას დავხედე და ცივმა ოფლმა დამასხა: საშინელ მუსიკას, რომელიც ახლახან მოვისმინე, გადმოცემდნენ 666-ის სიხშირის კილოჰერცზე!

***რომან ტჩანიკოვი***
***ნლო №14***

# შუმერების კოსმოსური ოდისეა



შუმერთა ცივილიზაციის ისტორია დიდი ხანია აღელვებს მკვლევარებსა და არქეოლოგებს. უკანასკნელი ნაპოვნი იმის იმედს იძლევა, რომ შუმერების ისტორიის ბევრი ე.წ. თეთრი ლაქა გაქრება.

ნაპოვნი თიხის ცხრილი დაწვრილებით აღწერს „კოსმოსური ცენტრის“, ნიპურის, მოწყობილობასა და განლაგებას. აქ მოთხრობილია, თუ როგორ ააშენეს პირველი ბაზა „ციდან ცეცხლოვანი ეტლებით ჩამოსულებმა“. „თავდაპირველად, უჩვეულოდ მაღალი კოლონა აღმართეს, რათა წარმოეთქვათ სიტყვა“(!). იქნებ ეს რადიოტრანსლაციური კოშკი იყო? ცხრილში ნახსენებია „თვალი, რომელიც დედამიწას ათვალიერებს“ და „სხივი, რომელიც მიწის წიაღშიც კი აღწევს“. „მართვის ცენტრს“ საშინელი იარაღი იცავდა. დაწვრილებითაა აღწერილი საფრენი პლატფორმები მადნეულის ტრანსპორტირებისთვის, მოწყობილობები — ელვის უსწრაფესად რომ აწვდიდა ინფორმაციას და ა.შ

ჩამოსულები არა მარტო შეისწავლიდნენ პლანეტასა და მის აბორიგენებს, არამედ საკუთარ ცოდნასაც გადასცემდნენ. გაცილებით განვითარებული მოზარდები „დიდ სახლში“ მიჰყავდათ და „ღვთაებრივ ცოდნას“ აძლევდნენ. როგორც უცნობი ავტორი იუწყება, ღმერთებმა ადამიანებს „სიბრძნის ცხრილები“, „ღვთაებრივი ფორმულები“ და „მზის მოძრაობის კანონები“ გადასცეს. ცნობილი შეიქნა ერთ-ერთი ღმერთის სახელიც, რომელიც ბაზას უძღვებოდა. მას არწივების მეთაურს ეძახდნენ. ცხრილში ასევე დაწვრილებითაა აღწერილი ურანი, ნეპტუნი. შუმერები იმ პლანეტასაც აღწერენ, სადაც ღმერთები ცხოვრობდნენ. პლანეტის მიმოქცევის პერიოდი 3600 წელს შეადგენს. ეს ციფრი დედამიწის უძველესი ცივილიზაციების აყვავებისა და დასუსტების პერიოდებს ემთხვევა. არწივების მეთაური თურმე აფრთხილებდა ძველ შუმერებს — შორს, ცის იქით, უკანაკნელ ზღვარზე, კიდევ ერთი სამყაროაო. მეცნიერები დიდხანს იმტვრევდნენ თავს ამ სიტყვებზე, სანამ არ წარმოიშვა ვარაუდი კიდევ ერთი მზის პლანეტის არსებობის შესახებ. მას წინ წამოწეული ორბიტა და მიმოქცევის დიდი პერიოდი უნდა ჰქონოდა.

***ნლო №15***

# მეცნიერთა ვარაუდი

როგორი იქნება უახლოეს ათ წელიწადში სამყარო? დღეს, როცა მწერალ-ფანტასტების ჰიპოთეზებს მეცნიერებისა და ტექნიკის ტენდენციათა დაწვრილებითი ანალიზი დაუპირისპირდება, შეიძლება ზემოთ დასმულ კითხვას პასუხი გაეცეს. მაშ ასე...

**2000 წელს** ვარაუდობენ ჰეპატიტის საწინააღმდეგო წამლის აღმოჩენას. ხმარებაში შემოვა შესაფუთი მასალები, რომლებიც გარემოს დაბინძურების გარეშე განადგურდება.

**2001 წელს** საჭმლის მომნელებელი ტრაქტის გამოსაკვლევად გამოიყენებენ მინიატურულ ხელსაწყოს მინი-გადამცემითა და ტელეკამერით. შეიმუშავებენ წამალს მამაკაცებისათვის, რომელიც მოაწესრიგებს ტესტოსტერონის დონესა და სპერმის გამომუშავებას.

**2002 წელს** მეცნიერები დნმ-ის საფუძველზე შეიმუშავებენ ცხოველთა და მცენარეთა კლასიფიკაციას. პლასტიკოსი ქირურგები გამოიყენებენ ხელოვნურ კანს, რომელიც ადამიანს მრავალი წლით ააცილებს ნაოჭებს თავიდან.

**2003 წელს** ტრადიციულ წიგნებს, გაზეთებსა და ჟურნალებს ელექტრონულები განდევნის. ადამიანებს ცხოველების ორგანოებს გადაუნერგავენ. ქალაქებს ახალი რელსის ტრანსპორტი დააკავშირებს, რომლის მატარებლის სიჩქარე 500კმ/სთ იქნება. ზღვის ფსკერზე ტურიზმისა და დასვენების ცენტრები შეიქმნება.

**2004 წელს** კომპიუტერული და ვიდეოტექნიკის განვითარება ბევრს შინ მუშაობის საშუალებას მისცემს. მდინარის წყლების სისუფთავის დონე წყალგაყვანილობისას მიუახლოვდება.

**2005 წელს** სინოპტიკოსები ამინდის ზუსტ პროგნოზს ათი დღით ადრე იწინასწარმეტყველებენ.

**2006 წელს** ბევრ ქვეყანაში სითბოს შენახვის სისტემის შემუშავება საშუალებას მისცემს ადამიანებს, უარი თქვან ცენტრალურ გათბობაზე. ევროპული ოჯახების ნახევარი საკაბელო ტელევიზიით 300 პროგრამას მაინც ნახავენ.

**2007 წელს** მედიკოსები ისწავლიან დიაბეტის მკურნალობას. ძრავების 10% გარემოსთვის უვნებელი იქნება.

**2008 წელს** ონკოლოგები სიმსივნური წარმონაქმნებს განკურნავენ. უწონადობაში მომუშავე ფაბრიკები მაღალი სისუფთავის ხარისხის მქონე წამლებს აწარმოებენ. ათასკაციანი სუპერთვითმფრინავი პირველ რეისს გააკეთებს.

**2009 წელს** აღმოაჩენენ გრიპის საწინააღმდეგო ეფექტურ ვაქცინას, მკურნალობის ელექტრომაგნიტური მეთოდები კი ერთ კვირაში შეახორცებენ მოტეხილობებს.

დაბოლოს, **2010 წელს** დაიწყება მინიატურული დიაგნოსტიკური ხელსაწყოს გამოცდა, რომელიც სისხლძარღვებში იმოძრავებს.

***ვოტ ტაკ №10***

# წინასწარმეტყველება დიად გენიოსზე

ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველების მიხედვით, 1998 წლის 30 სექტემბერს უნდა დაბადებულიყო დიადი გენიოსი. უძველეს „მკვდარი ზღვის წერილში“ მას მელქისედეკს უწოდებდნენ. წინასწარმეტყველმა გორდონ მიქაელ სკალიონმა ამ კაცს „მოძღვართ მოძღვარი“ უწოდა...

რასაც არ უნდა უწოდებდნენ მას შორეულ წარსულში, ყველა წინასწარმეტყველებაში მითითებულია დიადი გენიოსის რეინკარნაციის მიახლოებითი თარიღი. მაგრამ ზუსტად როდის და სად? აშშ-ის შტატ სამხრეთ დაკოტას სოფლის მკვიდრი ირწმუნება, ამ საიდუმლოს ფარდას ავხდიო.



ერთი შეხედვით, დევი სტიტის ცხოვრება არაფრითაა გამორჩეული. მაგრამ ვინც ბავშვობიდან იცნობს, ერთხმად აღნიშნავს მის საოცარ უნარს წინასწარმეტყველებისას. დევის ბევრი აზრი უჩვეულოდ ჩანს, მაგრამ ხშირად ზუსტ ინფორმაციას შეიცავს. 1998 წლის იანვრის ბოლოს სტიტს ხილვა ჰქონდა — იხილა ჰოროსკოპი ადამიანისა, ვისზეც დიდხანს ლოცულობდა და მის რეინკარნაციას ელოდა. როგორც სტიტი ამბობს, ეს იყო დიადი გენიოსი, რომელზეც ნოსტრადამუსი წერდა. ხილვა ხანმოკლე ყოფილა, ამიტომ სტიტმა მხოლოდ ერთი რამ დაიმახსოვრა: ის კაცი მერწყულის ნიშნის ქვეშ დაიბადებოდა, მაგრამ რაკი დაბადების ზუსტი თარიღი არ იცოდა, შემდგომი დასკვნების გამოტანა გაუჭირდა. სტიტმა სხვადასხვა წიგნისა და პერიოდიკის გადათვალიერება დაიწყო. მისდა მოულოდნელად, ჟურნალ „ახალ ათასწლეულში“ წააწყდა 1997 წელს გამოქვეყნებულ საინტერესო სტატიას. მის ავტორს, კერკ ნილსონს, „მკვდარი ზღვის წერილი“ გამოუკვლევია. აქ ლაპარაკია „უკანასკნელ დღეებზე“, როცა დედამიწაზე ისევ მოვა მარადიული არსება — მელქისედეკი. „წერილში“ ასევე მოხსენიებულია საიუბილეო წელი და მონანიების იუდაური დღე.

ძველ აღთქმაში ნათქვამია, რომ იუბილე 50 წელიწადში ერთხელაა. 1998 წელი სწორედ საიუბილეოა — ისრაელის სახელმწიფოს (1948 წ) შექმნის 50 წელი. „1998 წელს, — წერს სტატიაში ნილსონი, — მონანიების დღე 30 სექტემბერს უწევს“. სწორედ ამ დღეს უნდა გამოჩნდეს დიადი გენიოსი.

ყოველივე ამან ძალზე დააინტერესა სტიტი, განსაკუთრებით თარიღმა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მესიის ჰოროსკოპის შედგენა და შეადგინა კიდეც. სტიტის აზრით, 1998 წლის 30 სექტემბერს უნდა დაბადებულიყო ფილოსოფიური ან რელიგიური ჯგუფის ლიდერი, კეთილშობილი, მაღალგანვითარებული პიროვნება, რომელსაც მსოფლიო აღიარებს. ჩანს, სწორედ ის არის დიადი გენიოსი. დროთა განმავლობაში იგი შეძლებს ადამიანთა შორის უთანხმოებების აღმოფხვრას და ასწავლის მათ მშვიდობითა და თანხმობით ცხოვრებას. ამასთან, იგი მკურნალიც იქნება და ოკულტისტიც.

შესაძლოა, ათასწლეულები გავიდეს, სანამ დევიდ სტიტი და სამყარო შეიტყობს რაიმეს „მოძღვართ მოძღვარზე“, მაგრამ გულგრილი მაინც ვერ იქნები, როცა იცი, რომ იგი შესაძლოა უკვე ჩვენს შორის ცხოვრობს.

***კალეიდოსკოპი №13***


**ფირმა «გარანტი»**

აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, საცურაო აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით. გარანტია — 10 წელი.



ანგარიშსწორება ნებისმიერი ფორმით.
სამუშაოები სრულდება რესპუბლიკის ფარგლებში.
მის: წერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის“ შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78
სარეალიზაციოდ გვაქვს იმპორტული ჰიდროსაიზოლაციო მასალები
☎ 34-05-52; 63-05-26; 877-43-85-69

შტამპების და ფირმების რეგისტრაცია აუდიტი

რუსთაველის 22
☎99-86-09;
38-37-89

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.

## „ოქროს პირამიდა“ სფინქსის ქვეშ

ეგვიპტის პირამიდები კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა. როგორც ცნობილია, ტუტანხამონის სამარხზე წარწერილია, რომ ეგვიპტის უდიდეს სფინქსში მოთავსებულია ე.წ. „ოქროს პირამიდა“, რომელშიც დავანებულია „ღმერთების ძლიერება“. ეგვიპტოლოგები არაერთხელ ეცადნენ რენტგენით გაეშუქებინათ სფინქსის ქანდაკება, მაგრამ იქ ვერაფერი აღმოაჩინეს. ეს მოარული ხმები თანდათანობით ტურისტებისთვის მორიგ ზღაპრად გადაიქცა, მაგრამ სულ ახლახან, NASA-ს სპეციალისტებმა ჰაერიდან მოახდინეს ფოტოგადაღება. ამ გადაღების დამკვეთი გახლავთ მილების გამყვანი კომპანია, ამიტომ საჭირო იყო ნიადაგის მდგომარეობის შემოწმება 4-5 მეტრის სიღრმეზე. ექსპერტების გამო, გადაიღეს პირამიდებიც. კამერის ობიექტივში შემთხვევით მოხვდა სფინქსი. წარმოიდგინეთ მეცნიერების გაოცება, როცა ფირის დამუშავების შემდეგ „მარადიულობის მცველის“ ქვეშ აღმოაჩინეს ხელოვნურად შექმნილი სიცარიელე.



გათხრების საკითხი მეტად მწვავედ დგას, რადგან ადგილობრივი მმართველობა კატეგორიული წინააღმდეგია, რომ ტურისტების მექის გვერდით დაიწყოს გათხრები. ამასთან ერთად გაირკვა, რომ სფინქსი დგას ძალიან რბილ ნიადაგზე, ამიტომ მისი ძირის გამოთხრა თავად სფინქსისთვის დამღუპველი იქნება. მუშაობის დაწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუკი სფინქსს რამდენიმე ასეული მეტრით გადააადგილებენ, მაგრამ ამისთვის მძლავრი ტექნიკა და მთავრობის ნებართვაა საჭირო.

*ლაიფი №12*



## აღმოაჩინეს ევას მაცდუნებელი გველი

ისრაელში სენსაცია მოხდა: არქეოლოგებმა იერუსალიმის მახლობლად აღმოაჩინეს ნეშტი გველის მსგავსი არსებისა, რომელიც 95 მლნ წლის წინ ცხოვრობდა. გველს აქვს პატარა ფეხები. იგი ზუსტი ასლია თავისი ბიბლიური ძმობილისა, რაც ადასტურებს, რომ ღმერთმა მართლაც დასაჯა ბიბლიური გველი, წაართვა ფეხები და დაწყევლა — ამიერიდან შენ და შენმა ჯილაგმა მუცლით იხოხეთო.

მაცდურის ჩონჩხი დაცულია მუზეუმში.

მეცნიერებისთვის გამოცანად რჩება გველის ფეხები, ვერ ხსნიან საიდან გაჩნდა ეს ქვეწარმავალი. ზოგის აზრით, იგი წარმოიშვა მიწაში მცხოვრები უცნაური ხვლიკისგან, სხვები ირწმუნებიან — მისი წინაპარი ზღვიდან ამოვიდაო.

როგორც ჩანს, ბიბლიის შემქმნელმა მშვენივრად იცოდა, რა ხდებოდა დედამიწაზე 95 მლნ წლის წინ და აყურადებდა მის შემდგომ განვითარებას.

*უიქლი უორლდ ნიუზი №17*

## ნაპოვნია ედემის ბაღი

ცნობილია, რომ ღმერთმა შექმნა სამოთხე ედემის აღმოსავლეთით და შიგ დაამკვიდრა მისი შექმნილი ადამიანი. შემდეგ მისტიკური ადგილის აღწერა უფრო დაკონკრეტდა. ედემიდან სამოთხის სარწყავი მდინარე გამოდიოდა და ოთხად განიყოფებოდა. ერთს ერქვა ფისონი, ის გარს უვლის ქავილის მთელ მიწას. მეორეს — პიხონი და გარს უვლის კუშის მიწას, მესამეს — ხიდეკელი (ტიგრონი), ის ასურეთის წინ მოედინება, მეოთხე მდინარე კი ევფრატია.

რამდენიმე ასეული წლის მანძილზე სპეციალისტები ცდილობდნენ, ეპასუხათ კითხვაზე: თუკი ტიგროსი და ევფრატი დღესაც არსებობს, სად გაუჩინარდა პიხონი და ფისონი? არ დადასტურდა ვარაუდი, რომ ეს მდინარეები გამოგონილია, რადგან არარსებულ მდინარეებს წმინდა წიგნში არ მოიხსენიებდნენ; მაგრამ თუკი ყველაფერი სიმართლეა, მაშ სად არის ედემი? ერთნი კაცობრიობის აკვანს ატლანტიდაში მოიაზრებდნენ, მავანნი — სამოთხის ბაღს დღევანდელი მონღოლეთის ტერიტორიაზე, ინდოეთსა თუ ეთიოპიაშიც კი ეძებდნენ. ბევრი მკვლევარი ფისონსა და პიხონს ძველი სამყაროს ორ უდიდეს მდინარესთან — ნილოსსა და განგასთან აიგივებდა.

იმასაც ფიქრობდნენ, ეგებ ედემი დღევანდელ თურქეთშიაო, რადგან სწორედ თურქეთის მთებში იღებს სათავეს ტიგროსი და ევფრატი. უკანასკნელი 100 წლის მანძილზე მეცნიერები დიდ ყურადღებას უთმობდნენ ტიგროსისა და ევფრატის ველს. ბიბლიური არქეოლოგიისთვის განსაკუთრებით მიმზიდველი იყო უძველესი შუმერული სახელმწიფოს სამხრეთი რაიონები, სპარსეთის ყურიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 200 კმ-ზე.

ამერიკელი არქეოლოგი, პროფესორი იურის ზარინსი მიიჩნევს, რომ სამოთხის ბაღი დაფარულია სპარსეთის ყურის წყლებით. ზარინსმა ათი წელი გაატარა საუდის არაბეთში გათხრებზე და ნაბიჯ-ნაბიჯ მოიარა ამ რაიონის ყველა ქვეყანა.

ზარინსის ვარაუდით, ჩვ.წ.აღ-მდე დაახლოებით მე-6 ათასწლეულში, მრავალწლიანი გვალვის შედეგად, სპარსეთის ყურეში კვლავ მოვიდა წვიმა. საუდის არაბეთის აღმოსავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი და ირანის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ისევ ამწვანდა, მიწა მოსავლიანი გახდა. ხალხმა ისევ დაიწყო დაბრუნება მშობლიურ კუთხეში, რომელსაც გარს ევლებოდა ოთხი მდინარე, თუმცა შემდგომმა მრავალწლიანმა გვალვამ, ზარინსის აზრით, პიხონი და ფისონი დააშრო. ჩვ.წ.აღ-მდე მე-6 და მე-5 ათასწლეულებს შორის სპარსეთის ყურის რაიონები ნამდვილ წალკოტს ჰგავდა — მდიდარი, უხვი, ნოყიერი. აქ მაღალ დონეზე იყო განვითარებული ხელოვნება და არქიტექტურა, ვაჭრობა, მიწათმოქმედება, რომელმაც ხალხის შემდგომი მიგრაციის დროს ეგვიპტეში გადაინაცვლა. ზარინსი მიიჩნევს, რომ ამით შეიძლება აიხსნას ეგვიპტელების არააფრიკული წარმოშობა. ცივილიზაციის სათავეებთან მათ უკვე ჰქონდათ დამწერლობის ჩამოყალიბებული სისტემა და მეცნიერების დარგების ღრმა ცოდნა. ზარინსის ვარაუდით, ეს ყოველივე ედემის მემკვიდრეობაა.

საუდის არაბეთში ყოფნისას ზარინსი დაინტერესდა ედემის ბიბლიური დასახელების წარმოშობით. პირველად „ედემი“ ანუ „ედინი“ შუმერებმა იხმარეს, რაც ნოყიერ, მდიდარ მიწას ნიშნავდა. სიტყვა „ადამი“ ასევე მოიხსენიება უძველეს შუმერულ თიხის ფირფიტებზე და ნიშნავდა „ადამიანს მიწიდან“.

ზარინსმა გადაწყვიტა, რომ რახან ცხოვრების წიგნი პირველად ებრაელებმა დაწერეს, ამიტომ იუდეველთა მიწის აღმოსავლეთით მდებარე ედემი უნდა მოეძებნათ თანამედროვე ისრაელის აღმოსავლეთით. რუკაზე ამ მიმართულებით არის ირანი, საუდის არაბეთი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია — სპარსეთის ყურე. შემდეგ ზარინსმა დაიწყო ტიგროსისა და ევფრატის ძებნა, რომლებიც ირანის ტერიტორიაზე მიედინებიან. ფისონის ადგილმდებარეობის განსაზღვრა შესაძლებელი იყო მისი კავშირით ქამილის მიწასთან — ქამის ერთ-ერთ შვილთან, რომელიც მესოპოტამია-არაბეთის ველზე დასახლდა. თანამგზავრიდან გადაღებულ სამხრეთ-დასავლეთ აზიის ტერიტორიაზე გარკვევით ჩანს ფართო მდინარის კვალი, რომელიც ოდესღაც კვეთდა ჩრდილო არაბეთს.



მდინარე პიხონის მდებარეობის განსაზღვრა შედარებით რთული იყო. ზარინსის აზრით, ლეგენდარული პიხონი — ეს თანამედროვე მდინარე კარუნია, რომელიც სათავეს ირანში იღებს და სპარსეთის ყურის სამხრეთ-დასავლეთისკენ მიედინება.

ამრიგად, ყველა გეოგრაფიული მონაცემი იმაზე მიუთითებს, რომ ედემის წალკოტი სპარსეთის ყურის რაიონში მდებარეობდა. არქეოლოგის აზრით, ედემი, ლეგენდარული ატლანტიდის მსგავსად, ძალიან დიდი ხნის წინ წყალმა დაფარა. ეს კატასტროფა მოულოდნელი არ ყოფილა, ხალხმა მოასწრო ედემიდან წასვლა და დასახლდა ჩრდილო აფრიკასა და აზიის სამხრეთ-დასავლეთში. ეს იყო ბიბლიის დაწერამდე გაცილებით ადრე. ჩვენს ერამდე მე-6-მე-5 ათასწლეულებს შორის მოხდა ე.წ. ფლანდრიული ტრანსგრესია (ზღვის გადანაცვლება), რომელმაც გამოიწვია მსოფლიო ოკეანის დონის მკვეთრი აწევა. ის ადგილი, სადაც ამჟამად სპარსეთის ყურეა, ნელ-ნელა დაიფარა წყლით. წყალმა შთანთქა ედემი და სპარსეთის ყურის სანაპირო ზოლზე არსებული ყველა დასახლება. წყალი სულ უფრო ჩრდილოეთით, ერაყისა და ირანის სამხრეთ რაიონებისკენ მიიწევდა.

ადგილობრივი მყვინთავები არაერთხელ წასწყდომიან სპარსეთის ყურის ჩრდილო სანაპიროზე, წყლის სიღრმეში უძველესი ნაგებობების ნაშთებს, გზებს, ქანდაკებებს. მაგრამ რთული პოლიტიკური მდგომარეობის გამო, ამ რეგიონში გათხრები ჯერჯერობით არ მიმდინარეობს.

*ვოკრუგ სვეტა №14*

## ნასკას უდაბნოს ახალი მონაპოვარი

ნასკას უდაბნო პერუში, მოფენილია ცხოველების, ფრინველების და მწერების გიგანტური გამოსახულებებითა და გეომეტრიული ფიგურებით. მრავალი წლის განმავლობაში ამ „უდაბნოს ზოოპარკს“ სწავლობდა გერმანელი მკვლევარი, მარია რაიხი. იგი ცდილობდა, ეს ფიგურები გაეიგივებინა ასტრონომიულ ობიექტებთან, მაგრამ... ამაოდ.

პერუს დედაქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 400კმ დაშორებით, 450კმ$^2$ ფართობზე იპოვეს 13 ათასი სხვადასხვა გამოსახულება! ამ 1400 წლის წინანდელი ხელოვნების შესახებ საუკუნეების მანძილზე არავინ არაფერი იცოდა. მხოლოდ 30-იანი წლების დასაწყისში „უდაბნოს ზოოპარკი“ თვითმფრინავიდან შემთხვევით შეამჩნია არქეოლოგმა პოლ კოსოკმა. ამ უზარმაზარმა გამოსახულებებმა არაერთი ჰიპოთეზა წარმოშვა.



ერთ-ერთის მიხედვით, ეს ფიგურები ამო-ს დასაფრენი მოედანი იყო.

ამ ბოლო ხანს ბევრი ფიგურა მიიჩნიეს წყლისა და ნაყოფიერების ღმერთებად, ხოლო ნახაზი — ჩვენი შორეული წინაპრების სალოცავებთან მისასვლელი გზის მაჩვენებლად. ზოგი ფიგურა, შესაძლებელია, ციური სხეულების მოძრაობას აღნიშნავსო.

საერთაშორისო არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ჯუზეპე ორეფიჩის ხელმძღვანელობით, გათხრები დაიწყო 1982 წელს. მათ დაადგინეს, რომ ნასკაში მოქმედებდა რელიგიური ცენტრი, რომელიც გაქრა ზვავებისა და მიწისძვრის შედეგად, დაახლოებით ჩვ.წ.აღ. 350 წელს. ხალხმა ეს ღმერთების შურისძიებით ახსნა. ქურუმებმა ვერ შეძლეს უბედურების თავიდან აცილება და ამით ხალხს ეჭვი შეეპარა მათ ძლიერებაში. შედეგად — საზოგადოება გაიყო და დაიღუპა.

არქეოლოგებმა აქ აღმოაჩინეს ნაირფერი ქსოვილისგან შეკერილი დასამარხი ტანსაცმელი, რომელიც ჩვ.წ.აღ-მდე საუკუნით თარიღდება. ტანსაცმელი კარგადაა შენახული. მათზე დატანებულია ღმერთების ფიგურებისა და მუსიკოსების გამოსახულებები. სხვათა შორის, იქვე აღმოაჩინეს თიხის ფლეიტები, რომელზეც დაკვრა ახლაც კი შეიძლება.

არქეოლოგები განაცვიფრა აქაურმა ჭებმა სპირალისებური ჩასასვლელით. როგორც ჩანს, ეს ჭები იყო წყალგაყვანილობის სისტემის ნაწილი, რომელსაც ქურუმები აკონტროლებდნენ. სპირალისებური კიბით მიწისქვეშა წყალსაცავებთან მიდიოდნენ. სასმელი და სარწყავი წყალი წყაროებიდან ამოიქაჩებოდა და მთელ უდაბნოს ყოფნიდა.

ქურუმები ფლობდნენ სასიცოცხლოდ მნიშვნელვან ცოდნას და მათი ძალაუფლების დამხობის შემდეგ ადგილობრივი კულტურა დაკნინდა და გაქრა.

ნასკას ახლოს არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ასზე მეტი პეტროგლიფი (კლდეზე ამოკვეთილი ნახატები), რომელიც ჩვ.წ.აღ-მდე საუკუნით თარიღდება. ნახატების ძირითადი მოტივია — ღმერთი-კატა, რომელიც ძველი პერუელების ერთ-ერთ მთავარ ღმერთად მიიჩნეოდა.

ადგილობრივ მცხოვრებთა რწმენით, ადამიანის სასიცოცხლო ძალა მის თავშია, ამიტომ ადამიანის თავს ღმერთს მსხვერპლად სწირავდნენ. რელიგიური ცენტრის ადგილას არქეოლოგებმა მიაგნეს რამდენიმე დამუმიებულ თავს. ძირითადად ეს იყო მტრის თავები, მაგრამ ასევე შეხვდათ აბორიგენი მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების მსხვერპლად შეწირული თავები.

...თავების გამოსახულებით ალამაზებდნენ ტანსაცმელს და თიხის თასებს.

*მოზაიკა №10*

## ვინ შეჭამა მთვარე?

ის, ვისაც უყვარს ღამით ცის თვალიერება, ბოლო დროს შეამჩნევდა, რომ მთვარე აშკარად დაპატარავებულია... სამწუხაროდ, ეს არ არის ჩვენი ფანტაზია. სამხრეთაფრიკელმა მეცნიერებმა განსაზღვრეს, რომ ჩვენი თანამგზავრის დიამეტრი ბოლო 5 წლის განმავლობაში 512 კმ-ით შემცირდა. აფრიკელი მეცნიერების გაანგარიშება დაადასტურეს მათმა შვედმა კოლეგებმა. გაურკვეველი მიზეზებით, მთვარე საოცარი ტემპით იკუმშება და თუ ასე გაგრძელდა, მაშინ 2017 წლისთვის ის ფეხბურთის ბურთის ზომისა გახდება.

ევროპელი ასტრონომების აზრით, მთვარის კატასტროფაში ამერიკელი კოსმონავტები არიან დამნაშავენი, რომლებიც პლანეტაზე დასხდნენ 1970 წელს. მათ იქ რაღაც დააზიანეს — შესაძლოა, გრუნტი, ვინაიდან ის იშლება და კოსმოსში იფანტება.



მთვარის დაღუპვა კარგს არაფერს მოუტანს მის მეზობელ დედამიწას. მთვარის ზემოქმედების წყალობით, დედამიწის ღერძი ყოველთვის გაწონასწორებულია. თუ პლანეტებს შორის გაწყდება მასტაბილიზებელი გრავიტაციული ძაფი, მაშინ დედამიწას კატასტროფული შედეგები ელოდება. აირევა წლის ოთხივე დრო, დადნება პოლარული ყინულები, აიწევს ოკეანის დონე, წყალი დაფარავს ხმელეთის დიდ ნაწილებს, ერთი სიტყვით, ქაოსი დაიწყება.

იმის იმედიღა დაგვრჩენია, რომ იმავე გაურკვეველი მიზეზებით, ჩვენი თანამგზავრი შეწყვეტს დაშლას და კატასტროფა აღარ მოხდება.

*უიქლი უორლდ ნიუზი №13*

## ასოციაცია



**თარაზულად:** 7. შენგელაია, „გარაჟი“; 8. ალოე, კაქტა; 10. ჩოხა, პერანგი; 11. ჯგუფი, პოლიტიკა; 12. სკოლა, შვეიცარი; 17. ზეთი, საღებავი; 18. მერიმე, ბოშა; 19. პორთოსი, გრაფი; 20. საკურთხეველი, ნადიმი; 21. ხბო, ცხვარი; 25. ხერხი, ფრჩხილი; 26. ჯოხი, გვირგვინი; 27. აბაზი, შილინგი; 30. დეკემბერი, გაზაფხული; 33. ჯილდო, ფული; 34. ნეფრიტი, მკერდი; 35. გვირილა, ალპები; 36. სასამართლო, ოფიცერი.

**შვეულად:** 1. ლახტი, ჯოხი; 2. რისკი, კაზინო; 3. საზამთრო, გოგრა; 4. ფინჯანი, ლუდი; 5. ბურთი, ატომი; 6. ბუზი, მალარია; 9. სხდომა, ყრილობა; 13. ციება, კოღო; 14. დრაიზერი, „მამა გორიო“. 15. წავი, ნუტრია; 16. ბადე, მელია; 22. დათვალიერება, სპორტი; 23. წნევა, ტელეფონი; 24. სადგური, წითელი ხიდი; 28. კალათა, ყურძენი; 29. ბაზალეთი, სომხეთი; 31. ტელეფონი, წერილი; 32. სულელი, ჩერჩეტი.

**წინა ასოციაციის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. კარაველა; 7. ტარაკანი; 9. გოდოლი; 10. კასრი; 12. ტრაპი; 14. აზატი; 15. ბუმბული; 18. ომბალო; 19. ბრესტი; 23. ატამანი; 24. ოპერა; 26. რიდე; 29. რეგბი; 30. რებუსი; 31. ტრავიატა; 32. ტრაქტორი.

**შვეულად:** 1. მაიონეზი; 2. გველი; 3. კაირო; 4. სკლერა; 5. სნაიპერი; 8. ნადიმი; 11. ემბოლია; 13. ატამი; 16. უკრაინა; 17. სტეპი; 20. პედიატრი; 21. კაკაბი; 22. კრეისერი; 25. სეტყვა; 27. რენტა; 28. ქერქი.


ქსელი
დღეს სისწრაფით
ელვის
თქვენ
გთავაზობთ მრავალ
სერვისს
SIM-ბარათი
ავანსი
ჩართვა
18 ლარი + 50 ლარი = 68 ლარი
მოკლე შეტყობინებები
ხმოვანი ფოსტა
საერთაშორისო როუმინგი
მონაცემთა გადაცემა ფაქსი
INTERNATIONAL ROAMING
FAX\DATA
SHORT MESSAGE SERVICE
VOICE MAIL
SMS
საერთაშორისო როუმინგი
international roaming
fax/data ფაქსი
მონაცემთა გადაცემა
voice mail
ხმოვანი ფოსტა
მოკლე შეტყობინებები
928 ან 928 111
საინფორმაციო სამსახური
თქვენი ქსელი
ჯეოსელი
GSM

# ჩვენ ქართველებთან შედარებით, დიაცნი ვართ...

1219 წლის ნოემბერში ჯვაროსნებმა აიღეს ქალაქი დამიეტა, რომელსაც „ეგვიპტის გასაღებს“ უწოდებდნენ. დადგა ეგვიპტის სატახტო ქალაქის — კაიროს ჯერი.

სწორედ იმხანად ჩავიდნენ დამიეტაში ქართველი ელჩები. მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის სულიერმა წინამძღოლმა — კარდინალმა პელაგიუსმა, სამხედრო საქმეებშიც რომ ერეოდა, რომის პაპის სახელით მოუწოდა საქართველოს მეფეს, ჯვაროსანთა შესაწევნად მხედრობა გამოეგზავნა სირია-პალესტინაში და ამგვარად მეორე ფრონტი გაეხსნა მაჰმადიანთა წინააღმდეგ.

ქართველმა ელჩებმა რომის პაპის მოწოდება აუწყეს საქართველოს მეფეს.

ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, ლაშა-გიორგის რაინდულ სულისკვეთებას კარგად ეგუებოდა ასეთი გეგმა და სასწრაფოდ შეუდგა შორეული ლაშქრობის სამზადისს.

ქალაქ აკრას ეპისკოპოსი ჟაკ დე ვიტრი, რომელმაც დამიეტაში გაიცნო ლაშა-გიორგის ელჩები, თავის წიგნში „იერუსალიმის ისტორია“, ასე ახასიათებს ქართველებს:

„ისინი არიან ფრიად მედგარნი და მამაცნი ბრძოლაში, გამორჩეულნი ძალ-ღონით და ძლევამოსილნი მხედართა ურიცხვი ოდენობით. მათ ძლიერ დაუშინებიათ სარკინოზები, თავს ესხმიან და არბევენ სპარსელებს, მიდიელებსა და ასირიელებს, რომელთაც ესაზღვრებიან, მთლიანად გარშემორტყმულნი ურჯულო ტომებით. მათ ეწოდებათ გეორგიანები, ვინაიდან საგანგებო პატივსა და თაყვანს სცემენ წმ. გიორგის, ვისაც თვლიან თავიანთ მფარველად და მედროშედ ურჯულოებთან ომში და ყველა სხვა წმინდანზე მაღლა აყენებენ. ყოველთვის, როდესაც უფლის საფლავს სალოცავად ეწვევიან, გაშლილი დროშებით შემოდიან იერუსალიმში და ხარკს არავის უხდიან... მათი კეთილშობილი ქალები, შეიარაღებულნი ამორძალთა დარად, რაინდების მხარდამხარ იბრძვიან და ტოლს არ უდებენ“.

ქართველ ქალებს არაერთგზის დაუდასტურებიათ საქმით ფრანგი ისტორიკოსის სიტყვები, მაგრამ ხუთი საუკუნის შემდეგ მომხდარი ერთი ამბავი, ალბათ, განსაკუთრებით გახმაურდა ევროპაში, იმდენად უჩვეულოა, გასაოცარი და ლამის ფანტასტიკური.

## განსაცდელი დაიძრა ყანდაარიდან

სეფიანთა დინასტია თავის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. ირანის სახელმწიფოს საქმეები ვერ იყო რიგზე. ამას ერთხმად აღნიშნავდნენ რუსეთის ელჩი არტემ ვოლინსკი და ოსმალეთის ელჩი დური-ეფენდი, ევროპელი მოგზაურები და ირანში დამკვიდრებული კათოლიკე მისიონერები, სპარსელი და ქართველი ისტორიკოსები. ხოლო შაჰ-ჰუსეინის ასტროლოგებმა ვარსკვლავებზე ამოიკითხეს სეფიანთა დინასტიის დამხობა. 1721 წლის ზაფხულში ისპაანის მოსახლეობა შეაძრწუნა არნახულმა მოვლენამ. მთელი ათი დღე მზე აღარ გამოჩენილა ცაზე. ჰორიზონტი დაიფარა მეწამული ღრუბლებით. სინათლე სულ ოდნავ მეტი იყო, ვიდრე მზის სრული დაბნელების დროს. ასტროლოგთა მტკიცებით, ყოველივე ეს მოასწავებდა დიდი უბედურების მოახლოებას. ზოგიერთი მათგანი დიდ მიწისძვრას წინასწარმეტყველებდა, ზოგიც ზეციდან ცეცხლის გადმოფრქვევას და უზარმაზარ ხანძარს ელოდა.

უაღრესად ღვთისმოშიშმა შაჰ-ჰუსეინმა („მოლა“ რომ შეარქვეს) ირწმუნა, რომ ზეცა თავზე ემხობოდა. მან დაუყოვნებლივ მიატოვა სასახლე და კარავში დასახლდა. ბუნებრივია, რომ სამეფო კარმაც მიჰბაძა ხელმწიფეს და ბაღებში დაიდო ბინა. სახლები დაცარიელდა. აკრძალეს ყველანაირი გართობა-სანახაობა. მეძავები გააძევეს ქალაქიდან. მთელ მოსახლეობას უბრძანეს ემარხულათ და ელოცათ. ქადაგად დავარდნილი მოლები დიდსა და პატარას განუწყვეტლივ მოუწოდებდნენ, რომ ჩადენილ ცოდვათა გულწრფელი მონანიებით აეცდინათ მოახლოებული განსაცდელი, რომელიც ემუქრებოდა ხელმწიფესაც და ყველაზე ბეჩავ მათხოვარსაც.

მაგრამ ისპაანში ჯერ არც იცოდნენ, რომ განსაცდელი ზეციდან როდი ემუქრებოდა სეფიანთა ირანს, არამედ — ქალაქ ყანდაარიდან. დიახ, განსაცდელი უკვე დაძრულიყო ყანდაარიდან და სახელად ერქვა მირ-მაჰმუდი. მისმა მამამ, ავღანთა ტომის სახელგანთქმულმა თავკაცმა მირ-ვეისმა ასეთი ანდერძი დაუტოვა თვისტომთ: თუკი ყიზილბაშები შემოესევიან ყანდაარის ოლქს, ყოველგვარ პირობაზე დათანხმდით და დაეზავეთო; მაგრამ თუ ომი გადადეს, მაშინ თქვენ თვითონ დალაშქრეთ ირანი და ისპაანის კარიბჭეს მიადექითო.

შაჰ-ჰუსეინი შეურიგდა ყანდაარის დაკარგვას და მაჰმუდმა, მამის ანდერძის თანახმად ფეხზე დააყენა თავისი ლაშქარი.

ავღანები შეიჭრნენ ირანის ტერიტორიაზე...

მირ-მაჰმუდი ოთხიოდე დღის სავალზეღა იყო ისპაანიდან, როდესაც სეფიანთა სამეფო კარის ელჩები ეახლნენ და 15 ათასი თუმანი შესთავაზეს, ოღონდ კი უკან გაბრუნებულიყო. ავღანთა წინამძღოლს სიცილი აუტყდა, როდესაც ამგვარი უგუნურება მოისმინა. მირ-მაჰმუდი ხარხარებდა, ხოლო სეფიანთა დინასტიას მართლაც სატირლად ჰქონდა საქმე, 15 ათასი თუმნით რომ ლამობდა ულმობელი მტრის მოსყიდვას.

ავღანებმა, რასაკვირველია, ცხადლივ იგრძნეს ყიზილბაშთა სისუსტე და შიში, უარი სტკიცეს ელჩებს, გზა განაგრძეს და ისპაანის მახლობლად მდებარე სოფელ გულნაბადთან დაბანაკდნენ.



*კასტელი — უცნობი ქართველი ლამაზი ქალი*

სწორედ აქ გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა 1722 წლის 8 მარტს. ავღანებმა სასტიკი მარცხი აგემეს ყიზილბაშებს.

გულნაბადის ბრძოლაში 400 ქართველ მხედართან ერთად დაიღუპა როსტომ ბატონიშვილი (უმცროსი ძმა ვახტანგ V-სა), რომელიც სეფიანთა ირანის ყულარაღასი (გამგებელი) იყო.

სპარსელი ისტორიკოსი ხოტბას ასხამს როსტომ ბატონიშვილისა და ქართველ მხედართა გმირობას და დასძენს: „სხვა სარდლებს რომ ლაჩრობა არ გამოეჩინათ და მხარი აებათ ყულარაღასისათვის, უეჭველად გააქცევდნენ ავღანებს ბრძოლის ველიდან“.

## გამარჯვება შიმშილისა

გულნაბადთან გამარჯვებულმა ავღანებმა ალყა შემოარტყეს ისპაანს და ირანის სატახტო ქალაქი გარესამყაროს მოსწყვიტეს. სურსათ-სანოვაგის გარეშე დარჩენილ ისპაანში ძალიან მალე გააჩანაგეს ძაღლები, კატები და სახედრები. მერე გაჩაღდა ნადირობა თაგვებზე. ჭამდნენ ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდათ და რაც ყელში გადადიოდა. დამპალ ტყავსა და ხის ქერქს ვიღა ჩივის, შიმშილი ისე მძვინვარებდა, რომ ჩონჩორიკსაც კი აღარ იწუნებდნენ!

განსხვავება მდიდარსა და ღარიბს შორის თითქმის მოისპო. ოქრო-ვერცხლმა დაკარგა თავისი ფასი. სპარსელი ისტორიკოსის სიტყვით, აბრეშუმის სამოსელში გამოწყობილი დიდკაცები, აბრეშუმის ჭიის მსგავსად, ფოთლებს მუსრს ავლებდნენო.

თვით ირანის შაჰი აქლემისა და ცხენის ხორცს მიირთმევდა.

დამშეული ადამიანები ბოლოს და ბოლოს ერთმანეთს დაერივნენ. შემონახულია სარწმუნო ცნობა, რომ დუქნებში კაცის ხორცის გაყიდვა დაუწყიათ. ალაჰმა უწყის, რას არქმევდნენ!

100 ათასამდე მცხოვრები შეეწირა ავღანთა ექვსთვიან ალყას. უმრავლესობას შიმშილმა და ეპიდემიამ მოუღო ბოლო.

ავღანები მოთმინებით ელოდნენ უსისხლო გამარჯვებას.

შაჰმა დამორჩილება ამჯობინა შიმშილით სიკვდილს. სამეფო სამზარეულოს უკანასკნელი მარაგი — სამი აქლემი დააკვლევინა და ხალხს გაუნაწილა. მერე ქვითინით წარმოთქვა ლოცვა, შეჯდა მირ-მაჰმუდის მიერ გამოგზავნილ ცხენზე და გაუდგა გზას ავღანთა ბანაკისაკენ.

გაძვალტყავებული ქვეშევრდომნი უხმოდ ადევნებდნენ თვალს უკიდურესად დამცირებულ ხელმწიფეს, ნათხოვარ ცხენზე რომ იჯდა და მის უმცირეს ამალას. მაგრამ მათი მწუხარე დუმილი უფრო თავზარდამცემი იყო, ვიდრე ხმამაღალი მოთქმაო.

1722 წლის 23 ოქტომბერს სეფიანთა დინასტიის უკანასკნელი შაჰი აჩრდილივით მიჰყვებოდა გვამებით მოფენილ ქუჩებს.

...მთელი იმდროინდელი მსოფლიო შეაწრიალა ამ სენსაციურმა მოვლენამ. ევროპაში წიგნები იწერებოდა ავღანთა მიერ ისპაანის აღებაზე. ლეგენდებით იმოსებოდა მათი წარსული და აწმყო, მეომართა გულადობა და სარდალთა გონიერება. გულმოდგინე კვლევისა და შესწავლის საგნად იქცა თვალისმომჭრელი მეტამორფოზა — ირანის ქვეშევრდომთა გარდასახვა ირანის ბატონ-პატრონებად, ჩაგრულთა ელვისებური აღზევება მჩაგვრელებზე.

ავღანთა წინამძღოლს მირ-მაჰმუდს, რომელმაც წერტილი დაუსვა სეფიანთა დინასტიის ბატონობას ირანში, უწოდეს აზიელი ოლივერ კრომველი. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის ბელადის სახელი, ალბათ, გაგონილიც არ ექნებოდა ავღანეთის ველურ მთებში გაზრდილ მეამბოხეს და ესოდენ საპატიო შედარება ვერ მოხიბლავდა. მისთვის ისიც იყო საკმარისი და საამაყო, რომ საფიანთა ირანის ხელმწიფემ თავისი გვირგვინი თავისივე ხელით დაადგა თავზე 24 წლის ნახევრად ველურ მთიელს და ისპაანის კედლებთან მირ-მაჰმუდად მისული უკვე შაჰ-მაჰმუდად უნდა შესულიყო სეფიანთა იმპერიის სატახტო ქალაქში.

25 ოქტომბერს ავღანებმა დაჩოქილი ქალაქის კარი შეაღეს.

მთელ დუნიაზე სახელგანთქმული ისპაანი ეგებებოდა ახალ პატრონს. ექვსთვიანი ალყის გამო დამშეულ ქალაქს, ღონეგაწყვეტილსა და დამარცხებულს, თავისი მოსახლეობის ნახევარიღა შერჩენოდა ცოცხლებში. ლანდებად ქცეულნი იდგნენ ისპაანის ქუჩებში და მორჩილი ღიმილით შეჰყურებდნენ სატახტო ქალაქის დამპყრობლებს. ავღანთა საზეიმო პროცესია მძიმე ნაბიჯით უახლოვდებოდა სეფიანთა დინასტიის შაჰების სასახლეს.

ისპაანის ქუჩებს ჯერ კიდევ ახსოვდათ ერთი საუკუნის წინანდელი სურათები, როდესაც შაჰ-აბასის ძლევამოსილი ლაშქარი ბრუნდებოდა ომიდან. ყიზილბაშები დაახვავებდნენ ხოლმე ნაალაფარ დროშებს თავიანთი მრისხანე ბრძანებლის ფეხქვეშ. ჩამოჰყავდათ სხვადასხვა მოდგმისა და ჯურის ტყვეები, იზრდებოდა სახელმწიფოს დოვლათი, ახლობელსა თუ შორეულ ქვეყნებში ვრცელდებოდა პანიკური მითქმა-მოთქმა ყიზილბაშთა უძლეველობაზე. დასავლური სამყაროდან ჩამოდიოდნენ ელჩები და მეგობრობა-მოკავშირეობას სთავაზობდნენ შაჰ-აბასს.

და აი, 1722 წლის 25 ოქტომბერს შაჰ-აბასისეულ ტახტზე აბრძანდა შაჰ-მაჰმუდი, დამამხობელი სეფიანთა დინასტიისა.

ასე დაიწყო ირანში ავღანთა ბატონობის პერიოდი, რომელიც ხანმოკლე, მაგრამ სასტიკი და სისხლიანი გამოდგა.

## დრო მომეახლა ლხენისა

1724 წლის მარტის დამლევს მაჰმუდი თავისი მარბიელი რაზმით ისპაანში ბრუნდებოდა. აბასაბადის ხიდს რომ მიადგნენ, უეცრად ჩოჩქოლი ატყდა ავღანთა შორის. ვიღაც მხედარი ცხენდაცხენ შეიჭრა მათს რიგებში, თავდაუზოგავად ეკვეთა შეცბუნებულ ავღანებს და ოცამდე კაცი თავისი ხმლის ლუკმად აქცია. მაგრამ თვითონაც, ცხადია, უვნებელი ვერ დარჩებოდა. რამდენიმე ჭრილობა მიაყენეს, ხმალი ხელიდან გააგდებინეს და მაჰმუდს მიჰგვარეს.

ავღანები გაოცებას ვერ მალავდნენ. მაჰმუდიც სახტად დარჩა. ბევრის მნახველნი იყვნენ და ბევრის მომსწრენი. ყრმობიდანვე ომსა და სისხლის ღვრას შეჩვეულნი, მშობლიური მთებივით პირქუშნი და დაუნდობელნი, მაგრამ ახლა უსაზღვრო გაოცებამ მონუსხა ყველა, წინამძღოლიც და რიგითი მეომრებიც.

ასეთი ამბავი არც თვალით ენახათ, არც ყურით სმენოდათ. უცნობი მხედარი, რომელმაც თავზარი დასცა მაჰმუდის რაზმს და ოცამდე კაცი გამოასალმა წუთისოფელს, ჰოი საოცრებავ, თურმე ქალი ყოფილა, ვაჟურად გადაცმული ქართველი ქალი. მისი ქმარი, ორიოდე წლის წინ, ისპაანის ალყის დროს მოეკლათ ავღანებს და სწორედ აბასაბადის ხიდზე მოეკლათ (სეფიანთა ირანის ჯარში მყოფი ქართველების რაზმი იცავდა ამ ხიდს).

ეს ამბავი რომ ჩავიდა საქართველოში, დაქვრივებულმა ყმაწვილმა ქალმა ცხარე ცრემლით დაიტირა უდროოდ დაღუპული ქმარი და შურისძიების წყურვილმა ყველაფერი გადაავიწყა. ორი მცირეწლოვანი შვილი ჩააბარა თავის ძმას, შენ უპატრონე და თუკი ვეღარ დავბრუნდი, ობლები გამიზარდეო.

ბევრი უშალეს, მაგრამ ესოდენ უჩვეულო განზრახვა ვერ გადაათქმევინეს. ვერც შორმა გზამ შეაშინა, ვერც მოსალოდნელმა ფათერაკებმა დააფრთხო. ვაჟურად გადაიცვა, იარაღი აისხა და ისპაანისაკენ მიმავალ გზას გაუდგა.

მრავალთათვის ეს გზა ტყვეობისა და დამცირების, გათათრებისა და გადაგვარების, წამებისა და სიკვდილის გზა იყო. ისპაანის გზა ქართველ მეფეს ირანის სპასალარად გადააქცევდა და ქართველ გლეხს — ირანის ლაშქრის უზბაშად. ამ გზას საქართველოსაკენ მოჰყავდა ყიზილბაშთა ურდოები და იმავე ყიზილბაშთა ჰარამხანებში ჩაჰყავდა ქართველი ქალები. სისხლით მორწყული და ძვლებით მოფენილი გზა იყო.

მაგრამ სისხლის ასაღებად წასული ქართველი ქალი, ალბათ ძალზე ეუცხოებოდა ისპაანის გზას.

...სწორედ აბასაბადის ხიდთან იდგა და აგერ ავღანთა რაზმიც გამოჩნდა. ქართველ ქალს მხნეობა და საომარი ჟინი გაუათკეცდა, როდესაც თვალი შეავლო ისპაანის დამპყრობლებს. წუთიც და უკვე აღარაფერი ახსოვდა გარდა შურისძიებისა.

დაჭრილ-დაჩეხილი მიჰგვარეს ავღანთა წინამძღოლს ანუ ირანის ახალ ხელმწიფეს. როდესაც მაჰმუდმა შეიტყო, რომ უცნობი მხედარი იყო ქართველი ქალი, გაოცებასთან ერთად უნებურმა აღტაცებამ შეიპყრო. ველური მთების ღვიძლი შვილი, მეომრად დაბადებული და გაზრდილი მაჰმუდი ამქვეყნად ყველა განძზე და ყველა ღირსებაზე მეტად სიმამაცეს აფასებდა. ჰოდა, როგორ არ მოუგებდა გულს ქართველი ქალის გმირობა და თავგანწირვა.

დაავიწყდა კიდეც, რომ მისი რჩეული მეომრები გაჟლიტა ამ ქალმა. ბუნებით ულმობელი და სასტიკი, წვეთ სისხლს რომ არავის შეარჩენდა, ახლა გაქვავებული და დამუნჯებული შეჰყურებდა ქართველ ქალს.

რასაკვირველია, მიხვდებოდა, თუ რამ მოიყვანა ისპაანში ქართველი ქალი. მიხვდებოდა, რომ მისი თავგანწირვის მიზეზი სადმე გულნაბადთან ან აქვე — აბასაბადის ხიდთან იქნებოდა დამარხული.

განცვიფრებულ ავღანებს თითქოს არცა სჯეროდათ, რომ ქალმა მოახდინა ესოდენ გაუგონარი სასწაული. ისინი მშვენივრად იცნობდნენ ქართველ მხედრებს, ახსოვდათ ყანდაარის ბრძოლები, კიდევ უფრო კარგად ახსოვდათ გულნაბადი, მაგრამ...

თავმომწონე და ომში გაწაფულმა ავღანებმა ერთხელაც თქვეს: ყიზილბაშები ჩვენთან შედარებით დიაცნი არიან, ჩვენ კი ქართველებთან შედარებით დიაცნი ვართო.

ამას ამბობდნენ ისინი, რომლებმაც აუღებელი ყანდაარი ხელიდან გამოსტაცეს სეფიანთა სახელმწიფოს, არაერთ თავდასხმას გაუძლეს და უმაგრესი ციხე-ქალაქი აღარ დათმეს.

ამას ამბობდნენ ისინი, რომლებმაც უშიშარი მირ-მაჰმუდის წინამძღოლობით თამამად გადალახეს გადახრუკული უდაბნოები, ირანის შუაგულში შეიჭრნენ, აიღეს სეფიანთა სატახტო ქალაქი ისპაანი და მთელ ქვეყნიერებას გააცნეს თავიანთი სახელი და ვინაობა.

აი, ასეთ სწორუპოვარ მეომრებს თავი დიაცებად ეჩვენებოდათ ქართველ მხედრებთან შედარებით. ახლა კი ქართველმა დიაცმაც დაჯაბნა გამარჯვებითა და საბრძოლო დიდებით მთვრალი ავღანები. ერთმა ქართველმა ქალმა სირცხვილი აჭამა ისპაანის დამპყრობლებს. გაოგნებულნი იდგნენ ისინი და თვალს ვერ აშორებდნენ ვაჟკაცობად გარდასახულ სინაზეს.

როგორც გადმოგვცემს ავღანებთან დაახლოებული პოლონელი მისიონერი თადეუშ კრუშინსკი, მაჰმუდმა სასწრაფოდ გასცა ბრძანება, რომ განეკურნათ დაჭრილი ქალი, არ მოეკლოთ ყურადღება და მზრუნველობა, რასაც იმსახურებდა მისი უჩვეულო გმირობა.

სხვა წყაროს ცნობით, მაჰმუდმა საპყრობილეში ჩაამწყვდია ქართველი ქალი, ცოტა ხანს იყოს და მერე გავუშვებ, დაე, სამშობლოში დაბრუნდესო. მაგრამ ავღანებმა მაჰმუდის ბრძანებას ყური არ ათხოვეს და დატუსაღებული ქალი მოკლესო.

ვინ იცის, რას ფიქრობდა და რას ამბობდა სიკვდილის პირას მისული ქართველი ამორძალი. ეგებ იმედი ესახებოდა უდროოდ დაქვრივებულს, რომ ამქვეყნად გაყრილ ქმარს იმქვეყნად მაინც შეეყრებოდა. ისევ გაიხარებდნენ ერთმანეთის ხილვით, ისევ დატკბებოდნენ ალერსითა და სიყვარულით.

ვინ იცის, ეგებ ლოცვასავით წარმოთქვამდა გახელებული მიჯნურის — ტარიელის აღგზნებულ სიტყვებს: „აწ მივსწურვილვარ სიკვდილსა, დრო მომეახლა ლხენისა“.

**თამაზ ნატროშვილი**

ქაღალდი პოლიგრაფიისთვის
ადგილზე მიტანით
ფუნცლებში და რულონებში
71-04-14
877-43-28-62
სხვადასხვა ფორმატი
A1; A2; A3

საყდარი
სანაპიროს 2ა, ტელ.: 98 24 98, 37 64 46

CMYK

## №16 (185) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 574 რესპონდენტი ჰყავდა. 4 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 230-მა ქალმა და 340-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ყველაზე მეტად რომელი განსაზღვრება შეეფერება „კვირის პალიტრას“?**

მკითხველთა უმრავლესობის — 42%-ის აზრით, „კვირის პალიტრა“ და „მრავალფეროვნება“ განუყოფელი ცნებებია. **7,85** საშუალო ქულით „მრავალფეროვანი“ პირველ ადგილზეა. მკითხველთა მხოლოდ 1%-მა დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა. შემდეგ ადგილზეა განსაზღვრება — „პოპულარული“, საშუალო ქულაა 7,24.

მიუხედავად იმისა, რომ საერთო ქულების რაოდენობით მესამე ადგილზე „საინტერესოა“, მაქსიმალურ ქულათა რაოდენობის მიხედვით მას წინ უსწრებს განსაზღვრება — „ობიექტური“. მკითხველთა 14% თვლის, რომ „კვირის პალიტრას“ ყველაზე მეტად სწორედ ობიექტურობა ახასიათებს.

ალსანიშნავია, რომ „დახვეწილსა“ და „კეთილგანწყობილს“ არც ერთი მინიმალური ქულა არ დაუმსახურებიათ, ხოლო მაქსიმალური — 9 ქულა მათ ზუსტად 4-4-მა რესპონდენტმა მიაკუთვნა.

ყველაზე მეტი მინიმალური ქულა „მოსაწყენს“ ხვდა წილად. მკითხველთა 97%-ის აზრით, ყველაზე ნაკლებად სწორედ ეს განსაზღვრება შეეფერება „კვირის პალიტრას“, რაც სავსებით გასაგები და ჩვეულებრივია — ეს ხომ ჩვენი მკითხველების საერთო აზრია, მკითხველებისა, რომელნიც სიყვარულს უცხადებენ „პალიტრას“.




საპრიზოს ზუსტად რვა ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან: 53 წლის **ლია ლოგჟანიძე,** 70 წლის **ნათელა გელაძე,** 34 წლის **ნინო ბურჯანაძე,** 26 წლის **შორენა აფრიაშვილი,** 62 წლის **გივი კაციტაძე,** 21 წლის **დავით სიხარულიძე,** 59 წლის **ბადრი თოიძე** და 63 წლის **რეზო სვანიძე.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 25 აპრილს, 17 საათზე.

## №17 (186) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

### 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

*საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ მკითხველის რეიტინგში

№17 (186) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 26 აპრილის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 27 აპრილის 13 საათამდე.

© თბილისი, 1997

თემა №17 (186) —

**გავლენიანი პიროვნებები**

**თქვენი აზრით, პრეზიდენტის გარდა, ყველაზე მეტად ვინ ახდენს გავლენას დღეს საქართველოში მიმდინარე პროცესებზე** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს 8 — და ა.შ. 1-მდე.

№17(186) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

| № | პიროვნება | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ასლან აბაშიძე | |
| 2 | შალვა ნათელაშვილი | |
| 3 | გოგი თოფაძე | |
| 4 | ზურაბ ჟვანია | |
| 5 | ნანული შევარდნაძე | |
| 6 | კახა თარგამაძე | |
| 7 | მიხეილ სააკაშვილი | |
| 8 | ვაჟა ლორთქიფანიძე | |
| 9 | მიხეილ მაჭავარიანი | |

მკითხველის რეიტინგი *

**დაასახელეთ საქართველოს ომბუდსმენის თქვენეული კანდიდატი**

✓ ____________________

____________________
თქვენი სახელი, გვარი

____________________
ქალაქი (რაიონი)

__________ __________
ასაკი ტელეფონი

„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს

## დამატებითი კითხვის შედეგები

დამატებითი კითხვას 568 მკითხველი გამოეხმაურა. კითხვა ასეთი იყო: **„მიიღეთ თუ არა მონაწილეობა საპრეზიდენტო არჩევნებში?“**

როგორც გაირკვა, 9 აპრილს საარჩევნო უბანს რესპონდენტთა 51%-მა მიაშურა; არჩევნებში მონაწილეობა კი მკითხველთა 49%-ს არ მიუღია.




## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

რას დაარქმევდით?

____________________

____________________

____________________

____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________



ჯაბა იოსელიანი

**ე.შ.** — ამით აბდალაძეს გაუმარჯოს. სად პოულობს ხოლმე, კაცო, ამისთანა კადრებს. ზური, მოდი, წინა ნომერში რომ ტინგიცობდი ნიფხვით, დალიე ჩემს მაგივრად აი ყანწი!

***ზაზა კომლაძე, თბილისი***

**ე.შ.** — ჯუმბერ! შენ თუ ამ ყანწს დალევ, შენ თუ ამ ყანწს დალევ... ვიცე-პრეზიდენტობა მიბოძებია.
**ზ.ჟ.** — ბატონო ედუარდ, მართლა რო დალიოს...
**ე.შ.** — შენ გაჩერდი!

***ილია ნაკაიძე, თბილისი***

„ქართვლის ბაბუ“
მოქანდაკე-ფოტოგრაფი გიორგი აბდალაძე.

***ზ. იორდანიშვილი, თბილისი***

**ე.შ.** — ჩემი გაგებით, ყანწი და მეგობარი ძალიან ჰგავანან ერთმანეთს. ორივე სწრაფად უნდა აავსო, ნელ-ნელა უნდა დაცალო და შემდეგ სხვას გადასცე.

***რევაზ რაზმაძე***

**ე.შ.** — მინისტრებო, ტაში, ტაში, ყველას გაგყრით პენსიაში!

***„სნაიპერა“, თბილისი***


ედუარდ შევარდნაძე

*წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 171 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.*

2004 წლის 9 აპრილი
**ე.შ.** — და აი, მოხდა ის, რასაც ვფიქრობდი რუსეთი საქართველოს შემადგენლობაშია. გაუმარჯოს!

***საშა კოხრეიძე, ს. იანეთი***

**ე.შ.** — დამისხი, დამალევინე
ეს ღვინო ოხერ-ტიალი,
იქნება წალმა მეჩვენოს,
ქვეყნის უკულმა ტრიალი.

***გურამ რეხვიაშვილი, თბილისი***

**ე.შ.** — ეს პრიზი, ხელშეკრულება მიწის არენდაზე გამოსყიდვის უფლებით და ვერცხლის ანტიკვარული მონეტები, გადაეცემა ბატონ ასლან აბაშიძეს.

***პაატა ნაზღაიძე, რუსთავი***

**ე.შ.** — გპირდებით, რომ 5 წლის შემდეგ ჩვენ შესანიშნავად ვიცხოვრებთ. (თავისთვის) „ჩვენ“ ახლაც არა გვიშავს...

***მათე სულწაძე, წყალტუბო***

**ე.შ.** — ამ ყანწით ვლოცავ და დიპლომით ვაჯილდოვებ იმ საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეებს, რომლებსაც მიმატება-გამრავლება სცოდნიათ...

***ბადრი, თბილისი***

**ე.შ.** — ამ სასმისით და წრფელი გულით იმ პენსიონერებს გაუმარჯოს (კითხულობს სიას), ვინც დროულად გაემგზავრა იმ ქვეყანას და მხარი ჩვენ დაგვიჭირა.

***გელა ბურიაშვილი, რუსთავი***

**ე.შ.** — არა, ნამდვილად სასწაული ხალხია ეს ჩემი ძალოვანები! ნამდვილი დელიკატესი მომიტანეს, კაცო — აბდალაძის სისხლი.

***შალვა ვაშაკიძე, თბილისი***